

მსსკ-ის კომენტარი:

1. უილიამ შექსპირი (1564-1616) გენიალური ინგლისელი დრამატურგი და პოეტი, მიჩნეულია მსოფლიო დრამატურგიის ერთ-ერთ ყველაზე ღირებულ წარმომადგენლად. – უ. შექსპირი

2. შესავლის კომენტარი:

„ჰამლეტი“ – შექსპირის ყველაზე ენიგმური და ცნობილი ტრაგედია.

კონსტანტინე გამსახურდია¹ ერთგან წერდა, რომ დონკიხოტი მთესველია, ხოლო ჰამლეტი მომკელი. აქ ცხადია იგულისხმება ახალი აღთქმის ტექსტი, სადაც იესო ქრისტე ამბობს:

– „37. რადგან ამაშია სიტყვა ჭეშმარიტი: ერთი თესავს და სხვა იმკის.

38. მე თქვენ მოგავლენთ იმის მოსამკელად, რაზედაც არ გიმრომიათ. სხვებმა იშრომეს, თქვენ კი მათ შრომაში შემოხვედით“ **იოანე 4. 37.38.**

ძალიან საინტერესოა უ. ფოლკნერის ინტერპრეტაცია დონ კიხოტზე:

– „სიცოცხლის აზრი კეთილსა და ბოროტში არ არის. დონ კიხოტი გაძულებით ანსხვავებს მათ, ოღონდ ოცნებით. იგი შემლილი იყო. იგი მაშინაა რეალური, როცა იმდენად უპირისპირდება საზოგადოებას, რომ დრო აღარ ჰყოფნის ბოროტი და კეთილი აირჩიოს“.

უ. ფოლკნერი. „საუბრები უ. ფოლკნერთან“ თარგმნეს როსტომ და პაატა ჩხეიძეებმა, 65 გვ.

ნიშანდობლივია, რომ ხელოვნების ისტორიის ორი გამორჩეული გმირი და ნიშან-სვეტი შემლილია. დონ-კიხოტის შემლილობა და ჰამლეტის შემლილობა მახასიათებელია იმ უბიწო გონებისთვის, რომელსაც ბოროტების მიღება და დაჯერება არ ძალუძთ. მათ მიერ შეუცნობლის მოტანა სამყაროში იმით არის განპირობებული რომ მათ ზეცნობიერის სიკეთე, ღვთაებრივი სინათლე მიუძღვებათ და ის, რაც შემლილობად ითვლება მიწიერი სამყაროსათვის, მხოლოდღენ ნიშანია, რომ ისინი უკვე გავიდნენ

მიწიერი სამყაროდან, ანუ ამ სამყაროსთვის მკვდარნი შეიქმნენ.

3. პლატონი – (ძვ.წ. 427-347 წ.) კლასიკური ხანის ბერძენი ფილოსოფოსი. სოკრატეს მოსწავლე, არისტოტელეს მასწავლებელი, ფილოსოფიური დიალოგების ავტორი, ათენის აკადემიის დამფუძნებელი.

... პლატონს ფილოსოფია მიაჩნდა ძიებად და არა დასრულებული რეზულტატების მოძიებამ მცნებებად.

პლატონის ფილოსოფიაში პოეტისა და ფილოსოფოსის იგავ-მიუწვდომელი და დაუცილებელი მყოფობა აღსდგა. ეს მაშინ ხდება როცა ღვთაებრივის მაცოცხლებელი წვენი იწერება ტექსტი, პლატონის ნაწარმოებები დიალოგის ფორმით არის დაწერილი, რაც დრამის, პოეზიის, ფილოსოფიის და უმაღლესი მუსიკის ანუ მათემატიკისა და მუსიკის ერთდაიგივობის ენიგმურ რკალს ქმნის.

მასში სიტკბოებითა და ლაღობით, მშვენიერებითა და ზეშთაგონების აღმტაცო სიმსუბუქით შემოაღწევს ღვთაებრივის სიბრძნე და კაცობრიობის წინაშე დასმული კითხვების სიმძიმე და დაუჯერებელი სიცხადე საჩინო ხდება.

ცნობილია, რომ პლატონმა აღმოსავლეთში მოგზაურობის დროს მიიღო დიდი განათლება ის ეზიარა აღმოსავლურ სიბრძნეს და ხელდასმის ორი საფეხური გაიარა. მაშინ როცა ეგვიპტის ქურუმებს ხელდასმის შვიდი საფეხური ჰქონდათ გავლილი.

საინტერესოა გავიზნოთ, რომ პლატონი რომელიც ფლობდა ხელდასმის მხოლოდ ორ საფეხურს, იქცა მთელი დასავლური ფილოსოფიის ბირთვად, – იმ „ღმერთად“, რომელმაც როგორც ნერგმა აღმოაცენა დასავლური ფილოსოფიის ყველა ტოტი და მის მიერ მოწეული ნაყოფი.

ჩვენი დიდი მთარგმნელი, ბრწყინვალე კომენტარების ავტორი ბაჩანა ბრეგვაძე „პარმენიდეს“ შესავალში აღნიშნავს:

„ცნობილი ინგლისელ-ამერიკელი მათემატიკოსი, ლოგიკოსი და ფილოსოფოსი ალფრედ ნორთ უაიტჰედი (1861-1947 წწ), მთელ დასავლურ ფილოსოფიას პლატონის დიალოგების კაბადონებზე მიწერილ შენიშვნებად თვლიდა...“

ჩვენი დროის თვალსაჩინო ნორვეგიელი პლატონისტი ევილ ვილერი თავის გამოკვლევაში – „პლატონის „პარმენიდე“ პლატონ-ური ჰენოლოგიის ინტერპრეტაცია“ (ოსლო, 1960 წ.) უაიტჰედის თვალსაზრისის პერიფრაზირებით კიდევ უფრო აკონკრეტებს მის აზრს და **მთელ დასავლურ ფილოსოფიას „პარმენიდეს“ კომენტარებად მიიჩნევს**“ (ხაზგასმა ჩემია – ჟ. სირაძე).

პლატონი „პარმენიდე“-ს წინასიტყვაობა ბაჩანა ბრეგვაძე, გვ.10

4. შესავლის კომენტარი:

„ეს მოციმციმე მონეტა კი იმ სიბრძნედ მესახებოდა, რომელზედაც პლატონი ოდესღაც წერდა და გვირჩევედა, რომ მოგვეპოვებინა“¹. ჟ. სირაძე „ჰამლეტის ნილაბს ამოფარებული ხელოვანი“². გვ. 4.

ტექსტში პლატონის უკვდავ დიალოგში „ფედონში“ მოყვანილი ციტატის პერიფრაზირება ხდება. კერძოდ, აი რას წერს პლატონი³:

– **„რადგან სიბრძნეა ერთადერთი ჭეშმარიტი მონეტა, რომელზედაც ყველაფერი ეს უნდა გაიცვალოს. მხოლოდ სიბრძნით იყიდება და გაიყიდება ყოველი**: სიმამაცე, თავდაჭერილობა, სამართლიანობა. მოკლედ, რომ ვთქვათ ჭეშმარიტი სათნოება განუყრელია სიბრძნისაგან, სიამოვნების, შიში და სხვა მისთანათა მიუხედავად. მაგრამ თუ სათნოება სიბრძნესთან არაა წილნაყარი და ისეა ქცეული გაცვლა-გამოცვლის საგნად, მაშინ ის სათნოება კი არა, მხოლოდ ჩრდილია სათნოებისა, მაშინ ის მონური სათნოებაა, რომელსაც ჯანსაღი და ჭეშმარიტი არა გააჩნია რა. რადგან ჯანსაღი ამ შემთხვევაში ვნებათაგან განწმენდას გულისხმობს და თავდაჭერილობა, სამართლიანობა, სიმამაცე და თვით სიბრძნეც განწმენდის საშუალებებს წარმოადგენენ“.

პლატონი „ფედონი“ 25 გვ. თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ.

პლატონისთვის უმაღლესი სიბრძნე და სათნოება ერთმანეთისგან განუყოფელია, ამიტომაც, ადამიანმა ჭეშმარიტი ცოდნა რომ მოიპოვოს, წმინდა არსს ეზიაროს, სხვაგვარად ჭეშმარიტ სიბრძნეს წვდეს ამისათვის უნდა სულიერად განიწმინდოს, უნდა უარყოს, უგულვებელჰყოს თავისი სხეული და მისი თანამდევნი ვნებები: ცთომა, შური, სიხარბე, სიმხდალე, სიბრაზე... და იმ სათნოების

საფეხურზე ავიდეს, რასაც ჰქვია სიმამაცე, სიმართლე, სიქველე, გულოვნება...⁴

ანუ, როცა ადამიანი სიბრძნის მონეტას – ჭეშმარიტებას იწვდომებს, მას ძალუძს კოსმოსის ყველა საგანთან ჭეშმარიტი სახით წარსდგინება, რადგან მან უკვე ის სამანი გადალახა, რასაც მას დილეგში ჩამწყვლევა უწევს, ასე უწოდებს პლატონი ადამიანის სულის სხეულში ყოფნას. სამანის გადასალახავად გარდაუვალი პირობაა სიკვდილის შიშის დაძლევა. სიბრძნე პლატონთან ის უმაღლესი მდგომარეობაა, რომელიც უზენაეს სიკეთეს – ღმერთს შეგვაცნობინებს და როცა სული თავისი წმინდა სახით წარმოგვიდგება. ამ წმინდა სახეში თავად ღმერთია დავანებული, რადგან წმინდა საგანთა ჭვრეტა უკვე ამქვეყნიურობიდან გასვლაა და იმ იგავიუწვდომელი ნათელის, მოციმციმე მონეტის ხილვაა.

თუმცა, ჩემს ტექსტში („ჰამლეტის ნილაბს ამოფარებული ხელოვანი“ – ჟ.ს.) მოციმციმე მონეტა. დასახელებულია, როგორც პლატონის სიბრძნე, მაგრამ ეს ერთ-ერთი შესაძლო მოციმციმე მონეტაა.

ეს მოციმციმე მონეტა – ხან თაღისის³ წყალია, ხან ჰერაკლიტეს⁴ მარადცოცხალი ცეცხლი, ხან ანაქსიმანდრეს⁵ აპეირონი, ხან კი ანაქსიმენის⁶ მსოფლიო სული – ჰაერი.

მოციმციმე მონეტა – „პითაგორელთა თეორიის მიხედვით რიცხვი ღმერთია, რიცხვია კოსმოსი, და მისი არსი – მუსიკა იგივე რიცხვთა განლაგებაა, თანაფარდობაა. მოკლედ, ყოველი საგანი მხოლოდ იმიტომ არის საგანი, რომ ის რიცხვთა განლაგებაა“.

ე. შურე „პითაგორა“⁷.

საინტერესოა, რასაც წერს პოლ ვალერი: – „ყოველი სისტემის დასასრული რომ ყალბია, ეს არავითარ ეჭვს არ იწვევს. საწინააღმდეგო დასკვნა შეუძლებელი იქნებოდა და არაბუნებრივი.

რაც შეეხება მათ დასაწყისს, – ამაზე შეიძლება კიდევ იდავოს კაცმა“⁸. პ. ვალერი „აზრები“

ამ ფრაზით პოლ ვალერი⁸ იმ გარდაუვალ კანონზომიერებაზე მიგვანიშნებს, რომ მოციმციმე მონეტა ყველა სამყაროში ჭეშმარი-

რებას გვაზიარებს, თუმცა ამით მან მთელი თავისი შემოქმედების საწინააღმდეგო არგუმენტი შემოგვთავაზა.

მე კი მინდა ვთქვა, რომ ყოველი მოაზროვნე, რომელიც ერთ-გულების გზას ირჩევს, აღწევს კიდეც ამ ჭეშმარიტებას. ის ნამდვილ ქმნილებაში ირკალება და მყოფობს, ამით იმის თქმა მინდა, რომ ჭეშმარიტება „მოციმციმე მონეტის“ სახით ერთი და იგივეა და ღვთაებრივი გონი მათ ერთ და იგივე, ჭეშმარიტ ტექსტად აღიქვამს.

ამიტომაც ჩემივე ტექსტში აქვე („ჰამლეტის ნილაბს ამოფარებული ხელოვანი“) იწერება:

– „... ეს ის მონეტაა, რომლითაც ყველა ამბავი აიხსნებოდა, ოღნავ შუქ-ჩრდილებით დაბურული საგნები კი ყოფიერების საილუმლოებაზე მიმანიშნებდა (ჟ. სირაძე – „ჰამლეტს ნილაბს ამოფარებული ხელოვანი“ გვ. 4).

ან, იქვე:

– „მოციმციმე მონეტა – ის მარცვლებია, სამყაროს არსს, მის გულისგულს, რომ გამოხატავენ და გადაგვიხსნიან“.

(ჟ. სირაძე – „ჰამლეტის ნილაბს ამოფარებული ხელოვანი“, გვ. 4).

მაგრამ **მოციმციმე მონეტა** შეიძლება მ. პრუსტისთვის⁹ „მეხსიერებით აღდგენილი განცდაა“, ეს მოციმციმე მონეტაა მის საყაროს, რომ ამოძრავებს:

– „... გულის სიღრმეში ვგრძნობდი წარსულის თრთოლვას წარსულისა, რომელსაც ვერ ვცნობთ“

მ. პრუსტი „წიგნის კითხვა“, 6 გვ.

ან, იქვე:

– „... ვგრძნობდი, როგორ მეუფლებოდა ბედნიერება და ვმდიდრდებოდი ამ წმინდა სუბსტანციით, რომელსაც წმინდად შენარჩუნებული წმინდა ცხოვრების გარდასახული შთაბეჭდილება ჰქვია. და რომლის შეცნობა მხოლოდ გულდაგულ შენახვით შეიძლება, – მეხსიერება განცდისას ვერ აცნობიერებს, რადგან იგი თავისივე შთანთქმული გრძნობების მორევში ტრიალებს“

მ. პრუსტი, „წიგნის კითხვა“, გვ. 6.

აქ ის არის საინტერესო, რომ მარსელ პრუსტი თავისი „დიადი მეხსიერებით“, რადგან იგი „მეხსიერებით განწმენდილ განცდას“

გვთავაზობს, უნებურად ადამიანის დაბრუნებას ასახავს უხილავ სამყაროში, რადგან ამ თავისი დიადი მეხსიერების ერთგულებით იგი აღადგენს ღვთაებრივის ამაღლებულ ხატს და ამ სარკეში, თავისი თავის აღდგენებით ის სრულყოფილებას იძენს.

ამით მ. პრუსტი შორდება ყოფიერების საზღვრებს და ამას შეიძლება პლატონის იდეების სამყაროში მოგზაურობაც კი ვუწოდოთ, ან საკუთარი თავის ცნობა მეხსიერებათა სარკის საშუალებით

ეს **მოციმციმე მონეტა**, პასკალის¹⁰ ენაზე აზროვნების უნარია:

– „ადამიანის სიღიადე – ესაა მისი აზროვნების უნარი“

ბ. პასკალი, „აზრები“ 267 გვ.

სხვა სიტყვებით, პასკალი – აზროვნების სიღიადის უნარს ასე აკონკრეტებს:

– „სულს არ შეუძლია თავი შეიკავოს იმ სიმაღლეზე, რასაც გონება არაადამიანური ძალისხმევით აღწევს; ის ადის იქ, როგორც ტახტზე, არა სამარადისოდ, არამედ მხოლოდ წამით“.

ბ. პასკალი, „აზრები“, 267 გვ.

აი, რას წერს მეცნიერებათა დოქტორი ფილოსოფიის დარგში ბატონი რევაზ გორდუზიანი წიგნში „ძველი აღმოსავლეთის ფილოსოფია“-ში, კერძოდ, თავში „იოგა“-ში:

„XX საუკუნის გამოჩენილი იოგი რამაჩარაკა აღნიშნავს თავის მნიშვნელოვან გამოკვლევებში („ინდოელ იოგთა მსოფლმხედველობის საფუძვლები“) ადამიანი, თითოეული ინდივიდი არის ურთულესი არსება, შინაგანი სტრუქტურა, რომელსაც მრავალგვარი საწყისი გააჩნია. ადამიანი არის მრავალგვარ შრეთა შინაგანი, სტრუქტურული მთლიანობა. ამ მთლიანობაში გაერთიანებულია შვიდი სხვადასხვა საწყისი: 1. ფიზიკური სხეული; 2. ასტრალური სხეული; 3. პრანა, ანუ სასიცოცხლო ძალა; 4. ინსტიქტური გონება; 5. ინტელექტი; 6. სულიერი გონება (სულიერობა – Духовность; ჭვრეტის, ინტუიციის უნარი); 7. გონი (Дух)“.

და აქვე აგრძელებს:

„მეექვსე საწყისი – სულიერი გონება (ინტუიცია) ძალიან იშვიათად გვხვდება იოგების აზრით. ეს გონება, რომელსაც ზოგჯერ ზეცნობიერის გონება ეწოდება, ძალიან ცოტა ადამიანს გააჩნია,

იგი სხვათა შორის, დიდ ხელოვანთა შთაგონების წყაროს შეადგენს. იოვთა თვალსაზრისით, რაც შეეხება მეშვიდე საწყისს – გონს (Дух) იგი უფრო იშვიათად გვხვდება ადამიანებში რეალიზებული სახით. თუმცა იგი, ისევე როგორც წინა ექვსი საწყისი, როგორც ითქვა, აუცილებელ საწყისს წარმოადგენს ადამიანურ ყოფიერებაში.

რამაჩარაკა განმარტავს, რომ ეს საწყისი არის სწორედ ღვთაებრივი ნაპერწკალი ჩვენში, ჩვენი ღვთაებრივი ბუნება, ჩვენი ჭეშმარიტი „მე“, ჩვენი „სულის სული“ პიროვნების მიერ „ზეცნობიერის“ მიღწევა, ადამიანურ ექსტაზში უმაღლესი სულიერი სინათლის მიღწევას, მოპოვებას, მასში სწორედ ამ მეშვიდე საწყისის „გახსნა-გამჟღავნებას“ ვგულისხმობდით.

რ. გორდეზიანი „ძველი აღმოსავლეთის ფილოსოფია“ (ინდოეთ-ჩინეთი), 139 გვ. – 140 გვ.

ბლუზ პასკალი სწორედ ამ მეშვიდე საწყისზე საუბრობს, ამიტომაც წერს იგი „არაადამიანური ძალისხმევით მიიღწევა“.

ეხლა მინდა „მოციმციმე მონეტა“ თანამედროვე სამყაროში შემოვსახო.

ა. კამიუ¹¹ აი, ასე წერს:

„აბსურდი, რომელიც აქამდე დასკვნად იყო მიჩნეული, ამ ესსეში ათვლის წერტილად გვეკლინება“. ა. კამიუ, „სიზიფეს მითი“ 3 გვ.

ა. კამიუ სწორედ იმ „მოციმციმე მონეტას“ გვთავაზობს, რომელიც სიბრძნესთან არაა წილნაყარი და ისე არის ქცეული გაცვლა-გამოცვლის საგნად.

ღიას, ა. კამიუ გვთავაზობს თანამედროვეთა მსგავსად ისეთ „მოციმციმე მონეტას“, რომელიც არც „ციმციმებს“ და არც სათნოებასთან არ არის წილნაყარი, და ეს არის აღწერა პლატონის სიბრძნის მონეტის უწონადოდ ქცევისა.

5. ჯეიმს ჯოისი 1882-1941. XX საუკუნის ყველაზე გავლენიანი ირლანდიელი მწერალი და პოეტი. მისი ყველაზე ცნობილი ნაწარმოებია რომანი „ულისე“, რომელსაც უწოდებენ „ცნობიერების ნაკადის“ ლიტერატურის შედეგს.

„ცნობიერების ნაკადის მწერლისათვის ძირითადია არა ადა-მიანის სულიერი მდგომარეობის, მისი ფსიქიკური სამყაროს, მისი აზრების და განცდების წერა. არა გმირის ფსიქოლოგიური დახასიათება, არამედ თვით ცნობიერების აქტივობის ჩვენება, თვით აზრის გამოკვეთის პროცესის გადმოცემა, თანაც ისეთი მხატვრული საშუალებებით, რომ წინა პლანზე წამოიწევა ცნობიერების მეტყველებამდელი დონე, რომელიც არც სამეტყველო და არც დამწერლობით კომუნიკაციურ საფუძველს არ გულისხმობს. ამიტომაც სწორედ, რომ ასეთი პროზის ენა ხშირად დაწყვეტილი, ერთი შეხედვით ერთმანეთთან დაუკავშირებელი და ბუნდოვანი გამოთქმებისა და სიტყვებისგან შედგება“.

ნ. ყიასაშვილი (წინასიტყვაობა წიგნისა ჯეიმს ჯოისის „ულისე“).

6. შესავლის კომენტარი:

ჯოისის¹² „ულისე“-ში მოყვანილი მაგალითი:

„ალგებრის მეშვეობით ამტკიცებს, რომ ჰამლეტის შვილი-შვილი შექსპირის პაპაა და რომ თვითონ იგი საკუთარი მამის „აჩრდილი“.“

ჯ. ჯოისი „ულისე“. გვ. 5

აქ აღიწერება ის სამყარო, რომელიც ამოყირავებულია. სამყაროს ამ მოდელში ყველაზე დიდი ღირებულება – ათვლის წერტილი – აბსურდია. – გაუცხოებულ ქმედებათა ჯამი. ამ სამყაროში შენს თავს რომ მიუახლოვდე, შენი თავი რომ შეიცნო, ეს ყველაზე დიდი დანაშაული და შეცდომაა, ანუ აბსურდი. და მ. ჰაიდგერი¹³ დაწერს ფრაზას, რითაც გაამჟღავნებს ეპოქის მთავარ ავადმყოფობას:

– „სიყვარულს უკვე აღარაფერი ძალუძს“

უსიყვარულობა სულაც კანონზომიერია, რადგან თუნდაც ჯეიმს ჯოისის „ულისე“-ში, რომელიც ამოყირავებული სამყაროს სანიმუშო მსოფლმხატვია, აჩრდილებს ჰყავთ თავიანთი მემკვიდრეები, რადგან პლატონის აჩრდილთა სამყარომ როგორადაც მიაჩნდა მას მიწიერი სამყარო ახალი სახე მიიღო, ის (ემპირიული სინამდვილე)

აჩრდილის აჩრდილად იქცა და ა.შ. და ა.შ.

რადგან ადამიანმა ღმერთი უარყო და თავისთავად ცხადია, სულიერ დაბადებაზეც უარი განაცხადა.

იოანე 3.7. „ნუ გაგიკვირდებათ, რომ გითხრათ: თქვენ ხელახლა უნდა იშვათ-მეთქი“.

მეორედ, ცით დაბადება იმასაც ნიშნავს, რომ ღმერთს მივენდობით და მაშინ ბუნება თვალს აგვიხელს და ღმერთის დიად ძალმოსილებას შეგვაგრძობინებს, მის ცხოველმყოფელ ნიჭად გარდავისახებით. ეს არის ბუნების დაძლევის სწორი გზა, მაგრამ როცა ბუნებას ზურგს ვაქცევთ, მხოლოდ მისი მექანიკური ჩონჩხი შემოგვეჩვენება ხელთ.

თანამედროვე ადამიანის ცხოვრება იმიტომ იქცა მკვდარ სქემაში მოქცეულ მოძრაობად თავისი გამაუცხოებელი საგნებით, რომ როგორც უკვე ვთქვით **ეს უღმერთო სამყაროა, აქ საგნები ზედაპირზეა დაფენილი და ღირებულებანი უწონადოდ არის ქცეული.** ამიტომაც რომანში საუბარია ჯ. ჯოისის „ულისე“-ზე მოთხრობილი „ამბავიც“, რომელიც აქ „მიმდინარეობს“, ისიც ამოყირავებულია და უწონადო.

ჰამლეტის შვილიშვილი – შექსპირის პაპაა.

თუმცა, შექსპირის დრამაში „ჰამლეტში“ – (რომელშიც შექსპირის გენია ღვთაებრივ ნებას მიხდობილი გვიყვება ამბავს) პერსონაჟი ჰამლეტი ისე კვდება, რომ მას შვილი არა ჰყავს, მაგრამ რაც არ უნდა გასაოცარი იყოს, ამ ამოყირავებულ სამყაროში გარდაცვლილებს ჰყავთ თავიანთი მემკვიდრეები, რითაც საცნობი ხდება, რომ ფიგურალურად რომ წარმოვიდგინოთ, პლატონის იდეების სამყაროს აჩრდილთა სამყარომ, როგორადაც მიწიერი სამყარო ითვლება უსასრულო ყალბი ასლი გაუნაღდა. ამიტომაც ასე უკავშირდება ერთმანეთს ორი უსასრულოდ გადამრავლებული ასლი ერთმანეთს, **შეუძლებლობა, როგორც შესაძლებლობა.** ეს უაზრობა განგვიცხადებს და თვალს აგვიხელს, რომ წესრიგი დაირღვა და ამ სამყაროს ადამიანის გაუცხოებული სახე, – მისი ალტერ ეგო – რობოტი განკარგავს ღირებულებებს, რაც ადამიანის მიერ უარყოფილი ბუნების მექანიკური სახეა.

7. გვ. 7. ლირი – შექსპირის ტრაგედიის „მეფე ლირის“ მთავარი პერსონაჟი.

8. გვ. 6. ჰორაციო – შექსპირის ტრაგედიის „ჰამლეტის“ ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი.

9. შესავლის კომენტარი:

„შექსპირი ჯოისს კარგად იცნობდა“

ჟ. სირამე „ჰამლეტის ნიღაბს ამოფარებული ხელოვანი“ გვ. 6.

ტ. ელიოტი¹⁴ წერდა:

– „... ისტორიის შეგრძნება აწერინებს კაცს არა მხოლოდ თავისი თაობის პოზიციებიდან გამომდინარე, არამედ ისე, თითქოს მთელი ევროპული ლიტერატურა, ჰომეროსიდან მოკიდებული და მასთან ერთად მისი მშობლიური ქვეყნის ლიტერატურა, ერთდროულად არსებობენ და ერთიან წესრიგს ქმნიან“.

ტ. ელიოტი „ტრადიცია და პიროვნული ნიჭიერება“, ინგლისურად თარგმნეს პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა. 407 გვ.

ჩვენ ვგუშანობთ წესრიგს, – იმ მარცვალს, რომელშიც ერთად მყოფობენ ჩვენთვის უკვე გარდაცვლილნი ხელოვანნი, თუ მომავალში, შესაძლებლობაში მოქმედნი. **რადგან ამ წესრიგისთვის ზღვარი ამიერ და იმიერ სამყაროებს შორის არ არსებობს, – რადგან – ის ცოცხალთა და მკვდართა ენიგმური ატომია.**

და თუ ხელოვანთა წარმომადგენლები – ენიგმურ ატომში მყოფობენ, – მაშინ სულაც აღარ აღიქმება პარადოქსალურად, რომ XVI-XVII საუკუნეში მცხოვრები შექსპირი კარგად იცნობდა XX საუკუნეში მცხოვრებ ჯეიმზ ჯოისს.

რადგან გენიალურობის შეგრძნება ხდება არა გონებით, ან განსჯით, არამედ იმ **უმადლეხი გონით**, რომლითაც ლიტერატურის წრის ჟამიერობაში ვვარდებით და წარსულში მცხოვრები შექსპირი კარგად იცნობდა (შეიძლება უფრო ზუსტი იქნებოდა გვეხმარა სიტყვა – გუშანობს-მეთქი) ისეთი გენიალური შემოქმედის მყოფობას, როგორიც ჯეიმზ ჯოისია. როგორც, თავის მხრივ ეს უკანასკნელი აღიარებდა შექსპირის გენიას.

ამ ჟამიერობის აღწერა, ერთი შეხედვით მარკ ავრელიუსის¹⁵ ფიქრით ასე არის შესაძლებელი:

– „ვინც იხილა აწმყო, მან იხილა ყველაფერი; ისიც, რაც იყო მირიადი საუკუნეების უკან და ისიც, რაც იქნება უკუნითი უკუნისამდე, რადგან ყველაფერი ერთგვაროვანი და ერთსახოვანია“.

ერთგვაროვანი და ერთსახოვანი – არის ღვთაებრივი იდუმალების მყოფობა, რომელიც არ განიცდის დროში ცვლილებას? – და მუდამ რჩება როგორც იგივეობრივი ერთი – ერთისა?

მაგრამ სინამდვილეში მარკ ავრელიუსის ერთგვაროვანი და ერთსახოვანი არ გამოსახავს ღვთაებრივის მარადივეობრივის, უცვალეზადსა და უკვდავ ბუნებას.

მასში როგორც ამას ჩვენი ბრწყინვალე მთარგმნელი და კომენტატორი ბაჩანა ბრეგვაძე აღნიშნავს იგივე აზრი დევს, რაც ეკლესიასტეს ცნობილ სიტყვებში:

ეკლესიასტე, I, 9-10; „რად ყოფილი, იგივე ყოფადი, და რად ქმნადი, იგივე ქმნული, და არა რად არს ახალ მზესა ქუეშე“

ეკლ. 1; 2; 14; 2;

საინტერესოა, რომ თომას მანი¹⁶ ასეთივე გარეგნულ მსგავსებას პოულობს დოსტოევსკისა და ნიცშეს ტექსტებში. – მსგავსება, რომელიც სულ საპირისპირო საზრისს იმარხავენ; თუმცა ეს უძვობესია, თავად გენიალური მწერლისა და მოაზროვნის ბრწყინვალე კომენტირებით მოვისმინოთ:

„Вероятно, его (იგულისხმება ნიცშე ჟ.ს.) теория „вечного круговорота“, которой он придавал столь всеобъемлющее значение, порождена эйфорией, едва ли на нее распространялся постоянный интеллектуальный контроль, да и к тому же она, видимо, не плод его собственного творчества, а некая литературная реминисценция. Мережковский указывал, что идея „сверхчеловека“ уже встречается у Достоевского, в речах упомянутого выше эпилептика Кириллова из „Бесов“. „Тогда новая жизнь, тогда новый человек, – говорит у Достоевского этот провидец-нигилист, – все новое... Тогда историю будут делить на две части: от гориллы до уничтожения бога, и от уничтожения бога до перемены земли и человека физически“,

то есть до появления человекобога, сверхчеловека. Однако, как мне кажется, здесь осталось неотмеченным то, что у Достоевского встречается и идея вечного круговорота, а именно в „Карамазовых“ в разговоре Ивана с чертом. „Да ведь ты думаешь все про нашу теперешнюю землю! Да ведь теперешняя земля может, сама-то миллиард раз повторялась; ну, отживала, леденела, трескалась, рассыпалась, разлагалась на составные начала, опять, вода, яже бе над твердию, потом опять комета, опять солнце, опять из солнца земля – ведь это развитие, может, уже бесконечно раз повторяется, и все в одном и том же виде, до черточки. Скучища неприличнейшая...“ Достоевский – устами черта – называет „скущицей неприличнейшей“ то, что Ницше утверждает дионийским благословением, восклицая: „Ибо люблю тебя, о вечность“. Но мысль у него – та же, и если в случае со сверхчеловеком я предполагаю конгениальность братьев по духу, то „вечный круговорот“ я склонен рассматривать как результат чтения, как неосознанное, эйфорически окрашенное воспоминание о Достоевском“. Т. Манн. „собр. сочинений“, т. X, стр. 336.

და ბოლოს გავისხენებ კამილ ფლამარიონის პარაფსიქოლოგიურ მოვლენებზე გამოკვლევის შედეგს, ოთხ თეზისად რომ იქნა წარმოდგენილი და აღიარებული, როგორც უკანასკნელი მეცნიერული კვლევის უდიდესი მოვლენა, რომლის მეოთხე თეზისი განმარტავს: „მომავალი მზადდება წარსულით და სულს აქვს წინასწარმეტყველების უნარი“. კამილ ფლამარიონი. 1979 სააღდგომო ეპისტოლე. ილია II. გვ. 20.

10. შესავლის კომენტარი:

ჰამლეტი – თავისი მამის გასისხლიანებული გვამის იქით...“

ჟ. სირაძე, გვ.7. „ჰამლეტი ნიღაბს ამოფარებული ხელოვანი“

შექსპირის დრამაში დანიის პრინცი – ჰამლეტი, წინასწარ ეჭვობს და სეკლიანობს, რომ მამა მოუკლეს, ვიდრე თავად – მამის სული არ განუცხადებს, რომ მისმა ძმამ, ჰამლეტის ბიძამ იგი მოკლა.

მამა მოკვდა – შექსპირის დრამაში, როგორც გენიალური შემოქმედის ქმნილებაში ყველა სიღრმისეული შრეები აისახა. ჯერ ერთი, მამა წარმოადგენს იმ დიად იდუმალებას, ღვთაებრივის პირველსახეს რომ გაგვიმჟღავნებს ბავშვობისას. მისი ყველა ჟესტი, გამოსხედავა, ყოველი აზრი თუ ფიქრი, არის ღვთაებრივის უიღუმალეს სამყაროდან მოდენილი ნამცვრევი, რომელშიც ღვთაებრივის ცისიერობას ვგრძნობთ და მისით ვიმოსებით. მაგრამ ამავე დროს, მამა არის კავშირი მიწასთან და დაბრკოლება, რათა მოვიძიოთ საკუთარი თავი, საკუთარი „ტრანსცენდენტალური „მე“, რომელიც ცასთან დაგვაკავშირებს და ჩვენს სულიერ სახლში დაგვაბრუნებს.

მამა მოკვდა, – ისეთ ადამიანთან, როგორც ეს ჰამლეტია, ეს სამყაროს მთლიანი „წაშლა“, ანუ ხილვა იმ უფესკრულისა, რომელშიც არარავდება ყოველი საგანი – განიმქვრება მზის კაშკაშა სინათლე, და ამ უდაბნოში სულიერი თვალის წინაშე ის იხილავს იდუმალ ფესვებს, სადაც მამა-შვილის ერთიანობის მისტერია განხორციელდება და სამყაროს თავზარდამცემ დინებას გაგვიმჟღავნებს.

მამასთან კავშირი ენიგმურია, რადგან მასთან ჩვენ ღვთაებრივი წვენი ვართ შედუღებულნი, თუმცა ჩვენი თავისუფალი ნება იმად აქცევს ამ კავშირს, როგორადაც ჩვენ ეს „გვესურება“.

მას შეუძლია ის ისევე დაამცროს და დააკნინოს, როგორც ეს ოიდიპოსის კომპლექსისა და დარვინის თეორიის გაერთიანების მეოხებით მოხდა – XIX-XX საუკუნეებში. მამასთან კავშირი – ეს ღვთაებრივი წვენი, – ხან ცხოველის ბნელი ინსტინქტია – რაზედაც ლორენსი¹⁷ ასე წერს: „ქალს მისი სისხლის ბნელი სიღრმით ვიცნობთ – ჩასწვდე მას გონებით იგივეა, რაც მოკლა ის“. ხან კი ის ღვთაებრივი ამბროზიაა – ღვთაებრიობის უმაღლესი სითხეა, რომელშიც ვარსკვლავების უშორეულესი ნათებაც კი გვეწოდება და გულს ის იდუმალი სიხარული ჩაგვეღვრება, რომლითაც იცნობა იგავიუწვდომელ ერთში ჰარმონიითა და სიხარულიანი ჟრჟოლივით შეკრულ საგანთა რიგი.

მამის გასისხლიანებული გვამი – არის ფანჯარა, საიდანაც მოჩანს, რომ კაცობრიობის ჰარმონიას ბზარი გაუჩნდა და რომ მას შეიძლება ბოროტება წარმართავს.

11. შესავლის კომენტარი:

„ბოროტი კაცი დანიაშიც ბოროტი არის“

უილიამ შექსპირი „ჰამლეტი“

ჯერ კიდევ კონსტანტინე გამსახურდია მაჩაბელის მიერ შექსპირის პიესაში „ჰამლეტი“ გაპარული უზუსტო თარგმანის შესახებ წერდა, უპირველესად მიუთითებდა ჩემს მიერ ციტირებულ ფრაზაზე. კერძოდ:

„ბოროტი კაცი დანიაშიც ბოროტი არის“.

უილიამ შექსპირი „ჰამლეტი“

აი, რას წერს კონსტანტინე გამსახურდია:

– „ასეთივე დეფექტია ამგვარივე სტერეოტიპული თქმის გამოქართულებაში: *There's n'er a villain dwelling in all Denmark, But he's an arrant knave*“.

და, ის ასე „აზუსტებს“ მაჩაბელისეულ თარგმანს:

– **„მთელ დანიაში ვერ იპოვით ერთ არამზადას, რომ ის გაქნილი არ იყოს თავად“.**

მე აქ მინდა ის ვთქვა, რომ ხშირად მთარგმნელის ტექსტი უფრო ზუსტია, ვიდრე თავად ტექსტი. როგორ შეიძლება ამ პარადოქსალური მდგომარეობის გაგება? უბრალოდ, მთარგმნელი გაამჟღავნებს ტექსტის ფარულ შრეში შეცურებულ ტექსტს, ამიტომაც კარგი მთარგმნელი ერთგვარად ხდება ავტორის *Alter ego*, რომელიც უზუსტეს ინტერპრეტაციას იძლევა.

ასეთი გასაოცარი ინტერპრეტატორია მაჩაბელი შექსპირისა ამ შემთხვევაში. და მე უნებურად მახსენდება პოლ გალერის ერთი აზრი, რომელიც ირიბულ ასოციაციას თუ აღძრავს ჩვენში:

– **„ჩვენი მოწაფეები და მიმღევრები ათასწილ უფრო მეტს გვასწავლიდნენ, ვიდრე ჩვენი მასწავლებლები, სიკვდილი, რომ გვატლიდეს მათი ქმნილებების ხილვას“.**

პ. ვალერი „აზრები“. 75 გვ.

12. გვ. 8. პოლონიუსი – უ. შექსპირის ტრაგედიის „ჰამლეტის“ პერსონაჟი

13. გვ. 10. მოციქული პეტრე. (სვიმეონი) – პეტრე მოციქულმა დაგვიტოვა ორი ეპისტოლე, რომლებიც ახალი აღთქმის წიგნებშია ჩართული, პეტრეს მოწაფის, მარკოზის სახარებაც მის მიერ მიერ არის მოწოდებული და ნაკურთხი.

უფლის სათნოყოფელნი – პეტრე და პავლე თავიანთი ღვაწლით იმდენად გამოირჩეოდნენ ქრისტეს მოწაფეებს შორის, რომ ეკლესიამ თავნი მოციქულნი უწოდა წმიდანებს და ერთ დღეს დააწესა მათი ხსენება.

„ღვთიური სიბრძნის მართლამდიდებლური ენციკლოპედია“. შემდეგ: გ. კალანდაძე.

14. გვ. 10. ოფელია – უ. შექსპირის ტრაგედიის „ჰამლეტის“ პერსონაჟი

15. აქილევის ქუსლი, ბერძ. აქილევის ერთადერთი სუსტი ადგილი, საიდანაც შეიძლებოდა მისი სხეულის დაზიანება. გადატანითი მნიშვნელობით აქილევის ქუსლი ნიშნავს პიროვნების, მოძღვრების, ამა თუ იმ საქმის სუსტ წერტილს, სუსტ მხარეს.

„მითოლოგიური ლექსიკონი“. შეადგინა ნ. გაფრინდაშვილმა

16. შესავლის კომენტარი:

„ზოგიერთი კრიტიკოსი აქილევის ქუსლად მიიჩნევს ჰამლეტის უმოქმედობას, მაგრამ აქ დავიწყებულია, რომ ყოველი დიადი სული უმოქმედობით არის დალდასმული, რადგან ის ღვთაებრიობის პირმშოა, და ყოველი ქმედება მას თავისთავს, თავის ღვთაებრიობას განაშორებს“.

ჟ. სირაძე, „ჰამლეტის ნიღაბს ამოფარებული ხელოვანი“, გვ. 12.

გარეგნული თვალისთვის ჰამლეტი და სულიერ გზაზე მავალი კაცი უმოქმედოა. ამას ბევრი მიზეზი განაპირობებს. ერთი და გამორჩეული მიზეზი კი იმაში მდგომარეობს, რომ მას ყველა საგანი ერთნაირად უყვარს და ამიტომაც არ შეუძლია ბოროტების ჩაღვრა.

მაშასადამე, იმ წუთისოფელში, სადაც ბოროტება წესისა და კანონის თანამდევია, მას არ შეუძლია მონაწილეობის მიღება. ჰამლეტს, შექსპირის დრამის პერსონაჟს, ისიც კი არ შეუძლია დაიჯეროს, რომ ბოროტება არსებობს.

მისი უმოქმედობის მიზეზი არის ღვთაებრიობამდე ასული მისი თანაგრძნობა ყველა სულიერისადმი, – და არა გოეთეს¹⁸ საყოველთაოდ ცნობილი მოსაზრება, რომ ჰამლეტი მეტიმეტად სუსტი არსებაა და მან როგორც ნაზმა მცენარემ, ვერ გაუძლო იმ გარემოს, რომელშიც მოხვდა.

და მაინც, ჩვენთვის, ქართველთათვის უპირველესი ასოციაციაა ვაჟა-ფშაველას გმირი – მინდია. ყველასთვის ცნობილია ამ პოემის შინაარსი: ქაჯები შეიპყრობენ მინდიას და ისიც სასოწარკვეთილი ამჯობინებს თავი მოიკლას, ვიდრე ქაჯებთან იცხოვროს. ამ მიზნით ის ქაჯების კერძს, გველის კერძს შეჭამს.

მაგრამ მინდია ხელახლა იბადება, სულიერი თვალი ახილდება და ბუნების საიდუმლო ენას ეზიარება. ამის გამო, მისთვის შეუძლებელი გახდება თვით ხის მოჭრა კი, რადგან მას მისი ჩვილი ჩაესმის; არც ნადირის მოკვლა ძალუძს. ისევ იმ მიზეზით, რომ მათი კვნესა-გოდება ჩაესმის და ამის გამო გული უწუნს.

ჰამლეტის დარად, მინდიას უმოქმედობის მიზეზი ღვთაებრივ სიმალლემდე ასული განურჩეველი თანაგრძნობაა ყველა სულიერი-სადმი.

ვიდრე, მინდია ბუნების ენას არის განდობილი, ის უმოქმედოა, და თავის ოჯახისთვის ვერც ვერაფერს აკეთებს, მაგრამ სამაგიეროდ მას შეუძლია ყველაფერი შეიცნოს, შეიგრძნოს ის ღვთაებრივი ნეტარება და სიყვარული, რითაც იწვიან უმაღლეს საფეხურზე მყოფი სერაფიმები უფლის პირისახის ჭვრეტისას.

მაგრამ, რადგან მინდიას ოჯახი აქვს და საერო ცხოვრებაში მისთვის აუცილებელი გახდება მოქმედება, მას ბუნების საიდუმლო ენა წაერთმევა – და ეს არის ის სასჯელი, სულიერი კაცისთვის, რომელიც წუთისოფლის წესს მისდევს.

მაგრამ შემოქმედ ადამიანთა „უმოქმედობის“ იქით, იმალება საოცარი შემოქმედებითუნარიანობა. ეს გარეგნული თვალი ხედავს

მას უმოქმედოდ. მე აქ მოვიყვან მწედ რ. შტაინერის თხზულებიდან ფრაგმენტს:

– „სულიერ სამყაროში არ არის სიმშვიდე. ერთ ადგილზე გაჩერება. როგორც ეს ხდება ფიზიკურ სამყაროში. – ამის მიხედვით არ უნდა დავასკვნათ, თითქოს სულიერ სამყაროში ბატონობს შეუწყვეტელი მოძრაობა. იქ, სადაც არიან პირველხატები, შემოქმედი არსებები. მართლაც არ არის „ერთ ადგილზე შეჩერება“, მაგრამ აქ არის სხვაგვარი სიმშვიდე, სულიერი ხასიათისა, რომელიც ერწყმის ქმედით მოძრაობას. იგი შეიძლება შევადაროთ სულის მშვიდ კმაყოფილებას და ნეტარებას, რომელიც იშვის მოქმედებაში და არა უმოქმედობაში“.

რ. შტაინერი. 104 გვ.

17. სტ. მალარმე – დიდი ფრანგი პოეტი. მიმდინარეობა სიმბოლიზმის სულისჩამდგმელი და თეორეტიკოსი. უდიდესი ზეგავლენა მოახდინა გენიალური მოაზროვნისა და პოეტის პოლ ვალერის შემოქმედებაზე.

18. შესავლის კომენტარი:

„ხელოვანი, ვიდრე თავისი ქმნილებითა და გენიით დაიფარება, ვიდრე არცერთი გრძნობა, არცერთი გაელვებული ფიქრი არ ქცეულა სტილის, ამ „მკვდარი“ და გაწონასწორებული გონების პირმშოდ“.

ჟ. სირაძე, „ჰამლეტის ნიღაბს ამოფარებული ხელოვანი“, გვ. 12.

ამ ფრანგულ წინააღმდეგობაში მოვდივარ საკუთარ ნააზრევთან, საკუთარ თავსვე ვეწინააღმდეგები რადგან, თუ ჩემი ტექსტი იზიარებს და იღებს, რომ ბიუფონის¹⁹ ფრაზა:

– **სტილი – ეს თვით ადამიანია.**

ნიშნავს, რომ სტილი ეს სულისმიერი ნაფეხურებით განსაზღვრული ნაკვდევია – ის, რითაც ადამიანის იგავშიუწვდომელი, უნიკალური ერთადერთობა იწვდომება. სტილი ის გასაღებია, რითაც ღმერთი სულისმიერ მდინარეში ჩაგდების უნარით აჯილდოვებს ადამიანს. ამ გასაღებით ნიშანი გვეძლევა, რომ ადამიანი თავისთავს აღემატება და ის უკვე უხილავი სამყაროს სუნთქვას მიღევნებული,

მეორე დაბადების მისტერიით დაჯილდოვებული, ღვთიური თვალთ დაპყრებს სამყაროს, საგნებს, ადამიანებს. ფაქტიურად, არანაირი მნიშვნელობა არა აქვს – რა შინაარსს, ან რა სიუჟეტს ირჩევს ის. „დისტანცია“, რითაც შესაძლოა ჩვენ შევიძლოთ საგანთა ჭვრეტა, ეს სტილის, ამ სულისმიერი მდინარის გასაღებშია მოქცეული.

მოდით გავიმეოროთ ეს ფრაზა:

„– არცერთი გრძნობა, არცერთი გაელვებული ფიქრი არ ქცეულა სტილის, ამ „მკვდარი“ და გაწონასწორებული გონების პირმშოდ“

მკითხველს შეიძლება მცდარი აზრი დაეხადოს, რომ ეს ფრაზა თანამედროვეთა დეფინიციათა ერთგვარი ილუსტრირებაა. კერძოდ, ორტეგა-ი-გასეტი ფრაზისა:

– „ცოცხალი ფორმებისაგან თავის დაღწევის ტენდენცია“.

ორტეგა-ი-გასეტი „ხელოვნების დეჰუმანიზაცია“, 25 გვ.

ანუ, რომ თითქოსდა ყოველი სტილი სხვა არაფერია, თუ არა უნებური კოპირება ბუნების რომელიმე ცოცხალი ფორმისა, ანუ თითქოსდა სტილის იქით იხაზება ცხოველის ბრმა ინსტინქტს მიღევნებულის კვალი, რომელიც ბრმად, მამასადამე, უგონოდ ქმნის ქმნილებებს, რითაც ის ისეთივე „ბუნაგს“ შეიქმნის, როგორსაც ბუნების განურჩევლად ყოველი ცოცხალი არსება.

მაგრამ, აქ საუბარია ჰამლეტზე, რომელიც არასოდეს იქცევა არც ხელოვნად, არც ღმერთად. და რაც მთავარია, ის არის არსება, რომელიც არასოდეს მოექცევა ერთი სისტემის ყალიბში.

მე უფრო ჰამლეტის ენიგმურობის დასადასტურებლად დამჭირდა ერთის შეხედვით, ამ არაზუსტი აზრის მოხმობა: მე შევეცდები, სულ სხვა თემაზე გადავიტანო ეს საუბარი და ამ გზით ამ არაზუსტი აზრის მნიშვნელობა ავხსნა. ამბობენ, რომ წმინდა მამები ტირიან, როცა მათ განსაცდელი არ შეემთხვევათ. სულიერ გზაზე მავალთათვის, ცნობილია, რომ სული როცა გარკვეულ სიმაღლეს აღწევს, – მისთვის თანამდევია პატივმოყვარეობა, რასაც გარდაუვალად მოჰყვება სულის გახეება და კვდომა.

ქრისტე მოციქულებად ირჩევს არა იმ კაცს, პატიოსნად, წესიერად და მეთოდურად რომ იცავს მარხვასა და წეს-რიტუალს. არამედ, ის ირჩევს ცხოვრების დინებაში, მის ორომტრიალში

მოქცეულ ადამიანებს, რომელსაც სულ ახალ-ახალი განსაცდელი გამოსცდის, სულს შეურხევს და არ ჩააძინებს.

იქნებ ქრისტეს თითქმის შეუძლებლად მიაჩნია, რომ ადამიანს ამ წუთისოფელში ძალუძს დიდ სიმაღლეზე შეინარჩუნოს თავისი სულის სიმდაბლე და წმინდა სიყვარული?

ეს ერთგვარი ირიბული ასოციაციაა რათა ჰამლეტის იგივით-უწვდომელ პიროვნებას ჩავწვდეთ.

19. შესავლის კომენტარი:

„ის ვინც ხელახლა მეორედ არ დაიბადა ცით“.

ჟ. სირაძე, „ჰამლეტის ნილაბს ამოფარებული ხელოვანი“. გვ. 13.

ეს ინტერპრეტაციაა ახალი აღთქმისა: „მიუგო იესომ და უთხრა მას: „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნები შენ: ვინც ხელახლა არ იშობა, ვერ იხილავს ღვთის სასუფეველს“. იოანეს სახარება 3.3.

რ. შტაინერი²⁰ ასე აღწერს, მეორედ შობილი ადამიანის, ანუ სულიერი ადამიანის გზის შესახებ: – „ყოველი ადამიანისათვის, ვისაც სურს უმაღლეს შემეცნებადღე ამაღლდეს ეს შესაძლებლობა ოდესმე სინამდვილედ იქცევა. ადამიანი იმ ზღვარს აღწევს, როდესაც სული მას სიცოცხლის ყველა გამოვლინებას განუცხადებს, ვითარცა სიკვდილს. იმიერიდან იგი ამა სოფლად აღარ იმყოფება, იგი ამა სოფლის დაღმართ ქვესკნელში იძირება. აიღში – ქვესკნელში მოგზაურობს. ღმერთი შეეწევა, თუკი ამ მოგზაურობისას არ დაიღუპება. თუკი მას ახალი სამყარო განეცხადება. იგი ან ამ ახალ სამყაროში დაინთქმება, ანდა საკუთარ თავს გარდასახული და ფერნაცვალი წარმოუდგება. უკანასკნელ შემთხვევაში მას ახალი მზე, ახალი დედამიწა მოველინება. სულიერი ცეცხლიდან მისთვის მთელი სამყარო აღორძინდება“. რ. შტაინერი „ქრისტიანობა, როგორც მისტიური ფაქტი და უძველესი მისტიერიები“, 21 გვ.

აი, რას წერს მეორედ შობის შესახებ ტერენტი გრანელი²¹: – „ქვეყნის გაჩენიდან ნელა მივდიოდი სინათლისაკენ, რომ მესილა მზე“.

ცხადია, აქ ტერენტი გრანელი საუბრობს მეორედ დაბადების შემდგომ შობილ სულიერ, მეორე მზეზე.

ამას გვიდასტურებს, უფრო ზუსტი იქნებოდა გვეთქვა გვიმ-ჟღავნებს მისივე ფრაზა:

– „**მიხარია, რომ ვარ ტერენტი გრანელი**“, ანუ მას უკვე თავისი სულიერად, მეორედ დაბადება უხარია იმ განუზომელი სიხარულით, რასაც ღვთაებრივთან თანაზიარობა იწვევს და თრთოლვით აგვაკვებს.

მერაბ მამარდაშვილი კი ასე წერდა:

– „ბუნება არ ქმნის ადამიანებს ნამდვილად. ჩვენ მხოლოდ მეორე დაბადებისას ვიბადებით. ეს დაბადება კი იმყოფება იმ ველში, რომელშიც შესაძლოა ადამიანი სიმბოლოს უერთდება და იმ შეერთების დამახულობისგან, ანუ თავის თავზე ძალისხმევის შედეგად ადამიანში ადამიანი იბადება. დანტემ ერთ ლამაზ გამოთქმაში თქვა, რომ **დაბადებულს, როგორც ასეთს სული არა აქვს**“.

მ. მამარდაშვილი, „ჩახშული ფიქრი“.

და იქვე:

– „იესო ქრისტე შეიძლება ათიათასჯერ დაბადებულიყო, მაგრამ თუ ის დღეს შენში არ დაიბადა, შენ დაიღუპები“.

მ. მამარდაშვილი, „დახშული ფიქრი“.

ამით მამარდაშვილი ისევ შეგვახსენებს, როგორც მაისტერ ეკჰარტი და სხვა მოაზროვნეები რომ იესო ქრისტეს განცდა მხოლოდ მეორედ დაბადების თანმყოლია.

თუმცა მაისტერ ეკჰარტის²² ეს სიტყვები გაასრულებს მეორედ დაბადების მისტიერიის შინაარსს:

– „Бог создает мир теперь точно так же, как он делает это в первый день сотворения мира, в этом-то, как раз, и заключается его богатство“.

„Это Мейстер Экхарт, от которого бог никогда ничего не скрывал“.

20. შესავლის კომენტარი:

ჩემთვის კი არ ჩანს, იგი არის, ანუ ჰამლეტი ამბობს:

– **საგნები კი არ ჩანან, ისინი მყოფობენ.**

ანუ, ისინი აბსოლუტურ ჭეშმარიტებას გვთავაზობენ მის სამ-

ყაროში. და არ არსებობს მანძილი მასსა და სხვა საგნებს შორის, რადგან ისინი მის სულში მყოფობენ. ამით ხელოვანში მოძრავი „წმინდანის“ გზას ვგუშანობთ, რომელიც მზის სხივით გადაკვეთავს უნივერსუმს“.

ჟ. სირაძე, „ჰამლეტის ნიღაბს ამოფარებული ხელოვანი“ გვ.13.

მე მოვიყვან პარალელის სახით ფრაგმენტს მარსელ პრუსტის, ესსე-იდან „წიგნის კითხვა“. ამ ფრაგმენტით ცხადი ხდება, რომ გონება კი არ მიუძღვება ხელოვანს, არამედ მას იგავშიუწვდომელი, ღვთაებრივი, მეორე, სულიერი მზე უნათებს გზას.

– „გონება არა მარტო უძღურია ამგვარი გაცოცხლებისას, არამედ უფრო მეტიც, წარსულის წუთები სწორედ იმ საგნებშია. შეყუყუელი, რომლებშიც გონებას სულაც არ უცდია მათი განსახიერება. საგნებში რომელთა მეშვეობით შეგნებულად გიცდიათ ურთიერთობის დამყარება თქვენს მიერ განცდილ წუთებთან, გონება თავშესაფარს ვერ ჰპოვებდა. მეტიც – თუ რამე შესძლებს ამ წუთების გაცოცხლებას, მაშინ ამ რამესთან ერთად გაცოცხლებულნი, ისინი პოეზიისგან დაცლილნი წარმოგვიდგებიან“

მარსელ პრუსტი: „წიგნის კითხვა“ მთარგმ. ს. ბენდიაშვილი და ნ. ქაჯაია. 7-8 გვ.

და აქვე მოვიყვან მეორე მაგალითს:

„ამ წარსულის გვერდით, რომელიც ჩვენივე შინაგანი არსია, გონების ჭეშმარიტებანი თითქოს ნაკლებ რეალურია. განა არ ვესწრაფით ყოველივე იმას, რასაც შეუძლია წარსულის აღდგენაში დაგვეხმაროს? განსაკუთრებით მაშინ, როცა ძალა გველევა. ნუ გაგვიგებენ ჭკვიანი ადამიანები, რომლებმაც არ იციან, რომ ხელოვანი მარტოსულია, რომ საგნების აბსოლუტურ ღირებულებათა საზომს მხოლოდ საკუთარ თავში ჰპოვებს“

მარსელ პრუსტი, „წიგნის კითხვა“. მთარგმნ. ს. ბენდიაშვილი და ნ. ქაჯაია. 12 გვ.

21. შესავლის კომენტარი:

„მისი ბაგეებით მღვიძარე ღმერთი მეტყველებს“

ჟ. სირაძე, „ჰამლეტის ნიღაბს ამოფარებული ხელოვანი“, გვ. 15.

ამით, იმის ხაზგასმა მინდოდა, რომ ეს მღვიძარე ღმერთი ყველა სულისმიერ ადამიანში მეტყველებს და ამის დასტურია, რომ მათი ტექსტები ხანდახან სრული იდენტობით გვეძლევა.

ამის საუკეთესო ნიმუშია ღვთაებრივი პლატონის ტექსტში ჟამიერობიდან გამომდინარე ახალი აღთქმის ფრაგმენტი – დედამიწის ისტორიულ დროში უფრო მოგვიანებით, რომ დაიწერება.

ამ პარალელზე ბაჩანა ბრეგვაძემ, უკვე მიგვანიშნა თავის შესანიშნავ კომენტარებში და მას მოჰყავს პლატონის „ფედონი“-დან ეს ფრაგმენტი:

„მისტერიათა გამრიგენი გვეუბნებიან:

მრავალნი არიან ჩინებულ, ხოლო მცირედნი რჩეულ“.

ბაჩანა ბრეგვაძე პარალელს ავლებს ახალი აღთქმის ტექსტთან.

ცხადია, ახალი აღთქმის მცოდნეთათვის არ არის ძნელი შესახსენებელი, რომ ეს სიტყვები იესო ქრისტეს ეკუთვნის:

„მრავალნი არიან ჩინებულ, ხოლო მცირედნი რჩეულ“. მათე 20:16;

პარალელის გავლება, კი მაინც ძალიან ძნელია.

ძნელია და შიშისმომგვრელი იმ ჟამიერობის ხილვაა, რომელშიც ვჭვრეტთ ფრაზებს, როგორც ერთდაიგივე მდინარების განმეორებად ფრაგმენტებს.

და როცა მონტენი²³ ციცერონის²⁴ ფრაზათა ანალოგიით წარსდგება ჩვენს წინაშე, პასკალთან კი მონტენის აზროვნების ნიმუშები გაგვანსნებდა, ის კი არ უნდა ვიფიქროთ, როგორც ამას ქრესტომათიის შემქმნელი ფიქრობენ, რომ ვითომცდა მონტენი ციცერონის ზეგავლენას განიცდის, ან პასკალი მონტენის. არა – იგავშიუწვდომელ მდინარეში ისინი ერთმანეთს ხვდებიან, ესაუბრებიან და ამ საუბრისას, ისინი ცხადია, ერთდაიგივე სამყაროს აღმწერნი ერთდაიგივე ფრაზითაც კი მოგვმართავენ.

ქრესტომათიულ გამოკვლევებში დაწერენ, რომ ბეთჰოვენი პირველ და მეორე სიმფონიაში განიცდის მოცარტის ზეგავლენას, მაგრამ ეს გარეგნული თვალის მიერ იწერება, სინამდვილეში კი ბეთჰოვენი²⁵, ის ვინც აგრძელებს ჟამიერობაში სვლას, ისევ ატარებს წარსულის მოტივებს და ცდილობს ახალი მუსიკა შექმნას, რათა ისევ და ისევ ხელახლა დაიბადოს.

22. შესავლის კომენტარი:

„და ის ამით უპირისპირდება ყალბ საზოგადოებას, მკვდარ და ჩაძინებულ ადამიანებს თავიანთი ხელოვნური თამაშით, მრავალი სახეებით და ნიღბებით, რომ ცდილობენ იმიტაცია გაუკეთონ სინამდვილეს“

ჟ. სირაძე, „ჰამლეტის ნიღბს ამოფარებული ხელოვანი“, გვ. 15.

ამით, ის ითქმის, რაზედაც ლაროშფუკო²⁶ ლაპიდარული ფრაზით, დახვეწილი მაქსიმით, – ზუსტ მონახაზს უკეთებს საზოგადოების არსს.

„საზოგადოება ეს ნიღბია“.

ლაროშფუკო „მაქსიმები“ თარგმანი ბაჩანა ბრეგვაძისა.

რაც, იმ ტრაგიკულ სინამდვილეზე მიგვანიშნებს, რომ ადამიანთა უმრავლესობა უბრალოდ არ არსებობს. ისინი მხოლოდ იმიტაციას უკეთებენ სინამდვილეს. ეს ნიღბია, ეს ყალბი მაერთია და ის მექანიზმია, რითაც სიყალბე, – სულიერობის ნიღბით, ანგარების ანგარიშით მოქმედებს. მისი მთავარი მამოძრავია ნებისმიერი ცთომაა, რომლის უკან დგას მისი წარმართველი – **სიკვდილის შიში**, მაშ ასე, სიკვდილის შიშია წამმართველი, ხოლო მისი ქვემდებარეა – **ვინება, შური, სიბრაზე...** ასე თამაშობენ სხეულის მონები სულიერებას. ისინი ნიღბის შექმნით ახერხებენ იყვნენ კეთილშობილნი, გულოვანნი, სამართლიანნი, ქველმოქმედნი, მაგრამ სინამდვილეში მათი მამოძრავი სიკვდილის შიშია, – ის დემონი, რაც ადამიანთა ჩაძინებულ მასებს ამოძრავებს და აიძულებს სამყაროში, რაღაც მოიმოქმედონ – და იმიტაციით აღასრულონ თავიანთი საქმე.

ყველაზე თავზარდამცემი კი ალბათ ის არის, რომ საზოგადოებაში ყველაზე ყალბი ადამიანი უფრო დაფასებულია და უფრო მეტიც მას ჭეშმარიტების განსახებად მიიჩნევენ. მაშინ, როცა ის **ადამიანი ვინც, მართლაც გამოხატავს ჭეშმარიტებას – უარყოფილია და იგნორირებული.**

– ლაროშფუკო ასე წერს:

– 166 „მაღალ საზოგადოებაში მოჩვენებით ღირსებას უფრო აფასებენ, ვიდრე ჭეშმარიტს“.

ლაროშფუკო „მაქსიმები“. გვ. 21.

ახალი ალტჰიმის ტექსტში, უამრავი დამოწმება ხდება იმის შესახებ, რომ წუთისოფელი ვერ იღებს ნამდვილ, სულიერ ადამიანს – და მას ბრძოლით, სიძულვილით ცილისწამებით ეპასუხება.

აი, რა წერია ახალი ალტჰიმის ტექსტში:

– „თუ თქვენ წუთისოფელს სძულხართ, იცოდეთ, რომ თქვენზე უწინ მე შემიძულა“. იოანე, 16. 18.

თქვენ რომ წუთისოფლისანი ყოფილიყავით, წუთისოფელს ეყვარებოდა თავისიანი. და რაკი არ ხართ წუთისოფლისანი, არამედ მე გამოგარჩიეთ წუთისოფლიდან, ამიტომ სძულხართ წუთისოფელს“. იოანე, 16. 19.

ჰამლეტი, შექსპირის დრამაში, – როგორც საზოგადოდ მაღალი სულიერობის ადამიანი, ყოველთვის დევნილია, ყოველთვის განდგომილია და მოუწყობელია ამ წუთისოფელში.

აი, ახალი ალტჰიმის ტექსტში, რა წერია ამის შესახებ:

– იესომ უთხრა მას: „მელიებს სოროები აქვთ და ცის ფრინველთ – ბუდეები. კაცის ძეს კი არა აქვს თავის მოსადრეკი“ ლუკა. 10. 58.

ეს ისეთ ადამიანზე ითქმის, ვინც სულიერ გზას მისდევს. ჰამლეტი უპირისპირდება ყალბ საზოგადოებას, როგორც თავის მხრივ, ყალბი საზოგადოება, – ვერასოდეს შეეგუება იმ ადამიანს, რომელმაც გაბედა იყოს ნამდვილი, ჭეშმარიტი, ანუ ჭეშმარიტების განმცხადებელი, რადგან ის არის მათი ნიღბის გაშმშვლებელი.

თუმცა თეოფილაქტე ბულგარელი²⁷ მათეს სახარების კომენტარებში იესოს ამ სიტყვებს ასეთ განმარტებას დაურთავს:

8.19. და მოუხდა მას ერთი მწიგნობარი და ჰრქუა: მოძღუარ, მიგდევდე შენ, ვიდრეცა ხჯდოდი

8.20. ჰრქუა მას იესო: მელთა კურელი უნს და მფრინველთა ცისათა საყოფელი. ხოლო ძესა კაცისასა არა აქვს, სადა თავი მოიდრიკოს.

19-20 „მწიგნობრებს“ სჯულის წიგნების მცოდნეთ უწოდებს. ამ მწიგნობარმა, როცა მრავალი სასწაული იხილა, იფიქრა, რომ იესო მათგან შემოსავალს იღებდა, ამიტომ შეეცადა გაჰყოლოდა რათა თავადაც შეეგროვებინა სიმდიდრე. მაგრამ იესო განზრახვას

მიუხედავად და თითქმის ეს უთხრა: „ჩემი გამოყოფით შენ ქონების შოვნას ფიქრობ, მაგრამ ნუთუ ვერა ხედავ, რომ მე სახლიც კი არა მაქვს? ასევე უნდა ცხოვრობდეს ისიც, ვინც მე გამოიმყვება“. უფალმა ეს მის დასარწმუნებლად თქვა, რათა განწყობილება შეცვლოდა და გაჰყოლოდა, მაგრამ მწიგნობარი მას გამოორდა, ზოგი „მელსა“ და „ფრინველებში“ დემონებს გულისხმობს. ე.ი. უფალი მწიგნობარს ეუბნება: რადგანაც შენთან დემონები მკვიდრობენ, ამიტომ შენს სულში მე ჩემს განსასვენებელ ადგილს ვერ ვხედავო“.

ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი „მათეს სახარების განმარტება“, 67 გვ.

არსებობს უამრავი კლასიკური შედეგრი, სადაც გმირი უპირისპირდება საზოგადოებას.

ლევ ტოლსტოის²⁸ „ანა კარენინა“ ამის საუკეთესო ნიმუშს გვთავაზობს. ჩაძინებული, ყალბი საზოგადოება მეთოდურად, და წესის დაცვით მრუშობს. მაშინ, როცა ანა კარენინას დიდი, წრფელი სიყვარული საზოგადოების განსჯისა და რისხვის საბაბი ხდება.

გამორჩევით, შეიძლება ვისაუბროთ „დათა თუთაშნიაზე“

„წესს გამონაკლისიც უნდა ჰქონდეს“

ჭ. ამირეჯიბი²⁹ „დათა თუთაშნია“

ამ ლაპიდარულ ფრაზით ის ითქმის, რომ დათა თუთაშნია ამოვარდნილია – **წუთისოფლის წესიდან, კანონზომიერებებიდან** – მამასადამე, – ამ ყალბი, უსულო ადამიანებისაგან განსხვავებულია. ნაწარმოებში, – ეს ყალბი საზოგადოება ვირთავებით სავსე კასრთან ასოცირდება, ეს კასრის მექანიზმი კი იმართება **სიკვდილის შიშით**, – რაც **ის სიმხდალეა**, – ყალბი სიმამაცის ნიღბით, რომ მოღვაწეობს ცხოვრებაში.

23. შესავლის კომენტარი:

„მეშინი არასოდეს აღელდება იმ საგნებით, რაც მის პირადულს არ შეეხება. მეშინის პირადული კი მხოლოდ ძალმომრედ არის დაკავშირებული სამყაროსთან“.

ჟ. სირამე, „ჰამლეტის ნიღბს ამოფარებული ხელოვანი“, გვ.16.

მეშინი ძალმომრედ არის დაკავშირებული სამყაროსთან. – სი-

ტყვა – სიტყვით ეს ნიშნავს, რომ მათ ყველას **სიკვდილის შიში** მიერეკება. სწორედ, სიკვდილის თავზარდამცემი შიში აკეთებინებს მეშინის ყველაფერს, – ახალი აღთქმის ერთ მას ორი სახელი აქვს, – **ფარისეველი და მწიგნობარი**.

მე მოვიყვან ლუკას სახარებიდან სამ ფრაგმენტს:

– „12. 43. ვაი, თქვენ ფარისეველო, რომ გიყვართ პირველ ადგილზე ჯდომა სინაგოგებში და მოსალმებანი მოედნებზე!“

12. 44. ვაი თქვენ, რადგან ხართ უჩინარი სამარხებივით, რომლებზეც ადამიანები დადიან და არ კი იციან!“

12. 46. ... „ვაი, თქვენ რჯულის მცოდნეო, რომ აჰკიდებთ ადამიანებს მძიმე ტვირთს, თვითონ კი იმ ტვირთს თითსაც კი არ აკარებთ“

„ლუკას სახარება“

მეშინი გარეგნულად ყოველთვის მოწესრიგებულია, – და მისი საქციელიც უზადოდ გამოიყურება, – მაგრამ სინამდვილეში, – მისი ტვირთი უწონადოა, – რადგან მისი ყოველი საქმე იმართება – სიკვდილის შიშისგან.

ჯერ კიდევ პლატონი „ფედონში“ წერდა:

– „... ფილოსოფოსთა გამოკლებით, ყველა სხვა კაცის სიმამაცე შიშისგან იღებს დასაბამს, თუმცა სისულელე კია, სიმამაცის სათავედ შიში და სიმხდალე მიაჩნდეს კაცს“

პლატონი „ფედონი“ 24 გვ.

და თუმცა პლატონი თითქოსდა ოდნავი გაოცებით წერს:

„თუმცა სისულელე კია – სიმამაცის სათავედ შიში და სიმხდალე მიაჩნდეს კაცს“

თუმცა კარგად იცის, რომ სწორედ **ეს სისულელე – სიკვდილის შიში იგივე მდაბალი, ცხოველური სიმხდალე**, მიერეკება ადამიანთა უმრავლესობას, თავისი საქმის აღსასრულებლად.

ამ უმრავლესობას ჰქვია თანამედროვე სამყაროში მეშინი. – მაგრამ მოდით, გავიხსენოთ, ღვთაებრივი ფილოსოფოსის პლატონის ფრაგმენტი უკვდავი „ფედონიდან“:

– „განა მათი თავდაჭერილობაც თავაშვებულობისგან არ წარმოსდგება? ჩვენ ვამბობთ, რომ ეს შეუძლებელია, მაგრამ სწორედ თავაშვებულობაში ძევს მათი ფუჭი თავდაჭერილობის სათავე,

მართლაც, ერთი სიამოვნებისგან მხოლოდ იმიტომ იკავებენ თავს, რომ შიშობენ არ დაჰკარნონ მეორე, რომელსაც ასე ეტრფიან და ემონებიან და თუმცა ვნებათაგან ძლეულს თავაშვებულს უწოდებენ ისინი, თვითონ მხოლოდ იმიტომ იურვებენ ერთ ვნებას, რათა სავსებით მინებდნენ მეორეს, რომელიც თავის ნებაზე ათამამებს მათ. ეს კი მხოლოდ იმას მოწმობს, რომ მათი თავდაჭერილობა თავაშვებულობისგან იღებს დასაბამს“.

პლატონი „ფედონი“ 25 გვ.

პლატონის აზრს იზიარებს ლაროშფუკო თავის მაქსიმებში, მისი ხელმძღვანელობით ზუსტად თვალს გავაღვევებთ ერთი სახეობის ვნების იქით დაფარული სხვა ვნების მოძრაობის კვალს და მის სახელსაც დავადგენთ.

აი, რას წერს ლაროშფუკო:

– „რასაც ჩვენ სიქველეს ვუწოდებთ, ხშირად სხვა არა არის რა, თუ არა სხვადასხვა საქციელისა და სხვადასხვა ანგარების ერთობლიობა, ბედისწერითა თუ ჩვენივე ცბიერებით ერთად შერწყმული და მოწესრიგებული. ამიტომ როცა ქალები უმანკონი არიან, ხოლო კაცები – მამაცნი, ყოველთვის როდი შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ მათთვის მართლაც ნიშნულია უმანკოება და სიმამაცე“.

ლაროშფუკო. „მაქსიმები“. გვ. 5 თარგმ. ბაჩანა ბრეგვაძე.

ან, სხვაგან ის წერს:

10 „ადამიანის გულში ვნებები გამუდმებით ცვლიან ერთმანეთს და ერთის ჩაფერფვლა თითქმის ყოველთვის მეორის აღგზნებას მოასწავებს“

ლაროშფუკო „მაქსიმები“ 6 გვ. თარგმ. ბაჩანა ბრეგვაძე.

11 ან, „ჩვენი ვნებები, ხშირ შემთხვევაში მათი საპირისპირო ვნებების წყაროდ გვევლინებიან: სიძუნწე ზოგჯერ მფლანგველობის სათავეა, ხოლო მფლანგველობა – სიძუნწის; კაცი ხშირად სიმხდალის გამოა მამაცი და სიმამაცის გამოა მხდალი“.

ლაროშფუკო „მაქსიმები“ 6 გვ.

მაგრამ თუ გვინდა მეშჩანის საპირისპირო გზა შემოვხაზოთ, შეგვიძლია ისევ პლატონის „ფედონიდან“ ვიხელმძღვანელოთ:

– „... ჭეშმარიტი ფილოსოფოსი სხეულისთვის კი არ იღწვის,

პირიქით, შეძლებისამებრ თავს არიდებს მას და სულისთვის იღწვის მხოლოდ“.

პლატონი „ფედონი“ 13 გვ.

ჩვენ შეგვიძლია ჭეშმარიტი ფილოსოფოსის ნაცვლად სულიერ გზაზე მავალი ადამიანი ჩავსვათ, რომელიც ყველაზე ნაკლებად ყურადღებას უნდა აქცევდეს თავის სხეულს.

მაგრამ რა სასაცილოდ ჟღერს ეს სიტყვები თანამედროვე სამყაროში, როცა ამ სიტყვებს მთელი სერიოზულობით წარმოვთქვამთ. და რა ამაზრზენია ის ხარხარი, რომელიც ჩაგვესმის, რადგან თანამედროვე სამყაროს უპირველესი და ძირითადი საზრისი სხეულია, ხოლო სული კი მხოლოდ მისი უსარგებლო დანამატი.

„პირადული“ – ეს ორაზროვანი გამონათქვამია, ეს დაცინვაა უდაბლესს საფეხურზე დაშვებული ადამიანის მისამართით იგი მოქმედებს, როგორც ცხოველი ბრმად და უნებოდ, თავის ინსტინქტს მიღვენებული.

24. გვ. 16. ლაროშფუკო (1613–1680) – ფრანგი მწერალი, მორალისტი, ფრანგული კლასიკური პროზის დიდოსტატი.

25. შესავლის კომენტარი:

„ის (იგულისხმება ცხადია ჰამლეტი) ისეთივე გიგანტური და ამოუცნობი ფიგურაა, როგორც ეგვიპტის ქურუმები, რომელთაც ხელდასმის შვიდი საფეხური ჰქონდათ განვლილი“.

ჟ. სირაძე „ჰამლეტის ნიღაბს ამოფარებული ხელოვანი“ 18 გვ.

ვინმეს შეიძლება შეუსაბამოდ და გაზვიადებულად მოეჩვენოს ჩემი შედარება ჰამლეტისა ეგვიპტის ქურუმებთან, რომელთაც ხელდასმის შვიდი საფეხური ჰქონდათ განვლილი, მით უფრო შექსპირის პიესიდან ცნობილია ჰამლეტის უსაზომო რყევები, მონოლოგები, სადაც ის „ყოფნა-არყოფნაზე“ მსჯელობს – და სადაც იელვებს შურისძიების გრძნობა, რაც ხელდასმულისთვის შეუძლებელი მდგომარეობაა. და ისიც, კარგად ვიცით, რომ ჰამლეტი ხელდასმის გზას სულაც არ ადგია.

მაგრამ რა აზრით მომყავს აქ ეს შედარება?

ალბათ, იმისათვის, რათა მკითხველს ვაჩვენო, თუ რა უჩვეულო და იგავმიუწვდომელი ფენომენია ჰამლეტი. და რომ ჰამლეტს ჰქონდა ის ცნობიერება, რომელიც ასეთ აღტაცებასთან ერთად, გაოცებას და მოწიწებას გვინერგავს. მაგრამ რათა უფრო მკვეთრად ვაჩინო ამ შედარების შესაძლებლობა, მე გავიხსენებ რ. შტაინერის საუბარს თავის მეორე მოწაფესთან, ქრისტიან თეოლოგთან რიტელ-მაიერთან. აი, რას იხსენებს ის:

„ერთხელ საუბრისას მან (შტაინერმა) მითხრა, რომ მისი მშობლები ღვთისმოსაობით არ გამოირჩეოდნენ და ადრე ბავშვობაში მისთვის არაფერი უთქვამთ ქრისტეს ცხოვრებაზე. ხოლო მერე, როდესაც თავად გაეცნო სახარებას, გაუკვირდა რომ იქ ისეთი რამ ამოიკითხა, რაც ადრე ბავშვობაში თვითონ განიცადა და მკაფიოდ შეიცნო“.

თვითონ შტაინერი წერს:

სულისმეცნიერების ენაზე ასეთი ცნობიერება – წმინდა სოფიის ბუნება, ქალწულებრივი სიბრძნის ცხოვრება ხელდასმის ინიციაციის მხოლოდ მეშვიდე საფეხურზე მიიღწევა. (ეს ის სულიერი სიმაღლეა, რომელიც დედამიწაზე მხოლოდ ბოდისატვას შეიძლება გააჩნდეს).

რ. შტაინერი „ვარდისა და ჯვრის საიდუმლოება“, 12 გვ

26. გვ. 18. **დ.პ. ლორენსი** – (1885–1930.) ბრიტანელი მწერალი, პოეტი, რომანისტი, ესსეისტი. ავტორი ფსიქოლოგიური ჟანრის წიგნისა „არაცნობიერის ფანტაზია“. თამარ კოტრიკაძის საინტერესო ესსეიდან მე მოვიყვან ერთ ამონარიდს: „ლორენსმა თავისებურად გაიაზრა XII საუკუნის ქრისტიანი მოაზროვნის იოაქიმ ფლორელის დოქტრინა ისტორიის სამ სულიერ ეპოქად დაყოფის შესახებ. „მამამ აღასრულა თავისი ჟამი, ძემ აღასრულა თავისი ჟამი, ახლა სულიწმინდის ჟამი სუფევს“ – განაცხადებს ლორენსი. ეს კი გულისხმობს კაცობიობრის ისტორიის დაყოფას იოაქიმისეულ ეპოქებად: ძველი აღთქმის ხანა მამა ღმერთის ხანა იყო, ახალი აღთქმისა – ძის ხანა, ხოლო მესამე, ახალი ხანა ანუ თანამედროვეობა „სულიწმინდის“ ჟამია. ანუ თანამედროვე ადამიანი საკუთარ ქმედებებზე პასუხს, პირველ რიგში საკუთარი თავის

წინაშე აგებს. ლორენსისეული „სულიწმინდა“ ის ორიენტირია, რომელიც გვანიჭებს შინაგან მთლიანობას“. თ. კოტრიკაძე

მორწმუნე ადამიანისთვის კაცობიობრის დროთა დინების ასეთი ხელოვნური დაყოფა ყოველად მიუღებელია. მამა, ძე და სულიწმინდა ერთი, დაუცილებელი მთლიანობაა. თუმცა თავად მკითხველისთვის მიმინდვია გასნაჯოს ლორენსის ნააზრევი.

27. შესავლის კომენტარი:

„ახალგაზრდა კაცი შეძრწუნებულია დედამისის სისხლის აღრევის გამო

სექსს აქ ახასიათებს ისეთი ველური და უჩვეულო შიში, როგორც მას აქამდე არასოდეს გააჩნდა. ფიზიკური ურთიერთობის უბრალო ხსენებაც კი, მას ზარავს, თითქოს ეს არნახული ნაკლია“. ლორენსი. გვ. 18.

როცა ტექსტში ლორენსის გამონათქვამს ვაკრიტიკებ, შეიძლება ვინმეს მოეჩვენოს, რომ მე ერთმნიშვნელოვნად ვუარვყოფ სექსის ბუნებას, რადგან ფარისევლურად ვაკრიტიკებ ლორენსს. მაგრამ ეს სიმართლეს არ შეესაბამება, მე ყოველთვის მახსენებდა ეს საკითხი, – მაგრამ ყველაზე მეტად საგონებელში მაშინ ვვარდები, როცა ღრმადმორწმუნე ნ. ბერდიაევის³⁰ ამ მოსაზრებებს ვკითხულობ:

„... Все почти трагедии в жизни связаны с полем и любовью. Всем известно, что с полем связана вся наша жизнь, что половое возбуждение носит характер экстатический и творческий“.

Н. Бердяев, Новое религиозное сознание и общественность. стр. 159.

საოცარია, რომ ამ ტექსტს უადრესად რელიგიური ნიკოლოზ ბერდიაევი წერს:

„Необходимо победить ложную стыдливость и лицемерное ханжество в вопросе о поле, иначе человечеству грозит гибель от подпольных тайн пола, от внутренней анархии и пола, прикрытой внешним над ним насилием“.

Н. Бердяев, Новое религиозное сознание и общественность. стр. 159.

და შემდეგ ის უკვე აკრიტიკებს კიდევ ქრისტიანობის დამოკიდებულებას სექსისადმი:

„Христианство не преобразило пола, не одухотворило половой плоти, наоборот, оно окончательно сделало пол хаотическим, отравило его. Демонизм пола есть как бы обратная сторона христианского проклятия пола. Могушественная половая любовь была загнана внутрь, так как ей отказали в благословении, превратилась в болезненное томление, не покидающее нас и до сих пор. Аскетическое христианское учение допускает половую любовь, лишь как слабость греховной человеческой природы. Так и осталась половая любовь слабостью, стыдом почти грязью. Трагическая христианская суеверия относительно пола живут еще, отравляют еще кровь нашу нестерпимыми дуализмом. Мы почти примирились с тем, что пол греховен, что радость половой любви нечистая радость что сладострастие – грязно, и мы спокойно продолжаем грешить, предаваться нечистым радостям и грязному сладострастию, так как намь-де, слабым людям все равно не достигнуть идеала...

... Слова Христа о поле и любви остались не понятны, не вмещены, и пол выпал из господствующего христианского сознания, сделался достоянием эзотерических учений.

!!! Господствующее религиозное сознание поставило проблему пола в зависимость от вульгарного дуализма духа и плоти, связало ее с греховностью плоти и это была не только моральная, но и метафизическая ошибка. Ведь плоть столь же метафизична и трансцендентна, как и дух, и плотская половая любовь имеет трансцендентно метафизические корни“.

Н. Бердяев, Новое религиозное сознание и общественность. стр. 160.

ზმირად როცა ვასახელებთ ავტორს, განუზომლად მეტს სათქმელს ვთავაზობთ მკითხველს. ნიკოლოზ ბერდიაევის შემთხვევაშიც ასეა:

„В истории мировой философии я знаю только два великих учения о поле и любви. Учение Платона и Вл. Соловьева³¹. „Пирь“

Платона и „Смысл „любви“ Вл. Соловьева“.

Н. Бердяев, Новое религиозное сознание и общественность. стр. 161.

ლორენსი მეტისმეტად თვითმყოფადი და საინტერესო ხელოვანი და მოაზროვნეა. მისი მოსაზრებები თავისი პარადოქსალურობით თავზარს გვცემენ და გვაფხიზლებენ.

მე გამოვარჩევი ამ გამოთქმას:

– „ინგლისის ჭეშმარიტი ტრაგედია, ჩემის აზრით მისი სიმახინჯეა. მშვენიერია მისი ბუნება, ადამიანის მიერ შექმნილი ინგლისი კი – საზარელი“.

„შეხვედრა დევიდ ლორენსთან“ ავტორი და მთარგმნ: თ. კოტრიკაძე. აფრა VI – 98 წ.

ან, მე არსად წამიკითხავს, უფრო განსაკვიფრებელი და ზუსტი მოსაზრება ქალის შესახებ, ვიდრე ლორენსის ეს მოსაზრება:

– „ქალს სისხლის ბნელი სიღრმით ვიცნობთ“ – ამბობს ლორენსი, – „ჩასწვდე მას გონებით იგივეა, რაც მოკლა ის“. და ლორენსის ხასიათი, რომ უფრო გამოვკვეთოთ, არ შეიძლება ეს ფრაზა არ მოვიყვანოთ:

– „რომ არასოდეს მივცემ უფლებას კაცობრიობას, რაიმე მომახვიოს თავს, არამედ ყოველთვის, ვეცდები ვადიარო ღმერთი და დავემორჩილო მას, როგორც ჩემში, ასევე სხვა ადამიანებში – ქალებშიც და კაცებშიც“.

„შეხვედრა დევიდ ლორენსთან“ ავტორი და მთარგმნ: თ. კოტრიკაძე. აფრა VI - 98 წ.

მაგრამ როცა ლორენსი ჰამლეტზე წერს, – მას სრული უაზრობა და აბდა-უბდა გამოსდის, რადგან, ის იმ სფეროს შეეხო, რაც მისთვის ასე უცხოა და მიუღებელი.

ერთგვარად კომიკურ იერს იძენს ლორენსის ნაწერი, როცა ჰამლეტის ენიგმურ პიროვნებას „ანატომიურ“ აღწერას უკეთებს. ეს „ანატომიურობა“ ცხადია პირობითია, – კერძოდ ლორენსის სიტყვებით აღწერილი სექსის ველურობა და უჩვეულო შიში მახასიათებელია მხოლოდ სულის დაბალ საფეხურზე. – მაგრამ ჰამლეტი ხომ მაღალ, მისტიურ საფეხურზე ასული პიროვნებაა, რომელიც ფაქტიურად გასულია მიწიერი სამყაროდან. თუმცა

შექსპირის ტექსტში ხშირად ეს ყოველთვის ასე ნათლად არა სჩანს, რადგან შექსპირმა ამ ტექსტში ჩალო ღრმა დუმილი და ამ იგავმიუწვდომელ ტექსტში ჰამლეტი წარმოგვიდგება, როგორც კაცობრიობის სრულყოფილი სული.

მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნე შექსპირის ტექსტი ხშირად ამას ეწინააღმდეგება, მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარია ის დუმილი, რომელსაც უნდა მოვუსმინოთ, ის, რაც ჰამლეტის პიროვნებას თან სდევს.

აქ შეიძლება მ. მეტერლინკის³² სიტყვები მოვიყვანოთ:

– „все что может быть высказано, само по себе не имеет значения“.

М. Метерлинк „Сокровище смиренных“, стр. 88.

და როცა მე ვამბობ, რომ ლორენსი მხოლოდ ანატომიურ აღწერას უკეთებს ჰამლეტის ენიგმურ პიროვნებას ამით ისიც ითქმის, რომ ჰამლეტის იგავმიუწვდომელ სიმაღლეს ის ოიდიპოსის კომპლექსში გამოამწყვდევს და შეუკერავს იმ ტანსაცმელს, რაც ჰამლეტის პიროვნებას არ მიესადაგება. დელასთან კავშირი და მამასთან კავშირი სექსუალურობის ეს ძირი და ფესვი, სრულიად განიძქვრება და გარდაისახება მასთან ღვთაებრივ ცეცხლად და წმინდა სიყვარულად.

თუმცა ჩვენს საუკუნეში, როცა სიტყვა ჭეშმარიტება საბუნებრივად შეიქმნა, როცა წმინდა სიყვარული სასაცილო და აბუჩად ასაგდები შეიქმნა, სულაც კანონზომიერია, რომ ჰამლეტისნაირი ადამიანები მიუღებელნი შეიქმნენ და უფრო მეტიც ისინი შეურაცხადად არიან აღიარებულნი.

აქ მე გავიხსენებ ზგ. ფროიდის³³ ერთ-ერთ აქსიომას, რომელიც შეუძლებელს ხდის ადამიანისთვის იმ მაღალი მისიის აღსრულები-სთვის გზის განვლას. აი, ისიც:

– „Но кто знаком с душевной жизнью человека, тот знает, что нет для него ничего тяжелее, чем отказ от прежде испытанного наслаждение“.

ფროიდის გზის ერთგული ლორენსი ამიტომაც ასე საშინლად ამახინჯებს ღვთაებრივი ჰამლეტის ენიგმურობას და მას, ველურობისა და შიშით აბორგებულ სექსის სტიქიად წარმოგვიდგენს.

და მე დავასრულებ ამ კომენტარს რ. შტაინერის ამ ფრაზით: „სექსუალურობა, ის უცხო რამაა, რომელიც აბსოლუტურად განსხვავდება წმინდა სიყვარულისგან, მეცნიერებამ (აქ ცხადია უპირველეს ყოვლისა ზ. ფროიდის თეორია – იგულისხმება ა.ს.) უკიდურეს სისამაგლეძვე დაიყვანა იგი – მან ისეთი ლიტერატურა შემოიტანა, რაც ერთმანეთთან იმ ორ ძალას აერთებს, რომლებსაც არაფერი არ აკავშირებთ“.

რ. შტაინერი „ვარდისა და ჯვრის საიდუმლოება“, 278 გვ.

28. გვ. 19. ზიგმუნდ ფროიდი – (1856–1939) ავსტრიელი ნევროპათოლოგი, ფსიქიატრი, ფსიქოლოგი, ფსიქოანალიზის ფუძემდებელი.

თუ რამდენად დიდი ზეგავლენა მოახდინა ფსიქოანალიზმა ლიტერატურაზე, ამაზე მეტყველებს ნ. ყიასაშვილის სიტყვები: „...ფროიდის თეორია ადამიანის არაცნობიერი სამყაროს შესახებ ოციან წლებში დიდად გასცდა ფსიქოლოგიის და ფსიქოპათოლოგიის ფარგლებს და იმდროინდელი მწერლებისთვის და არა მხოლოდ მწერლებისთვის ხშირად უდავო ჭეშმარიტებად იყო აღიარებული ამ მოძღვრების ძირითადი დებულებანი“.

ნ. ყიასაშვილი (წინასიტყვაობა წიგნისა ჯ. ჯოისი „ულისე“).

29. შესავლის კომენტარი:

„თუმცა თანამედროვე ადამიანი ტანჯვისადმი ერთგულებას ირჩევს.“

ჟ. სირაძე „ჰამლეტის ნიღაბს ამოფარებული ხელოვანი“, გვ. 27.

ვიდრე ამ ფრაზის კომენტარებას დავიწყებ, მინდა მოვიყვანო დიდი კრძალვითა და კეთილი განზრახვით შემოკლებული ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელის მიერ „მათეს სახარების“ ტექსტის განმარტებანი:

იესომ მოწაფეებს უთხრა: „მე ყოველგვარი ძალაუფლება მომეცა ზეცაშიც და დედამიწაზეც“ ეს კი შემდეგს ნიშნავს: როგორც ღმერთსა და შემოქმედს, მე მუდამ მქონდა ძალაუფლება ყოველივეზე, – რამეთუ „ყოველივე შენ გამსახურებს“ მიმართავს დავითი ღმერთს (ფს. 118; 91); – მაგრამ ნებაყოფლობითი მორჩილება მე

არ მქონია, ახლა კი მე ვფიქრობ ისიც მექნება, რამეთუ ახლა მე ყველაფერი დამემორჩილება, როცა ჩემი ჯვარით მე დავამარცხე სიკვდილის სამეფო. მორჩილება ორგვარი არის: ერთი უნებური, რომლის მიხედვითაც ყველა ჩვენგანი ღმერთის მონები ვართ უნებურად, როგორც ღმერთები. მაგრამ არსებობს აგრეთვე თავისუფალი მორჩილება, რომლის მიხედვითაც, მაგალითად, პავლე იყო მონა ქრისტესი. უწინ, როცა ყოველი მათგანი უნებურად ემორჩილებოდა, მაცხოვარს როგორღაც ნახევარი ძალაუფლება ჰქონდა, მაგრამ ჯვარცმის შემდეგ, როცა ღვთისშემეცნება ყველასთვის მისაწვდომი გახდა და როცა ყველა დაემორჩილა ნებაყოფლობით. ქრისტე ამბობს, რომ „ახლა მე მივიღე ყოველგვარი ძალაუფლება“. „უწინ მე მხოლოდ ნაწილობრივი ძალაუფლება მქონდა, რამეთუ მე მემსახურებოდნენ უნებურად, რადგან მე შემოქმედი ვიყავ, ახლა კი, როცა მე ადამიანები უკვე გონებით მემსახურებიან, მე უკვე ყოველგვარი და სრული უფლება მაქვს“.

და თეოფილაქტე ბულგარელი კითხვით ხაზს გაუსვამს ჯვარცმის განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და საზრისს: „ვისგან მიეცა მას ეს უფლება? მიეცა საკუთარი თავისაგან და თავისი სიმდაბლისაგან, რამეთუ არ დამდაბლდებოდა და ჯვარით არ შეებებოდა მოწინააღმდეგეთ, მაშინ ვეღარ დაგვისხნიდა ჩვენ.“ ნეტარი თეოფილაქტე ბულგარული „მათეს სახარების განმარტება“.

მაგრამ თანამედროვე ადამიანმა (ცხადია, აქ მხოლოოდენ ლიტერატორთა ტენდენციებზეა საუბარი) სხვა გზა აირჩია. ეს ერთგულებაა ტანჯვისა, რაც ნიშნავს, რომ ქრისტეს მოწამებრივ სიკვდილს, ჯვარცმას საზრისი წაართვა.

უ. ფოლკნერი³⁴ ასე წერს:

– „ქრისტე ჯვარს კი არ აცვეს. საათის პაწაწინა ისრების წიკ-წიკმა მოუღო ბოლო, იმიტომ, რომ დაი არ ჰყავდა მას“.

უ. ფოლკნერი, „ხმაური და მძვინვარება“.

უ. ფოლკნერის აზრით, ისე გამოდის, რომ თითქოსდა ქრისტემ ვერ იგრძნო სიკვდილის მსახვრალი ხელი, ანუ დროის უაზრო დინებას, საათის წიკ-წიკმა მოუღო ბოლო. უ. ფოლკნერი ქრისტეს ჯვარცმის ინტერპრეტაციას ახალი აღთქმის ტექსტის უგულებელყოფით ახდენს. რითაც თავისდაუნებურად ქრისტეს მატერიალური

სამყაროს მონობაში ადანაშაულებს, რაც ქრისტეს ჭეშმარიტ გზას ეწინააღმდეგება. და თუმცა ახალი აღთქმის ტექსტშიც ხდება ქრისტეს ასე დადანაშაულება. მაგრამ ეს ხდება ფარისეველთა და მწიგნობართა მიერ.

ქრისტეს როცა მიმართავენ:

– შენ ხარ იუდეველთა მეფე.

ქრისტეს პასუხი ლაკონურია:

– შენ ამბობს ამას!

და ფოლკნერი ცილისმწამებელთა მხარეს დგება, – მაშინ როცა ქრისტემ კაცობრიობისადმი განუზომელი სიყვარულის გამო, თავი დაიმდაბლა და მორჩილებით შეიმოსა კაცებრივი ბუნებით, რათა სრულად ეწვინა და მიეღო ადამიანის ხორციელი ვნების სიმწარე.

ამიტომაც ამ ამოყირავებული სამყაროს მოდელში დრო გახდა ხელოვანის სასჯელი, რაც ნიშნავს, რომ მას სიკვდილი დაეუფლა.

უ. ფოლკნერი წერს:

– „არ არსებობს „იყო“ – არსებობს მხოლოდ „არის“. „იყო“, რომ არსებულებიყო, წუხილი, დარდი არ იქნებოდა“.

უ. ფოლკნერი „საუბრები უ. ფოლკნერთან“ თარგმანი როსტომ და პაატა ჩხეიძეებისა

ამ ამოყირავებულ სამყაროში საგნები უფსკრულზეა ჩამოკიდებული და ადამიანი უსაზომო და დაუძლეველი, მწარე „აწმყოს“ ტანჯვით არის მუდმივ ძლეული.

აღმოსავლური შრიდან ტანჯვა აღიქმება, როგორც დიადი ილუზია, მასე, რომლის მიზეზით ადამიანი ბრმაა და ამიტომაც მას უხილავი, მიღმური სამყაროსკენ სავალი გზა ჩაკეტილი აქვს, ვიდრე არ განთავისუფლდება მისგან.

მართლმადიდებლური რელიგია კი ჭეშმარიტებისკენ სავალ გზას უპირველესად ვნებათაგან განთავისუფლებაში ხედავს, თუმცა ტანჯვა უპირობოდ არ აღიქმება, როგორც ვნების თანამდევია რამ. პირიქით, ტანჯვა ჩვენ გვაწრთობს, ის საშუალებაა, და არა მიზანი, რაც ნიშნავს, რომ მატერიალური სამყაროსგან განგვაშორებს და აგვაძალღებს.

მაგრამ უ. ფოლკნერთან, როგორც საზოგადოდ თანამედროვე მწერლებთან ტანჯვა მიღებულია, როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნე ამოყირავებული სამყაროს, ყოფიერების ჩარჩოში ჩაკეტილ სივრცეში მოქცეული ადამიანის საზარელი სასჯელი. ამაზე თვალს აგვიხელს ოქტავიო პასის მიერ თანამედროვე კუბიზმის მამამთავრის ბრაკის³⁵ ასეთი დახასიათება.

„ბრაკი არ ეძებს საგნის არსს: საგანი მასთან დროის გამჭვირვალე ნაკადში ერთვება“.

ოქტავიო პასი³⁶ „არილი“ N 7 (152 გვ.)

ის, ფაქტიურად, მთელი თანამედროვე სამყაროს სურათს შემოხაზავს. ამ სამყაროში, ხომ საგნის არსის ძიება არ ხდება, რადგან ეს შეუძლებელია. ყველაფერი ხომ სწორედ დროის ამ გამჭვირვალე ნაკადში, წამი-წამობით მიდენაში იფანტება და ქრება.

ამ სამყაროში ღმერთი არსებობს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს შეიძლება ინდივიდის ნდომის სურვილი შეიქმნეს, რაც ეწინააღმდეგება წმ. მამათა მიერ გამოთქმულ აზრებს ღმერთის ბუნების შესახებ. რაც ფსევდო დიონისე არეოპაგელის მიერ ასე აღიწერება:

– „ყოვლისაგან სრულიად განყენებული და ყოვლისმიღმური“

ს. კირკეგორი³⁷ კი ცდილობს ამის საპირისპირო მოსაზრება დაადასტუროს:

– „სიკეთე, კირკეგორის აზრით გამოვლინდება (გამომჟღავნდება) იმით, რომ მე მინდა იგი. სხვაგვარად, მას არსებობაც არ შეუძლია. მაშასადამე, სიკეთე განპირობებულია თავისუფლებით. სწორედ ასევე ბოროტება არსებობს (არის) მხოლოდ იმიტომ, რომ მე მინდა იგი“ პოპიაშვილი, „ინდივიდის პრობლემა ს. კირკეგორისა და ფრ. ნიცშეს“³⁸ ფილოსოფიაში. 58 გვ.

რადგან ს. კირკეგორმა თანამედროვე ფილოსოფოსთა (ამოყირავებული სამყაროს წარმომადგენელთა მსგავსად) შემოიჭანა ახალი საწყისი. აი, რას წერს პოპიაშვილი უკვე აღნიშნულ ნაშრომში.

– „... კირკეგორს ფილოსოფიაში შემოაქვს ახალი საწყისი, ახალი აბსოლუტი-ინდივიდი, აქტიურ სამოღვაწეო ასპარეზზე გამო-

ჰყავს აქამდე მართლაცდა ყველასგან მივიწყებული, ჩრდილში მდგარი არსება – ინდივიდი. კირკეგორთან სწორედ თვითარჩევანის შედეგად თავისთავს დაუფლებული ინდივიდი, პიროვნება იღებს უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს ყველაფრის მიმართ. – სიკეთე და ბოროტება, კარგი და ავი, ღმერთი და ეშმაკი და ა.შ. და ა.შ. ს. კირკეგორთან ინდივიდია ღირებულებათა მაფუძნებელი“.

პოპიაშვილი „ინდივიდის პრობლემა ს. კირკეგორისა და ფრ. ნიცშეს ფილოსოფიაში“. გვ. 303.

როგორც უკვე აღვნიშნე, ს. კირკეგორის მოყვანილი ციტატები ეწინააღმდეგება წმიდა მამათა გამოთქმულ აზრებს ღმერთის ბუნების შესახებ.

„ადამიანის დანიშნულებაა, რაკილა ამქვეყნად გაჩნდა, ღმერთის პოვნაა, **თუმცა მას არ შეუძლია მისი პოვნა მანამ, სანამ თავად ღმერთი არ იპოვის მას.** „მისით ვცოცხლობთ და ვმოდრაობთ“ მაგრამ ჩვენმა ვნებებმა დაგვიბრმავა სულიერი თვალი და ჩვენ ვერ ვხედავთ მას. მაგრამ როცა სახიერი ღმერთი თავის მხერას მოგვაპყრობს, მაშინ, ვითარცა ძილისაგან გამოღვიძებული, ვიწყებთ ჩვენი ცხონების ძიებას“.

იოსებ ათონელი³⁹

„ადამიანს თავისით არაფრით არ ძალუძს ჭეშმარიტად კეთილი შეიქნას, როგორადაც არ უნდა სურდეს ეს, თუკი მასში ღმერთი არ შესახლდება, რადგან არავინაა კეთილი და სახიერი, თვინიერ ღმერთისა მხოლოისა“.

წმიდა ანტონი დიდი⁴⁰

„... **გადარჩენა ასე იწყება. ადამიანმა უნდა დაუტევოს თავისი ნება და გულისხმაყოფა და შეიქმნება ღმერთის ნების და ზრახვის აღმსრულებელი.** ღმერთის ნებას ვერ შევიცნობთ გულისხმისყოფის გარეშე და ეს უნდა ხდებოდეს არა საკუთარი არამედ იმათი განსჯის საფუძველზე, ვისაც საამისო ცოდნაც აქვს და გამოცდილებაც. სხვაგვარად ხსნა შეუძლებელია. ისიც კი, რაც ჩვენ სიკეთედ მიგვაჩნია ყოველთვის არ არის სიკეთე იმის გამო, რომ უდროოდ აღესრულებინა ან კიდევ იმიტომ, რომ არ გვჭირდება“.

წმიდა პეტრე დამასკელი

ლიახ, ღიადი ილუზია და წინააღმდეგობა სახეზეა. სინამვილეში კი ინდივიდი, რომელიც ღვთაებრივის ნების მსახურებაში არ ცდილობს თავისი სულიერი საუნჯე ჩასდოს, – კარგავს ამ სულს. ეს პირდაპირ ასე იწერება ახალ აღთქმაში:

– 24. ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ. თუ მიწაში ჩავარდნილი ხორბლის მარცვალი არ მოკვდა, მარტო დარჩება და თუ მოკვდა, ბევრ ნაყოფს გამოისხამს“. **იოანე 12.24.**

„ვინც თავის სულს პოულობს, დაკარგავს მას, ხოლო ვინც თავის სულს ჩემთვის კარგავს, ჰპოვებს მას“. **მათე 10.39.**

ვივეკანანდას⁴¹ სიტყვები კიდევ ერთხელ გვიდასტურებენ იმ ჭეშმარიტებას, რომ ყველა რელიგია უპირობოდ მოითხოვს იმ „მე“-ს „მოკვდინებას“ პავლე მოციქულის სიტყვებით „გარეგანი ადამიანის“, ანუ როგორც თანამედროვე ტერმინით ითქმის, „ეგოს“ დაძლევა:

– „ვისაც ინდივიდუალური „მე“ გაუცნობიერებლად, შეუცნობლად უყვარს, ასეთი სიყვარული ეგოიზმია. ვისაც უყვარს საკუთარი ინდივიდუალური „მე“-ს წვდომა, ასეთი სიყვარული შეუზღუდავი და შეუბოჭავია, ასეთი პიროვნება წმინდანია“. „ს. ვივეკანანდას „**ლექციები**“ მთარგმ. ნ. კენჭოშვილი III გვ.

30. შესავლის კომენტარი:

„ჩვენ ყოველ წამს ტელევიზორით, წარმოსახვითი მსოფლიოს სარკეში მატერიალური სამყაროს მუჯღუგუნს შევიგრძნობთ“.

ჟაკლინ სირაძე, „ჰამლეტის ნიღაბს ამოფარებული ხელოვანი“, გვ. 21.

ტელევიზორის მეშვეობით, იმ გიგანტური „მექანიზმის“ სახეს ჩავყურებთ, რომლის ასახვა არაერთმა ფილოსოფოსმა თუ ხელოვანმა სცადა. სიმბოლურად მას ჩვენ კაცობრიობას ვუწოდებთ. ამ წარმოსახვით სარკეში მოსჩანს გიგანტური სხეულის ტვინი, აზრები, ცთომანი, ნება – და ჩვენ თვალყურს ვადევნებთ, თუ როგორ უკავშირდება მატერიალური სამყარო სულიერ სამყაროს და ისიც იკვთება, რომ წამმართველი ამჟამად, თანამედროვე სამყაროს მოდელში ეს პირველია.

რეკლამა – ზუსტად გამოსახავს პირდაპირ კავშირს მატერიალურ და სულიერ სამყაროებს შორის – თანამედროვე მონტენი, ციცერონი, ლაროშფუკო თუ პასკალი დღეს მაქსიმებისა და აზრების ნაცვლად სარეკლამო რგოლებზე მუშაობს.

თუ როგორ მძლავრია რეკლამა თანამედროვე სამყაროში, ამაზე მიუთითებს რეკლამის უხეში, მატერიალური მუჯღუგუნის რომლის „წყალობით“ იმ დროს როცა იგავმიუწვდომელი შედეგრი, რომელსაც გადავყავართ მიღბურ სამყაროში, შეიძლება ხელოვნურად და მყისიერად შეწყდეს და უმაღლ, მატერიალური სამყაროს ტლანქ, უხეშ სამყაროში, დაგვაბრუნოს რომელშიც ანგარების მდინარება მიაღინებს სამყაროს ნებისმიერ საგანს.

31. გვ. 21. ფრიდრიჰ ნიცშე – (1844–1900) – ღიდი გერმანელი ფილოსოფოსი.

32. შესავლის კომენტარი:

„სამად სამი ანეგლოტი იკმარება ადამიანის დასახასიათებლად“

ფრ. ნიცშე, „ფილოსოფოსების შესახებ“.

ამ ფრაზის ახსნისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ ადამიანი რომელზედაც აქ არის საუბარი – ფრიდრიხ ნიცშეს ფილოსოფიაში ამოყირავებულ სამყაროს მოდელს განეკუთვნება.

ამის დასამოწმებლად ალბათ უმჯობესი იქნებოდა, ისევ ნიცშეს ცნობილი კითხვები მოვიყვანოთ, რომელიც მან თავის ცნობილ. როგორც მან უწოდა მომავალი ფილოსოფიის პრელუდიას – კერძოდ, „ბოროტებისა და სიკეთის მიღმი“-ს წინასიტყვაობაში დასვა:

პირველი და უმთავრესი, იქნებ თავზარდამცემი კითხვა უნდა გავაჟღეროთ:

„Что собственно в нас хочет истины“-?

ამ კითხვის დაკონკრეტებასა და გაღრმავებას ფრ. ნიცშე მეორე კითხვით შეეცდება:

– „Положим мы хотим истины, – отчего же лучше не лжи?“

Фр. Ницше „По ту сторону добра и зла“

ამ კითხვებში უკვე დევს მონახაზი ამოყირავებული სამყაროს იმ მოდელისა, — ა. კამიუ „სიზიფეს მითში“ რომ აღწერდა:

— „აბსურდი, რომელიც აქამდე დასკვნად იყო მიჩნეული, ამ ესსეში ათვლის წერტილად გვევლინება“. ა. კამიუ, „სიზიფეს მითი“, 3 გვ.

როგორ არის შესაძლებელი ათვლის წერტილად აბსურდის მიჩნევა? მაგრამ, ეს ხომ ის სამყაროა, იდეათა სამყაროს იმიტირებით რომ ასერხებს მისგან უსასრულოდ დაშორებას.

მე ბერტრან რასელის⁴² ერთი მკვახე განაცხადი უფრო მეტს მეუბნება ფრ. ნიცშეს შესახებ, ვიდრე სხვათა ნაშრომები:

— „Мне неприятен Ницше потому, что ему нравится созерцать страдание“.

Б. Рассел „История западной философии“.

მივაქციოთ ყურადღება: **ტანჯვის განჭვრეტა, ტანჯვის მზერა.**

რა უცნაურ თვისებაზე საუბრობს ნიცშე, და რა არასწორად მიემართება ერთიმეორესთან ორი დაუკავშირებელი რამ. **რადგან სადაც ტანჯვაა, იქ ჭვრეტა შეუძლებელია, ხოლო იქ, სადაც ჭვრეტენ — ტანჯვა უკვე დაძლეულია.**

და მე ისევ პატარა კუნძულს შევიქმნი, და ეს ბერტრან რასელის ინტერპრეტაცია იქნება ნიცშეს შესახებ:

„Он ставит силу воли выше всего“.

Б. Рассел „История западной философии“.

თუ საუკუნეების განმავლობაში ფილოსოფიური სკოლები თუ თეოლოგები მხოლოდ იმისთვის იღწვოდნენ, რათა ადამიანს საკუთარი თავი შეეცნო, — რაც უპირველეს ყოვლისა საკუთარ ნებაზე უარის თქმას ნიშნავდა, რათა ღვთაებრივი ნების, სინათლის, და სიყვარულისა თუ სიბრძნისათვის ადგილი გამოეთავისუფლათ. ნიცშე მოულოდნელად ზურგს აქცევს კაცობრიობის მემკვიდრეობას და მას სანაგვე ყუთში მოისვრის. მისთვის ხომ წარმმართველი — ნების ძალაუფლება შეიქმნა. ასე იქცა ადამიანის ძირითად თვისებებად არა, თავისუფალი ნება და გონება, რაც მის ღვთაებრიობას შეგვახსენებდა, არამედ სამი ანეგლოტი, — ანეგლოტი რომელიც შემოხაზავს ადამიანის პაროდოულ სახეს. — და ჩვენ შეცბუნებულნი და თავზარდაცემულნი აღმოვაჩენთ, რომ იდეათა სამყაროსგან უსას-

რულოდ დაცილებულნი აჩრდილთა უსასრულო ასლის ხელოვნურ სამყაროში მოვექცეთ.

ამიტომაც იწერება ა. კამიუს მიერ ასეთი ტექსტი:

— „ თვით ეს გულიც საგულეში რომ მიბტერს, სამუდამოდ შეუცნობელი დარჩება ჩემთვის“. ა. კამიუ, „სიზიფეს მითი“, მთარგმნ. ნ. იორდანიშვილი გვ. 27.

ადამიანის შემზარავი გახვევებისა და მისი აჩრდილად ყოფნის საზარლობასა და ამ უსასრულო ასლების სამყაროს ნაწილად ქცევის ანაბეჭდია საშინელი სიტყვები:

„მე მუდამ უცნობი დავარჩები ჩემივ თავისათვის“ ა. კამიუ „სიზიფეს მითი“, მთარგმნ. ნ. იორდანიშვილი, 27 გვ.

— ამ ამოყირავებული სამყაროს მოდელის „არსზე“, ა. კამიუ ასე წერს:

— **„არიან ჭეშმარიტებანი, მაგრამ არა — ჭეშმარიტება“.**

ა. კამიუ, „სიზიფეს მითი“, მთარგმნ. ნ. იორდანიშვილი, 28 გვ.

33. ალბერ კამიუ — (1913-1960). ფრანგი მწერალი და ფილოსოფოსი, ეგზისტენციალიზმის ერთ-ერთი წამყვანი ფუძემდებელი. ნობელის პრემიის ლაურენატი ლიტერატურის დარგში. 1957 წ.

34. შესავლის კომენტარი:

„ჩვენ დაახლოებით წარმოვადგენთ რამეს“

ა. კამიუ „დაცემა“

ჟ. სირაძე. „ჰამლეტის ნიღაბს ამოფარებული ხელოვანი“ გვ. 22

რთულია სწორხაზოვნად და ერთმნიშვნელოვნად ისაუბრო XX საუკუნის ხელოვნებაზე და მაინც, ღრმადმორწმუნე ნიკოლოზ ბერდიაევი ხაზგასმულად და მკაცრად წერს, ისე რომ მის ნაწერს ოღნავი იჭვიც კი არ ატყვია, რომ XX საუკუნის ხელოვანთა და ფილოსოფოსთა წარმომადგენლებმა ჭეშმარიტის ძიებაზე ხელი აიღეს. ბერდიაევის აზრით მათ საერთოდაც გაუქრათ ის დიადი განცდა და მოთხოვნა ჭეშმარიტების ძიებისთვის, რომ არის საჭირო. ეს უპირველესად ჭეშმარიტებისადმი სიყვარულია. მაგრამ როცა თომას მანის ჩანაწერებს ფრ ნიცშეზე და თ. დოსტოევისკის შეს-

ახებ კითხულობ შიში ვიპყრობს და თითქოს გრცხვენია კიდევ გაბეღო ნ. ბერდიავის ასეთი სწორხაზოვანი და ერთმნიშვნელოვანი შეფასება გაიზიარო, თითქოს გეუხერხულება კიდევ აღიარო, რომ თანამედროვე ქმნილებებში შემეცნების პარადოქსალურ გზასთან ერთად თვალხილული ბოროტების ხორცშესხმულ ფორმებსაც ჰპოვებ, და უფრო მეტიც, ვერც ყოველდღიურობის საგნებს აკრულ თვალხილული ჯოჯოხეთის ანარეკლს აფასებ დოგმატურად და მკაცრად.

რადგან ფრ. ნიცშესა და თ. დოსტოევსკის სამყაროთა ქვეშ (მათ ვინც, თანამედროვე ხელოვნების უაღრესად საინტერესო, პარადოქსალური და საშიში გზები შემოხაზეს) ერთი და იგივე მდინარე მოედინება, და ამ მდინარეს განუზომელი ცოდვისა და დამნაშავეობის განცდა ამოძრავებს. ამ მდინარის მამოძრავებელ შეიძლება მივიჩნიოთ ფრაზა: „Я не только злым, но даже и ничем не сумел сделаться: ны злым, не добрым, не подлецом, не честным, не героем, не насекомым“.

Ф. Достоевский, „записки из подполья“ стр. 100.

ამიტომაც იწერება ა. კამიუს მიერ ბრბოს კაცის (მერსოს) აღსარებაში ასეთი უცნაური ფრაზა:

„**Никто, никто** не имел право ее оплакивать“

А. Камю, „Чужой“, 96 стр.

ერთი შეხედვით, მერსო თავის განცდას ისე უსაზომოდ გაზრდის და თავისი დედის დატირების შესაძლებლობას ისე წარმოისახავს, რომ თითქოსდა ამით იგი ადამიანურ მიჯნას გადააბიჯებს.

ის ამბობს: **არავის, არავის**, ანუ, დედამისის დატირების პატივი თითქოსდა არავის არ შეუძლია ებოდოს, ანუ, არავის აქვს ამის უფლება. მაგრამ სინამდვილეში ამ „**არავინ**“-ში იკვეთება **ის უცხო**, რომელიც მასში საკუთარი დედის დატირებას ვერ შესძლებს. – **ამ უცხო-ს, ამ არავინ-ის საწინააღმდეგოდ იკვეთება ვინმე, მოთხრობაში – მას არაბის სახით ვეცნობით**. ამის დადასტურებაა, რომ როცა მოთხრობა „უცხო“-ში მერსო კლავს არაბს, ამავე დროს ის კლავს დიდი სინამდვილის მოგონებას, ანუ რაც მას უნდა განეცადა დედის ცხედრის გვერდით. მოდით, ხელახლა გავიხსენოთ მოთხრობაში აღწერილი ამბავი. კერძოდ, არაბის მკვლელობა. ამ დროს არაბს,

მერსოსთვის ამ სრულიად უცნობ ადამიანს ხელში დანა უჭირავს, რომლის ლაპლაპა ზედაპირი **მეხსიერების სარკვე გარდაისახება**, რომელშიც **დიდი სინამდვილე მცხუნვარე, კამკაშა მზის სახით აირეკლება**, და მერსო ვერ უძლებს ტკივილის მეხსიერებას და ფაქტიურად, როცა ის კლავს მის წინაშე მდგომ კაცს – არაბს, **მისი სახით ის კლავს დიდი სინამდვილის მეხსიერებას**.

ესლა ალვიდგინოთ თუ როგორ განეცხადება მერსოს დიდი სინამდვილე დედის ცხედრის პირისპირ:

– „**Меня разбудил шорох. Я успел отвыкнуть от яркого света и выбеленные стены совсем ослепили меня. Теней не было, каждый предмет, каждый угол и изгиб вырисовывались так четко, что резало глаза. В комнату входили мамини друзья. Их было человек двенадцать. Они неслышно скользили в слепящем свете. Они уселись и ни один стул не скрипнул. Никогда, никогда я не видел так ясно, до последней морщинки, до последней складки одежды. Однако их совсем не было слышно просто не верилось, что это живые люди**“.

А. Камю „Чужой“ 44 стр.

მოდით ჩამოვთვალოთ დიდი სინამდვილის ღიაობის ნიშნები: **„მეტისმეტმა მკვეთრმა სინათლემ თვალი მომჭრა** (ამბობს მერსო). – (თუმცა ის არ დაბრმავდა, – რადგან არ მიიღო ეს სინამდვილე) **საგნებს ჩრდილი არ ახლავს**. როგორც პლატონი იტყოდა: **დიდი სინამდვილე, საგანთა ნამდვილ სახეს – იღებებს გვისახსოვრებს**.

(ადამიანის მოძრაობას ხმა არ დაჰყვება, ხმაური არ ისმის. თუმცა მერსო ამასაც არ იოცებს, რადგან ბრმა რჩება ამ დიდ სინამდვილეშიც). ის ამბობს – არასოდეს ასე მკვეთრად, ასე ცხადად არ დამინახია არცერთი საგანი (ცხადია, აქ დიდი სინამდვილის ღიაობის იგავშიუწვდომელ ნათელში ვიმზირებით, რაც ცხადს ხდის საგანთა დაფარულობას).

სხვა საუბრის თემაა, რომ დედის მეგობრები, იესო-ქრისტეს მოწაფეთა მსგავსად თორმეტნი არიან, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მერსო – იესო ქრისტეა, ან იესო – დედის, ცხედარია, ან იესო – არაბია, ... არა. როგორც ა. კამიუ წერს:

„**ჩვენ ყველანი დაკნინებულნი ქრისტეები ვართ**“.

ა. კამიუ „დაცემა“

ამ ლოგიკით გამოდის, რომ მოთხრობის ყველა პერსონაჟი – იესო ქრისტეა.

დედის ცხედრის გვერდით აღმართული დიდი სინამდვილის შემადრწუნებელი სიცხადე მიანიშნებს რაღაცაზე, რის წინაშეც შესაძლოა მერსო უნდა დამდგარიყო, ეს რაღაც, – სიკვდილის უფსკრულის წინაშე დგომა და „იქ“, სადაც საკუთარი სულიერი მე-ს დანახვა და თვითშეცნობაა შესაძლებელი.

მაგრამ მერსო სულაც არ ცდილობს დიდი სინამდვილის წინაშე დარჩეს და მასში ჩაემწყვდეს, რადგან არ სურს აენილოს სულიერი თვალი, ანუ არ სურს თავის სულს წააკითხოს, რომ დედა მოუკვდა.

ასე იბადება არაფინ, – ერთის შეხედვით, ეს უსაზომოდ გაზრდილი ტკივილის სახესვაობა.

ეს არაფინ – არის მთელი თანამედროული ხელოვნების „სახე“, – რადგან ახალი მორალური კოდექსის ჩამოყალიბება სწორედ ამ ტყუპისცალებმა, ფრ. ნიცშემ და თ. დოსტოევსკიმ ითავეს. მათ მოსეს კანონებისა და ახალი აღთქმის ტექსტის შეცვლა განიზრახეს.

ამით იმის თქმა მინდა, რომ თავად ტკივილის ფორმაა მათი პერსონაჟი. მას არ გააჩნია სახე. თანამედროვე ტექსტებში კი ფრანც კაფკას⁴³ „მეტამორფოზაში“ „გრეგორ ზამზას თავისი ტანჯვის „სახეში“ ვხედავთ და ეს ტანჯვა აღიქმება როგორც მისი მეტაფიზიკური აღწერა.

ცოდვის, უმნიშვნელო ცოდვის უსაზომოდ გაზრდა იწვევს იმას, რომ რაიმედ ყოფნა უკვე დანაშაულად მიიჩნევა. ა. კამიუს მიერ დაწერილი „აღსარება“ „დაცემად“ იწოდება. რადგან ა. კამიუ თავისი წინამორბედების ფრ. ნიცშეს, თ. დოსტოევსკის და ფრანც კაფკას მიერ შემოხაზულ და ამოყრავებულ სამყაროს გეთავაზობს.

ეს ის სამყაროა, სადაც უშუალოდ ვეღარ საუბრობენ იუდას მიერ ქრისტეს გაყიდვაზე, არამედ აქ საუბრობენ მხოლოოდენ ქრისტეს სურათზე. ანუ მას „მოგონების“ სახე გააჩნია და თანაც ეს ტექსტი ორაზროვნებითა და ცინიზმით იწერება თანამედროვე იოანე ნათლისმცემლის მიერ ა. კამიუს ამ ტექსტში, კერძოდ

„დაცემა“-ში. ქრისტეს გამყიდველი ბრბოს კაცია, და თან ისიც ქრისტეა და ამიტომაც ვითომცდა ქრისტესდარად უცოდველობის გრძნობა დაჰყვება მას. ავტორი დაუფარავი ზიზლით წერს ამ ამოყრავებულ სამყაროს განმგებელზე:

– „... ვერაფერს შეასმენთ ამ გორილას, აქაურობის ბედს რომ განაგებს. მხოლოდ დიდ-დიდ ცხოველებს ძალუბთ ირჯებოდნენ ასე, – თავიანთ ნებაზე. წარმოიდგინეთ პირველყოფილი ადამიანი ბაბილონის გოდოლზე“. ა. კამიუ „დაცემა“ 8 გვ.

უსახო ბრბოს წარმომადგენელს, რომელმაც ქრისტე გაყიდა ისევ მიეცა შესაძლებლობა, ან აერჩია, ან არ აერჩია ქრისტეს გზა – ოლონდ, უკვე მხოლოდ როგორც სურათი-მოგონების სახით.

აი, რას წერს კამიუ:

– „მართლაც სურათი ეკიდა და ძალიანაც საინტერესო. ნამდვილი შედეგრი იყო. მე მომსწრე ვარ, როგორ შეიძინა მაგ კაცმა ეს სურათი და მერე როგორ დათმო“. ა. კამიუ „დაცემა“.

და შემდეგ უკვე გრძელდება ამ ამოყრავებულ სამყაროს აღწერა:

– „... პარიზი ნამდვილი თვალსაზრეუარაა, შესანიშნავი დეკორაცია, სადაც ოთხი მილიონი აჩრდილი ცხოვრობს. უკანასკნელი აღწერის თანახმად თითქმის ხუთი მილიონი... (შემდეგ ავტორი – აჩრდილთა საქმიანობას აღწერს – ჟ.ს.)... მე მუდამ იმ აზრის ვიყავი, რომ ჩვენ თანამოქალაქეებს ორი ზნე სჭირთ:

აზროვნებენ და მრუშობენ“ ა. კამიუ „დაცემა“ გვ. 53.

აჩრდილთა ზნე – გვიმუდავებს ამოყრავებულ სამყაროს საშინელებას – სწორედ აჩრდილის დეფინიციაა: **ჩვენ დაახლოებით წარმოვადგენთ რამეს** იმის საპირისპიროდ, რაც ღვთაებრივის მსგავსებაა. ა. კამიუს „დაცემაში“ კი აღიწერება ადამიანის ორაზროვანი გახილვა ყველაფერსა და არაფერს შორის. ერთის შეხედვით ყველა საგნისადმი უსაზომოდ დაშორება იკვეთება, რომელშიც არა ამაღლებული და განუზომელი შიში გამოსჭვავის, არამედ მხოლოოდენ ცხოველის მდაბალი და მხდალი შიში, რომ შეიძლება რაიმეს ჰგავდეს.

პასკალი წერდა: 311 „ადამიანის სიღიადე ისაა, რომ თავის უბადრუკობას გრძნობს. ხე ვერ გრძნობს თავის უბადრუკობას.

მაშასადამე, მხოლოდ უბადრუკი გრძნობს საკუთარ უბადრუკობას, მაგრამ მისი სიდიადეც ესაა სწორედ“.

ბლუზ პასკალი „აზრები“ 276 გვ. თარგმნა ბ. ბრეგვაძე

თუ პასკალის ადამიანს უბადრუკობის გრძნობა – ღვთაებრივ სიდიადემდე აღამაღლებს და განწმენდს, ა. კამიუს „დაცემა“-ში პასკალის ღვთაებრიობის სიმაღლემდე ატანილი უბადრუკობის განცდისგან უკუქცეული კაცის ორაზროვნება იხაზება, რომელიც თავისი დაკნინებით ღმერთს ემალება და ცხადია, არც არანაირი იმედი არ გამოსჭვივის, რომ მისკენ გაემუწრება. რადგან თავისი უბადრუკობის აღმოჩენისას ის ძრწის, და უგონოდ თამაშობს. ის ორაზროვნებს, ვით ბრბო, რომელიც დიდი სინამდვილიდან უკუქცეული ორაზროვნების საფარველს აფარებს თავს, რათა არასოდეს იქცეს ვინმედ.

35. შესავლის კომენტარი:

„თანამედროვე გმირი კაცი უფრო პილატეს მოაგავს ჰოსა და არას შორის რომ არის გახილული“

ჟ. სირაძე, „ჰამლეტის ნიღაბს ამოფარებული ხელოვანი“

უბირი კაცისთვის პილატეს არც არანაირი დანაშაული არ მიუძღვის იესოს მიმართ, ის მართალი კაცია, მაშასადამე ჭეშმარიტების გზაზე მდგომი.

მოვიყვან ამონარიდს მათეს სახარებიდან:

– „22 უთხრა მათ პილატემ: „იესოს რაღა ვუყო, ქრისტედ წოდებულს?“ ყველამ თქვა: „ჯვარცმული იქნეს!“

24. პილატემ რაკი დაინახა, რომ ვერაფერს შევლის, არამედ შფოთიც კი იწყება, აიღო წყალი ხელები დაიბანა ხალხის წინაშე და თქვა: „უბრალო ვარ ამ მართლის სისხლისაგან. თქვენ იცით“.

მათეს სახარების 27 თავების 15-18 ასე განმარტავს თეოფილაქტე ბულგარელი:

„პილატე ცდილობდა გაეთავისუფლებინა ქრისტე, თუმცა არც ისე დიდის მონღომებით, როგორც საჭირო იყო; რამეთუ ის მტკიცედ უნდა მდგარიყო ჭეშმარიტებაზე. მან ჯერ ჰკითხა უფალს:

„არა გესმის, რაოდენსა ეს შეგწამებენ შენ?“ იმიტომ ჰკითხა, რომ თუ ქრისტე თავს იმართლებდა, საბაბი ჰქონოდა მის გასანთავისუფლებლად. როცა უფალმა არ ისურვა თავის მართლება, რაკი კარგად იცოდა, რომ მაინც არ გაუშვებდნენ, თუნდაც თავი ემართლებინა, მაშინ პილატემ სხვა გზას მიმართა, ჩვეულება გაიხსენა, თითქოს ამბობდა: თუ თქვენ არ გაუშვებთ იესოს, როგორც განსჯილი, გაახარეთ იგი დღესასწაულის გამო.

რას წარმოიდგენდა პილატე, რომ ისინი მოისურვებდნენ უდანაშაულო იესოს ჯვარცმასა და დამნაშავე ყაჩაღის გათავისუფლებას? მაშასადამე, რაკი მან იცოდა, რომ ქრისტე უდანაშაულო არის, მაგრამ მას შურით ეპყრობიან, სწორედ ამ მიზეზით ეკითხება მათ: **პილატემ ამით გამოავლინა, რომ თავად სუსტი კაცი იყო, რამეთუ მას თავიც კი უნდა მიეცა დასალუპავად კეთილი საქმისათვის. ამიტომაც იმსახურებს იგი განკიცხვას, როგორც ჭეშმარიტების დამფარავი.**

„ბარაბა“ ნიშნავს „შვილი მამისა“, რადგან ბარ – ვაჟს და აბბა – მამას ნიშნავს. მაშასადამე, იუდეველთ თავისი მამის, ეშმაკის ვაჟი გამოითხოვეს, ხოლო იესო ჯვარს აცვეს. ისინი დღემდის მიკედლებული არიან ანტიქრისტეზე, – მამის ძეზე, ხოლო ქრისტეს უარყოფენ“.

ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი „მათეს სახარების განმარტება“, 252 გვ.

ა. კამიუს დაცემაში აღწერილია თანამედროვე ადამიანის პილატეობა და ამაზე მიანიშნებს მისი სულიერი წყობა, ის „მონანიე მსაჯულია“, ანუ, როგორც თვითონ ამბობს, ხელობაც ორგვარი აქვს, როგორც ბუნება, მისი სამოთხე ის ხელოვნური სამოთხეა, რომელშიც თანამედროვე ევროპაა ჩაძირული. აი, რას წერს ა. კამიუ ამის შესახებ:

– „ან კი, სამოთხე როგორ დავარქვათ იმ უზრუნველ, ნეტარ არსებობას ჩემო ძვირფასო? მე ვნეტარები: ჩემს დღეში არ დამჭირვებია ცხოვრება მესწავლა. ეს ნიჭი დედის მუცლიდან დამყვა“. ა. კამიუ, „დაცემა“ 25 გვ.

მე ისევ გავიმეორებ მოხმობილი ციტატის ფრაგმენტს:

– „ჩემს დღეში არ დამჭირვებია ცხოვრება მესწავლა. ეს ნიჭი დედის მუცლიდან დამეცა“.

ანუ, აქ ის აღიარებს, რომ ის მეორედ, ციოთ დაბადებას არ ეზიარა, რადგან მას ეს არც სჭირდება.

თუ ადრე ადამიანი თავისი სულის საკურნებლად „აღსარებას წერდა, ამოყირავებულ სამყაროში აღსარებას დაცემა შეენაცვლა. მთხრობელი, იოანე ნათლისმცემელია აი, როგორ აღიწერება იგი:

– „ გაქუცული პალტო მაცვია... აქლემი, რომლის ბეწვისგანაც ეს პალტოა შეკერილი უთუოდ ქეციანი იყო“. ა. კამიუ „დაცემა“, გვ. 12.

და აი, ამ ამოყირავებულ სამყაროში, სადაც ღმერთი გაყიდულია, უარყოფილი და შეგინებული აი, რას წერს ამის შესახებ მთხრობელი:

– „... მართლაც სურათი ეკიდა და ძალიანაც საინტერესო. ნამდვილი შედეგრი იყო. მე მომსწრე ვარ, როგორ შეიძინა მაც კაცმა ეს სურათი და მერე როგორ დათმო. ორივეჯერ საოცრად ფრთხილობდა...“. ა. კამიუ „დაცემა“, გვ. 9.

ეხლა გავიხსენოთ რას წერსა. კამიუ თანამედროვე „ემირის“ შესახებ:

– „წარმოიდგინეთ პირველყოფილი ადამიანი ბაბილონის გოდოლზე. უცხოობა მაინც გასტანჯავა. ეს მედუქნე კი სულაც არ გრძნობს უცხოობას. მიდის თავისი გზითა და ნირს ვერაფერი შეაცვლევინებს. ხმას იშვიათად ამოიღებს და ერთადერთი წინადადება, რომელიც მისგან გავიგონე იყო: ან უნდა გაიტანო, ან წააგო. რა უნდა გაეტანა? რა უნდა წაეგო? **ალბათ თავისი თავი. (ხაზგ. ჟ.ს.)**“. ა. კამიუ „დაცემა“, 8 გვ.

თუ იოანე ნათლისმცემელი, რომელმაც გზა უნდა განუმზადოს ქრისტეს თავად იქცა უცნაურ, გაორებულ კაცად – **მონანიე მსაჯულად**.

ეს მოგვანიშნებს, რომ ჩვენ ამ ამოყირავებულ სამყაროში მოგზავნილი სადაც ცხადია, ღირებულებათა გადაფასება მოხდა. აი, რას წერს ი. ბროდსკის⁴⁴ სამყაროზე ინა კულიშოვა:

– „**სამოთხე და ჯოჯოხეთი** ბროდსკის მიხედვით აგრეთვე

სულის ორი ჩიხია, რამეთუ სამოთხე უსასოების ადგილია, რადგან იგი ერთ-ერთ პლანეტათაგანია, სადაც პერსპექტივა არ არის“.

ჩვეულებრივ ეს აზრი თავზარდამცემია როგორც მორწმუნესთვის ისე კლასიკოსისთვის. ეს, არა თუ უაზრობაა, უფრო მეტიც, ისეთი აზრია რომლის მოფიქრებაც კი უდიდესი ცოდვია. თუმცა თანამედროვე ხელოვნება ამ „დიადი ცოდვის“ კვარცხლბეკზე მოთავსებული ქმნის თავის „ქმნილებებს“. აი, რას წერს ი. ბროდსკი:

– „**სამოთხის იდეა წარმოადგენს ადამიანის აზრის ლოგიკურ ბოლოს, რადგან ეს აზრი უფრო შორს ვერ მიდის, რადგან სამოთხის იქით აღარაფერი ხდება**. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ **სამოთხე – ჩიხია**. ეს სივრცის უკანასკნელი ხედვაა, საგნის ბოლოა, მთის მწვერვალი, პიკია, რომლიდანაც ნაბიჯს ვერსად გადადგამ, მხოლოდ ქრონოსში. სწორედ ამასთან დაკავშირებით შემოდის მარადიული სიცოცხლის ცნება“.

და ისევ გავაგრძელებ ი. ბროდსკის ციტირებას:

– „სივრცე შექცევადი და სტატიურია, დრო – შეუქცევადი და დინამიური, მარადიული სიცოცხლის იდეა – ეს მარადიული დინამიკის პერსპექტივის იდეაა, რომლის უკან დაბრუნება უბრალოდ შეუძლებელია, თანაც აზრს მოკლებული“.

ანა კულიშოვი 183 გვ.

რატომ მოვიყვანე, თითქოსდა ასე უადგილოდ ი. ბროდსკის ნააზრევი? მხოლოდ იმის დასადასტურებლად, რომ დღეს გენიალურად მოაზროვნენიცი კი პილატეს მანტიით შემოსილნი საუბრობენ მარადიულობაზე.

ამის დასტურია ჰაიდეგერის სიტყვები:

„მსოფლიო დრო, რომელსაც არ გააჩნია ძირი, უფსკრულზეა ჩამოკიდებული“.

თანამედროვე სამყაროში დროს არ გააჩნია ძირი, რადგან ადამიანმა თანამედროვე ადამიანმა ჟამიერობა უარყო, ის ჟამიერობა, რომელთანაც მისაახლებლად ადამიანში წამყვანი ღვთაებრივი გზნებაა და რომელშიც ჰარმონიულად არის განფენილი ყველა საგნები. ადამიანი კი ვით ღვთაებრივი გზის თანაზიარი დროს გამოსხლეტილია, როცა ამის საპირისპიროდ თანამედროვე ადამიანი ვით

მსხვერპლი დროის ამ სასტიკი ჯალათის მონა გახდა. მან პილატეს მანტია მოირგო, და ასე თავის ზედაპირულობითა და სიმჩატით, საქმისადმი ნახევრული მიღევებით, რაც თანამდევია უბირი კაცისთვის, რომელმაც თავი ყოფიერების სათრეველად აქცია.

ასე იქცა მისთვის იდეალი – **სიკვდილის ჩონჩხიანი სახე.**

36. გვ. 22. ბერტრან რასელი (1872–1970) – ინგლისელი ფილოსოფოსი, ლოგიკოსი, მათემატიკოსი, საზოგადო მოღვაწე. ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურის დარგში. 1950 წელს.

37. ფედერიკო ფელინი (1920-1998) – XX საუკუნის გენიალური იტალიელი კინორეჟისორი და სცენარისტი უდიდესი ზეგავლენა მოახდინა ევროპულ კულტურაზე.

38. შესავლის კომენტარი:

„იქნებ სიბრძნე კანფეტის შესაფუთი ქაღალდის კიდეზე წერია?“

ფ. ფელინი

სამყაროს ამოყირავებულ მოდელში, რომელიც აღწერილია ჩემს პიესაში „ხელოვანის გზა“, და რომელზედაც ასევე მიმდინარეობს საუბარი შესავალში, – უსაზომოდ „გაზრდილია“ უმნიშვნელო საგანი, – რადგან აქ ყველაფერს მატერიალური სამყარო განკარგავს. პიესის ენაზე რომ ვთარგმნოთ;

ქვები პურად იქცა

რისი ინტერპრეტაციაც მოგვცა გენიალურმა შემოქმედმა ფედორე მიხეილის ძე დოსტოევსკიმ თავის გრანდიოზულ, გენიალურ რომანში „ძმები კარამაზოვები“.

ნ. ბერდიაევის სიტყვებით: **„თანამედროვე ხელოვნებაში სული თითქოსდა მცირდება, ხოლო ხორცი დემატერიალიზდება“.**

ნ. ბერდიაევი, „ხელოვნების კრიზისი“, 190 გვ.

სულიერი საწყისი უარყოფილ იქნა და მთლიანად ყველაფერი მატერიალურ სამყაროს დაემორჩილა: წარმართველი ნებისმიერი

ვნება და ცთომა შეიქმნა, რომელიც გიგანტურად ზრდის სურვილის საგანს. ეს ყველაზე უკეთ მოსჩანს მსოფლიო სარკის მეშვეობით, რასაც ტელევიზიას ვუწოდებთ. აქ პირდაპირ მოჩანს, რომ ადამიანის არსი გაიგივებულ იქნა უსაზომოდ გაზრდილ სურვილებთან და ცთომასთან, ხოლო თავისუფლება კი შეფასებულ იქნა, როგორც სურვილის მყისიერი, დაუთმენელი აღსრულება.

კანფეტის შესაფუთი ფარატინა ქაღალდი, სწორედაც ყველაზე მოსახერხებელი და უპრიანი ადგილსამყოფელია თანამედროვეების მაქსიმების – სურვილების, ცთომის, ცოდვილობის ილუსტრირებისთვის. ამოყირავებული სამყაროს „სიბრძნე“ სწორედ კანფეტის ამ პაწია ფარატინა ქაღალდის კიდეზე ეტყვა.

პიუმის კომენტარები:

39. იოჰან ვოლჰან გოეთე (1749–1832) – უდიდესი გერმანელი პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი, მრავალხრივ განსაწლული ადამიანი, პოლიტიკური მოღვაწე, ფილოსოფოსი, ფილოლოგი, ბუნებისმეტყველი, მხატვარი და სხვა.

40. ილია ჭავჭავაძე (1837–1907) – დიდი ქართველი პოეტი, პუბლიცისტი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე.

41. ფედერიკ შოპენი – (1810–1849) – დიდი პოლონელი კომპოზიტორი და პიანისტი.

42. თედორე მიხეილის ძე დოსტოევსკი (1821-1881). გენიალური რუსი მწერალი, რომანისტი.

43. ჯეიმს ჯოისი 1882-1941. XX საუკუნის ყველაზე გავლენიანი ირლანდიელი მწერალი და პოეტი. მისი ყველაზე ცნობილი ნაწარმოებია რომანი „ულისე“, რომელსაც უწოდებენ „ცნობიერების ნაკადის“ ლიტერატურის შეღვევს.

44. პოლ ვალერი – გენიალური ფრანგი პოეტი, ესეისტი და ფილოსოფოსი. სერჯო სოლმი ასე წერდა ვალერიის შემოქმედებაზე: „სადაც სიცოცხლისა და შემეცნების დაბადება ქვეყნად, მაღალი მეტაფიზიკური ირონიით დანახულია, როგორც ლაქა როგორც დეფექტი არყოფნის სხივოსანი სრულქმნილებისა“.

45. ფსიქე „ბერძნ. განასახიერებს სულს, სუნთქვას. მას წარმოსახავდნენ პეპლის, ან პეპლის ფრთებიანი გოგონას სახით. სულის ეს გამოსახულება ძვ.წ. V-IV საუკუნეებიდან ჩნდება ბერძნულ ხელოვნებაში. უფრო ადრე კი სული, რომელიც ადამიანს ტოვებდა, ჩიტად ან ბოლად წარმოედგინათ ბერძნებს. მწერალმა აპულეუსმა (ახ.წ. 124 წ.) თავის „მეტამორფოზებში“ გააერთიანა სხვადასხვა ხალხში არსებული თქმულებები ფსიქეზე და მშვენიერი

საბედოს პოეტური სახე შექმნა: ოდესღაც ერთ სამეფოში ცხოვრობდა მეფის ასული ფსიქე. იგი ისეთი ლამაზი იყო, რომ მის მხილველებს აფროდიტე ავიწყდებოდათ. განრისხებულმა ქალღმერთმა თავისი შვილი ეროსი იხმო და უბრძანა, ფსიქე ქვეყნად არსებული უსაზარლესი ურჩხულისადმი საბედისწერო სიყვარულის გრძნობით აღენთო, სინარულით მიიღო ოინთა მოყვარე პატარა ღვთაებამ ეს დავალება, მაგრამ იხილა თუ არა ქალწული, მისი მშვენებით მოხიბლულმა საკუთარი თავი შეაყვარა. ეროსმა ფსიქეს დიდებული სასახლე უძღვნა. მიმწუხრებისას იქ ხვდებოდნენ ერთმანეთს შეყვარებულები. არასოდეს უნახავს მეფის ასულს თავისი მეტრფე, რადგან ეროსმა გააფრთხილა, რომ მისი ხილვა უბედურებას მოუტანდა. ფსიქემ ეს ამბავი დებს გაუძინა. ისინი კი, შურით აღძრულნი დასცინოდნენ, შენი სატრფო, ალბათ, შემზარავი ურჩხულიაო. ფსიქე დაეჭვდა და ერთხელ, ღამით, ცნობისწადილით აღელვებულმა აანთო ბაზმა. ეროსის ღვთაებრივი სილამაზით გაოგნებულს ხელი აუკანკალდა და მძინარე ღმერთს დააწვეთა ცხელი ზეთი. ეროსი გამოფხიზლდა და წამისუმაღ გაქრა. გაქრა დიდებული სასახლეც და მეფის ასული უდაბურ კლდეზე აღმოჩნდა. მას მრავალი მწუხარებითა და საღმობით სჯიდა აფროდიტე. მაგრამ ეროსი, რომელსაც ისევ უყვარდა იგი, ამშვიდებდა და იფარავდა. შეეცოდა მეხთამტყორცნელ ზევსს შეყვარებულები და ფსიქე ალაზევა ოლიმპოსზე, სადაც იგი ეროსს შეეუღლდა.

ფსიქეს ეს პოეტური მითოსი აისახა მოქანდაკეთა (კანოვა, ტორვალდსენი), მხატვართა (რაფაელი, ჯულიო რომანო), დრამატურგთა (მოლიერი), პოეტთა (ლაფონტენი, ბოგდანოვიჩი) თუ კომპოზიტორთა (ლიული, ფრანკი) შემოქმედებაში.

რ. გორდეზიანი⁴⁵ „ბერძნული მითები“.

ჩემს დრამაში „ხელოვნების გზა“ შემოტანილია ფსიქეას ახალი სიმბოლო – მჭკნარი ფოთოლი. მჭკნარი ფოთოლი პოეზიის სიმბოლოა, ამიტომაც ყველა დიდი შემოქმედის ნაწარმოებში ხან ხილულად, ხან ფარულად გაკრთება მჭკნარი ფოთლის სახება, როგორც გარდაუვალი და კანონზომიერი სიმბოლო. გალაკტიონისა და ვერლენის შემოქმედებაც კი საკმარისია ამის დასადასტურებლად. დრამაში ის ასევე შემოქმედის მეორე მზის სხივის გათოში-

ლობა და პოეტის მარტოობის ჟამს მოპოვებული სამყაროს იგავშიწვედომედი ერთობის განსახებაა. ეს მზის სხივი ადამიანში მოქმედი უმაღლესი ძალაა, რაც ამთლიანებს ნაწარმოებს უხილავად და საბოლოოდ ქმნის მას იმად, რაც ის არის.

დრამა თთქოსდა მიუყვება ეროსისა და ფსიქეას სასიყვარულო თავგადასავალს, მაგრამ დრამის ინტერპრეტაცია გარდასახავს მითს და სულ სხვა შინაარსს აძლევს მათ სასიყვარულო ისტორიას.

ბერძნულ მითოლოგიაში მიჩნეულია, რომ ფსიქეასა და ეროსის სიყვარული განუყოფელი ერთობა და ნიშანია სამყაროს დაფარული ჰარმონიისა, მისი გამოსახება და სიმბოლოა. მაშინ, როცა დრამაში მათი სიყვარული ეს არის ფსიქეას, ღვთაებრივი და უკვდავი სულის დაკნინება, დამცრობა და დაცემის ნიშანი. რადგან ეროსი თანამედროვე ხელოვნების სამყაროში უკვე გარდასახულია მდაბალი ვნებების მსახურად და მისი შეერთება ფსიქეასთან ნიშნავს სულის დაცემას. ამის ნიშნად დრამის დასასრულს ფსიქეა უკვე შემლილია ამის მიზეზი კი ერთის მხრივ, დედა-აფროდიტეს მშვენიერებისა და სათნოების ქალღმერთის „სიკვდილია“ თანამედროვე სამყაროსთვის, მეორეს მხრივ კი ხელოვნების სამყაროში აპოლონისა და დიონისეს თუთიყუშებად, რობოტებად ქცევაა, ასევე სატირის მეფობა – უსახური და უნიჭო, სლენვით მჯღაბნელის აღზევებაა, ემანუელოს, დიდი შემოქმედის გაორება და საერთოდ ხელოვნების კრიზისი თანამედროვე სამყაროში.

46. პიესის კომენტარი:

– „ოქროს ხანაში დროის ღვთაებრივი წრე, ხელოვანს იმ **ოქროს კვეთში** ამწყვდევდა“, ჟ. სირაძე, „ხელოვანის გზა“ გვ. 30.

რ. შტაინერი⁴⁶ ასე წერს:

მისტერიის ყველა მორალურ კოდექსში ეწერა ასეთი უდიდესი მნიშვნელობის სიტყვები:

– „იპოვე შუაგული, ცენტრი, ისე რომ შენი ქმედების შედეგად არ დაჰკარგო საკუთარი თავი სამყაროში და თავის მხრივ სამყარომაც არ დაგკარგოს შენ“...

...ადამიანის ბუნებას ორი მიმართულებით ძალუქს მოიმოქმედოს ბოროტება და რომ თავისუფალი ნების განვითარება მხოლოდ იმიტომ ხელეწიფება, რომ ბოროტებას იგი ორი მიმართულებით ანვითარებს.

... ცხოვრება მხოლოდ მაშინ მიედინება სწორად და კეთილად, როდესაც ადამიანის ცლომილების ეს ორივე მიმართულება განიხილება, როგორც სასწორის ორი პინა, რომელთაგან ხან ერთი სძლევს, ხან კი მეორე. ჭეშმარიტი წონასწორობა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როდესაც პინები ერთ სწორ პორიზონტალურ ხაზზეა.

... ერთი მხარე, საითაც ადამიანის ბუნება შეიძლება გადაიხაროს, არის უგუნური, ანგარიშმიუცემელი სითამამე – ადამიანის განკარგულებაში მყოფი ძალების უაზრო ლტოლვა უკიდურესობისაკენ და ამ ძალების უჩვეულო გადაძაბვა... იგი ანგარიშმიუცემელი, უგუნური სითამამისკენ გადაიხრება, დაჰკარგავს თავის მე-ს და ცხოვრების დოლაბი მარცვალვით დაფქვავს, და პირიქით, სიმხდალისაკენ გადახრა გაახევებს მას და საგანთა და არსებათა კავშირიდან მოსწყვეტს. იგი გადაიქცევა საკუთარ თავში ჩაკეტილ არსებად, რომელიც ამოვარდნილია საყოველთაო კავშირიდან და ამდენად თავისი საქმითა და საქციელთ ერთიან მთელთან თანხმიერება აღარ ძალუქს“. რ. შტაინერი „ვარდისა და ჯვრის საიდუმლოება“, გვ. 60. მთარგმ. გ. ნიშნინიძე.

ამ **ოქროს კვეთს** სხვაგვარად აღწერს ბლევზ პასკალი თავის აზრებში:

– „55 ბუნებამ ისე ზუსტად მოგვათავსა შუაში, რომ თუ სასწორის ერთ მხარეს ვიცვლებით, უთუოდ მეორე მხარესაც ვიცვლებით. Je feson zia trekei ეს მე მაფიქრებინებს, რომ არის ჩვენს თავში იდუმალი ზამბარები, იმნაირად განლაგებულნი, რომ ის ვინც ერთს ენება, იმავდროულად, მის საპირისპიროსაც ენება“.

ბ. პასკალი, „აზრები“, 91 გვ. თარგმ. ბ. ბრევვაძე.

პასკალი გვთავაზობს იმ შუაგულის ინტუიტიურ წვდომას, რომლის მეოხებითაც ადამიანი შინაგან, ზნეობრივ ამაღლებას ეზიარება. ეს მასში დასაბამიდანვეა მოცემული.

47. პიესის კომენტარი:

„და ასე, მზისა და სიკვდილის, თავზარდამცემი და აღმტაცი იდუმალების, დიადი ერთის წინაშე წარსდგებოდა“.

ჟ. სირაძე, „ხელოვანის გზა“. გვ. 31.

განურჩევლად ყველა შემოქმედი უნდა წარსდგეს ჰადესის, წყვდიადით მოსილი ღამის წინაშე. ამ შავი უფსკრულის გადალახვით იხილავს ის იმ სინათლეს, სიკვდილის დიადი სახე, რომ გაუმჟღავნებს. რადგან სიკვდილი ის ზღვარია, სადაც მთლიანდება და ჯამდება ადამიანის ცხოვრება. ის რასაც, ჩვენ ყოველდღე ვაკეთებთ, – ეს იქნება: ფიქრი, აზროვნება, სიცილი, ტირილი თუ ტანჯვა. ყველაფერი ეს ენიგმურად, გონებისთვის მოუხელთებელ ერთ რიგად დალაგდება მაშინ, როცა სიკვდილის თავზარდამცემი სახე – დიად წამს ჩამოჰკრავს.

მაგრამ, ხომ არსებობენ, ისეთი ადამიანებიც, რომლებიც ყოველდღე ეპატიჟებიან სიკვდილს და ასე ცდილობენ სულის გამთლიანებას. ასეთ ადამიანთა რიგში მოიაზრებიან უპირველესად ხელოვანი, ფილოსოფოსი, პოეტი, – ან უბრალოდ, მათ შემოქმედი ადამიანები შეიძლება ვუწოდოთ. შეიძლება ის გლეხია, შეიძლება ის მონაზონია... ის შემოქმედი საკუთარი სულისა – რაც ნიშნავს, რომ ის მეორედ დაიბადა ციხე და თავისი მისიის აღსრულების გზაზე ნაბიჯი გადადგა. ამიტომაც, ასეთი მკაცრია მარკ ავრელიუსი, როცა წერს:

– „17 ისე ნუკი ცხოვრობ, თითქოს ათი ათასი წლის სიცოცხლე გელოს კიდევ წინ. უკვე ახლოა აღსასრული“.

მარკ ავრელიუსი. „ფიქრები“ 110 გვ. მთარგმ. ბაჩანა ბრეგვაძე

გარდაუვალი კანონზომიერების გამო სიკვდილის წინაშე წარსდგომას გამონაკლისის გარეშე ყველა შემოქმედი გამოსახავს.

ზოგის აზრით, ტერენტი გრანელის შეშლილობა, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსება, მხოლოდ იმის ნიშანი იყო, რომ ის მიწიერ სამყაროს ჩამოსცილდა.

ამიტომაც, აღარ გვაოცებს ეს ტექსტი:

– „ყოველ ღამეს მოაქვს ფიქრი სიკვდილზე და სიშორეზე, და მეშინია...“

პლატონი თვლიდა, რომ ფილოსოფოსი თავის სრულყოფილ სახეს მხოლოდ ჰადესში გაღწევით, ანუ მიღმურ სამყაროში შესძლებს:

აი, რას წერს პლატონი „ფედონში“:

– „...თუ მართლაც ჭეშმარიტი ფილოსოფოსია, ის სიხარულით მიაშურებს ჰადესს, რადგან ღრმად იქნება დარწმუნებული, რომ მხოლოდ იქ ჰპოვებს სიბრძნეს მისი წმიდა სახით და არა სხვაგან“.

პლატონი „ფედონი“ გვ. 23. თარგმ. ბაჩანა ბრეგვაძე.

ან, სხვაგან აი რას წერს იგი:

– „ამრიგად, თუ გვსურს წმინდა სახით შევიცნოთ რამე, თავი უნდა დავაღწიოთ სხეულს და მხოლოდ გონების თვალთ ვუძნიროთ საგნებს. იქნებ მაშინ მაინც ვეზიაროთ მას, რასაც ვეტრფით და რასაც ვესწრაფვით, სახელდობრ, სიბრძნეს. მაშინ-მეთქი, როცა ვამბობ, მე ვგულისხმობ – სიკვდილის შემდეგ, როგორც სიტყვა გვანიშნებს ჩვენ; რადგან სიცოცხლეში ეს გამორიცხულია, და რაკი სიცოცხლეში წმინდა სახით ვერას შევიცნობთ ორიდან ერთი უნდა ვადიაროთ უთუოდ: ან, საერთოდ, ვერასოდეს შევიძენთ ცოდნას, ანდა მხოლოდ სიკვდილის შემდეგ, როცა სული საბოლოოდ ეყრება სხეულს...“. პლატონი, „ფედონი“. გვ. 20. თარგმ. ბაჩანა ბრეგვაძე.

ის სიბრძნე, რაზედაც პლატონი საუბრობს, მიიღწევა ღვთაებრივი არსების პირისპირ ჭვრეტისას, წმინდა იდეათა საუფლოში გაღწევის მეშვეობით, სადაც მოისმინება სამყარო. პლატონი ხმარობს **გონების თვალთ**, – **რასაც ინტუიციას, სულის სულს**, ხანაც კი **ღვთაებრივ გონს** უწოდებენ. ამ მდგომარეობაში, სული სხეულს გაყრილი ეზიარება სიკვდილ-სიცოცხლის ქორწინების დიად საიდუმლოებას.

თუ რამდენად სამძიმოა თავად სიცოცხლეშივე ჰადესის წინაშე წარსდგინება, ამაზე გამონაკლისის გარეშე იწერება ყველა გამორჩენილ შემოქმედთან, ოღონდ ეს ხშირად პირდაპირ არ ითქმის და ტექსტში „მეცურებულ“, გამოუქვეყნებელ ფურცლებზეა დაწერილი.

დიდი მოაზროვნე პასკალი ასე მიაჩნებდა, თუ რა დიდი ძალისხმევა სჭირდება ადამიანს:

138. – „გართობა – სიკვდილი უფრო ადვილია, როცა სიკვდილზე არ ფიქრობ, ვიდრე სიკვდილზე ფიქრი, როცა სიკვდილი არ გემუქრება“. ბ. პასკალი „აზრები“, 229 გვ. თარგმ. ბაჩანა ბრეგვაძემ.

რას ნიშნავს ჰადესის საუფლოს გადალახვა, – და თუ როგორია მისი ქორწინება ჰელიოსთან – სიცოცხლის აღმტაც დინებასთან, – შტაინერის სიტყვებით ასე გამოითქმის:

– „ყოველი ადამიანისათვის, ვისაც სურს უმაღლეს შემეცნებადღე ამაღლდეს, ეს შესაძლებლობა ოდესმე სინამდვილედ იქცევა. ადამიანი იმ ზღვარს აღწევს, როდესაც სული მას სიცოცხლის ყველა გამოვლინებას განუცხადებს ვითარცა სიკვდილს. იმიერიდან იგი ამა სოფლად აღარ იმყოფება. იგი ამა სოფლის დამართქვესკნელში იძირება; აიღში – ქვესკნელში მოგზაურობისას არ დაიღუპება, თუკი მას ახალი სამყარო განეცხადება. იგი ან ამ ახალ სამყაროში დაინთქმება, ანდა საკუთარ თავს გარდასახული და ფერნაცვალი წარმოუდგება. უკანასკნელ შემთხვევაში მას ახალი მზე, ახალი დედამიწა მოევლინება, სულიერი ცეცხლიდან მისთვის მთელი სამყარო აღორძინდება“.

რ. შტაინერი „ქრისტიანობა, როგორც მისტიური ფაქტი და უძველესი მისტიკები“, 21 გვ.

მორის მეტერლინკი კი თავის იდუმალ წიგნში „განძი თვინიერთა“ ასე წერს:

– „ჩვენი სიკვდილია ჩვენს სიცოცხლეს, რომ წარმართავს და ჩვენს ცხოვრებასაც სხვა არაფერი აქვს მიზნად, ჩვენი სიკვდილის გარდა, სიკვდილი ის ყალიბია, რომელშიც ჩაედინება ჩვენი ცხოვრება და სწორედ მისით ყალიბდება მისი სახე“.

მ. მეტერლინკი „განძი თვინიერთა“ 32 გვ. მთარგმნ. დ. აკრიანი

ხოლო ნოვალისი⁴⁷ ამ მისტიურ შრეს აღწერს, როგორც ღვთის საჩუქარს:

– 14 „სიცოცხლე სიკვდილის დასაწყისია. სიცოცხლე სიკვდილის გულისთვის არსებობს. სიკვდილი ერთდროულად დასასრული

და დასაწყისია, განშორება და უფრო ახლო კავშირი. სიკვდილით გასრულება რედუქცია“.

ნოვალისი „ყვავილთა მტვერი“

ჩემს პიესაში „ხელოვანის გზა“ სიკვდილი და სიცოცხლე, თანატოსი და ჰელიოსი გამოყვანილია როგორც დაუცილებელი მეგობრები, ურთიერთმოყვარულნი და ერთმანეთის სულისჩამდგმელნი. და ყველა დიდი შემოქმედი ძრწის სიკვდილის დიადი სახების წინაშე; ამ რთული გზის გადალახვით ის ღვთაებრივის საუფლოში ჩააღწევს, სადაც ის ხელთამპყრობელი ხდება ყველა არსებულ საგანთა. თითქოსდა მას ჰერაკლესავით უპყრია დედამიწა და ასე გრძნობს ის ერთდროულად მზის მხურვალეობასა და დიდებულებას, მთების სიცივეს, დედამიწის „უსასრულო“ სიმცირეს კოსმოსის იგავმიუწვდომელი უსასრულობასთან მიმართებაში. ადამიანის უბადრუკობას, ადამიანის ტრაგედიას, რომ ის დაიბადა და იმ ბედნიერებასაც, რასაც ადამიანად ყოფნა ჰქვია. მაგრამ, ცხადია ეს განცდა ოდნავაც ვერ შეედრება იმ განცდას, რასაც ჩვეულებრივი ადამიანი განიცდის ყოველდღიურობიდან გაუსვლელად. ამ დროს შემოქმედი განიცდის იმ დიდ სიმძიმეს, რასაც სამყაროს ყოველდღობაში ჩავარდნა ჰქვია და რასაც მოჰყვება ის აღმაფრენაც, რაც ნიშნეულია ყველა შემოქმედისათვის, და რაც შეუძლებელია ადამიანურ ენაზე ვთარგმნოთ.

შემოქმედი კი, რომელზედაც ჩვენ ვსაუბრობთ, თუმც გადის სიკვდილის გზას და ცხადია სიცოცხლის ყველა გამოვლენას მოიხილავს თავისი სულისმიერი თვალის წინაშე. მაგრამ შემდგომ ის ხელოვნებაში დაუწერელი და გარდაუვალი კანონზომიერების გამო მოპოვებულ სულიერ, მჭვირვალე სამოსელში გახვევს ამბავს – სიუჟეტს, რომელშიც გამოსჭვივის თავისი ეპოქის ხმა, – მისი ენით, მისი აზროვნებით, მისი სათქმელით – ამიტომაც, ის იმ მდგომარეობას უფრო და უფრო შორდება, რაზედაც პლატონი საუბრობს „ფედონში“ და რასაც ის წმინდა სახით სიბრძნის მოპოვებას უწოდებს.

48. თანატოსი – ბერძნ. სიკვდილის განსახიერება.

„თანატოსი ძილის ღვთაების, ჰიპნოსის ტყუპისცალი იყო. იგი

ნიქსმა (ლამემ) შვა. მოკვდავთათვის და უკვდავთათვის ერთნაირად საძულველი ეს პირქუმი ღვთაება ერთადერთი იყო, ძღვენს რომ არ იღებდა. მისი კულტი დადასტურებულია სპარტაში.

მითებში თანატოსი კომიკურ პერსონაჟად არის წარმოდგენილი: მას ასულელებს საზრიანი გმირი სისიფოსი; ჰერაკლე ორთაბრძოლაში ამარცხებს და თავისუფლების წილ ალკეტიის სიცოცხლეს სთხოვს.

ტრაგიკოსებს თანატოსი მუქი მოსასხამით, ფრთებითა და ხელში მახვილით გამოჰყავდათ სცენაზე. ასევე წარმოსახავდნენ თანატოსს ხელოვნებაში. ხანდახან მახვილის ნაცვლად მას ხელში მიმქრალი ჩირაღდანი ეჭირა“.

რ. გორდენიანი „ბერძნული მითები“.

დრამაში „ხელოვნების გზა“ თანატოსი – სიკვდილი გამო-სახულია, როგორც ადამიანის სიცოცხლის უერთგულესი თანამგზავრი.

მისი არსებობა ადამიანს შანსს აძლევს სიცოცხლის საზრისი მოიპოვოს. მხოლოდ მის წინაშე დგომას ძალუძს ადამიანს ხორციელი თვალი დაუბრძავოს და სულიერი თვალი აუხილოს, ამიტომაც ის დრამაში მოიაზრება, როგორც სიცოცხლის დიადი სუნთქვის მონაწილე და ადამიანის კეთილმოსურნე მგზავრი.

ის არის შემოქმედის მუდმივი თანამგზავრი. ის, ვინც მას მეგზურობას უწევს, მიღმური სამყაროს კარებს უხსნის და გაჰყავს ხელოვანი იმ სამყაროში, სადაც ის შესძლებს შექმნას ნაწარმოები. ამის გამო დრამაში მას ბებიაქალი ეწოდება.

49. ჰელიოსი – ბერძნ. მზის ღმერთი; ტიტანების, ჰიპერიონისა და თეას ვაჟი; სელენესა და ეოსის ძმა; რომაულ მითოლოგიაში მისი თანაგვარია სოლი, რომელსაც ხშირად აპოლონთან აიგივებდნენ.

ჰელიოსი უძველესი ღვთაებაა. მისი კულტი ოლიმპიური პანთეონის ჩამოყალიბებამდე არსებობდა. ბერძენთა რწმენით, იგი სამყაროს მაცოცხლებელ ძალას ფლობდა და თვალთა ნათელს ართმევდა ბოროტმოქმედებს. იმყოფებოდა რა ზეცის თაღზე, ჰე-

ლიოსი თვალ-ყურს ადევნებდა ღმერთებისა და ადამიანების საქმეებს. სწორედ ამიტომ შეარქვეს მას „ყოვლისმზილველი“. (ხაზგასმა ჩემია – ჟ. სირაძე)

ჰელიოსი ცხოვრობდა დიდებულ სასახლეში, წლის დროთა ქალღმერთებით გარემოცული. მითოსურ კუნძულზე, რომელსაც თრინაკია ეწოდებოდა, ბალახობდნენ მისი თეთრად მანათობელი ხარები (ოდისევსის თანამგზავრებმა რომ დაკლეს).

დღისით ცეცხლოვან ეტლზე ამხედრებული ჰელიოსი თავს ევლებოდა დედამიწას, მიმწუხრისას კი ოკეანოსის წმინდა წყლებში ჩაეშვებოდა და ოქროს ნავით მიცურავდა თავისი ამოხდომის ადგილამდე.

მზე-ღმერთს მრავალი შვილი ჰყავდა. ოკეანოსის ასულმა პერსეისმა მას უშვა აიეტი-კოლხთა სამეფოს სკიპტრის მპყრობელი.

ჯადოქარი კირკე და პასიფაე, კრეტის ლეგენდარული მეფის, მინოსის მეუღლე; ნიმფა კლიმენესგან ჰელიოსს ჰყავდა ვაჟი-ფაეთონი და ოთხი ასული; ნიმფა როდამ კი მას შვიდი ძე გაუჩინა.

ჰელიოსს ხშირად აიგივებდნენ მამამისთან, ჰიპერიონთან და ამის გამო მის ვაჟიშვილებს ჰიპერიონიდებსაც უწოდებდნენ. ძვ.წ. V საუკუნიდან კი ჰელიოსისა და აპოლონის კულტების თანაგვარობაც შეინიშნება.

შემოქმედნი ჰელიოსს მზით გაბრწყინებულ ეტლზე აღზევებულს წარმოსახავდნენ. (ხაზგასმა ჩემია – ჟ. სირაძე)“ **რ. გორდენიანი „ბერძნული მითები“.**

დრამაში ჰელიოსი, განასახიერებს შემოქმედის, საზოგადოდ სულიერ გზაზე მავალთა იგავმიუწვდომელ, მეორე სულისმძიერ მზეს, რომელიც არის ბებიაქალი თანატოსთან ერთად. ანუ, მზე და სიკვდილია, ის ორი ბებია-ქალი ხელოვანს, რომ მიუძღვებიან იმ ღვთაებრივ გზაზე, დიდი შემოქმედება რომ ეწოდება. დრამაში ის „ბნელ ოთახში“ გამოკეტეს, ანუ სიმბოლურად ის ყოფიერების ტუსაღად აქციეს ანუ ყოველდღიურობის ხმაურსა და ფუჭსიტყვაობას მიდევნებული, იაფფასიანი ხელოვანი მას ვერ „დაინახავდა“.

50. აფროდიტე – ბერძნ. ოლიმპიური რელიგიის ერთ-ერთი უმთავრესი ღვთაება, სიყვარულისა და მშვენიერების ქალღმერთი.

რომაულ მითოლოგიაში მას აიგივებენ **ვენუსთან**.

აფროდიტეს დაბადების ორი ვერსია არსებობს. ჰომეროსის გადმოცემის თანახმად, იგი **ზევისა** და ოკეანიდ დიონეს ასულია. სხვა, უფრო გავრცელებული ვერსიით, მისი წარმოშობა უკავშირდება **ურანოსს**: როდესაც **კრონოსმა** ბასრი ადამანტით ურანოსს მოჰკვეთა გასამრავლებელი ასო, იგი ზღვაში მოისროლა. ამ ასოს გარშემო ზვირთი აქაფდა, ხოლო ქაფიდან ამოიმართა ულამაზესი შიშველი ქალიშვილი, რომელმაც ნიჟარაზე მჯდომმა მიაღწია კუნძულ კვიპროსამდე. აქ სიხარულით შეეგებდნენ მას დროთა ღვთაება ჰორები და ღიღებულები ოქსინოთი შემოსეს და აღამაღლეს ოლიმპოსის მაღალ ღმერთებთან.

მისი მშვენიერებით მოხიბლულ ღმერთებს აღფრთოვანებული შემახილები აღმოხდათ. მას შემდეგ მარად ახალგაზრდა, ღვთაებათაგან სილამაზით გამორჩეული აფროდიტე ოლიმპოსის ბინადარია. აფროდიტეს თან მიჰყვებიან წელიწადის დროთა ცვლის მეუფე **ჰორები**, მომხიბლავი **ქარიტები**. დარწმუნების ღვთაება **პეითო**, ცელქი ბიჭუნა **ეროსი**, ქორწინების მფარველი **ჰიმენეოსი** და სხვა მარადიული ძალები.

აფროდიტეს წელს უმშვენიერეს ჯადოსნური სარტყელი, რომელშიც ჩაქსოვილია სიყვარული, ვნება, ტრფობის ჩურჩული, გრძნობის გამხელა, მაცდური სიტყვა და ყველა ზიზღი.

ზევსმა უმშვენიერესი აფროდიტე მიათხოვა ცეცხლისა და მჭედლობის ღმერთს, კოჭლ ჰეფესტოსს. კლასიკური პერიოდის ფილოსოფოსები ერთმანეთისგან განასხვავებდნენ აფროდიტე პანდემოსსა (უხეში, ვნებიანი სიყვარულის ღვთაება) და აფროდიტე ურანიას (ამაღლებული სიყვარულის ღვთაება). შესაბამისად, მას მრავალი მითი დაუკავშირდა, სადაც აისახა სიყვარულის ქალღმერთის ეს ორმხრივი ხასიათი.

აფროდიტესა და არესის სასიყვარულო კავშირის შედეგად დაიბადნენ: ჰარმონია, **ეროსი**, ანტეროსი, **ფობოსი** და დემოსი. აფროდიტეს ჰერმესისგანაც ჰყავდა ვაჟი სახელად ჰერმეფროდიტოსი. აფროდიტეს შეუყვარდა მოკვდავი **ანქიზესი**, რომლისგანაც შეეძინა ვაჟი **ენეასი**, რომაელთა ლეგენდარული წინაპარი. მისი საყვარელი იყო ფინიკიელი ჭაბუკი ალონისიცი. იგი მკაცრად სჯის

მათ, ვინც სიყვარულის ძალას უარყოფს. ასე დასაჯა მან სიკვდილით **ჰიპოლიტოსი**, **ნარკისოსი** (**ანუ ნარცისი**).

ტოტემიზმის კულტის ნიშნები აფროდიტეს კულტში გამოვლინდა იმით, რომ მას, როგორც ზღვის ღვთაებას, ეძღვნებოდა დელფინი: ხოლო როგორც ნაყოფიერების ღვთაებას – მტრედი, ბელურა, კურდღელი. სიყვარულისა და ნაყოფიერების მფარველი ქალღმერთის მცენარეებად ასახელებენ: ვარდს, ყაყაჩოს, ვაშლსა და მირტას.

რ. გორდეზიანი, „ბერძნული მითები“.

დრამა ერთი შეხედვით, აფროდიტეს შემთხვევაში ბერძნულ მითს მიუყვება. ორივე აფროდიტე პირდაპირ სცენაზეა ნაჩვენები, პირველი განასახიერებს კლასიკის ქმნილებაში ჩადებულ მშვენიერების სიმბოლოს და როგორც არაერთგზის აღვნიშნე – ყველა დიდი შემოქმედის, მათ შორის თანამედროვეთა სრულყოფილი ქმნილების ამაღლებული სახეა, რომელშიც ღვთის სუნთქვა და გზნება იხსნება და სულიერი, მეორე მზის სხივის ნათება ხელუხლებლად გამოსჭვივის. მეორე კი, დაკნინებული, დაცემული და უსახური სახეა ის, თანამედროვე იაფფასიანი და მოდერნისტულ ხელოვნებას გამოსახავს და სულაც არ თაკილობს ინტრიგაც კი გახლართოს. ჯერ ერთი ემანუელის დიდი შემოქმედის, ამაღლებული, უკვდავი სულის დაცემას დაისახავს მიზნად. ასევე ფსიქეას უკვდავ სულს და მზის სხივის ხელუხლებლობის დარღვევას განიზრახავს, რათა შექმნას იაფფასიანი, სლენგით დაწერილი ტექსტები.

აფროდიტეს დრამაში მხოლოდ ერთადერთი შვილი ჰყავს – ეროსი, რომელიც მასთან ერთად ქმნის ქმნილების შინაგან ქსოვილს და ხელოვნების ნაწარმოების ქმნალობის თანამონაწილეა.

51. ეროსი (ეროტი). ბერძნ. სიყვარულის ღვთაება. რომაულ მითოლოგიაში მისი სახელება აძური და კუპიდონი.

თავდაპირველად ეროსს ღმერთთა შორის არ მოიხსენიებდნენ. მას მიიჩნევდნენ პირველყოფილ, თავადშობილ კოსმოგონიურ ძალად, რომელიც სამყაროს ქმნალობისა და მოწესრიგების თანამონაწილე იყო. ორფიკოსების კოსმოგონიურ თეორიებში ეროსი ითვლებოდა

შემოქმედებით ძალად, რომელიც წინ უსწრებდა ღმერთთა და ადამიანთა მოვლინებას. კლასიკური ეპოქის ფილოსოფოსებთან ეროსი განასახიერებდა ადამიანურ სწრაფვას სიკეთის შეცნობისა და ღვთაებრივი მშვენიერებისადმი. მხოლოდ ძვ.შ. VI საუკუნიდან ჩნდება მითოსი, რომელიც ეროსს ოლიმპიურ პანთეონში წარმოადგენს. მითოგრაფისტთა უმეტესობის თანახმად, ეროსი აფროდიტეს თანამგზავრი კი არ არის მხოლოდ, არამედ მისი ძეა. რაც შეეხება ეროსის მამას, აქ უკვე აზრთა სხვადასხვაობა იჩენს თავს. ასახელებდნენ ქაოსს, ზევსს, არესს. პლატონი და პოეტი თეოკრიტოსი გვარწმუნებდნენ, რომ ეროსს ან არ ჰყავდა მშობლები, ან უცნობია მათი სახელები. მოგვიანებით ბერძნები განარჩევდნენ უძველეს, სიყვარულის კოსმოგონიური ძალის განმასახიერებელ ეროსს აფროდიტეს მიერ შობილი სიყვარულის ღვთაებისაგან, რომელსაც წარმოსახავდნენ პატარა, ფრთაშესხმულ ბიჭუნად ხელში მშვილდითა და ისრებით. მის მიერ ნატყორცნი ისრები ღმერთებსა და ადამიანებს სიყვარულის ძალით ავსებდა. ზოგს ეს ძალა ბედნიერებას ანიჭებდა, ზოგს კი – ტანჯავდა.

ეროსის მშვენიერ გამოსახულებებს ქმნიდნენ ყველა დროის მხატვრები და მოქანდაკეები. მას ხატავდნენ ლარნაკებზე, კედლებზე, თევშებზე, ბეჭდებსა თუ სხვა სამკაულებზე. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა თქმულება ეროსისა და ფსიქეას სიყვარულზე, რომელიც პირველად ჩვ.წ. II საუკუნის მწერლის, აპულეუსის „მეტამორფოზებში“ გამოჩნდა. მოგვიანებით ამ სიუჟეტზე მრავალი დრამა და ოპერა დაიწერა. რ. გორდეზიანი „ბერძნული მითები“.

ძალიან საინტერესოა, რომ „წარმართული ეროსი გარდაიქმნა ქრისტიანულ და თეოფილურად (ღვთის სიყვარულად) – უმაღლეს სიბრძნედ, რომელსაც არეოპაგელი უწოდებს „საღვთო ნისლს“.

საღვთო ნისლის არსებობის ცოდნა უკვე ნიშნავს იმას, რომ ადამიანი ესწრაფვის დაეუფლოს უმაღლესი სიბრძნის ათვისების გზებს.

საღვთო ნისლი არის მიუახლოებელი ნათელი, რომელშიც, ამბობენ, მკვიდრობს ღმერთი“. (ხაზგასმა ჩემია – ე. სირაძე)

ვ. შოშიაშვილი „ბიზანტიური ეპისტოლოგრაფია და ფსევდო-დიონისე არეოპაგელის⁴⁸ წერილები“. გვ. 62.

„... სიყვარულის დიდი ღვთაებაც – „ეროსი“ უძველეს ღმერთთა (ქაოსი, გეა, ტარტაროსი) ხომლში შერაცხილი იყო ჯერ კიდევ პესიოდეს მიერ. „ახალ აღთქმაში“ და, მის კვალდაკვალ, მთელ ქრისტოლოგიურ ლიტურატურაში საბოლოოდ ქრება „ეროსის“ („სიყვარული“) ხსენება, და მის ადგილს მეორე ბერძნული სიტყვა „აგაპე“ იმკვიდრებს, რომელიც ამიერიდან „სულიერ სიყვარულს“ აღნიშნავს, მაშინ როდესაც „ეროსს“ „ხორციელი სიყვარულის“ მნიშვნელობადა რჩება“.

ბ. ბრეგვაძე „დრო და მარადისობა“, 356 გვ.

დრამაში ეროსის დედა აფროდიტეა, მშვენიერებისა და სათნოების ქალღმერთი, რომელიც გაორდება და გარდაისახება თანამედროვეობის აპოკალიფსური ჟამის ხელოვნების სიმბოლოდ – უსახურების, თავქარიანობის და დაცემულობის სიმბოლოდ.

დრამაში თავად ეროსის გარდასახვა ხდება. მისი მსახურება მხოლოდ სიყვარულისგან დაცლილი სექსის მსახურებაა, რადგან მას აღარ ძალუძს ცის კაბადონზე ამალღებულ, ზეციურ მუსიკას აყოლილი ნაბიჯებით ფრთოსანი ფეხებით გაირბინოს და სიყვარული დაამკვიდროს.

აი, რას წერს პლატონი თავის შედეგში „ნადიმი“:

– „ეროსი მიწიერი აფროდიტესი მართლაც რომ მიწიერია და აღვირახსნილი. სწორედ ეს ეროსი მეფობს მიწიერ კაცთა შორის, რომელნიც განურჩევლად ეტრფიან როგორც დიაცებს, ისე ყრმებსაც, ხოლო ვისაც ეტრფიან, მასში სხეული უფრო ხიბლავთ მისი, ვიდრე სული. თავისი სიყვარულის საგანს ისინი ყველაზე უფრო თავქარიან არსებათა შორის არჩევენ და, თუ ვნება დაიცხრეს, ნაკლებად დაგიდევენ კანონიერის გზით მიაღწიეს ამას თუ არა“.

პლატონი „ნადიმი“, 21 გვ.

52. „დიონისე – (ბაქოსი). ბერძნ. ღვინის, თრობისა და სულიერი შვების მომკვრელი ღვთაება; მევენახეობისა და მეღვინეობის მფარველი ღმერთი; ზევსისა და სემელეს ძე. რომაულ მითოლოგიაში მას ბახუსს უწოდებენ.

დიონისემ მოგვიანებით დაიმკვიდრა ადგილი ოლიმპიურ პანთონში, თუმცა ხალხს ძლიერ უყვარდა ეს მხიარული ღვთაება. საქვეყნოდ იყო ცნობილი მისი საოცარი დაბადების მითოსი: ზევსს შეუყვარდა თებეს მეფის მშვენიერი ასული სემელე და ჰერასგან მალულად ზვდებოდა ხოლმე მას. როდესაც ცათა დედოფალმა ეს ამბავი შეიტყო. სემელეს ძიძად, ეპიდავროსელ ბებიაქალად გარდაისახა. სემელემ ძიძა შინ მიიწვია. ერთმანეთი რომ მოიკითხეს, ზევსიც ახსენეს. ძიძად გარდასახულმა ჰერამ ასე დაარიგა სემელე: ის თუ ზევსია, დააფიცე სტიქსის ძალები, რომ თავისი სახით გამოგეცხადოს. როდესაც სემელეს თალამოსში მობრძანდა ზევსი. შეყვარებულმა ქალმა სთხოვა, დაეფიცა სტიქსის ძალები, რომ ერთ სურვილს აღუსრულებდა. ზევსმა დაიფიცა. მაშინ სემელემ სთხოვა ღმერთს, მიეღო თავისი ჭეშმარიტი სახე და ისე მიაღერებოდა. ამოიგმინა ზევსმა და რაც შეჰფიცა, აღასრულა: ზეცად აღზევდა, შემოიკრიბა საავდრო ღრუბლები, ელვა, მეხი, ჭექა-ქუხილი და ცეცხლის ფრქვევით გამოეცხადა სასიკვდილოდ განწირულ სემელეს. მეხისტენაში იფერფლებოდა საბრალო ქალი, რომელიც მუცლით ატარებდა უმწიფარ ნაყოფს. შეებრალა ზევსს თავისი ჩვილი, ამოიყვანა დედის საშოდან და თეძოში ჩაისვა. როდესაც დიონისეს ქვეყნად მოვლენის დრო დადგა, კვლავ დაიბადა. სწორედ ამიტომ უწოდებენ მას „ორგზის შობილს“.

ჰერას ბრძანებით ახალშობილი დიონისე **ტიტანებმა** მოიტაცეს და ასო-ასო აკუწეს. მისმა დიდებამ, **რეამ**, შვილიშვილის სხეული აღადგინა და სასიცოცხლო სული შთაბერა. ზევსმა, **პერსეფონეს** სთხოვა, ყურადღება არ მოეკლო დიონისესთვის. მან კი პატარა აღსაზრდელად მიაბარა სემელეს დას, ინოს. აქაც მიაგნო ჰერამ. ახლა ზევსმა ღმერთების მაცნე ჰერმესს სთხოვა მისი მფარველობა. ჰერმესმა დიონისე დროებით ციკნად გარდასახა და **ჰელიკონის ნიმფებს** მიჰგვარა. ნიმფებმა სიყვარულით გამოზარდეს მომავალი ღვთაება. სწორედ აქ, ჰელიკონის ტყის დაბურულ ნისას ფერდობებზე ეზიარა დიონისე ღვინის დამზადების საიდუმლოს, რამაც მას სამუდამოდ გაუთქვა სახელი. ბოლოსდაბოლოს, ჰერამ შეიწყნარა დიონისე და **ოლიმპოზე** დავანების ნება დართო, ოღონდ გონება დაუბინდა. დიონისემ არ ისურვა ცისიერებთან ყოფნა, მიწაზე

დარჩა და მრავალ ქალაქს ეწვია. მას თავს ვაზისა და სუროს ფოთლებით მოწნული გვირგვინი უმშვენებდა, ხელში ჯადოსნური კვერთხი, თირსოსი, ეკავა, მხრებზე ძოწისფერი ქათიბი ჰქონდა მოსხმული და ღვინის სურნელით აბრუებდა ყველას. დიონისეს თან სდევდა მოხუცი **სილენოსი**, **მენადების** დასი და ველური **სატირების** ბრბო. მის თანმხლებთა შორის იყო **პანიც**. იგი ხშირად უკრავდა სტვირზე, ხოლო დიონისემ შემოიარა ეგვიპტე, სირია, ინდოეთი, ბოლოს ფრიგიას ეწვია, სადაც რეაკიბელემ მის გონებას ბინდი ჩამოაცილა. მან ხალხს ასწავლა ვაზის მოვლა, ღვინის დაწურვა. დააარსა დიდი ქალაქები და დაუწესა კანონები. ცნობილია ამბავი თუ როგორ დაატყვევეს მეკობრეებმა დიონისე და მან თუ როგორ გარდასახა ისინი დელფინებად.

კუნძულ ნაქსოსზე დიონისემ იხილა კრეტის მეფის, **მინოსის**, მშვენიერი ასული **არიადნე**, რომელიც **თესევსმა** მიატოვა. მან ანუგეშა მეფის ასული, **ჰეფესტოს** ნახელავი გვირგვინი უძღვნა და ცოლად შეირთო.

ბევრი ქვეყანა მოიარა კიდევ დიონისემ. ბოლოს ცად ამალღდა, რათა მამ-ზევისათვის დაემშვენებინა მხარი. კერიის მფარველმა ქალღმერთმა **ჰესტიამ** დაუთმო მას საღმრთო სუფრასთან თავისი ადგილი.

ასე რომ, ოლიმპოს თორმეტ ღმერთს შორის დიონისე გვიან დამკვიდრდა, თუმცა **დელოფოში** მას **აპოლონის** თანაბარ პატივს მიაგებდნენ. დიონისეს მცენარეულ სიმბოლოებად ითვლებოდა ვაზის მტევანი, და სურო. ცხოველურ სიმბოლოებად – ხარი, ცხენი და თხა.

საბერძნეთში მას მრავალი დღესასწაული მიეძღვნა, რაც ბერძნული დრამის აღმოცენების საფუძველიც გახდა. დიონისეს სახელთან დაკავშირებულ დღესასწაულებს ოთხ ტიპად აჯგუფებენ და მათში თავისი უაღრესობით გამოჰყოფენ ე.წ. დიდ დიონისიებს („კატაგოგია“ ანუ დიონისეს შემოსვლა ზღვიდან). ეს იყო უდიდესი ზეიმი, რომელიც ათენში ძვ.წ. VI საუკუნიდან დაფუძნდა, ზეიმზე გამოდიოდა გუნდი (ქორო), რომელიც ასრულებდა დიონისეს სადიდებულ ჰიმნებს. მათ „**დითირამბებს**“ უწოდებდნენ., მოგვიანებით დითირამბოსში შევიდა სადიალოგო პარტიაც. ასე წარმოიშვა

პირველი სანახაობა, რომელიც მოგვიანებით ტრაგედიისა და კომედიის სახელწოდებას მიიღებს, ყოველივე ეს კი საფუძველს დაუდებს თეატრალურ ხელოვნებას. სიტყვა „ტრაგედია“ ითარგმნება, როგორც „თხის სიმღერა“. მისი შემსრულებელი მსახიობები თხის ტყავით იყვნენ შემოსილნი და ღიონისეს თანამგზავრებს – სატირებს განასახიერებდნენ. სახელწოდება „კომედია“ კი მომდინარეობს სიტყვიდან „კომოს“. ასე ეწოდებოდა იმ მხიარულ პროცესიას, რომელიც საერთო ღრეობის შემდეგ იმართებოდა. ამ კომოსის მონაწილენი უწმაწურ სიმღერებს მღეროდნენ და გარშემომყოფთ დასცინოდნენ.

კარნავალურობა, სიმღერა, ცეკვა, ხოტბა, დაცინვა, ცხოველური ნიღბები, ტრანსი უხსოვარი დროიდან ახასიათებდა ძველ ხალხთა რიტუალურ მსვლელობას.

დიონისური დღესასწაულების დამსახურება ისაა, რომ მან გააერთიანა ყველა ეს ელემენტი; სერიოზული და არასერიოზული, ტრაგიკული და კომიკური ერთმანეთს დაუკავშირა და საკულტო ცერემონიათა სტიქიურობიდან გამომდინარე პროფესიონალურ სანახაობას დაუდო დასაბამი. (ხაზგასმა ჩემია – ჟ. სირაძე).

დიონისეს მრავალი ნაწარმოები მიემდგნა. ანტიკური ლიტერატურიდან აღსანიშნავია ე.წ. ჰომეროსის ჰიმნი და ევრიპიდეს ტრაგედია სახელწოდებით „ბაკქი ქალები“. თავდაპირველად დიონისეს წარმოადგენდნენ წვერებიანი კაცის სახითა და გრძელი სამოსით. მოყოლებული ძვ.წ. V საუკუნიდან მას უკვე ლამაზ ჭაბუკად წარმოსახავენ, ხანდახან ახალშობილადაც. საყოველთაო აღიარება მოიპოვა პრაქსიტელესის ქანდაკებამ, რომელსაც პირობითად ჰქვია „ჰერმესი ჩვილი დიონისეთი“. ლარნაკთა ფერწერაში ხშირად ვხვდებით ტირსენიელი მეკობრეების მითოსის თემას. მოგვიანებით დიონისეს არაჩვეულებრივი თავგადასავლების სახელოვან მხატვართა, მოქანდაკეთა თუ კომპოზიტორთა შთაგონების წყაროდ იქცა. რ. გორდეზიანი „ბერძნული მითები“.

„ორფიული მნიშვნელობით დიონისე და აპოლონი ერთი და იგივე ღმერთის ორი სხვადასხვა ღმერთის გამოცხადება იყო. დიონისე გვეკვლინება ეზოთერულ ჭეშმარიტებად, საგანთა საწყისად და შინაგან არსად, რომელიც მხოლოდ ხელდასმულთათვის არის მი-

საწვდომი. ის არის სიცოცხლის საიდუმლო, წარსული და მომავალი არსებობანი, სხეულისადმი სულისა და მიწიერისადმი ცის დამოკიდებულება.

აპოლონი იმავე იდეას განასახიერებდა, ოღონდ მიწიერ ცხოვრებასთან, საზოგადოებრივ წყობასთან კავშირში. პოეზიის, მედიცინის და კანონმდებლობის შთაგონებელი აპოლონი მეცნიერებაში წინასწარმეტყველებით ვლინდება, ხელოვნებაში – სილამაზით, ხალხთა ბედისწერაში – სამართლიანობით, ეთიკაში – განწმენდით“.

ე. შურე. „დიადი ხელდასმულნი“ გვ. 245.

დიონისე დრამაში განასახიერებს სიცოცხლის იმ გემოს, რითაც კაცს უშუალოდ ცხოვრება ასაჩუქრებს, – როცა მას ამბავი, განსაცდელი გარდახდება თავს. ის, ამ გამოცდის ჟამს შეიგრძნობს იმ მწარე-ტკბილ გემოს ჟრჟოლვას, რაც ყოფიერების ფარულ დინებას დაჰყვება.

დრამაში დიონისე – აპოლონისდარად გარდაისახება თუთიყუშად, ანუ ის გახევებულ და გაქვავებულ რობოტად არის ქცეული და ეს სიმბოლოა თანამედროვე იაფფასიან ნაწარმოებში გამოსახული ცხოვრების ფარული ხმისა, – ხელოვნურ და მონოტონურ ბგერად რომ არის ქცეული.

53. ევრიდიკე – ხის ნიმფას ქალიშვილი, ლეგენდარული შემოქმედის ორფეოსის მეუღლე.

(ევრიდიკისა და ორფეოსის ამბავი უკვე აღმოვეციტით – იხ. ორფეოსი, – რ. გორდეზიანი, „ბერძნული მითები“ ნაწ. II.) დრამაში ევრიდიკე გამოყვანილია გაორებული სახით. ერთის მხრივ ის ხატია, სიმბოლოა რაფინირებული, მუსიკალური და ზეაღმტაცო ხელოვნებისა. ცხადია, ეს კლასიკაა, და არა მარტო კლასიკისა, არამედ ყველა იმ თანამედროვე ჭეშმარიტი ხელოვნებისა, (თუნდაც ეს პიკასოს კუბისტური ხანის ქმნილებები იყოს). სიტყვა თანამედროვე დრამაში, სიმბოლურად გამოიყენება, მდარე და იაფფასიანი ხელოვნების მისამართით, დრამის სიუჟეტის გამოსახატავად) მასში ევრიდიკე განწმენდილი და შუქმფენი ხატის სახით მონაწილეობს, როგორც ცხოვრების საზრისი და კვინტენსაცია. ეს მაშინ

მოხდა, როცა ევრიდიკე დაიძლია, ანუ როცა ორფეოსმა გველის ნაკენით შესძლო მოკვდინება და ცით ხელახლა იშვა.

მაშინ როცა მეორე ევრიდიკე პირდაპირ გადმოდის ყოველდღიურობიდან ხელოვნებაში. ამიტომაც გამოიყურება ის ასე სასაცილოდ. ასიმეტრიულად აჭრილი კაბა, გაწყობილი მწვანე-ბრჭყვიალა ნაჭრით, ქუდის ნაცვლად კი პური ადევს მწვანე ბუმბულებით გაწყობილი. სატირი ევრიდიკეს ცხოვრებას მთლიანად იღებს თავისი ამაობებითა და საცთურით, ამის დასტურსყოფაა, რომ ის ევრიდიკეს მხლებელ გველს წამდაუწუმ კოცნის.

მეორე ევრიდიკე კი განასახიერებს ცხოვრების ყოველდღიურობას, მონოტონურობას, უაზრობას, უწვრთნელობას. ამ ხელოვნებაში ადამიანი უწრთველნი ცხოველის ღონემდეა დაცემულები.

54. აპოლონი – ბერძნ. ოლიმპიური რელიგიის ერთ-ერთი უმთავრესი ღვთაება; მზისა და სინათლის განმასახიერებელი ღმერთი; წინასწარმეტყველი, მკურნალი და ხელოვნების მფარველი; **ზევის** ძე, **არტემისის** ტყუპისცალი.

არსებობს მოსაზრება, რომ ზევის კულტის საბოლოო დამკვიდრებამდე სწორედ აპოლონი იყო უზენაესი ღვთაება. მისი ერთ-ერთი ეპითეტი იყო „თურაიოსი“ („მეკარე“).

რადგან აპოლონის დედა ლეტო (აპოლონსა და არტემიდეზე ფეხმძიმე) დევნილი იყო ჰერასგან, რომელმაც მას საშინელი ურჩხული პითონი მიუჩინა. ლევანდის თანახმად აპოლონმა შური იძია და მოკლა ურჩხული.

პითონი დედა-ღვთაების, გეას ძე იყო და ამიტომაც ზევსმა აპოლონს მოუწოდა, განწმენდილიყო დაღვრილი სისხლისაგან, ხოლო შემდეგ პითონის პატივსაცემად დაეარსებინა **პითიური ასპარეზობანი**. ასე მოიქცა აპოლონი. მან დააწესა პითიური შეჯიბრებები და დააფუძნა **დელფოს** ტაძარი და სამისნო, რომელიც უმნიშვნელოვანესი იყო მისი კულტისადმი მიძღვნილ სხვა ტაძართა შორის.

დელფოს დიდება ძვ.წ. VII საუკუნიდან განსაკუთრებით იზრდება. იგი იქცევა ბერძენთა საერთო რელიგიურ და პოლიტიკურ

ცენტრად. დელფოს სახელი გასცდა ელინურ სამყაროს. აქ მოდიოდნენ არა მარტო საბერძნეთიდან, არამედ სხვა ქვეყნებიდან წინასწარუწყების მოსასმენად. აქ, სამისნოში, აპოლონის წმინდა სამფეხზე იჯდა ქურუმი ქალი **პითია** და ღმერთის ნებას აუწყებდა მოსულთ.

მუზებს – **თალიასა** და **ურანიას** აპოლონმა ჩაუსახა ლინოსი და **ორფევსი**. ცნობილი მკურნალი **ასკლეპიოსი**.

სწორედ ამ **ასკლეპიოსის** გამო განარისხა აპოლონმა ზევსი. იმიტომ რომ მკურნალმა ასკლეპიოსმა დაიწყო მიცვალებულთა გაცოცხლება, რითაც დაარღვია სამყაროში არსებული წესრიგი და ჰარმონია, ზევსმა იგი ელვით განგმირა. შეურაცხყოფილმა აპოლონმა კი ამოხოცა **კიკლოები** – ცალთვალა გოლიათები. განრისხებულ ზევსს სურდა საზღვარგარეთ ჩაეგდო **ტარტაროსში** სინათლის ღვთაება, მაგრამ შეიბრალა ლეტო, რომელმაც სთხოვა, დაენდო მათი ღვთაებრივი ძე. ღმერთთა და კაცთა განმგებელმა სასჯელი შეუმსუბუქა აპოლონს – თესალიაში გაგზავნა და მეფე ადმეტოსთან სამსახური უბრძანა.

აპოლონი მთელი წელი მწყემსავდა სამეფო ნახირს, ხოლო ადმეტოსი მას დიდი პატივისცემითა და მოკრძალებით ეპყრობოდა, რაც დაუფასდა კიდევ; აპოლონი მიეხმარა მას, ცოლად შეერთო მშვენიერი ალკესტისი.

აპოლონის სახელთან კიდევ მრავალი მითოსია დაკავშირებული. მათ შორის აღსანიშნავია: ბრძოლა **გიგანტებთან**, **ნობეს** შვილთა დალუპვა, **ტროას ომში** მონაწილეობა, **ჰერმესის** ძღვენი, **მარსიასი**, **კასანდრას** დასჯა, ნიმფა **დაფნეს** შეყვარება, ტროას კედლის აშენება და სხვა.

ბერძნული რელიგიის განვითარებასთან ერთად აპოლონის კულტმა შთანთქა ჰელიოსის კულტი.

აპოლონი ღმერთთა შორის ულამაზესი იყო. მალალსა და ახოვანს, ოქროსთმიანს ამშვენებდა მარადიული ახალგაზრდობა და ღვთაებრივად ნათელი თვალები, რომლებიც სივრცისა და დროის მიღმა იმზირებოდნენ. (ხაზგასმა ჩემია – ჟ. სირამე) შესაბამისად, აპოლონი მისნობის ღვთაებაც იყო. იგი მფარველობდა ნათელ-

მხილველებს, მომღერლებს, პოეტებს, რომელთაც „აპოლონის შვილებს“ უწოდებდნენ. თავად კი დიდებულად ფლობდა ბერძნულ სიმებიან საკრავზე, კითარაზე დაკვრის ხელოვნებას.

აპოლონი, როგორც პოეზიისა და მუსიკის ღვთაება, მუზათა წინამძღოლად, ანუ მუსაგეტესად ითვლებოდა, მუზები, ზევსისა და მნემოსინეს (მენსიერების ქალღმერთი) ქალიშვილები, ჰელიკონის ან პარნასოსის მთაზე იკრიბებოდნენ. დროდადრო ოლიმპოსზეც იწვევდა ხოლმე აპოლონი მუზათა დასს. მაშინ ღვთაებრივი სიმღერით მონუსხულ ღმერთებს ავიწყდებოდათ მტრობა და შუღლი. სიმშვიდე ისადგურებდა უკვდავთა სამყოფელში.

მუზათა დასში აპოლონი კითარით ხელშია წარმოდგენილი, გრძელი სამოსით, დაფნის გვირგვინით.

თანამედროვე ევროპაში აპოლონი წესრიგის, ჰარმონიის, მშვენიერებისა და გონიერების სიმბოლოდ იქცა, რამაც თავისი ასახვა ჰპოვა ნიცშეს თეორიაში ბერძნული კულტურის ორი საწყისის – აპოლონურისა და დიონისურის თაობაზე. როდესაც საუბრობენ ბერძნული კულტურის „აპოლონურ საწყისზე“ მხედველობაში აქვთ მისი რაციონალური, სიბრძნისმიერი ძირები.

რ. გორდეზიანი „ბერძნული მითები“.

„სხივთამთოველ ღმერთს შეუყვარდა ნიმფა დაფნე, დაედევნა, შეიპყრო, მაგრამ ხელშივე შეეფოთლა, ხელ იქცა და ამიერიდან დაფნა აპოლონის წმინდა ხეა, ღირსი პატივისა, რომ დიდ ხელოვანთა და სარდალთა შუბლი შეამკოს“ (ოვ. მეტ. I) ა. გელოვანი „მითოლოგიური ლექსიკონი“, გვ. 62

იმ მხრივ, რომ აპოლონი ითვლება ხელოვნების მფარველად, დრამა ბერძნულ მითს მისდევს, მაგრამ მას დრამაში აკისრია ნაწარმოებში იღუმლად ჩაღვრილი სინათლის, მისი ფორმისა და კომპოზიციის ხელმძღვანელობა.

დრამის მეორე ნახევარში კი ის გარდაისახება თუთიყუშად, რობოტად, ანუ როგორი „სინათლე“ „ფორმა“ და „კომპოზიცია“ აქვს მეტისმეტად იაფფასიან, მოღერნისტულ ნაწარმოებებს.

55. ერინიები – ბერძნ. შურისძიების ღვთაებები, რომლებიც წარმოიშვნენ ურანოსის სისხლის წვეთებიდან. რომაულ მითოლოგიაში: ფურიები.

როდესაც ურანოსს გასამრავლებელი ასო მოკვეთა კრონოსმა, გადმონადენმა სისხლმა უკანასკნელად გაანაყოფიერა დედამიწა – გეა, რომელმაც წელთა ბრუნვაში შვა შურისგების ქალღმერთები, ერინიები, გვიანტები და ნიმფები.

ერინიები, გვიანდელი მითოსის თანახმად, სამნი არიან: ტისიფონე, ალექტო და მეგერა. ისინი ტარტაროსში ცხოვრობენ და განასახიერებდენ სინდისის მარადიულ და დამთრგუნველ ქენჯნას, დევნიან ცოდვილებს მიწაზე თუ მიწის ქვეშ.

დროთა განმავლობაში ერინიები გადაიქცნენ დამნაშავეთა სინდისის ქენჯნის განმასახიერებელ ღვთაებებად. მონანიებისა და რელიგიური განწმენდის შემდეგ ცოდვილი თავისუფლდებოდა ერინიათა დევნიდან. თანდათან ერინიებმა კეთილმოწყალე ქალღმერთთა ფუნქციაც შეიძინეს და ევმენიდებად გარდაისახნენ. ეს მათი საკულტო სახელი იყო ატიკაში.

რ. გორდეზიანი „ბერძნული მითები“

ერინიები და ევმენიდები დრამაში ცალ-ცალკე გამოდიან სცენაზე. ამ შემთხვევაში დრამა ბერძნულ მითს მიუყვება, რადგან ბოლო მოქმედებაში ერინიები; შურისძიების ქალღმერთნი აღტაცებულნი არიან რა ემანუელს ძალისხმევით, ანუ იმით, რომ მან თავისი ცნობიერება-განწმენდა და საბოლოოდ ჰქრება კიდევ ხელოვნების თანამედროვე სამეფოში დაფუძნებული ილუზია ბოროტებისა, რის სიმბოლოსაც სატირი წარმოადგენდა. ისინი ევმენიდებს უერთდებიან და მათი შურისგების გრძნობა გარდაისახება და ისინიც საერთო სინარულს უერთდებიან. დრამაში ყველაფერი ვედრებითა და ლოცვის მადლმოსილი სულიერი მოძრაობით აღესრულება.

56. ევმენიდები – ბერძნ. („კეთილმოსურნე ღვთაებები“).

ერინიები მას შემდეგ, რაც შეწყვეტდნენ ცოდვილთა დევნას, ევმენიდებად, კეთილმოსურნე ღვთაებებად, გარდაისახებოდნენ,

რადგანაც შურისძიება, გარკვეულწილად, წესრიგისა და ჰარმონიის აღდგენასაც გულისხმობდა. ამ დროს ერინიები თმობდნენ თავიანთ ბოროტ არსს და კანონის მფარველთა ფუნქციას იძენდნენ. აქედან გამომდინარე, ბერძნულ ნატურფილოსოფიაში ევმენიდები „სამართლიანობის მეთვალყურეთა“ გაგებით მოიაზრებიან, რადგანაც მათი ნების გარეშე „თავად მზესაც კი არ შეუძლია სხივთაფენა ზომაზე მეტად“.

ევმენიდების კულტი არსებობდა ათენის არეოპაგოსზე.
რ. გორდეზიანი „ბერძნული მითები“

57. პიესის კომენტარი:

„ჩემი თვალები ცარიელია

და რას ვხედავ ამ სიცარიელეში?

და ეს ქარია, და ეს ქარია, და ეს ქარია.

ქარი ტალღა ქარი ვარდი ქარი სამშოლო.

და ეს უბრალოდ არაფერია

და არაფერი არაფერია“.

ჟ. სირაძე „ხელოვანის გზა“. გვ. 34.-35

ჩემი თვალები ცარიელია – ემანუელ ამბობს, ჩემი სულიერობის სარკე ცარიელია. ამ თავზარდამცემი ფრაზის აღქმას შეგვაძლევს ბინებს ფრაგმენტი მ. ჰაიდეგერის შედევიდან:

– „**მსოფლიო ღამის ხანაში უნდა აიტანო სამყაროს უსაყრდენობა და უნდა გამოიცადო. ეს ნიშნავს, რომ აუცილებელია ამ ხანაში იყვნენ ისეთები, ვინც უფსკრულში ჩაეშვება**“.

მ. ჰაიდეგერი „რისთვის ვიმღერო?“ (რუს. თარგმ. ჟ.ს.)

და ემანუელ სწორედაც ის ხელოვანია, ვინც თავისი დროების, მსოფლიო ღამის წყვილადში გადაწყვიტა უფსკრულში ჩაშვება, ამიტომაცაა მისი თვალები ცარიელი. ის ვარდება იმ ბერძნულ დროში, რომელშიც სამყაროული სისავსე ვეღარ დაინახება.

და აქ დაისმის მტანჯველი კითხვა:

– ეს ნიშნავს, რომ ემანუელის სული და გული არ არის მზად ღმერთი იხილოს?

რადგან, როგორც მათეს სახარებაში წერია:

5.8. მათე „ნეტარ იყვნენ წმინდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ“.

თეოფილაქტე ბულგარელი ასეთ კომენტარს აკეთებს:

– „სარკე მხოლოდ მაშინ აირეკლავს სახეს, თუ სუფთაა, ასევე ღვთის განჭვრეტაცა და საღვთო წერილის გულისხმისყოფაც მხოლოდ წმინდა სულისთვისაა მისაწვდომი“.

მაგრამ ემანუელის ტრაგედია უპირველესად იმ ეპოქის შვილობაა, რომელმაც ადამიანს მიუსაჯა სამყაროს უსაყრდენობის საზარლობა და მისი უპირველესი ამოცანაა, როგორც ხელოვანისთვის ამ გადასასვლელი ხიდის დაძლევა.

ჰაიდეგერი თავის შედეგში ასე აგრძელებს სამყაროს უსაყრდენობის საზარლობის აღწერას:

– „მსოფლიო დრო, რომელსაც არ გააჩნია ძირი, უფსკრულზეა ჩამოკიდებული“

მ. ჰაიდეგერი „რისთვის ვიმღერო“ (რუს. თარგმ. ჟ.ს.)

ღვთაებრივის განქრობის საზარელი განცდა ემანუელთან განიცდება, როგორც ქარის ქროლვა – ეს უსაყრდენობის განცდაა ყოველ საგანს თავზარდამცემ სიცარიელეში, რომ ჩააგდებს, – სადაც ის არარავდება, განიმქვრება. და ემანუელ როცა საკუთარ თავში იხელება, აღასრულებს ხელოვანის – ამ მაღალი სულიერობის ამოცანა-სასჯელს – და ის „უფსკრულში ჩაშვებული“ განჭვრეტს იმ კოსმოსური ღამის წყვილადს და ასე იხილავს განუსხვავებლად ყველა საგანს: სამშობლოს, ვარდს, ზღვის ტალღას, ვით სიცარიელესა და არაფერობას.

ამ არაფერობის იქით უნდა ვიგულისხმოთ, ის არაფერი, რომელზედაც ჰაიდეგერი ენიგმურ ტექსტს დაწერს:

„Бытие – это не бог и не основа мира.

Бытие – это ничто, ничто – существо“.

და შეიძლება, მეორე ფრაზაც მოვიშველიოთ, რათა ჰაიდეგერი-სივე ფრაზით გავხსნათ ეს ენიგმა. – „Бытие шире, чем существо, и бытие человека, чем любое существо, будто животное, произведение искусства, машин и будто ангел и бог“.

„ქარის ქროლვა“ ეს არის ღმერთის მიერ თავის წიად, თავის

წრე-ბრუნვაში განქრობის დაუსრულებელი და თავზარდამცემი ხატი.

ჩვენ ამ ხატის განსხვავებულ ინტერპრეტაციებს ვიცნობთ, და მიუხედავად იმისა, რომ ხატის ინტერპრეტაციის დაყვანა რამოდენიმე მნიშვნელობაზე უფრო ადამიანის ზედაპირულობაზე მიგვანიშნებს, მე, მაინც ერთ-ერთზე გავამახვილებდი ყურადღებას.

ქარი – მისი მოძრაობის კანონები მიუწვდომელია ადამიან-ისათვის. იოანე 3.8.

ქარი – ღმერთის განაჩენი ეს. 29.6.41.16.

ქარი ღმერთისგან იგზავნება, როგორც სასჯელი ცოდვებისათვის. 2 სჯ. 28; 38-42.

ჰაიდეგერის ტექსტს რომ მივყევით: ეს დრო დალდასმულია ღმერთის არმოსვლით ძველ ქართულად, ეს ასე ითქმის: „პირაშემულობა ღმერთისა“ – „იმედგაცრუება“ ნიშნავს, როგორც, ჰაიდეგერი წერს: „არავითარ ღმერთს უკვე აღარ ძალუმს საჩინოდ და ასე ფხიზლად შემოიკრიბოს თავის ირგვლივ – ადამიანები და საგნები. და ვეღარ ათანხმებს ამ შემოკრებით მსოფლიო ისტორიას და მასში ადამიანის მყოფობას ვეღარ ჩასწერს“. მ. ჰაიდეგერი „რისთვის ვიმღერო?“ თარგმანი გ. ბარამიძე.

ჰაიდეგერის ეს გოდება უბრწყინვალესი მუსიკალური რექვიემია, რადგან ჩვენ თითქოსდა ჩაგვესმის ჰარმონიული სამყაროს ექოსადმი და სინათლისადმი ნოსტალგია. ამ დაუსაბამო სევდით, უსაზომო და იგავმიუწვდომელი მშვენიერების მოღენა ხდება. ასე ვასცდება ფილოსოფია ფილოსოფიის ზღვრებს და მუსიკად გარდაისახება. აი, ამ მუსიკის ფრაგმენტი:

– „... ღმერთის იმედგაცრუებაში გამოკრთება რაღაც უფრო საშინელი. რადგან არა მარტო ღმერთები წავიდნენ, არამედ თავად ბრწყინვალეობა მათი ღვთაებრივი ციალისა ჩაქრა მსოფლიო ისტორიაში“. მ. ჰაიდეგერი „რისთვის ვიმღერო?“ რუს. თარგმ. ჟ. სირაძე.

58. პიესის კომენტარი:

„ადამიანი არავის და არაფერს არ ჰგავს“

ჟ. სირაძე „ხელოვანის გზა“ გვ. 37.

ამ ფრაზის აღსაქმელად, უპირველესად უნდა გათვალისწინებულ იქნეს, რომ ჩვენ ხელოვნების წარმოსახვით სამყაროში ვიმყოფებით და მაშასადამე, ადამიანი ემპირიულ რეალობაში კი არ მოიაზრება, არამედ ის ამ შემთხვევაში ესთეტიკური ფენომენია.

ეს ფრაზა ლაპიდარულად ასახავს თანამედროვე ხელოვნების თეორიათა მოთხოვნებს. ეს არის კონსტანტაცია იმ „ადამიანურობისა“, რაზედაც ორტეგა-ი-გასეტი ასე წერს:

– „... **ხედვის ადამიანური წერტილი**, ის წერტილია, საიდანაც ჩვენ განვიცდით სიტუაციებს, ადამიანებსა და საგნებს. ცხადია, რომ ადამიანური, ჰუმანიზირებული გვეჩვენება ყველა რეალობა – ქალი, პეიზაჟი, ბედი, – როცა ისინი წარმოგვიდგებიან იმ პერსპექტივაში, რომელშიაც ისინი ჩვეულებრივ განიცდებიან“.

ორტეგა-ი-გასეტი „ხელოვნების დეჰუმანიზაცია“ 34 გვ.

„ნაცვლად იმისა, რომ შეძლებისდაგვარად მიუახლოვდეს რეალობას, ხელოვანი (ცხადია, აქ თანამედროვე ხელოვანი იგულისხმება – ჟ.ს.) პირიქით, მის წინააღმდეგ ილაშქრებს: ცდილობს შემუსროს ადამიანური ასპექტი, მოახდინოს მისი დეჰუმანიზაცია.“

... ვინ მოსთვლის, რამდენი ინგლისელი ეტრფოდა ჯოკონდას, მაგრამ თანამედროვე სურათზე გამოსახული საგნების შეთვისება კი შეუძლებელია: ცოცხალი ფორმებისგან, რომ განძარცვა ისინი, მხატვარმა დაანგრია ყველა ხიდი, დაწვა ყველა ხომალდი, რომლებსაც შეეძლოთ ჩვენთვის ჩვეულ სამყაროში გადავეყვანეთ“.

ორტეგა-ი-გასეტი „ხელოვნების დეჰუმანიზაცია“, 40 გვ.

და მე ისევ, ორტეგა-ი-გასეტის ციტირებას ვაგავრძელებ:

„ზოგი, ალბათ იმასაც იტყვის, რომ ამნაირ შედეგს ადვილად შეიძლება მიაღწიო. ყოველგვარი ადამიანური ფორმებისგან – კაცის, სახლისა თუ მთისაგან – სრული აბსტრაქტიზებით და იმნაირი გამოსახულების შექმნით, რომელიც **არაფერს არა ჰგავს, არაფერს არ მოგვაგონებს** (ხაზგასმა ჩემია – ჟ.ს.), მაგრამ, ჯერ ერთი, ეს არარაციონალურია. ვინ იცის, იქნებ ორნამენტის ყველაზე აბსტრაქტულ ხაზში ფარულად ფეთქავს გარკვეულ ბუნებრივ ფორმათა ბუნდოვანი მოგონება, და მეორეც, რაც ყველაზე არსებითია, – ხელოვნება, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ, არაადამიანურია, არა

მარტო იმიტომ, რომ ადამიანურ რეალობას არ შეიცავს, არამედ იმიტომაც, რომ პრინციპულად დეჰუმანიზაციის მიმართაა ორიენტირებული. ადამიანურობას რომ გაურბის, მისთვის იმდენად მნიშვნელოვანი როლია ტერმინი **ვისთვის – ad quem** რამდენადაც ტერმინი **a quo – რისგან, რითი**, ის ადამიანური ასპექტი, რომელსაც თვითონვე ანგრევს. **საქმე ის კი არაა, რომ დახატო რაღაც ისეთი, რაც სრულებით არა ჰგავს ადამიანს, არამედ ის, რომ დახატო ადამიანი, რაც შეიძლება ნაკლებად რომ ემგვანებოდა ადამიანს“.** (ხაზგასმა ჩემია – ჟ.ს.)

ორტეგა-ი-გასეტი „ხელოვნების დეჰუმანიზაცია“, 41-44 გვ.

ერთის შეხედვით, თანამედროვე ხელოვნება მისტიურობის უმაღლეს საფეხურზე მეგზურობას გვიწევს. თითქოსდა ის ჩვენი პიროვნულობისაგან, ადამიანურობისგან გვანთავისუფლებს, რათა ჩვენს სულში ღვთაებრივ ნებას ადგილი დაუთმოს.

მოდით, გავიხსენოთ რას წერს ვივეკანანდა: – „...ყოველი სიყვარული ეგოისტობაა – მეთავისობაა, ამ სიტყვის ყველაზე ცუდი გაგებით, რამეთუ მე მიყვარს საკუთარი თავი, იმიტომ მიყვარს სხვა“. ვივეკანანდა „ძველი ინდური ფილოსოფია“ გვ. 110. მთარგმნ. ნ. კენჭოშვილი.

ან, იქვე:

– „ინდივიდუალური „მე“ არსებობს, მაგრამ იგი ჩრდილია იმ ჭეშმარიტი „მე“-ს მიღმა, რომ მოსჩანს. საკუთარი „მე“-ს სიყვარულიც მაცდურობაა ეშმაკისული, რამეთუ იგი შეზღუდულია“.

ს. ვივეკანანდა „ძველი ინდური ფილოსოფია“ გვ. 111. მთარგმნ. ნ. კენჭოშვილი.

ან:

– „ვისაც ინდივიდუალური „მე“ გაუცნობიერებლად უყვარს, ასეთი სიყვარული ეგოიზმია. ვისაც უყვარს საკუთარი ინდივიდუალური „მე“-ს წვდომა, ასეთი სიყვარული შეუზღუდავი და შეუბოჭავია, ასეთი პიროვნება წმინდანია“.

და თითქოსდა, ერთის შეხედვით ორტეგა-ი-გასეტიც თავისი აზრებით ვივეკანანდას მსგავსად უმაღლესი, მისტიური საფეხურისკენ მიგვიძღვება:

– „პიროვნული, როგორც ყველაზე ადამიანური, ყველაზე უფრო გადაჭრით უიარიყოფა „ახალი ხელოვნების“ მიერ. ამას განსაკუთრებით ნათლად გვიმოწმებს მუსიკა და პოეზია.

ბეთჰოვენიდან ვაგნერამდე⁵⁰ მუსიკის ძირითადი თემა პირადი გრძნობების გამოხატვა გახლდათ.

მუსიკა მეტად თუ ნაკლებად, აღსარება იყო. ამიტომ ესთეტიკურ ტკობას დაწმენდილობა აკლდა. ჯერ კიდევ ნიცშე ამბობდა, რომ მუსიკაში ვნებები თავიანთივე თავით ტკებებიან. (ხაზგასმა ჩემია – ჟ. სირამე)“

ორტეგა-ი-გასეტი „ხელოვნების დეჰუმანიზაცია“. 51 გვ.

მივაქციოთ ყურადღება, – და ხაზი გაუუსვათ უკვე მოხმობილ ფრაზას.

– „მუსიკა მეტად თუ ნაკლებად აღსარება იყო... ამიტომაც ესთეტიკურ ტკობას დაწმენდილობა აკლდა...“

ორტეგა-ი-გასეტი „ხელოვნების დეჰუმანიზაცია“,

აღსარება თუ ორტეგასთვის მცდარი გზაა, ჩვენთვის ის ინდივიდის განთავისუფლების გზაა, რადგან აღსარების დროს ადამიანი გადააბიჯებს თავის ინდივიდუალურ მე-ს. ასე გაუყვება თავის სულისმიერ გზას. და ასე ვნებებისგან წმენდს თავის სულს, თუ ხელოვანი ახერხებს აღსარება წარმოთქვას თავისი ნაწარმოების მეშვეობით, მაშასადამე, ის ადამიანური ვნებებისგან განთავისუფლებული სულის მონახაზს გვთავაზობს. გამოდის, რომ ორტეგა-ი-გასეტი არასწორ კომენტარს შემოგვატყუებს.

ამიტომაც, არასწორია, ორტეგა – ი – გასეტის დეკლარაცია რომ აღსარების შემთხვევაში „ესთეტიკურ ტკობას დაწმენდილობა აკლდა“.

და ასევე მცდარია ორტეგა-ი-გასეტი, როცა ის ცდილობს ნიცშეს, მეტისმეტად ფროიდისტული ჩანაწერი მოიშველიოს და ასე დაგვარწმუნოს:

– „... მუსიკაში ვნებები თავიანთივე თავით ტკებებიან“.

მაგრამ ყველაზე დიდი ილუზიით, მაშინ დაგვაპურებს ორტეგა-ი-გასეტი, როცა ის თავის ცნობილ სენტენციად ქცეულ ფრაზას გაახმოვანებს:

– „პოეტი იწყება იქ, სადაც მთავრდება ადამიანი. ერთის ბედი

თავისი ადამიანური გზით სიარულია, მეორეს მისია – არარსებულის შექმნა“.

ორტეგა-ი-გასეტი „ხელოვნების დეჰუმანიზაცია“, 62 გვ.

მარსელ პრუსტის, როგორც „წმინდა ხელოვანის გზა“ გავიხსენოთ, რათა სათანადოდ გავიაზროთ ის პრობლემა, რომლის წინაშე გვაყენებს თანამედროვე ხელოვნება:

– „... მხოლოდ გულის სიღრმეში ვგრძნობდი წარსულის თრთოლვას, წარსულისა, რომელსაც ვერ ვცნობდი“

მ. პრუსტი „წინასიტყვაობა სენტ-ბევის წინააღმდეგ“, 6 გვ. ან:

– „ვგრძნობდი, როგორ მეუფლებოდა ბედნიერება და ვძლიძრდებოდი ამ წმინდა სუბსტანციით, რომელსაც წმინდად შენარჩუნებული წმინდა ცხოვრების გარდასული შთაბეჭდილება ჰქვია. და რომლის შეცნობა მხოლოდ გულდაგულ შენახვით შეიძლება. მეხსიერება განცდისას ვერ აცნობიერებს, რადგან იგი თავისივე შთანთქმული გრძნობების მორევში ტრიალებს“.

მ. პრუსტი „წინასიტყვაობა სენტ-ბევის წინააღმდეგ“, გვ. 7.

ერთის შეხედვით თანამედროვე ხელოვნებას უნდა აღედგინა სწორედ ეს **„გულის სიღრმეში მყოფი წარსულის თრთოლვა“**. მ. პრუსტი.

– **წარსულის თრთოლვა**, რომელსაც ჩვენი ყოფიერებით დაბინძურებული გრძნობებით ვერ ვწვდებით. ამიტომაც ასე მკაცრად წერს პლატონი, თავის ღვთაებრივ შედეგში „ფედონში“:

– „... ხოლო სული ყველაზე უკეთ აზროვნებს მაშინ, როცა არაფერი ამღვრევს მას, არც სმენა, არც მზერა, არც ტკივილი, არც სიხარული, როცა ინძარცვის და, შეძლებისამებრ, თავისუფლდება სხეულისგან და თავის თავში ოდენ შთენილი მიიქცევა არსებულის ჭვრეტად“.

პლატონი „ფედონი“, 18 გვ.

ან, სხვაგან იგივე „ფედონში“ პლატონი წერს:

– „ან ვინ მიწვდება მასზე წმინდად და სრულყოფილად ვინც მხოლოდ გონებით სწვდება თვითიუღ საგანს, ისე რომ მზერას, ან სხვა გრძნობას არ იშველიებს აზროვნებისას, ვინც მხოლოდ წმინდა აზრით, აზრით თავის თავში, ნადირობს თავის თავში არ-

სებული ყოველი საგნის წმინდა არსზე. რადგან ფუჭ იარაღად მიაჩნია თვალი, ყური, ერთის სიტყვით, მთელი სხეული...“

პლატონი „ფედონი“, 19 გვ.

მაგრამ თანამედროვე ხელოვნება სხეულისაგან სულაც არ განძარცვავს ადამიანს. არც წმინდა აზროვნებით აჯილდოვებს, და არც („გულის სიღრმეში მყოფი წარსულის თრთოლვას“ – მ. პრუსტი) შეგვაგრძნობინებს.

საქმე ხომ პირიქითაა., ეს არც ჩვენი ჰალუცინაციაა და არც გაზვიადება. დიახ, როცა თანამედროვე ქმნილებების უმრავლესობას ეცნობი აპათია გიპყრობს. იმის ნაცვლად, რომ მათ მისტიურობის მაღალ საფეხურზე ასვლა შეგვაძლებინოს პირიქით, ის თავქვე, იმ უფსკრულისკენ მიგვიძღვება, რასაც ნ. ბერდიაევი ზუსტ დასაზღვრას მოუძებნის:

– **„თანამედროვე ხელოვნებაში სული თითქოსდა მცირდება, ხოლო ხორცი დემატერიალიზდება“**.

ნ. ბერდიაევი, „ხელოვნების კრიზისი“.

სხვაგვარად ადამიანურობისგან განძარცვამ თანამედროვე ხელოვანთა სულები ყოფიერების უმცირეს საგანთა გიგანტურად გაზრდილ სამყაროთა რიგების ტყვედ აქცია.

ა. კამიუ ასე წერდა:

– **„არსებობს ტკბობის, პატივმოყვარეობის, ეგოიზმის, ან სულგრძელობის სამყაროები. სამყარო გულისხმობს მეტაფიზიკურ სისტემასა და გონების განწყობას“**.

ა. კამიუ „სიზიფეს მითი“.

და ჩვენ შეგვიძლია საუკეთესო ნიმუში მოვიძიოთ და ეს ზიუსკინდის განმაურებული ნაწარმოებია „პარფიუმერი“.

აი, რას წერს ცნობილი ლიტერატორი და პოეტი ანდრო ბუაჩიძე⁵¹, თავის შესანიშნავ წერილში „გენიალური პარფიუმერი“:

– „ჟან ბატისტ გრენუი უცნაური არსებაა. მას არა აქვს საკუთარი სუნი, არა აქვს საკუთარი აურა. ის ბავშვობიდანვე აითვალისწინა აღმზრდელმა ქალმა, რადგან უსუნო არსებად მიაჩნია. ასევე იყო მოგვიანებით გრენუიმ ხელოვნურად შექმნა თავისივე სუნი“.

ანდრო ბუაჩიძე „გენიალური პარფიუმერი“.

დიახ, გენიალური პარფიუმერი – ჟან ბატისტ გრენუი არავის და არაფერს ჰგავს. – უფრო ზუსტად კი, ის ყოფიერების უმცირესს საგანთა ქვეშ არის „გასრესილი“ – და ასე წმინდა სულის ნაცვლად ჩვენ გიგანტურად გაზრდილ სურვილთა სამყაროებს „გე-ზიარებით“.

59. პიესის კომენტარი:

„მამის სიკვდილმა თან გაიყოლა ღვთაებრივი სამყაროს ნათელი

და ამ სიკეთით ნაძერწი ჰომო მორალის!

და მისი ღირებულებანი, მისი ჰარმონიული ნაწილები:

სიბრძნე, სიმამაცე, კეთილგონიერება და სამართლიანობა

რწმენა, სასოება და სიყვარული

და მათი მათი სინდისის ხმა!“

ჟ. სირაძე „ხელოვანის გზა“, გვ. 37.

ემანუელ ჩამოთვლის ოთხ სიქველეს, რომელიც კლასიკურმა ფილოსოფიამ მექვიდრეობით მიიღო აღმოსავლეთის მისტიური შრეებიდან, რაც შემდგომ პლატონმა თავის სრულქმნილ დიალოგებში „გააცოცხლა“ შემდეგ მათი ახალი დალაგება და ინტერპრეტაცია რ. შტაინერმა შემოგვთავაზა – „ვარდისა და ჯვრის საიდუმლოება“-ში:

– „... ყველაზე ღრმა საიდუმლოებებს პლატონი არ ამჟღავნებდა, მაგრამ რისი თქმაც შესაძლებლად მიაჩნდა, მან იგი სოკრატეს ნააზრევად წარმოგვიდგინა. იმდროინდელი ევროპული განვითარების შესაბამისად, როდესაც ქრისტეს იმპულსი დედამიწაზე ჯერ არ მოქმედებდა, პლატონმა აღწერა ის უმაღლესი სათნობანი, რომელთაც იმდროინდელი ბერძენი მორალური ადამიანისთვის უპირველეს აუცილებლობას მიიჩნევდა.

პლატონისეული სამი ძირითადი სათნობა გახლავთ: 1. სიბრძნე, 2. სიმამაცე ანუ გულოვნება, 3. ზომიერება ანუ კეთილგონიერება (ანუ ადამიანის დაფარული ვნებების მოთოკვა). დაბოლოს, 4. მეოთხე სათნობად პლატონი ასახელებს სამართლიანობას, როგორც სამი ზემოხსენებული სათნობის ჰარმონიულ თანაშერწყმას“.

რ. შტაინერი. „ვარდისა და ჯვრის“ საიდუმლოება“, 58 გვ.

და რ. შტაინერი, ჩამოთვლილ სათნობათ ასეთ კომენტირებას უკეთებს:

– „... უსიყვარულოდ ზეციურ სასუფეველს ვერ დაიმკვიდრებ, თუნდაც ოთხივე სათნობას ფლობდე. დავიმახსოვროთ ის დრო, როდესაც კაცობრიობაში შთაიღვარა იმპულსი, რომლის წყალობით სიბრძნე და სიმამაცე განსულიერდა და ახლებურად წარმოჩნდა ჩვენს წინ, როგორც სიყვარული“, რ. შტაინერი, „ვარდისა და ჯვრის საიდუმლოება“. 58 გვ.

ახალ აღთქმაში, უკვე გვეძლევა ის დიდი წყალობა, რითაც ყოველგვარი სათნობა სიყვარულით შეიმოსა და ასე გამთლიანდა იგი ქრისტეს სახით დედამიწაზე.

„მათეს სახარება“-ში ვკითხულობთ:

„ხოლო მან უთხრა მას: „შეიყვარე უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლივ გონებითა შენითა“ მათე 22.37

„ეს არის პირველი და დიდი მცნება“ მათე 22,38.

„და მეორე ამის მსგავსი: შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“ მათე 22.39.

„ამ ორ მცნებაზე ჰკიდია მთელი რჯული და წინასწარმეტყველნი“ მათე 22.40.

და ყველასათვის ნაცნობი და ძვირფასი სიტყვები, რომლის წინაშე მოწიწებულნი მოვიდრიკებით: ეს არის მოციქულ პავლეს პირველი წერილი კორინთელთა მიმართ:

– „თუ მე ადამიანთა და ანგელოზთა ენებით ვლაპარაკობ, ხოლო სიყვარული არ გამაჩნია, მაშინ ჟღარუნა რვალი ვარ ან ჩხარუნა წინწილა“.

I კორინთელთა 13.1

– „წინასწარმეტყველებაც რომ მქონდეს, ყოველი საიდუმლო და მთელი ცოდნაც რომ ვუწყოდე, სრული რწმენაც რომ გქონდეს, ისეთი, მთების გადაადგილება რომ შემეძლოს, ხოლო სიყვარული არ გამაჩნდეს, არარაობა ვიქნებოდი“.

I კორინთელთა 13,2

ა. ტარკოვსკიმ სწორედ პავლე მოციქულის ამ წერილიდან თავის შედეგში „ანდრეი რუბლიოვ“-ში ეს ამონარიდი შეიტანა:

– „სიყვარული სულგრძელია, სიყვარული ქველმოქმედია, არ შურს, არ ყოყმობს, არ ამპარტავნოს.

I კორინთელთა 14.4

– „არ სჩასდის უწესობას, თავისას არ ეძიებს, არ რისხდება და არ განიზრახავს ბოროტს“.

I კორინთელთა 14.5

– „არ ხარობს სიცრუით, არამედ ჭეშმარიტება ახარებს“

I კორინთელთა 14.6

– „ყოველივეს იტანს, ყველაფერი სწამს, ყველაფრის იმედი აქვს და ყოველივეს ითმენს“

I კორინთელთა 14.7.

– „სიყვარული არასოდეს მთავრდება; თუმცა წინასწარმეტყველებანი გაუქმდებიან, ენები შეწყდებიან, ცოდნა გაუქმდება“.

I კორინთელთა 14:8.

მაგრამ, აქ ჩამოთვლილი სიქველეებიდან თანამედროვე სამყაროს ამოყირავებულ მოდელში ყველამ ნიველირება განიცადა. ა. ტარკოვსკი ასე წერდა:

„... ლაპარაკია გულგრილობაზე სხვათა მიმართ. ეს განურჩევლობა სხვა ადამიანთა, ეს იგნორირება ამ შემთხვევაში გაიგივებულია ცოდვასთან ღმერთის წინაშე“.

ა. ტარკოვსკი თავის „აპოკალიფსში“ წერდა:

– „მონანიე კაცი, ანუ, მე ვიტყვოდი სინანულის მდგომარეობაში მყოფი ადამიანი, – აი, დიდი გზის დასაწყისი“. ა. ტარკოვსკი „აპოკალიფსი“.

ფაქტიურად ემანუელო ხან იწყებს ამ დიდი გზის დასაწყისზე დგომას, ხან ისევ უკუბრუნდება.

და როცა დოსტოევსკის მნიშვნელობაზე წერს ა. ტარკოვსკი⁵², აი, რას წერს იგი:

– „არსებობს ერთი შეხედულება დოსტოევსკიზე, როგორც რელიგიურ მწერალზე, ორთოდოქსზე, რომელმაც, ფაქტიურად, სრული მასშტაბით აღწერა თავისი ძიება და ძიების გზაზე მოპოვებული რწმენა; მე მგონია ეს შეხედულება არცთუ მთლად ზუსტია. მისი დიდებული აღმოჩენების მიზეზი უფრო ის არის, რომ იგი პირველი მწერალია, რომელმაც თვითონ განვლო და თვითონ შეიცნო სუ-

ლიერობის დაკარგვის ყველა პრობლემა“.

ა. ტარკოვსკი „აპოკალიფსი“ მთარგმნ. დ. აკრიანი.

ემანუელო, – ამ პიესაში „ხელოვანის გზა“-ში ჩაფიქრებულია ისეთ გმირად, რომელიც სულიერობის დაკარგვის ყველა პრობლემას არა მარტო გაიზიარებს, არამედ განიცდის და ამ განცდა-გაზარებში მასში კვდება ძველი ემანუელო და იბადება ახალი, ჭეშმარიტი ხელოვანი.

60. პიესის კომენტარი:

„როგორ ჩაემვა თანამედროვე ხელოვნება წყვილად ღამეში, ამ წყვილად ღამეს, ხელოვნების ამ თავზარდამცემ კრიზისს, მე ვუწოდებ

აპოკალიფსური ჟამის ხელოვნებას, ბიძაჩემის, სატირის სასტიკი მკვლელობის შედეგს“

ჟაკლინ სირაძე, „ხელოვანის გზა“ გვ. 37.

აი, რას წერს ნ. ბერდიაევი აპოკალიფსური ჟამის ხელოვნების შესახებ.

– „მრავალი კრიზისი განიცადა ხელოვნებამ თავისი ისტორიის მანძილზე. გადასვლები ანტიკურობიდან შუა საუკუნეებზე და შუა საუკუნეებიდან აღორძინების ხანაზე ერთმანეთის მსგავსი ღრმა კრიზისებით აღინიშნებოდა. მაგრამ ის, რაც ჩვენს ეპოქაში ხდება ხელოვნების მიმართ შეუძლებელია მიეკუთვნოს ერთ-ერთ ამ კრიზისთაგანს“;

ნ. ბერდიაევი, „ხელოვნების კრიზისი“. მთარგმნ. მ. ჭახელიძე. და იქვე წერს იგი, თუმცა აქ, მის ნაწერს კატეგორიული ტონი ატყვია:

– „ჩვენ საერთოდ ხელოვნების კრიზისის პირისპირ ვიმყოფებით, მისი ათასწლიანი საფუძვლების ძირეული შერყევის პირისპირ“.

ნ. ბერდიაევი, „ხელოვნების კრიზისი“.

„ხდება ადამიანის შემოქმედებითი აქტის უსუსურების გაცნობიერება, არის შეუსაბამობა შემოქმედებით ამოცანასა და შემოქმედებით განხორციელებას შორის“.

ნ. ბერდიაევი „ხელოვნების კრიზისი“. მთარგმნ. მ. ჭახელიძე.

61. სატირები „ბერძნ. ტყის მცირე ღვთაებები; ნაყოფიერების ღმერთები, რომლებიც თან სდევნიდნენ დიდ დიონისეს.

სატირებს ჩლიქებით დაბლოებული ფეხები ჰქონდათ და წელამდე ხშირი ბეწვით იყვნენ დაფარულნი, კუდიც კი ებათ. წელის ზემოთა ნაწილი ადამიანური ჰქონდათ, მაგრამ მსხვილი, წითელი ტუჩებით, თხის წვერითა და წაწვეტებული ყურებით ცხოველებს უფრო ემსგავსებოდნენ. ზოგიერთ სატირს (სატიროსს) პანის მსგავსად თავს რქებიც ება. ეს სატირები ტყეში ნიმფებთან ერთობოდნენ, მოხეტიალე ყარბებს სხვადასხვა ოინს უწყობდნენ, მწყემსებს ცხვრებსა და თხებს ჰპარავდნენ, მიწის მუშებს უსაფრთხოებოდნენ და აფრთხობდნენ. მათი საყვარელი ღმერთი იყო დიონისე, რომელსაც თურმე ბავშვობისას სალამურზე დაკვრით ართობდნენ. ალბათ ამიტომ დიონისესაც განსაკუთრებით უყვარდა ეს მხიარული არსებები, რომელთაც ღვინოს ასმევდა და გვერდიდან არ იცილებდა.

სატირთა მუდმივი ატრიბუტები იყო თირსოსები, ფლეიტები, გულები და ღვინის ჭურჭელი.

რომაელი პოეტები ერთმანეთისგან აღარ განარჩევდნენ პანებს, ფაუნუსებს, სილენოსებსა და სატირებს.

თანამედროვე მეტყველებაში სატირი (სატიროსი) მთვრალი და ავხორცი არსების სინონიმია“.

რ. გორდეზიანი „ბერძნული მითები“.

დრამაში სატირი გამოყვანილია, როგორც თანამედროვე იაფფასიანი, უაზრო და მდარე ლიტერატურის წარმომადგენლად, რომელიც ემორჩილება თანამედროვე სამყაროს მთავარ პრინციპს – სიამოვნებას და რასაც ნების თავისუფლებად ასაღებს.

ამიტომაც იქცა ის თანამედროვე სამყაროს მეუფედ, – მთავარ პოეტად. ის ამასთანავე მკვლელია თავისი ნახვარძმის ორფეოსისა. ცხადია, ბერძნული მითის მიხედვით ეს შეუძლებელია, მაგრამ როგორც აღვნიშნე, ახალმა სათქმელმა მითს ახალი სახე მისცა.

62. პიესის კომენტარი:

„ეს ტკივილს ეწვნის, რომ დავიბადე ამ უცხო სამყაროში:“

მე ხომ აქ მცოვია, მე ხომ აქ მცოვია! მე ხომ აქ მცოვია!

თითქოს ღმერთის დიადი სახლი მივატოვე და ვინ ვარ მე? არსება, რომელსაც ლოდი სრესს? (გულზე ხელს მოიკიდებს)

– აქ ხომ ტადარი უნდა აავონ,

თუ მე თავად, მე ვარ ლოდი?

ეს იგივეა! ეს იგივეა! ეს იგივეა!“

ჟ. სირაძე, „ხელოვანის გზა“ გვ. 43.

მარტინ ჰაიდეგერი თავის განხილვებულ ესე-იში ასე აღწერს ამ თავზარდამცემ გათომილობაში ადამიანის ჩაგდებულობას:

„Ночь мира ширит свои мрак. Эта время мира определено неприходом бога, „зиянием – Бога“. ...Зияние бога означает, что никакой Бог уже не собирает – зримо и ладно – людей и вещей вокруг себя и не ладит из этого собрания мировую историю и пребывание в ней человека. Но в зиянии бога выявляется и нечто куда более ужасное. Не только ушли боги и бог, но и само сияние божественности угасло в мировой истории. Ночное время мира – скудное время, ибо становится все скуднее. Оно уже столь скудно, что больше не в состоянии заметить зияние бога как зияние“.

М. Хайдеггер, „Петь – для чего“, 181 стр.

ჰაიდეგერი წერს, რომ მსოფლიო ღამის ბერწი დრო იმდენად ბერწდება, რომ თავად დროს აღარ ძალუძს შეამჩნიოს ღმერთის იმედგაცრუებაში იმედგაცრუება.

საინტერესოა, რომ ჰაიდეგერი წერს, რომ ბერწ დროს არ შეუძლია შეამჩნიოს – ღმერთის იმედგაცრუება, თუმცა სამყაროს ჰარმონიულ დროებაში, – ლოგიკურია, მას უნდა დაეწერა, რომ ადამიანს არ ძალუძს შეამჩნიოს ღმერთის იმედგაცრუება. ამით, ის ითქმის, რომ ადამიანი ჩაგდებულია ბერწი დროის ნაკადში და რომ, ის ამ ნაკადიდან ვეღარ ხედავს, უფრო ზუსტი იქნებოდა გვეთქვა, ის ვეღარ ჭკრეტს თავის მყოფობას, ვეღარ წვდება მას და ამიტომაც, მისი სიტყვები გაორებული ტექსტის ნაწილია.

თითქოს ეს ერთგვარი პერიფრაზაა ჰერაკლიტეს ცნობილი ფრაზისა:

„სად წაუხვალ მარადუქრობ ცეცხლს?“

მაგრამ, ჰერაკლიტეს მოგუდული ქვითინი ბრბოსადმი არის მიმართული, მაშინ, როცა ბერწ დროში – ეს თვალდია ბრძობა ყველასთვის ერთნაირად მახასიათებელია. თითქოსდა, ადამიანი შეჰყურებს მზეს და ვერც შეჰყურებს მზეს.

მოდო გავიმეორებ ტექსტს:

„ეს ტკივილს ეწვნის,

რომ დავიბადე, ამ უცხო სამყაროში

მე ხომ აქ მცოვია! მე ხომ აქ მცოვია! მე ხომ აქ მცოვია!“

ჟ. სირაძე, „ხელოვანის გზა“ გვ. 43.

ეს მძიმე და იქნებ ყველაზე რთული ტექსტია, რადგან აქ ემანუელის გაორების მთელი სიმძიმე გამოსჭვივის..

ის თავზარდამცემი და შემადრწუნებელი სიცივე, რაც გაორებას ახლავს და ის, რაც ღმერთისგან განდგომას მოსდევს. ეს გაურკვევლობა, ეს დაბნეულობა, სულის განხლეჩილობაა, როცა სული საკუთარ თავს ვერ ცნობს.

ა. კამიუ ასე წერს:

„თვით ეს გულიც საგულეში რომ მიძგერს, სამუდამოდ შეუცნობელი დარჩება ჩემთვის“.

თითქოს პოლ ვალერი იმავე სათქმელს ოდნავ სხვაგვარ ფორმას აძლევს:

„ფრთხილად! ის ვინც შენს გულში ლაპარაკობს, შენზე უკეთ როდი იცნობს მას“.

პ. ვალერი, „რჩეული პროზა“. 148 გვ.

ემანუელმა აღარ იცის, თვითონ არის ის, ვინც უნდა გაითელოს, თუ თავად არის ამ გათელების შემოქმედი. ასე კარგავს ღმერთისგან განდგომილი ადამიანი სამყაროს საზრისს და თავისი რაობის წვდომის უნარს, რადგან აზრის სიზუსტე სხვა არაფერია, თუ არა ღმერთის საჩუქარი. ანუ ღვთის საჩუქარი არ აყოვნებს, როცა ჩვენ ცოდვილ „მეს“ უკუვაგდებთ და ჩვენ ჩვენი ნებისგან განვდგებით

პიესის ტექსტში წერია:

„ღმერთის დიადი სახლი მივატოვე“

ჟ. სირაძე „ხელოვანის გზა“

ამ სიტყვებით, ისევ გამჟღავნდება, რომ ემანუელი თანამედროვე ხელოვნების კრებითი სახეა, ღმერთის იგავიუწვდომელი, შთაგონების გზაზე გასვლას თავად წინ რომ აღუდგა, თავისი გაჯიუტებით მსოფლიო ღამის სიცივეში, თავზარდამცემის ღამის წყვილადმი რომ ჩაემწყვდა, სადაც სამყაროს საგნები უფსკრულზე ჩამოეკიდნენ, და **სადაც შეუძლებელია საგანი საგანს ჰგავდეს** – ემანუელის გაორება და გაურკვევლობა გვთავაზობს სამყაროს ამოყვრებულ მოდელს და სულაც კანონზომიერია, – რომ მან მასში, **(თუმცა ღრობით)** მყოფმა ემანუელმა არ იცის ვინ არის?

63. „ნარკისოსი (ნარცისი) – ბერძნ. მშვენიერი ჭაბუკი; ზღვის ღმერთის, კეფისოსის და ნაიადა ლირიოპეს ვაჟი.

ნარკისოსმა თავისი გამოსახულება იხილა წყალში, შეიყვარა და ამ სიყვარულით დალია სული. ღმერთებმა იგი ყვავილად გარდასახეს და ამ მშვენიერ ყვავილს მისი სახელი უწოდეს (იხ. ექო). ნარკისოსის მითოსზეა შექმნილი კალდერონის დრამები, გლუკისა და სკარლატის ოპერები და სხვა.

გადატანითი მნიშვნელობით ნარკისოსს (ნარცისს) უწოდებენ საკუთარ თავზე შეყვარებულ ადამიანს. რ. გორდეზიანი „ბერძნული მითები“.

დრამაში ნარცისი გაიგივებულია კლასიკოსებთან, და ასევე ყველა ჭეშმარიტ ხელოვანთან, არა აქვს არსებითი მნიშვნელობა ის თანამედროვეა, თუ სხვა საუკუნეში მცხოვრები ხელოვანი, არსებითია, რომ მათი შემოქმედება ღვთაებრივის გზნებას ეფუძნება და სულისმიერ მეორე მზის გზას მიუყვება.

დრამაში ნარცისი იგივე გოეთეა, იგივე გალაკტიონი, იგივე შოპენი, იგივე... ხელოვანი – თავის შემოქმედებას საკუთარი გამოსახულების ხილვით აღსარულებს. კვლევა და ყვავილად ქცევა, ეს არის ხელოვანის მიერ მიწიერი აღსასრულის განცდა და მისი სულიერი აღორძინების მაჩვენებელი. ყვავილები ეს სულისმიერი გზის გამოსახების სიმბოლოა, სულის გამჟღავნება თავის უმშვენიერეს ფორმაში.

თუმცა ბერძნული მითის მიხედვით ნარცისს არც შვილი და

არც გამგრძელებელი არ ჰყოლია, მაგრამ დრამაში მას როგორც კლასიკის დამფუძნებელს ჰყავს თავისი სულიერი შვილები და გამგრძელებლები. დრამაში იკვეთება ორფეოსი და ცხადია ემანუელს დაბნეული სული საბოლოოდ მამის გზას მიუყვება.

64. პიესის კომენტარი:

დასცინოდით შექსპირს, და მას უწოდებდით

ანც ბიჭუნას და უვიც დრამატურგს“.

ჟ. სირაძე „ხელოვანის გზა“, გვ. 55.

ნიკოლოზ ბერდიაევი წერდა:

„ადამიანის კულტურას თავის მწვერვალზე გააჩნია დაუძლეველი მიდრეკილება დაცემისაკენ, დეკადენსისაკენ, გამოფიტულობისკენ. ასე იყო დიდ ანტიკურ კულტურაში, რომელიც არსებითად წარმოგვიდგება, როგორც ნებისმიერი კულტურის მარადიული წყარო, იგივე ხდება ახალი სამყაროს კულტურაშიც“.

ნ. ბერდიაევი, „ხელოვნების კრიზისი“, გვ. 196.

და, თუ ვინმე წარმოადგენს კლასიკის გვირგვინს, უპირველეს ყოვლისა ეს შექსპირია, და ლოგიკური იქნებოდა, თანამედროვე სამყაროს თავისთავში აღმოეჩინა ის ძალა, რითაც შექსპირს გაამახსრებდა. მაგრამ სასწაული აღსრულდა, იქნებ დიდი სასწაულიც, რადგან შექსპირმა, როგორც უნივერსალურმა დრამატურგმა და პოეტმა შეინარჩუნა თავისი ძალმოსილება. ის აზროვნების უმაღლეს სფეროს გვაზიარებს მაშინაც კი, როცა სამეფო კარის ინტრიგებზე მოგვითხრობს. მისი ნაწერი გაჯერებულია მისტიკისა და ცხოვრებისეული „ცოდნის“ შეუძლებელი და დაუჯერებელი ურთიერთშერწყმით და მაინც, ყველაზე დიდი საოცრება მასში ისაა, რომ ცხოვრების ყველა წვრილმანის ასე უბადლო აღმწერი ოსტატის ყოველი ცთომისა და ბოროტების ასე მძაფრად მხედველის იქით, ყოველთვის იგრძნობა შექსპირის ალტერ ეგო – მიწიერობას მოწყვეტილი ბერის ის ჭკრეტა – ძალიან შორეული, ზეციური საუფლოს გამოთოშავი სიცივიდან რომ დაჰყურებს ადამიანთა ცხოვრებას.

შექსპირის უნივერსალურობამ შესძლო კანონზომიერების დარ-

ღვევა – და ის გამონაკლისად დარჩა. ხოლო, რაც შეეხება პიესის ფრაზას, ის ავტორის, ანუ ჩემი (ჟ. სირაძის) წარმოსახვაა, – და არ შეესაბამება სინამდვილეს.

65. ჰეგელი – (1770-1831) – ფილოსოფოსი, კლასიკური გერმანული ფილოსოფიის უდიდესი წარმომადგენელი.

66. პიესის კომენტარი:

„ხელოვნების სამეფო შეიცვალა

უფრო ზუსტი იქნებოდა მეთქვა,

ეს სამყარო ამოყირავდა

და ის, რაც სიღრმეში იდო,

ეხლა ზედაპირზე დევს“.

„ხელოვანის გზა“ ჟ. სირაძე. გვ. 58.

ჩვენი დროის მოაზროვნეები ამ ამოყირავებული სამყაროს მოდელში მოღვაწეობენ და რაც, არ უნდა დიდი იყოს მოაზროვნე, მისი ნაწერი მაინც იმ შეფასებას ვერ ასცდება, როგორადაც ოქტავიო პასი შეაფასებს ორტეგა ი გასეტის შემოქმედებას:

„ორტეგა-ი-გასეტის კითხვა იგივეა, რაც რთულ გზაზე ბუნდოვანი მიზნისკენ სიარული“.

რადგან თანამედროვე სამყაროში, როგორც ორტეგა წერს:

– „В мире есть сейчас один великий больной находящийся на краю гибели. это – истина“. Ортега-И-Гассет.

ნუთუ შესაძლოა კი შეიცვალოს სამყარო? ან ზომ არ არის გაზვიადება, რომ სამყარო „ამოყირავდა?“ და რომ ფასეულობები უწონადონი შეიქმნენ?

აი, რას წერს ღრმადმორწმუნე ნიკოლოზ ბერდიაევი, რომელიც ასე ნათლად ჭკრეტს მოვლენებს და რომლის მსჯელობას ძალუმს მტკივნეულად თვალი აგვიხილოს და შეგვაცნობინოს თუ რამდენად პასუხისმგებელნი ვართ ადამიანები სამყაროს წინაშე, – და რამდენად განაპირობებს ჩვენი თავისუფალი არჩევანი მის ბედს.

„Ошибочно думать, что человечество живет в одном и том же объективном, данном извне мире; человек живет в разных, часто фиктивных мирах, несоответствующих,

если их взять в отдельности, сложной и многообразной действительности. Доля фиктивности и фантазмагоричности определяется степенью исключительной сосредоточенности на одном, вытесняющем все остальное“.

Н. Бердяев, „Царство духа и царство кесаря“.

პიესაში სწორედ ამ თანამედროვე სამყაროზე – თანამედროვე ხელოვნების წარმოსახვით სამყაროზეა საუბარი, რომელიც რაღაც უცნაურობით ყოფიერების შემზარავ ჩარჩოებშია გამომწყვდეული. მასში ღმერთის ნაცვლად წამმართველია სიკვდილის შიმის უსაზომოდ გაზრდილი ფანტომი.

ყოფიერების ჩარჩოებში რომ არის გამოკეტილი თანამედროვე სამყარო, ამაზე მეტყველებს ტელევიზორის წარმოსახვითი სარკე, რომლის თვალის მიდევნებისას აღმოაჩენ, რომ თანამედროვე ლარომ-ფუკო, მონტენი, ჟან დე ლა ბრუიერი⁵³, თუ პასკალი, თავის გენიალურ, ელვარე მაქსიმებსა თუ აზრებს დღეს მხოლოდღენ ყოველდღიურობის მოსახმარებელ საგანთა კიდებზე განათავსებენ.

67. გვ. 60. იხ. გვ. 207-ის კომენტარი 47.

68. პიესის კომენტარი:

„არ არსებობს სხვაობა
შთაგონებულ პოეტთა
სურვილთა სიგრძეში“

ჟ. სირაძე. „ხელოვანის გზა“ გვ. 60.

ცოტა არ იყოს უგერგილო გამონათქვამია, სურვილი კი არ წარმართავს პოეტს, და, არც ჭეშმარიტი აზროვნება არ მიიღწევა ნდომით, არამედ მასში წარმმართველია – უსურვილობაა, ანუ – არა ნდომა.

ამით ის ითქმის, რომ ყოველი ჭეშმარიტი აზროვნება ნების მიღმა დგას – (როგორც ამას ჰაიდეგერი ამბობს). ყოველი ჭეშმარიტი პოეტის ლექსიც „უსურვილობიდან“ წარმოდგება.

ამიტომაც წერს პლატონი ერთი შეხედვით უცნაურ ფრაზას „დიდ ჰიპია“-ში:

– „...ჭეშმარიტ პოეტი, როცა თხზავს, გამოგონილისაგან, მითსაგან თხზავს და არა ნამდვილისაგან“.

პლატონი. „დიდი ჰიპია“

ანუ, გამოგონილ ამბავში, მითში პოეტის სურვილი ან, ნდომა კი არ მოძრაობს, არამედ ის უმაღლესი გონი, რომელსაც იოგები ღვთაებრივ ნაპერწკალს უწოდებენ, ან სულის სულს, ესაა ყოველგვარი სურვილი-ნდომისაგან განძარცვული სული.

– „მასში მოქმედებს ეს საყოველთაო, რომელიც ასე თანაბრად გამოდგება ყოველი ცალკეულისთვის. არის ყოველთვის ყოველად თანაბარი, თანაბრად გულგრილი, ანუ ის არსი, რომელიც ვერასოდეს გახდება არსებითი“. მ. ჰაიდეგერი „ჰიოლდერლინი“⁵⁴ და პოეზიის არსი“.

ანუ ყოველი პოეტი იმ ერთადერთის, მარადუცვლელი და იგივეობრივის, – თანაბრად გულგრილის, ღვთაებრივი ნათელის წინაშე დგას, – როგორც მარად ერთგვაროვანი ერთის უსასრულო მწკრივის, მარად განახლებადი იგივეობა.

რ. მუზილი⁵⁵ ასე წერს:

„– პოეზიის სიმაღლე ის მწვერვალი კი არ არის, დაუსრულებელი ზევით რომ მიიწევს, პოეზიის სიმაღლე წრეა, რომელშიც არსებობს მხოლოდ განსხვავებულთა იგივეობა“.

განსხვავებულთა იგივეობა – ეს ღვთაებრივი გზნების, მარად-უცვლელი და წარუვალი ნებაა.

69. ტექსტი პიესაში ასე გრძელდება:

„– ეს უსასრულობაა ნულებით

წარმოდგენილი

ვარსკვლავებით მოჭედული ცა“.

„ხელოვანის გზა“ – ჟ. სირაძე გვ. 60.

– უსასრულობის ნულებით გამოსახვა, ცხადია, სიმბოლური გამოხატულებაა ღვთაებრივი უნივერსალურობისა.

70. პიესის კომენტარი:

„სამყარო ბნელია და მას ორი ღმერთი წარმართავს:
შემთხვევითებს და ევოლუციუსს“.

ჟ. სირაძე, „ხელოვანის გზა“ გვ. 67.

მე აქ ისევ გავიხსენებ ნიკოლოზ ბერდიაევის მოსაზრებას:

– „Ошибочно думать, что человечество живет в одном и том же объективном данном извне мире. Человек живет в разных, часто фиктивных мирах, не соответствующих, если их взять в отдельности, сложной и многообразной действительности.

Н.А. Бердяев, „Царство духа и царство кесаря“, 292 стр.

მწვავე განცდა მეუფლება ამ ცივი განსჯის შემდგომ, რომ ადამიანი „დღეს“ ფიქტიურად, კომმარული სამყაროს პირმშოა და ჩემს თავს დავეკითხე: რატომ ამოიწურა დღევანდელი ადამიანის სულიერობა და რატომ იშველიებს ის ორ ხელოვნურ საბჯენს – **შემთხვევითობასა და ევოლუციის თეორიებს?**

შემთხვევითობუს – და თუმცა მაგალითების მოძიება უსასრულოდ შეიძლება.

მაგრამ მე ყველაზე ცნობილს, და ყველაზე ნათელ მაგალითს მოვიშველიებ და ცხადია, ეს ალბერ კამიუს ესეი-დან „სიზიფეს მითი“-დან არის:

„აბსურდი, რომელიც აქამდე დასკვნად იყო მიჩნეული, ამ ეს-სეში ათვლის წერტილად გვევლინება“.

ა. კამიუ, „სიზიფეს მითი“, 31 გვ.

აბსურდი შემთხვევითობის გამოხატულება და დადასტურებაა. იგი სამყაროს საგანთა კანონზომიერ, აუცილებელ კავშირს წაშლის, და მას უაზრობად და მოჩვენებად დაგვანახებს.

შემთხვევითობა უდმერთო სამყაროს წესრიგია, რომელშიც მიმდინარე მოვლენები არც კანონზომიერია, და არც მიზეზ-შედეგობრივი. შემთხვევითობა თავის ყოველ გამოვლენას აბსურდის კომმარული აჩრდილით გვიდასტურებს. მაგრამ რატომ გაუსვამს ხაზს ა. კამიუ, რომ აბსურდი, ათვლის წერტილია და არავითარ შემთხვევაში დასკვნა?

რადგან ათვლის წერტილი, როგორც თვითონ ა. კამიუ ამავე ესეი-ში („სიზიფეს მითში“) განმარტავს, არის ერთადერთი მაკავ-

შირებელი ადამიანსა და სამყაროს შორის, გადაულახავი ბარიერი, ანუ უნდა გავიაზროთ ადამიანის არა არსი, არამედ ცხოვრება. და ეს (ა. კამიუს აზრით) გაუცხოების კედელია, ამიტომაც ის ერთადერთი შესაძლო ათვლის წერტილია, ანუ ა. კამიუსთვის ის განწმენდილი, წმინდა სულის გამოვლენას კი არ წარმოადგენს არამედ სხეულის უსაზომოდ გაზრდილ სურვილთაგან შექმნილ სამყაროთა რიგებს. სურვილთა სხვადასხვა სამყაროთა ჯამს. აი, რას წერს ა. კამიუ:

„დიდ-დიდი გრძნობები მუდამ თან დაატარებენ თავიანთ სამყაროს, დიდებულსა თუ უბადრუკს, ისინი თავიანთი ვნებით ანათებენ ქვეყანას, სადაც კვლავ პოულობენ თავიანთ სარგო ჰავას. **არსებობენ ტკობის, პატივმოყვარეობის, ეგოიზმის ან სულგრძელობის სამყაროები“.**

ა. კამიუ „სიზიფეს მითი“. 15 გვ.

ამიტომაცაა ამ სამყაროში ყოველი დიდი საქმის დასაწყისი უმნიშვნელო და უბადრუკი მოვლენაა:

„Начало всех великих действий и мыслей ничтожно“.

А. камью. стр. 229.

უბადრუკობა, ანუ უმნიშვნელობა, არის აბსურდის საყრდენი წერტილი, რომლიდანაც ის თავისთავს აუგებს თავის ქმნილებას – ქიქერას.

თვით ისეთ დიდ მოაზროვნეზე, როგორც ორტეგა-ი-გასეტია ოქტავიო პასი იძულებულია დაწეროს ისეთი რამ, ჩვენ თავზარდაცემულთ რომ შეგვაგრძნობინებს სასაცილო და სასტიკი ჯალათის ტყვეობიდან თავდაუღწევლობას, და მისი სახელი – „ევოლუციის თეორია“.

აი, რას წერს იგი (ოქტავიო პასი):

„ორტეგა-ი-გასეტი გვანთავისუფლებს ვარსკვლავთა წინაშე მოწიწებისგან, ანუ მეტაფიზიკისგან, აზრები იმთავითვე არ მყოფობენ მენტალურ ზეცაში. ჩვენ მათ ჩვენივე აზროვნებით ვქმნით. ისინი კოსმიური ჰარმონიის ხატს არ წარმოადგენენ და არც მსოფლიო წესრიგის ნიშნები არიან, არამედ ცრუ სინათლე, რომელიც სიბნელეში მიგვიძვება, სივანალები, ერთმანეთს რომ ვაგონებთ, ხიდეები – ერთი ნაპირიდან მეორეზე გადასასვლელად. მაგრამ სწორედ ეს

მეორე ნაპირი, სხვა მხარე აკლია ორტეგა-ი-გასეტი ნაწერებს. **რაციონალური ვიტალიზმი, სოლიფსიზმია, შესახვევი, რომელსაც ჩინში შევყავართ**“.

ოქტავიო პასსი „ორტეგა-ი-გასეტი, როგორ და რისთვის?“

რაციონალური ვიტალიზმი – სხვა არაფერია, თუ არა ევოლუციის თეორიის ხატოვანი გამონათქვამი და სულაც შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ ორტეგა-ი-გასეტის კალამს ეკუთვნის იქნებ გენიალური ნაწარმოებიც კი რომელიც შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ორი სიტყვით დავახასიათოთ: **რაციონალური ვიტალიზმი** და მას „ხელოვნების დეჰუმანიზაცია“ ეწოდება.

და მტკიცებულება რომ XIX-XX საუკუნეს წარმართავს ეს **ორი ღმერთი**, – ამის თავზარდამცემი ნიმუშია პოლ ვალერის XIX საუკუნის გენიალური მოაზროვნე, რომელიც მაშინაც კი, როცა შთაგონებაზე წერს ამ „ორი ღმერთის“ მიზეზით ჩინში შედის. და ჩვენ ვალერის ფიგურის სიდიადე იმასაც მიგვანიშნებს, რომ ამ ჩინს ეპოქალური ჩინიც კი შეიძლება ვუწოდოთ:

„რომელ ზღვრებთან ჩერდებოდნენ ევკლიდეები ფორმათა წვდომის პროცესში? რა დონეზე აწყდებოდნენ ისინი წყვეტილობას აზრობრივი უწყვეტელობისა?“

კვლევა-ძიების ამ უკიდურეს წერტილში ვერსად წავუვალთ **ევოლუციური თეორიების საცთურს, ჩვენ არ გვსურს იმის აღიარება, რომ ეს ზღვარი შეიძლება საბოლოო იყოს**“.

პოლ ვალერი „ჩრეული პროზა“.

მე ისევ გავიმეორებ ერთ ფრაზას:

„ჩვენ არ გვსურს იმის აღიარება, რომ ეს ზღვარი შეიძლება საბოლოო იყოს“.

პოლ ვალერი „ჩრეული პროზა“. მთარგმნელი ბ. ბრეგვაძე.

ამ ფრაზით პოლ ვალერი მიმართავს თითქოსდა წინარე საუკუნის მოაზროვნეებს. ამ ხმაში დაღლილობა და იმედგაცრუება გამოსჭვივის, მაგრამ არამც და არამც იჭვი.

ვალერის ნაწერებში ევოლუციის თეორია, ხან ამაღლებული ნოტიო მოსაუბრეა, ხან კი სასოწარმკვეთად მოჩურჩულე ხმად გარდაისახება. მაგრამ თუ ვალერის ეს ფრაზა მხოლოდ უსახური კითხვაა, მას აქვს პირდაპირი პასუხი – ტექსტში რომ იკითხება

და შეიძლება ის ვალერის „აქსიომადაც“ გავასაღოთ:

– **ვალერი სასწაულსა და ინტუიციას ევოლუციის თეორიასთან აიგივებს.**

71. პიესის კომენტარები:

აღრე, თრობით ვიჭრებოდი საგნებში და საგნებს ზღვრებიდან სიხარულით გამოვიხსნიდი დღეს მივხვდი, ამაოა თრობა და გარჯა.

ფზიზელსაც კი შეგიძლია გადააბა საგნები ერთმანეთს, და ასე მოიპოვო ჭეშმარიტება“.

ჟ. სირაძე „ხელოვნების გზა“ გვ. 68.

ამ სტრიქონის გასაგებად, ალბათ უპრიანია ა. ტარკოვსკის „აპოკალიფსი“-დან ფრაგმენტის მოყვანა:

– „...რადგან კულტურის ამ კრიზისის ფაქს, რომელსაც განვიცდით ბოლო ერთი საუკუნის მანძილზე, ჩვენ მივედით იმ აზრამდე, რომ ხელოვანი შეიძლება ქმნიდეს რაიმე სულიერი კონცეფციის გარეშე, საერთოდ სულიერობის გარეშე, სადაც შემოქმედება (შემოქმედებითი უნარი), მხოლოდ ინსტინქტური აქტი თუ ინსტინქტთა თამაშია, მაგრამ, ჩვენ ხომ ვიცით, რომ ზოგიერთ ცხოველს აქვს ერთგვარი ესთეტიკური გრძნობა და ძალუმს აკეთოს რაიმე, რასაც გარკვეული აზრით, აქვს დასრულებული ფორმა თუ მოხაზულობა. მაგალითად, ფუტკრის ნაშენებ ფიჭას აქვს თავისი მოწესრიგებული ფორმა. **დღეს აღამიანი უკვე თვლის, რომ შემოქმედებითი ნიჭი არის მის განკარგულებაში მყოფი რაღაც, რაც მას სულაც არ ხდის რაიმეზე პასუხისმგებელს, ანუ არანაირად არ ავალდებულებს**“

ა. ტარკოვსკი, „აპოკალიფსი“, მთარგმ. დ. აკრიანი. აფრა VI 2002 წ.

ან, იქვე

„ – ამ მომენტიდან ხელოვნება დაყვანილია რაღაც ფორმულაზე თუ ფორმალურ ძიებაზე, ან სულაც ფართო მოხმარების საქონელზე, რომელიც უნდა გაიყიდოს ან შეძენილ იქნას“.

ა. ტარკოვსკი, „აპოკალიფსი“. მთარგმნ. დ. აკრიანი.

და ძალიან საინტერესოა, ნიკოლოზ ბერდიაევის ნააზრევი

თანამედროვე ადამიანის თავისუფლებაზე, იმ თავისუფლებაზე, რომელიც ასეთი უსახური ხელოვნების თანამდევია:

– „ადამიანი ზედმეტად განთავისუფლდა, უსაზღვროდ დაცარიელდა თავისი ცარიელი თავისუფლებით, მეტიმეტად ძალგამოცლილია ხანგრძლივი კრიტიკული ეპოქის მიერ და შემოქმედებაში მას მოენატრა ორგანულობა, სინთეზი, რელიგიური ცენტრი, მისტერია“.

ნ. ბერდიაევი, „ხელოვნების კრიზისი“, 188 გვ.

72. გვ. 68. **ბაკქი ქალები** – ბერძნ. ღვინის ღვთაების, დიონისეს, თაყვანისმცემელი ქალები. ასე შეერქვათ მათ იმის გამო, რომ დიონისეს მეორე სახელი იყო ბაკქოსი (რომში – ბახუსი). სხვაგვარად ბაკქი ქალებს „მენადებსაც“ უწოდებდნენ. ევრიპიდეს ერთ-ერთი ჩვენამდე მოღწეული ტრაგედიის სათაურიც ასე იკითხება: „ბაკქი ქალები“. რ. გორდენიანი „ბერძნული მითები“

დრამაში ისინი ჩნდებიან, როგორც სატირის ბოროტი ნების აღმსრულებელი მსახურნი.

73. გვ. 68. მენადები ბერძ. – დიონისეს თანამგზავრთა ერთ-ერთი სახელწოდება.

74. გვ. 69. **„ნარკისოსი (ნარცისი) – ბერძნ. მშვენიერი ჭაბუკი; ზღვის ღმერთის, კეფისოსის და ნაიადა ლირიოპეს ვაჟი.**

ნარკისოსმა თავისი გამოსახულება იხილა წყალში, შეიყვარა და ამ სიყვარულით დალია სული. ღმერთებმა იგი ყვავილად გარდასახეს და ამ მშვენიერ ყვავილს მისი სახელი უწოდეს (იხ. ექო). ნარკისოსის მითოსზეა შექმნილი კალდერონის დრამები, გლუკისა და სკარლატის ოპერები და სხვა.

გადატანითი მნიშვნელობით ნარკისოსს (ნარცისს) უწოდებენ საკუთარ თავზე შეყვარებულ ადამიანს. რ. გორდენიანი „ბერძნული მითები“.

დრამაში „ხელოვნების გზა“ ნარცისი გაიგივებულია კლასიკოსებთან, და ასევე ყველა ჭეშმარიტ ხელოვნთან, არა აქვს არსებითი მნიშვნელობა ის თანამედროვეა, თუ სხვა საუკუნეში

მცხოვრები ხელოვანი, არსებითია, რომ მათი შემოქმედება ღვთაებრივის გზებას ეფუძნება და სულისმიერ მეორე მზის გზას მიუყვება.

აღნიშნულ დრამაში **ნარცისი იგივე გოთუა, იგივე გალაკტიონი, იგივე შოპენი, იგივე...** ხელოვანი – თავის შემოქმედებას საკუთარი გამოსახულების ხილვით აღასრულებს. კვლამა და ყვავილად ქცევა, ეს არის ხელოვნის მიერ მიწიერი აღსასრულის განცდა და მისი სულიერი აღორძინების მაჩვენებელი. ყვავილები ეს სულისმიერი გზის გამოსახულების სიმბოლოა, სულის გამჟღავნება თავის უმშვენიერეს ფორმაში.

თუმცა ბერძნული მითის მიხედვით ნარცისს არც შვილი და არც გამგრძელებელი არ ჰყოლია, მაგრამ დრამაში მას როგორც კლასიკის დამფუძნებელს ჰყავს თავისი სულიერი შვილები და გამგრძელებლები. დრამაში იკვეთება ორფეოსი და ცხადია ემანუელოს დაბნეული სული საბოლოოდ მამის გზას მიუყვება.

75. გვ. 72. ეს პერიფრაზაა პოლ ვალერიის ცნობილი ფრაზისა: „არ არსებობს ჭეშმარიტება ვნების გარეშე. მე მინდა ვთქვა: ჭეშმარიტება მხოლოდ ვნებით მიიღწევა, მიიწვდომება“ პ. ვალერი „რჩეული“ გვ. 89. მთარგმნ. მ. ბრეგვაძე.

76. გვ. 74. პიესის კომენტარი

„თანამედროვეობის აღმოჩენა?!

სტილი, – სხეულის ბნელ საცავში დაცული?!

ხელოვნის სხეული წერს?“

ჟ. სირაძე „ხელოვნის გზა“ 74 გვ.

აქ, გამოთქმულია თანამედროვე მოაზროვნეთა მოსაზრებები, რაც გადაფასებას უკეთებს ყველასთვის ცნობილ გამონათქვამს – ბიუფონისას: „**სტილი – ეს თვით ადამიანია**“ და თუ სტილის დასაზღვრა დიამეტრალურად შეიცვალა, და დაუპირისპირდა საუკუნეების განმავლობაში აქსიომად ქცეულ დასაზღვრას, თვალსაჩინოებისთვის უპირველესად ბარტის დასაზღვრა უნდა მოვიხმოთ:

„სტილი – პიროვნული მეხსიერების უღრმეს საცავშია ჩადირული, თვით მისი შეუვალობა სხეულის ცხოვრებისეული გა-

მოცდილებიდან აღმოცენდება. „სტილის საიდუმლოება, – ეს არის ის, რაც თვით მწერლის სხეულს ახსოვს“.

შეუსაბამობა ტოლობის ნიშნით ხელოვნურად ერთიანდება რ. ბარტთან⁵⁶:

1. **სტილი** – პიროვნული მეხსიერების უღრმესი საცავი ანუ, სტილი – სხეულის ცხოვრებისეული გამოცდილებიდან აღმოცენილი – შეუვალობა

2. **სტილის საიდუმლოება** – მწერლის სხეულს ახსოვს.

ჩვენი პიროვნული მეხსიერების უღრმეს საცავზე თუ ვისაუბრებთ, ის უპირველესად არის სული, – გულის ფარული და მოუხელთებელი მოძრაობა.

თითქოს გვეუცხოვება, როცა რ. ბარტი წერს:

– სტილი – სხეულის საცავშია დაცული, მაგრამ ეს აზრი სულაც არ არის ახალი განაცხადი. ის საუკუნეების განმავლობაში აქა-იქ იჩენდა, იქნებ საფუძვლიანი ინტერპრეტაციითა და იჭვითაც რომ ადამიანი, რასაც არ უნდა ქმნიდეს თავის ცხოველურ ბუნებას ვერ გასცილდება.

მაგრამ განა ყველა წარმოთქმული ფრაზა მოისმინება. ის ხშირად უწონადოა, რადგან იმ ეპოქას არ განეკუთვნება, სადაც გაიჟღერა. საოცარია, მაგრამ ჩვენ ამ ფაქტის უსასრულო დასაბუთება შეიძლება მოვიძიოთ. ასეც შეიძლება ვთქვათ, – ბარტამდე – ათასმა ბარტმა წარმოთქვა ეს ფრაზა თუ გააჟღერა, იჭვი; მაგრამ მუდამ იმარჯვებდა მაღალი სულიერობა და ეს ისე მოხდა, თითქოსდა ისინი, არც არასოდეს არავის წარმოუთქვამს.

მოდით, ახლა ასე შევეცადოთ, გავიაზროთ ეს პრობლემა, და, რას ნიშნავს, რომ ბიუფონის ფრაზა: „**სტილი – ეს თვით ადამიანია**“ – უწონადო შეიქმნა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ადამიანმა ღმერთი უარყო და მამასადამე შეუძლებელი შეიქმნა მას ჰქონოდა თავისი სტილი?

უპირველესად იმას, რომ ადამიანს არა აქვს უნარი იყოს თვითმყოფადი, უნიკალური, ამაღლებული, ღმერთის რჩეული. უფრო მეტიც ეს მდგომარეობა შეფასებულ იქნა, როგორც ადამიანის მიერ თავისი ცხოველური გზის შენიღბვა.

ბალზაკი⁵⁷ კი ამბობდა:

„**საკმარისი არ არის იყო უბრალოდ ადამიანი, – უნდა იყო მთელი სისტემა**“.

იმ აზრით, რომ საგანს მხოლოდ მაშინ აქვს წონადობა და ღირებულება, თუ ის სისტემის ნაწილია, მაგრამ თანამედროვეთათვის ეს წონადობა – ღირებულება – ღვთაებრივის მაღალი ჯილდო დამცრობილი და უარყოფილ იქნა და შეფასებული როგორც ადამიანის მიბრუნება თავისი ცხოველური ბუნებისადმი. და ეს მაშინაც კი, როცა შთაგონების იგავშიუწვდომელ გზას მიმყოფ შემოქმედში ადამიანის ინდივიდუალური „მე“ კვდება. თანამედროვე თეორიების მიხედვით ღმერთის ინსტრუმენტად ქცეული ადამიანი კი არ წერს, – არამედ ეს თავდაცვის ინსტინქტით აღძრული ცხოველის მოქმედებაა მხოლოდ და სხვა არაფერი.

როცა ორტეგა ი გასეტი წერს:

„**ცოცხალი ფორმებისგან თავის დაღწევის ტენდენცია**“.

ეს მისი უმკაცრესი მოთხოვნაა, თანამედროვეთა ერთგვარი ახირების დეკლარაცია. – გვაქვს სტილი – მამასადამე, ჩვენი სხეული წერს და არამც და არამც ჩვენი სული.

მაგრამ ამის იქით არსებობს საფუძვლიანი მოსაზრებები – და ბევრად უფრო ღრმა, ვიდრე ჩვენ ეს ერთი შეხედვით წარმოგვიდგენია. მაგალითად, ინა კულიშოვას მოჰყავს ი. ბროდსკის, თანამედროვეობის ერთ-ერთი წამყვანი მოაზროვნის სიტყვები:

– „ვერცერთ რწმენას, ვერცერთ დიდ იდეას არ შეიძლება ჰქონდეს პრეტენზია, მეტაფიზიკური ჰორიზონტის სრულ მომცველობაზე“.

ან, როგორც ვიაჩესლავ ივანოვი⁵⁸ წერდა:

„საკმარისი არ არის ქრისტე საკმარისი არ არის ფროიდი, საკმარისი არ არის მარქსი, ექსისტენციალიზმი და ბუდა“.

77. ფრაგმენტი ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსიდან „ვაკ, დრონი, დრონი“

78. პიესის კომენტარი:

ჩვენი სიმბოლო პურია,
აღსრულდა კაცობრიობის ოცნება,

ქვა იქცა პურად. ჟ. სირაძე „ხელოვნების გზა“ გვ. 81; გვ. 85;
გვ. 90.

ჟ. სირაძე „ხელოვნების გზა“ გვ. 90. გვ. 85, გვ. 81.

პიესაში წარმოსახვითი ხელოვნების სამყაროში ხდება სულიერ ღირებულებებზე უარის თქმა, – და ეს ფრაზა მისი ფიგურალური გამოხატულებაა.

სულიერ ღირებულებათა უარყოფილებით, ის აერთიანებთ, რომ ისინი ყოველთვის ბუნებას მოიშველიებენ, თავისი სიწრფელისა და უშუალობის დასაცავად, – თუმცა კარგად გააზრების შემდგომ ჩვენ ხელთ ბუნების ნაცვლად ტექნიკა, ბუნების ეს ყალბი პირმშო აღმოგვაჩნდება.

ასევე ნიშნულია ის ცარიელი თავისუფლება, რაც ნებისმიერი სურვილისა და სიამოვნების მყის აღსრულებას მოჰყვება, როგორც სასჯელი.

ვიდრე ამ ფრაგმენტის კომენტირებას შევუდგები, მინდა პურის შესახებ ბიბლიის ლექსიკონში შეტანილი მნიშვნელობები ხელახლა გავიხსენო;

- ქრისტე. იოან. 6, 33-35.
- ქრისტეს ხორცი. მათ. 26, 26; 1 კორ. 11, 23-24.
- წმინდანთა კავშირი. საქმე. 2, 46; 1 კორ. 10, 17.
- სიუხვე. ეზეკ. 16, 49; 2 სჯ 8, 9.
- უსამართლობა. იგავ. 4, 17; 20, 17.
- ამაობა. იგავ. 31, 27.

ასევე გადატანითი მნიშვნელობით:
 ქრისტე – პური არსობისა. იოან. 6.48.
 ეკლესია. 1 კორ. 5, 7; 10, 17.
 ბიბლიის ლექსიკონი ტ. II. 24 გვ.

შემდგენელი ე. გიუნაშვილი
ღრმად რომ იქნეს გააზრებული, ეს კომენტარი, დიონისე არეოპაგელის⁵⁹ მოსაზრებას მოვიყვან რომელშიც **სულიერ პურზეა**

საუბარი: – **ქრისტეზე, – ქრისტეს ხორცზე, – წმიდანთა კავშირზე, – ეკლესიაზე.**

აი, რას წერს იგი:

– „ღვთით ბოძებული საზრდო ორგანია – გვასწავლის ფსევდო-დიონისე არეოპაგელი ერთი მკვრივია და მყარი, მეორე – ნოტიო და თხევადი...“

მკვრივი საზრდო (...) მყარი და ძნელად მისაღები სულიერი საკვებია, რომლითაც ადამიანები ეზიარებიან მარად უცვლელ სინამდვილეს, ამის სიმბოლოდ დიონისე არეოპაგელი ასახელებს პურს.

პური სიმბოლოა იმ სულიერი საზრდოსი, რომლის არქონა არარსებობას უდრის. „პური ჩუენი არსობისა, მომეც ჩუენ დღეს“ – ნათქვამია სახარებაში, სადაც „პური არსობისა“ გაგებულია, როგორც ჭეშმარიტი ცოდნა, ღვთით ბოძებული სიბრძნე, გონება სამყაროს მაცოცხლებელ ძალად მოვლენილი. ყოველდღიური პურის მოთხოვნით ჩვენ მოვითხოვთ ქრისტესთან მარადიულ ზიარებას, რადგან ქრისტე არის პური და სიცოცხლე ჩვენი.

პური ქრისტეს სხეულის ღვთაებრიობასთან არის დაკავშირებული. იესოს პურის სახით ხელთ უპყრია ღმერთის სიტყვა და აზრი განივთებული. წმინდა ტრაპეზი წმინდა სულის სიმბოლოა, ხოლო საკვებად მოტანილი პური – ღმერთის სიტყვის, ე.ი. იესოს ხატება.

XVII ს. დასასრულს წარმოიშვა მიმდინარეობა, პურთაყვანისმცემლობის სახელწოდებით, რომლის მიმდევარნიც თავყვანს სცემდნენ პურს და ღვინოს, როგორც ქრისტეს სხეულისა და სისხლის განივთებულ სიმბოლოს“.

ჯ. შოშიაშვილი „ბიზანტიური ეპისტოლოგრაფია და ფსევდო დიონისე არეოპაგელის წერილები“ გვ. 56.

ეხლა ახალი აღთქმის ტექსტი უნდა გავიხსენოთ და რასაკვირველია ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელის კომენტარებით:

4.1; „მაშინ იესუ აღმოიყვანა უდაბნოდ სულისაგან გამოცდად ეშმაკისაგან“

– 4;2; „და იმარხა ორმეოცი დღე და ორმეოცი ღამე და მერმე შეეშა“

– 4;3; „მოუხდა მას გამომცდელი იგი და ჰრქუა: უკუეთუ შენ

ხარ მე ღმრთისად, თქუ რაითა ქვანი ესე პურ იქმნენ“

4;3; „მართალია, მაცთურმა მოისმინა ხმა ზეციდან „ესე არს ძე ჩემი“, მაგრამ მეორე მხრივ დაინახა, რომ ქრისტეს მოშივდა და ვერ გაიგო, ძე ღვთისამ როგორღა განიცადა შიშშილი. რომ დარწმუნდეს, მის ცთუნებას ცდილობს და ეუბნება: „თუ შენ ძე ღვთისა ხარ“, ის ლიქნის მას, რადგან ფიქრობს, რომ ქრისტე რაღაცას მალავს. ალბათ იკითხავ ცოდვა რად იქნებოდა ქვეების პურად გადაქცევა, მაგრამ იცოდე! ეშმაკს რაშიც არ უნდა მოუსმინო – ცოდვაა. ამასთან, ეშმაკმა ის კი არა თქვა: „დაე ეს ქვა იყოს პური“, არამედ „ქვეები“, რათა ქრისტეში სინხარბის ცდუნება გაეღვიძებინა. მაგრამ მშვიერათათვის ხომ ერთი პურიც საკმარისია, ამიტომ ქრისტემ არც მოუსმინა მას“.

4;3; ხოლო იესომ მიუგო და ჰრქუა: წერილ არს, რამეთუ არა პურითა ხოლო ცხოვნების კაცი, არამედ ყოვლითა სიტყვითა, რომელი გამოვალს პირისაგან ღმრთისა“.

4;3; ეს დამოწმება ძველი აღთქმიდანაა ამოღებული და იგი მოსეს ეკუთვნის. ებრაელები მანანით იკვებებოდნენ, რაც პური არ იყო. მაგრამ მათ ყოველგვარ მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა, რადგან იგი ყველაფერი იყო იმისდა მიხედვით, ვისაც რისი ჭამა მოესურვებოდა თევზის, კვერცხისა თუ ყველისა“.

ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი „მათეს სახარების განმარტება“.

მე შეგნებულად მოვიყვანე ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელის კომენტარები, რათა ახალგაზრდა მკითხველმა კარგად გაიაზროს თუ რამდენად რთულია ეშმაკის მიერ ქრისტეს საცთუნებლად წარმოთქმული კითხვა „ქვის პურად ქცევი“-სა, რაზედაც პიესაშია საუბარი.

უპირველესად უნდა გულისხმავყოთ, რომ „ქვის პურად ქცევის“ ცთუნება ეშმაკისაგან, მას შემდეგ მოხდა მიწიერ სამყაროში, რაც ღმერთმა თავისი ძე მოავლინა კაცთა გამოსახსნელად დედამიწაზე;

ჩვენს ერის წინამძღვარი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II წერს:

„თვით უფალი ასე განმარტავს ქვეყნად თავის მოვლინების მიზანს: ესრეთ შეიყურა ღმერთმან სოფელი ესე, ვითარემედ, ძეცა თვისი მხოლოდშობილი მოსცა მას, რაითა ყოველსა, რომელსა ჰრწმუნეს იგი, არა წარწყმდეს, არამედ აქუნდეს ცხოვრებაი საუკუნოი (იოანე 3;16)

გონებისათვის მიუწვდომელი ამ მსხვერპლის წყალობით განქარდა ზღუდე ღმერთსა და კაცს შორის, ადამიანს კვლავ განელო სამოთხის კარი, გამოჩნდა გზა მარადიული ცხოვრებისაკენ“.

ილია II საშობაო ეპისტოლე 213 გვ.

1983-1984 წწ.

მაგრამ ვიდრე ამ ცთუნების საზრისს განვიხილავთ და განვმარტავთ, უნდა გავიხსენოთ, რომ მას წინ უძღოდა ადამის დაცემა და გამოძევება სამოთხიდან. ამის შესახებ, საინტერესო და ღრმა წიგნი მოგვეპოვება, ეს არის ბატონ ზ. კიკნაძის⁶⁰ წიგნი: „საუბრები ბიბლიაზე“;

აი, მისგან რამოდენიმე ამონარიდი:

„იდეალური აზრით, ადამი შეიქმნა ღვთის „ხატად, მსგავსებად“, მაგრამ ის გამოისახა მოკვდავი მატერიისგან, როგორც უკვდავი იდეის ხორცშესხმა; სიცოცხლის სუნთქვამ (იგივე რუახ ელოჰიმ „სული ღვთისა“) ცოცხალ არსებად აქცია ადამი, რომლის სახელი „მიწის“ სახელს (ადამაჰ) უკავშირდება. იმავე სულმა, რომელიც წყლის ბნელ უფსკრულებზე დაბუდრებული „ჩეკავდა“ სამყაროს, შექმნა ადამი სულიერ არსებად...“

...(ღვთის ხატად და მსგავსებად შექმნა, კერძოდ, იმას ნიშნავს, რომ ადამი შეიქმნა თავისუფალ არსებად, თავისუფალი ნების მყოფელად და შემოქმედად მსგავსად თავისი გამჩენისა. ადამის მაღალ ადგილზე ღვთის გაჩენილ სამყაროში მოწმობს მისი ადგილ-სამყოფელი, რომელიც მას გამჩენმა მიუჩინა. „უფალმა ღმერთმა ბაღი გააშენა ედემში, აღმოსავლეთში, და დასვა იქ ადამი, რომელიც გამოსახა“) (დაბ. 2,8).

„აიყვანა უფალმა ღმერთმა ადამი და დაასახლა ედემის ბაღში მის დასამუშავებლად და დასაცავად“ (დაბ. 2,15) „დაასახლა ედემის ბაღში მის დასამუშავებლად და მის დასაცავად“ არ გულისხმობს

სალუკმაპურო შრომას, იმგვარ მუშაკობას, რომელიც მოუხდა ადამს ედემის კარიბჭის გარეთ – წუთისოფელში“...

ედემი ქვეყნიერების შაუგული იყო, ხოლო ამ შაუგულის შუაგულში იზრდებოდა ორი ხე – „ხე სიცოცხლისა“ (ანუ უკვდავებისა) და „ხე კეთილისა და ბოროტის შეცნობისა“. მთელი ედემის ბაღი მისი ნაყოფებითურთ ეკუთვნოდა ადამს და ევას. კაცობრიობის პირველ წყვილს მიცემული ჰქონდა უფლება ყოველი ნაყოფის გემოს ხილვისა, გარდა ერთისა, რომლის ჭამასაც უკრძალავდა ღმერთი... „გააფრთხილა უფალმა ღმერთმა ადამი და უთხრა: ყველა ხის ნაყოფი გეჭმევა ამ ბაღში. მხოლოდ კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხის ნაყოფი არ შეჭამოთ, რადგან, როგორც კი შეჭამ, მოკვდები“ (დაბ. 2, 16-7). ადამს უნდა შეეჭამა უკვდავების ხის ნაყოფი, რომ უკვდავი ყოფილიყო ედემის ბაღში; უკვდავების ხილი უნდა ყოფილიყო მისი ერთადერთი საზრდელი, მისი ფიზიკურ-სულიერი სიმრთელის წყარო. მაგრამ ისწრაფა გველმა და მისი შეგონებით მან მეორე ხის ნაყოფი აირჩია და მოკვდა. ადამი არა იმდენად იმის მიზეზით მოკვდა, რომ „სიკეთისა და ბოროტების შეცნობის ხის“ ნაყოფი შეჭამა, არამედ უფრო იმ მიზეზით, რომ ვერ მოასწრო უკვდავების ნაყოფის შეჭმა.

„სიკეთისა და ბოროტების“ ნაყოფის გემოსხილვამ არსებითად შეცვალა ადამის ბუნება. „დაუძახა უფალმა ღმერთმა ადამს და უთხრა: ადამ, სადა ხარ? მიუგო: შენი ხმა შემომესმა ბაღში და შემეშინდა, შიშველი რომ ვარ, და დავიმალე. უთხრა (ღმერთმა): ვინ გითხრა, შიშველი რომ ხარ? იმ ხის ნაყოფი ხომ არ გიჭამია, მე რომ აგიკრძალე?“ (დაბ. 3,9-11). ადამს თვალი კი აეხილა, როგორც გველი ჰპირდებოდა, მაგრამ რა იხილა, გარდა თავისი სიშიშვლისა; ადამმა დაკარგა უბიწოება, ბუნების უშუალო განცდა. მისმა ახელილმა თვალმა იხილა, უფრო სწორად, შექმნა სიკეთედ და ბოროტებად განღივებული სინამდვილე, როგორც სურდა ყოფილიყო სამყარო კაცობრიობის მტერს, გველის სახით გამოცხადებულს. კიდევ რომ არ განდევნილიყო ადამი ედემიდან, მას უკვე დაკარგული ჰქონდა ედემში ცხოვრების ძალა. ის უკვე იყო ნაკლოვანი არსება, რომელიც აღარ შეესაბამებოდა ედემის სრულყოფილებას. „აეხილათ თვალი ორივეს და მიხვდნენ, რომ შიშველნი იყვნენ.

შეკერეს ლეღვის ფოთლები და არდაგები გაიკეთეს“ (დაბ. 3,7).

ბიბლია მოგვითხრობს ორი ადამის – სამოთხეში მყოფის და სამოთხიდან განდევნილი ადამის ამბავს. სამოთხის ადამს, ერთი არაბიბლიური თქმულების თანახმად, ნათლის სამოსელი ემოსა, რომელიც აეხადა აკრძალული ნაყოფის გემოსხილვის შემდეგ. ამრიგად, ის ფიზიკურადაც შეიცვალა, ნათელი მის სხეულში ბნელმა შეცვალა: „გაუკეთა უფალმა ადამს და მის დედაკაცს ტყავის სამოსელი და შემოსა“ (დაბ. 3,21). აქ მინიშნებულია ედემიდან განდევნილი ადამის ფიზიკური სახეცვლილება – ეს ნიშანი მისი „ტყავის სამოსელია“.

უკვდავის შექმნილი ადამი და ევა თავადაც უკვდავი უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ მათ იმ ნაყოფის გემოსხილვით თავიანთ ბუნებაში მოკლეს ის, რაც უკვდავების მატარებელი იყო. ამიერიდან, თუკი ისინი შექმნიდნენ რასმე ან შობდნენ, მათი გაჩენილი მხოლოდ მოკვდავი შეიძლება ყოფილიყო“.

ზ. კიკნაძე „საუბრები ბიბლიაზე“ გვ. 16-17-18;

მეორეგან თეოფილაქტე ბულგარელი, უდაბნოში ეშმაკისგან ქრისტეს გამოცდის შესახებ ასე წერს:

– 4.11. „სამი ცთუნება დათრგუნა უფალმა: გემოთმოყვარეობა, პატივმოყვარეობა და სწრაფვა სიმდიდრისაკენ ანუ ანგარების სიყვარული. სწორედ ესენია ვნებათაგან მთავარნი, მამასადამე, თუ მათ დაძლევე, გაცილებით იოლად დაამარცხებ დანარჩენებსაც“.

ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი „მათეს სახარების განმარტება“.

ეხლა კი, მე მოვიყვან ამონარიდებს დოსტოევსკის რომანიდან „ძმები კარამაზოვები“-დან. დიდი რუსი მწერლის გენიალურობის გასაღები იმაში მდგომარეობს, რომ მისთვის კაცობრიობის ისტორიის ღრმად დაფარული საზრისი ძველი და ახალი აღთქმის ტექსტებშია დაუნჯებული. მან, უდაბნოში ეშმაკისგან იესოს გამოცდის „გენიალური გააზრება წარმოადგინა რომანის მე-5 თავში „დიდი ინკვიზიტორი“.

– „Ибо в этих трех вопросах как бы совокуплена в одно целое и предсказана вся дальнейшая история человеческая и явлены три образа, в которых сойдутся все неразрешимые исторические

противоречия человеческой природы на всей земле. Тогда это не могло быть еще так видно, ибо будущее было неведомо, но теперь, когда прошло пятнадцать веков, **мы видим, что все в этих трех вопросах до того угадано и предсказано и до того оправдалось, что прибавить к ним или убавить от них ничего нельзя более**“

Ф. Достоевский, „Братья Карамазовы“ стр. 277.

ქრისტე მოდის დედამიწაზე, რათა ჯოჯოხეთში ჩავარდნილი ადამი გამოიხსნას. ამისთვის განკაცდა და იგი ადამიანური ბუნებით შეიმოსა, რათა მიიღოს ტკივილის ის სიმწარე და სიმუხთლე, რაც ადამიანური ბუნების თვისებაა, და ღვთაებრივი ბუნებისთვის კი უცხო და მიუღებელი.

მაგრამ, ისევ და ისევ ჩვენს გულში გახშიანდება მტანჯველი კითხვა:

– რატომ არ იღებს უფალი ამ ცთუნებას?

აკი, როგორც უკვე მოვიყვანე ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი თავის განმარტებაში ბრძანებს, რომ რაშიც არ უნდა დაუგდო ყური ეშმაკს – უკვე ცოდვია.

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ალბათ დოსტოევსკის „დიდი ინკვიზიტორში“ ის არის, რომ „ქვის პურად ქცევას“ ის უკავშირებს ადამიანის მთავარ დიდ ღირებულებას – თავისუფალ ნებას.

აკი, წმიდა მამები ასე წერენ:

„...ადამიანი არა თუ ხილულ ქმნილებებზე უფრო აღმატებული და ღირებულია, არამედ უხილავ სულიერ ქმნილებებზეც, ანუ ღმერთის მსახურ სულებზე, ანგელოზებზეც კი რამეთუ მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზებზეც კი არ ბრძანა შემოქმედმა ღმერთმა ჩვენს ხატად და მსგავსად შევქმნათო (დაბ. 1-26), არამედ მხოლოდ ადამიანის გონიერ არსებაზე – მის უკვდავ გონიერ სულზე თქვა ასე...“

წმიდა მაკარი დიდი, ეგვიპტელი⁶¹.

„ღმერთმა ადამიანს თავისუფალი ნება მიანიჭა, რადგან მას რობოტი კი არ სჭირდებოდა, არამედ ნამდვილი სრულყოფილი არსება“

წმიდა პეტრე დამასკელი.

კაცობრიობის ბოროტი სული, რომელსაც ფ. დოსტოევსკი უწოდებს „საშინელ და გონიერ სულს“, „თვითგანადგურებისა და არყოფნის სულს“ ფ. დოსტოევსკი „ძმებ კარამაზოვებში“ ასე მიმართავს უფალს ჩვენსას, იესო ქრისტეს:

– „К чему же теперь пришел нам мешать?“

ანუ, ისევ განვმეორდები, ის ამბობს:

– შენ მოხვედი, რათა ადამიანს თავისუფალი ნება მიანიჭო, მსგავსად ღმერთის ხატისას.

და ამ საუბარში გამოკრთება, თუ რაოდენ დიდი იყო ცთუნება და რა საშინელი შედეგი მოჰყვებოდა მას.

შედეგის წარმოსახვა შესაძლებელია, უფრო ნათლად, როცა თეოფილაქტე ბულგარელი თავის კომენტარებში, ასეთ განმარტებას უკეთებს იმ ადგილს, სადაც ქრისტე ჯვარს აცვეს:

27. 33-37.

„თხემის ადგილი იმიტომ ეწოდება იმ ადგილს, რომ გადმოცემის მიხედვით, იქ იყო დაკრძალული ადამი: როგორც ადამთან ჩვენ ყველა მოკვდით, ისე უნდა გავცოცხლდეთ ქრისტესთან“.

ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი „მათეს სახარების განმარტება“, გვ. 256.

გავცოცხლდებით ქრისტესთან ერთად, ანუ თავისუფლებას მოვიპოვებთ. აკი, პავლე მოციქული წერს: – „უფალი სულია, ხოლო სადაც არის სული უფლისა, იქ თავისუფლება“ (2 კორინ. 3;17).

დოსტოევსკის ნაწერი სრულყოფილი ახსნაა ამ საკითხისა. აი როგორ მიმართავს ეშმას რომანში „დიდი ინკვიზიტორი“ იესოს:

„... Ибо ничего и никогда не было для человека и для человеческого общества невыносимее свободы! А видишь ли сии камни в этой накой раскаленной пустыне? обрати их в хлеба, и за тобой побежит человечество как стадо, благодарное и послушное, хотя и вечно трепещущее, что ты отымень руку свою и прекратится им хлеба твой“ Но ты не захотел лишить человека свободы и отверг предложение, ибо какая же свобода, рассудил

ты, если послушание куплено хлебами? Ты возразил, что человек жив не единым хлебом, но знаешь ли, что во имя этого самого хлеба земного и восстанет на тебя дух земли и сразится с тобою, и победит тебя, и все пойдут за ним,...

...пройдут века и человечество превозгласит устами своей премудрости и науки, что преступления нет, а стало быть, нет и греха, а есть только голодные“.

Ф. Достоевский „Братья Карамазовы“ 277 стр.

ლოსტოევსკის, „დიდი ინკვიზიტორი“-დან მხოლოდ იმ ამონა-რიდებს მოვიყვან, რომელიც დაგვეზმარება, პიესაში დასმული თემების გასარკვევად;

აქედან უმთავრესია, ეს სიტყვები:

„... ты забыл, что спокойствие и даже смерть человеку дороже свободного выбора в познании добра и зла? нет ничего обольстительнее для человека, как свобода его совести, но нет ничего и мучительнее“.

Ф. Достоевский „Братья Карамазовы“ 283 стр.

თავზარდამცემია ამ ტექსტის კითხვა, რადგან არ შეიძლება არ ვიცნოთ თანადროული სამყაროს ცთომანი და საშიში გზები. და მე მოვიყვან ისევ რამოდენიმე ფრაგმენტს:

„Никакая наука не дает им хлеба, и пока они будут оставаться свободными, но кончится тем, что они принесут свою свободу к ногам нашим и скажут нам: „Лучше поработите нас, но накормите нас“.

Ф. Достоевский „Братья Карамазовы“ 278 стр.

აი, მეორე წინასწარმეტყველება ამ ცთომილი სამყაროსი:

„И если за тобою во имя хлеба небесного пойдут тысячи и десятки тысяч, то что станется с миллионами и с десятками тысяч миллионов существ, которые не в силах будут пренебречь хлебом земным для небесного? Иль тебе дороги лишь десятки тысяч великих и сильных, а остальные миллионы, многочисленные, как песок морской, слабых, но любящих тебя, должны лишь послужить материалом для великих и сильных? Нет, нам дороги и слабые...“

Ф. Достоевский „Братья Карамазовы“ 278 стр.

მაგრამ მე ასე დავსვათ კითხვას:

– შეგვიძლია კი ვთქვათ, რომ თანამედროვე, ცთომილ სამყაროში „ქვა არ იქცა პურად?“

ადამიანი თავისი თავისუფალი ნების მეოხებით, მუდამ და ყოველ წამს სამყაროს წინაშე წარსდგება, და ასე ის თავისი თავის არჩევითა და დაფუძნებით ის ირჩევს, იმ სამყაროს, რომელშიც მყოფობს, ანუ ის პასუხისმგებელია ერთნაირად, როგორც თავის თავზე, ასევე იმ სამყაროზე, რომელშიც მყოფობს, – რაც მისი არჩევანის შედეგია.

ამაზე არაერთი ფილოსოფოსი წერდა, მათ შორის ამ თემას ყველაზე მეტად გამოკვეთდნენ მონტენი და შოპენჰაუერი⁶² და ამტკიცებდნენ, რომ ადამიანი ცხოვრობს არა ობიექტურად მოცემულ სამყაროში, როგორც ეს ჩვეულებრივ საღ გონებას წარმოუდგენია, არამედ ის ცხოვრობს თავის მიერ არჩეულ, ზოგი ამბობს წარმოსახულ სამყაროში.

– და რა ხდება თანამედროვე, ცთომილ სამყაროში?

ყველაზე თავზარდამცემია მიწიერი სამყაროსადმი მონობა, რაც იმაში გამოიხატება, რომ ხდება ნებისმიერი სურვილის მყისიერი აღსრულება სინანულის გარეშე. და ეს გზავნილი იგზავნება მსოფლიო ხატის, – ტელევიზიის მეშვეობით ყოველ წამს თუ არა, ყოველ საათს კაცობრიობის ყველა კუთხეში. ამ მსოფლიო ხატმა-ტელევიზიამ უდიდესი როლი შეასრულეს, რათა ისე დაპატარავებულიყო მსოფლიო, როგორც ამას იასპერსი წერს, რომ იგი რომზე უფრო პატარად ქცეულიყო.

რას ნიშნავს ეს?

იქნებ იმას, რომ ადამიანი ერთნაირად შეიძლება იქცეს მართვადი, – ამ „ერთნაირად“ დაპატარავებულ მსოფლიოში?

და ამ „ერთნაირად“ დაპატარავებული მსოფლიოს, ცთომილი სამყაროს უდიდესი შეცოდებაა, მისი სულიერი სიძაბუნე და გონების დაბინდვა, რადგან ის, თავისუფალი ნების გაიგივებას ახდენს ნებისმიერი სურვილის აღსრულებასთან.

ეს გზავნილი ყოველ საათს სარეკლამო რგოლების მეშვეობით

იგზავნება თანამედროვე სამყაროში და დათრგუნული ადამიანი თანადროულ პულსაციას ადევნებული და დაბრმავებული მიუყვება ამ მცდარ გზას.

პიესაში „ხელოვანის გზა“ აღიწერება, თუ როგორ ებმის ერთმანეთს თანადროული სამყაროს სიმბოლოს, ტექნიკის მონაპოვარს ანუ ნებისმიერი საგანს თავისუფალი ნების დაკარგვა. ამის სიმბოლური გამოხატულებაა სცენაზე დაკიდებულ პურებს შორის თანამედროვე ადამიანის გამომხატავი საგნების განფენა.

თანამედროვე მორალისტები წიგნებს აღარ ქმნიან, მათი მაქსიმები ილუსტრაციების მეშვეობით უდიდესს ზემოქმედებას ახდენენ კაცობრიობაზე – მათი მთელი „ძალისხმევა“ კი იქითკენ არის მიმართული, რათა თავისუფალი ნების გაიგივება მოახდინონ მყისიერად აღსრულებულ სურვილთან. მაგ. ამის საუკეთესო ნიმუშია ქართულ სატელევიზიო სივრცეში – სასმელ „სპრაიტის“ რეკლამა. თუმცა „სპრაიტის“ ბოთლს რქები არ მოუჩანს, მაგრამ რეკლამაში სიტყვა-სიტყვით იმეორებენ ეშმაკის სიტყვებს:

მიენდე წყურვილის გემოს და შენ თავისუფალი იქნები.

ისინი, თანამედროვე მორალისტები იმაზე მუშაობენ, რათა ადამიანის ნებისყოფა მოაღუნონ და გონის ნაცვლად ვნებებით სავსე სკივრი უსახსოვრონ.

ამ მორალისტების „დიდი მუშაობის შედეგად“ ადამიანს აღარ რცხვენია იმისა, რომ მას არა აქვს ნებისყოფა და თუ ის მას „იყიდის“. თუმცა ეს შეუძლებელია და ამ საზარელი ილუზიით ყოველდღე ხდება მისი, თანამედროვე ადამიანის დაპურება.

მაგ. ის ყიდულობს სიგარეტის გადაგების მეთოდს, – რაც მისი ნებისყოფის უკუგდებით მოხერხდება. ამით, ის ვნებათაგან ერთ-ერთ ყველაზე საშიშს – გემოთმოყვარეობას ეჯახება ყოველგვარი მორიდებისა და უხერხულობის გარეშე.

ასე ხდება თანამედროვე ადამიანის ნებისყოფისა და ძალის შესყიდვა, სანაცვლოდ კი მას ვნებებით სავსე ყუთს ჩუქნის, – თანამედროვე ინკვიზიტორის გზავნილს.

თუმცა პიესაში, – საკითხი ხელოვნების წარმოსახვით სამყაროში ხდება. ყველა თემას რომ შევეხო და ავხსნა, ამისათვის სულ ცოტა ორი წიგნის დაწერა დამჭირდება.

ყურადღებას იქცევს ინკვიზიტორის სიიტყვეები, რომელიც აღრევას ახდენს სიტყვებისა და აზრისა. ის, თავისი ბუნებიდან გამოძინარე ცილს სწამებს უფალს და სურს მასზე კეთილად მოგვაჩვენოს თავი. თითქოს მას უფრო მეტად ეცოდება ადამიანი, ვიდრე ღმერთს და ვითომცდა ამისთვის სურს ქვის პურად ქცევა ანუ სუსტებისა და უძლურთა დაპურება.

რადგან ადამიანთა უმრავლესობა მისი აზრით არის სუსტი, უძლური და არც ძალუძს აიტანოს ტანჯვა და არ ძალუძს დათმენა. ამით ეშმა აღიარებს, თავის მთავარ აზრს, რომ ადამიანთა უმრავლესობა განწირულია იყოს მისი მსახური.

ფ. დოსტოევსკის საზარელი და თავზარდამცემი წინასწარმეტყველება ახდა. ლიტერატურაში ეს აისახა იმით, რომ მან თავის „გმირად“ – „ანტიგონი“ გამოიყვანა. ის, ვინც ერთადერთ ღირსებად ყოფიერების, ვნებებისადმი მონობასა და ამის გულწრფელ აღიარებას სთვლის. ეს გულწრფელობა სულაც არ ნიშნავს, რომ ის ემზადება სინანულის კიბეზე აღსავლელად. არა, ეს ცარიელი, უწონადო აღიარებაა, რითაც აღსარების უდიდესი მნიშვნელობა მან კაცობრიობისდა სავალალოდ უწონადოდ აქცია. XX საუკუნის ყველაზე დიდი აღსარება ეს ა. კამიუს „დაცემა“-ა.

და რატომ არის ეს შესაძლებელი?

მე აქ მოვიყვან ისევ და ისევ ღრმად მორწმუნე ნ. ბერდიაევის სიტყვებს, – რითაც დავასრულებ კომენტარს – თუმცა სინამდვილეში პრობლემასა და თემებს მხოლოდ ნაწილობრივ შევეხე.

ნ. ბერდიაევი ასე წერს:

„Почему возможна трагедия познания, почему свет Логоса не всегда освещает познавательный путь человека как существа духовного, превышающего мир?“

Н. Бердяев. „Царство духа и царство Кесаря“. 291 стр.

და იქვე, ის პასუხობს ამ კითხვას:

Познание не есть только интеллектуальный процесс, в нем действуют все силы человека, волевое избрание, притяжение и отталкивание от истины“

Н. Бердяев „Царство духа и царство Кесаря“ стр. 291.

79. პიესის კომენტარი:

„ის ნათლის ანგელოზს ემსგავსება!
და წყვდიად ღამეში მოსჩანს სული!
სულის მოძრაობა! სულის გზა!

სული არავისა და არაფერს, რომ არა ჰგავს!!

ჟ. სირაძე „ხელოვანის გზა“, გვ. 83.

მ. ჰაიდეგერი ასეთ ინტერპრეტაციას გვთავაზობს:

– „Быть поэтом в скудное время – значит, воспевая, указывать на след ушедших Богов. Поэтому-то во время мировой ночи поэт рассказывает Священное. Вот почему мировая ночь у Гёльдерлина – священная ночь“.

М. Хайдеггер, „Петь – для чего“, стр. 184.

მაგრამ, ის რასაც ჰაიდეგერი უწოდებს *священная ночь* – არის ნათლის ანგელოზის მოჩვენებითი სახიდან წარმომდგარი, ილუზია წმინდათაწმინდა ნათებისა. ამ საზარელ დროებაში, ის აღიწერება, როგორც ღვთაებრივი ციალისა და ნათელის გამქრალი კვალი.

და რაც ნიშნეულია ზოგიერთი თანამედროვე ეგზისტენციალისტების ნაწერებშიც, „ნათლის ანგელოზის“ ცრუ გამონათება კრთება, სადაც ღვთაებრივი ხმის მოსმენა, ან გამონათება – ყოფიერების ჩარჩოში ჩამწყვედული აღიწერება. ცხადია, აქ უპირველესად ჰაიდეგერისა და იასპერსის ფილოსოფიას მოვიაზრებ.

ნიკოლოზ ბერდიაევი მკაცრად და ოდნავი ირონიით წერს:

– „Совершенно непонятно, как человек Dasein (მუნყოფიერების) может возвыситься над низостью мира, выйти из царства Das man“

Н. Бердяев „Царство духа и царство кесаря“, 291 стр.

და იქვე დაამატებს:

„Для этого в человеке должно быть высшее начало, возвышающее его над данностью мира, экзистенциалисты антирелигиозного типа так низко мыслят о человеке, так понимают его исключительно снизу, что остается непонятным самое возникновение проблемы познания, возгорение света Истины“.

Н. Бердяев, „Царство духа и царства Кесаря“, 291 стр.

80. პიესის კომენტარები:

მე შემეყვარდა სამყაროს წყვდიადით მოსილი ღამე
ავადობა ამ ეპოქისა,
და განძარცვული სული.

რომლის სამოსელი

საზარელმა ქარიშხალმა მიიტაცა,

ჟ. სირაძე „ხელოვანის გზა“ გვ. 84.

ემანუელო გოდებს, რადგან ის ცოდვად მიითვლის წყვდიადით მოსილი ღამის სიყვარულს და როცა, მარტინ ჰაიდეგერი ცდილობს აღწეროს ეს „წყვდიადით მოსილი ღამე“, ის ასეთ ინტერპრეტაციას გვთავაზობს:

„ღებუა საღამო, მას შემდეგ რაც „სამნი შეთანხმებულნი“ – ჰერაკლემ, დიონისემ და ქრისტემ დატოვეს დედამიწის სამყარო, საღამო ღამისკენ გადაიხრება“.

ლოგიკური წაკითხვის შემწეობით ჩვენ შეიძლება უკეთეს შემთხვევაში პარადოქსი აღმოვაჩინოთ, ან, უბრალოდ სიტყვათა ჟონგლიორობა.

მაგრამ ეს სიტყვები ისეთი პროფეტის მიერ იწერება, როგორც მაგალითად ჰერაკლიტეა. და ჩვენ ასოციაციით, გაგვასხენდება მისი ცნობილი ფრაზა:

„მზე არა მარტო მარად ახალია, არამედ მარადღე ახალიც“.

ეს ფრაზა მიგვახვედრებს, რომ ჰერაკლიტე და ჰაიდეგერი თუმცა ერთდაიგივე ინსტრუმენტზე უკრავს, მაგრამ სხვადასხვა მუსიკას.

მივაქციოთ ყურადღება, რომ ჰაიდეგერთან მსოფლიო ღამის დაღამება უნდა განვიცადოთ არა როგორც რაღაც ტოტალურობა, რომელიც ერთბაშად გვეძლევა, არამედ მსოფლიო ღამე უნდა განვიცადოთ, როგორც ყოველი წამის, საზარელი წამის საუკუნედ ქცევა.

– ეს ნიშნავს, რომ მსოფლიო ღამე ღამისკენ გადაიხრება. ამ საზარელ დაღამებას, თავზარდამცემად განიცდის ემანუელო; და ის მონაწილე ხდება ჰაიდეგერის სიტყვების:

– „მსოფლიო ღამე უფრო და უფრო განავრცობს მრუმე წყვდიადს“.

აქ უკვე აზრი გონების სიცხადით კი აღარ იწერება, რადგან

ჩვენ წმინდა მუსიკის სფეროში გადავდივართ და ვისმენთ გოდებას, რომელიც ღვთაებრივის განქრობისგან მოგვრილი დიდი ტკივილისგან მოედინება. **ცხადია, ფილოსოფია აქ თავის საზღვრებიდანაა გასული და ასე იქცევა ის, იმ ფილოსოფიად, რომელზედაც პლატონი ოცნებობდა: დაუწერელი ტექსტის ფილოსოფიად.** აქ ეპოქის ის ავადობა აღიწერება, რომლის აღსაწერად ტარკოვსკი „აპოკალიფსის“ ამ ფრაგმენტს აირჩევს:

„ნეტარ არს, რომელი იკითხვიდეს და რომელნი ისმენდენ სიტყუათა ამის წინასწარმეტყუელებისათა და დაიმარხონ, რა იგი მას შინა წერილ არს, რამეთუ ჟამი ახლო არს“ (გამ. 1, 3), რასაც ა. ტარკოვსკი ასეთ კომენტარს უკეთებს:

– „მაგრამ ჩვენ არ ვიცით და არ შეგვიძლია ვთქვათ, როდის მოვა ეს დრო და რანაირად არის იგი „ახლოს“, – ეს ჩვენ არ ვიცით. ეს შეიძლება მოხდეს ხვალ, ან ათასი წლის შემდეგ და სწორედ მასში ვპოულობთ ადამიანის მთელ საზრისს, ადამიანისა, რომელიც იღებს პასუხისმგებლობას თავის ცხოვრებასა და ქმედებაზე“.

ა. ტარკოვსკი „აპოკალიფსი“ მთარგმნ. დ. აკრიანი, გვ. 201.
მ. ჰაიდეგერი, თავის გენიალურ რექვიემში იგულისხმება – „რისთვის ვიმღერო?“ ასე წერს:

– „ეს დრო დალდასმულია ღმერთის არმოსვლით (ძველ ქართულად ეს ასე ითქმის – „პირაშკმულობა ღვთისა“), მისი იმედგაცრუებით“.

და მ. ჰაიდეგერი ასე აგრძელებს:

– „... ღმერთის იმედგაცრუება ნიშნავს, რომ არავითარ ღმერთს უკვე აღარ ძალუძს საჩინოდ და ასე ფხიზლად შემოიკრიბოს თავის ირგვლივ ადამიანები და საგნები, რადგან ამ შემოკრებით მსოფლიო ისტორიას ვერ აქცევს ერთის ჰარმონიად და ცხადია, ამ მსოფლიოში ადამიანის **მყოფობა** ვეღარ ჩაიწერება“.

მ. ჰაიდეგერი – „რისთვის ვიმღერო?“ თარგმ. რუს. ჟ. სირაძე.
ემანუელის „ავადობა“ – „ღმერთის წასვლაზე მიანიშნებს“, თუმცა რომ მას შეუყვარდა „წყვდიადით მოსილი ღამე“ – ეს ნიშნავს, რომ ღმერთის წასვლა, მისი დროების ეს ავადობა, მის ბედთან არის გადაჯაჭვული და მან, როგორც ხელოვანმა უნდა

გაიაზროს, გადალახოს და იწვდომოს ამ ავადობის სიმძიმე.

ესლა კი მივადექით ყველაზე რთულ საკითხს:

„და განმარცვული სული

რომლის სამოსელი

საზარელმა ქარიშხალმა მიიტაცა“.

ჟ. სირაძე „ხელოვანის გზა“

ეს მეტიმეტად რთული პასაჟია. განმარცვული სული იმ ავადმყოფი ეპოქის პირმშოა, რაშიდაც ემანუელო დაეჭვდა და ეს იჭვი უკვე მისი დანაშაულია, რადგან ამ იჭვში იღო მამის უარყოფაც და მისი სიკვდილიც.

განმარცვული სული – ეს იგავმიუწვდომელი ხილვაა სულისა, იმ სულისა, რომელიც თანამედროვე ავადმყოფი ეპოქის შეკვეთით ახერხებს ჯერ ორად გაიხლიჩოს და რომელშიც თითქოსდა სიკეთისა და ბოროტების განყოფა არ ხდება და უფრო მეტიც ვითომცდა ღვთაებრივის გონმიუწვდომ ნათებაში მათი განქრობა მიმდინარეობს, როგორც ეს მაგალითად, ფრ. ნიცშეს ამ ფრაზაში:

– „Стыдиться своей безнравственности – это одно из ступеней той лестницы, на вершине которой стыдятся также своей нравственности“.

Фр. Ницше, „По ту сторону добра и зла“, стр. 295

სარტრიც⁶⁵ ცდილობს ამ მდგომარეობის აღწერას, მაგრამ უფრო უგერგილოდ:

„Тревога есть, даже если ее скрывают“.

შემიყვარდა სამყაროს წყვდიადით მოსილი ღამე – შემიყვარდა, იმასაც ნიშნავს, რომ ხელოვანი თავის დროებაზეა შეყვარებული, და მიჯაჭვული, რადგან ეს მისი ბედისწერაა. ის, თავისი სულისმიერი გზით, თავისი ხატ-სახეებით ასახავს თავის დროებას, თავის ეპოქას. ეპოქა – არის მისი სამოსელი, – ანუ ყველაფერი, რაც ითქმის ხელოვანის მიერ, ნასაზრდოებია მისივე ცხოვრებიდან.

საზარელი ქარიშხალი – ის თავზარდამცემი მოვლენაა, რომელსაც ნ. ბერდიაცი აღწერს, როგორც ხელოვანი და ფილოსოფი:

– „... სულ ერთიანად გამქრალა მზით გასხივონებული სიცოცხლის სიხარული. ზამთრის კოსმიურ ქარტეხილს ერთიანად ჩამოუგლეჯია ყველაფრისთვის საფარველი... უხრწნელი სილამაზის

ხატებად მოვლენილი ერთიანი სხეული დაშლილა, დანაწევრებულა და გეჩვენება, რომ აღარასოდეს დადგება კოსმიური გაზაფხული... თითქოს პიკასოსეული საშინელი ზამთრის შემდეგ სამყარო ვერასოდეს აყვავილდება ისე, როგორც ეს ხდებოდა ადრე...“

ნ. ბერდიაევი. „ხელოვნების კრიზისი“. გვ. 189.

როცა მ. ჰაიდეგერის ფილოსოფიას განიხილავდა, ერთი კომენტატორი ასე წერდა:

– „структуру человеческого бытия в ее целостности Хайдеггер обозначает как „заботу“. Она представляет собой единство трех моментов:

1. бытие – в мире
2. Забегания вперед
3. Бытия при внутримировой сущем.

„Современная буржуазная философия“ стр. 292.

და მე თვითოეულ მომენტთან ჰაიდეგერის „სამნი შეთანხმებული“-ს სახელი დავწერე:

1. დიონისე 2 – ჰერაკლე, 3 – იესო ქრისტე.

81. პიესის კომენტარი:

მე შემეყვარდა ფილოსოფოსი და პოეტი,

დატანჯული და მოცახცახე

რადგან, იქ დადგა

სადაც არაფრის გამოთქმა არ შეიძლება

და ვიხილეთ ქმნადობის პროცესი

– მზის ღიაობა

– და აზრის აზრი

– აზრი – არავის და არაფერს, რომ არა ჰგავს,

– გრძნობა – არავისა და არაფერს, რომ არა ჰგავს“

ჟ. სირამე „ხელოვნების გზა“ გვ. 84.

ამ სტროფის გასაგებად, მე მოვიშველიებ ჰიორდელინის შემოქმედებას. მის შემოქმედებაში – „იქ დადგომა“, ანუ კაშკაშა მზის სიცხადის პირისპირ წარსდგომა იმით დასრულდა, რომ ჰიორდელინის ბავშვური მიაძინებობითა და გასაოცარი სინაზით მოსილმა

დიადმა სულმა ვერ მიიღო საუკუნის ავადობა, – და როგორც მ. ჰაიდეგერი წერს:

– „... ის სიგიჟემ მოიცვა და დედის სახლში ბრუნდება“

და აი, რას წერს იგი (ჰიორდელინი) თავად:

– „ძღვევამოსილი სტიქიონი, ცეცხლი ზეცისა და ადამიანთა სიმშვიდე, მათი შეზღუდულობა და კმაყოფილება ყოველთვის მთრგუნავდა და როგორც გმირებზე ამბობენ ხოლმე შემდეგ, მეც შემიძლია ვთქვა:

– „აპოლონმა მძლია და დამცა“. (ხაზგასმა ჩემია – ჟ. სირამე)

და უკვე ჰაიდეგერი აღწერს – „იქ დგომას“, – სადაც არაფრის გამოთქმა არ შეიძლება.

„ჭარბმა ნათელმა წყვილადში ჩააგლო პოეტი“, – მაგრამ ჰაიდეგერი არასწორ ინტერპრეტაციას გვთავაზობს, როცა ასეთ კითხვას სვამს:

„კიდევ რაიმე საბუთია საჭირო იმის საჩვენებლად, რომ მისი საქმიანობა საშიშია“, მ. ჰაიდეგერი „ჰიორდელინი და პოეზიის არსი“ მთარგმნ. ნ. გელაშვილი. გვ. 245

უეჭველია, რომ, პოეტის შემოქმედება საშიშია, შეიძლება ითქვას, თავზარდამცემიც, მაგრამ ჰიორდელინი ხომ ჰაიდეგერისთვის არის ბედისწერის მიერ, ერთდროულად გამორჩეული და განწირული პოეტი, რომელზედაც თავად ჰაიდეგერი წერს:

– „პოეზია ჰიორდელინისა აღბეჭდილია პოეტური მოწოდებით

– საკუთრივ შემოიძოქმელოს პოეზიის არსი.

... მაგრამ პოეტის შესახებ პოეტური შემოქმედება განა არ არის ნიშანი გზაშემცდარი თვითსახვისა და ამავე დროს გამოტყდომა სამყაროული სისავსის არქონაში?“.

მ. ჰაიდეგერი „ჰიორდელინი და პოეზიის არსი“ თარგმნ. ნ. გელაშვილი.

ბერწ დროში პოეტი ვეღარ ქმნის, რადგან მისი უნაყოფობის მიზეზი მისი დაეჭვებაა თავად შემოქმედებით პროცესში, – ჩემს პიესაში ეს ასე ითქმის:

„მზის ღიაობა

და აზრის აზრი

აზრი, — არავისა და არაფერს, რომ არა ჰგავს.
გრძნობა — არავისა და არაფერს, რომ არა ჰგავს“.

ჟ. სირამე. „ხელოვანის გზა“ გვ. 84.

ამიტომაც ამ დროს პოეტი მიუბრუნდება თავად შემოქმედებით პროცესს და მის კვლევას აწარმოებას.

ეს ნიშნავს, რომ ის, მზის სიცხადეს უსწორებს თვალს, ანუ შთაგონების იგავიუწვდომელ გზაში „იმზირება“ ან, მასზე წერს. აი, რას ვკითხულობთ მარტინ ჰაიდეგერის ესე-ში:

„Сущности поэта, истинного поэта в такое время мира, свойственно то, что из всей скудности времени творческим вопросом для него становится прежде всего поэтическое творчество и призвание поэта“.

М. Хайдеггер, „Петь — для чего?“ 184 стр.

და შემდეგ ჰაიდეგერი აგრძელებს:

„Быть поэтом в скудное время — значит воспевая, указывать на след ушедших богов. Потому-то во время мировой ночи поэт сказывает Священное. Вот почему мировая ночь у Гёльдерлина — священная ночь.“

М. Хаидеггер „Петь — для чего?“ 184 стр.

მაგრამ ჩვენ ყურადღებას იპყრობს და შემდეგ გვაფორიაქებს თავად ის ფაქტი, რომ შემოქმედებითი პროცესის კვლევა, — შთაგონებაში ჩამზერა, — უცილობლად უკავშირდება წასულ ღმერთებს და მათ მიერ დატოვებულ ნაკვალევს.

ერთის შესვლით ჰაიდეგერის მოყვანილი სიტყვები:

— „პოეტურად ცხოვრება ნიშნავს ღმერთთან პირისპირ დგომასა და საგანთა არსის სიახლოვით გათანგულობას. „პოეტურია“ ყოფიერება თავის საფუძველში, ამავე დროს ნიშნავს: როგორც დაარსებული ის დამსახურება კი არა, საჩუქარია“.

მ. ჰაიდეგერი, „პიორდელინი და პოეზიის არსი“, 243 გვ. მთარგმნ. ნ. გელაშვილი.

ბერწ დროში მოქცეულ პოეტს ესადაგება ეს სიტყვები, თუ უბრალოდ ეს შეცდომაა? რადგან, როგორც თვითონ აღნიშნავს ჯერ ერთი: პოეტურად ცხოვრება ნიშნავს ღმერთთან პირისპირ დგომას.

მაგრამ ცხადია, ბერწ დროში ეს ვერ განხორციელდება, რადგან თუმცა გაჯიუტებული და უაზროდ გახევებული პოეტი ღვება კაშკაშა მზის სიცხადის წინაშე. მაგრამ მოწიწებისა და კდემის გარეშე ღმერთი არ მიდის პოეტთან და ეს ვერ განსრულდება და წასული ღმერთის ნაკვალევი და მისი ღიადი ნათება აბრმავეს პიორდელინს.

არც საგანთა არსის სიახლოვით გათანგულობა გვეძლევა, — რადგან ღიდი საგნები გაურბიან იმ ადამიანს, ვინც ლოცვის და მოწიწების გარეშე ბედავს მათთან მიახლებას, ვინც ეძიებს ანუ მანამდე არ ირწმუნა, ვიდრე არ იხილა.

პიორდელინზე (მიუხედავად იმისა, რომ ის გოეთეს ეპოქას განეკუთვნება) ჩვენ შეგვიძლია ის ტრაგიკული სიტყვები გამოვიყენოთ, რაც ოქტავიო პასსიმ ორტეგა-ი-გასეტზე წარმოთქვა:

— „მას შეუძლია მზეს მიაშტერდეს და თავისი ჩრდილი, გამოსახულება ვერ დაინახოს“, „იგი საკუთარ სიკვდილს ვერ განიცდიდა“.

აპოკალიფსური ჟამის ხელოვნების „კანონი“ ასეთია. ის მსოფლიო ღამის, ქმნადობის პროცესის იგავიუწვდომელ პროცესთან გაჯიუტებით გააჩერებს შემოქმედს. ჰაიდეგერი წერს:

„И все же мировую ночь следует мыслить как участь, свершающуюся по ту сторону пессимизма и оптимизма“, „Петь для чего?“ М. Хайдеггер. 182 стр.

ცხადი ხდება, რომ ემანუელო ცდება, როცა ფიქრობს, რომ აქ, შთაგონება-ქმნადობის პროცესში ჩამზერისას, შესაძლოა მისწვდეს **აზრის აზრს**.

თანამედროვე ხელოვნების ნიმუშებმა გაგვიმჟღავნეს, რომ „აზრის აზრი“ მხოლოდ ილუზია, ჩიხი იყო, რომლის იქით ვიხილეთ ღმერთს განშორებული სამყაროს გაუცხოებული საგნები, ან როგორც, ჰაიდეგერი წერს: „უფსკრულზე ჩამოკიდებული საგნები“. თუ თვალს მივადევნებთ თანამედროვე ხელოვნებას, მისი ნაწარმოების მთავარი პერსონაჟია ერთის მხრივ მასის ადამიანი, რომელსაც პირობითად შეიძლება **არავინ** ვუწოდოთ, — და რომელმაც მოიტანა სწორედ არა სულის რაფინირება და აზროვნების სიმაღლე, არამედ

სხეულის ყველა ცთომა, – მისი ყველა სურვილის უსასრულოდ გაზრდა და გაზვიადება.

ორტეგა ი გასეტი როცა დეფინიციას გვთავაზობდა, იმედოვნებდა კიდევ, რომ თანამედროვე ხელოვანი, – წმინდა სულის დარად შესძლებდა კიდევ ცამდე აღსვლას და კოსმოსის ხმის გაჟღერებას:

– „პოეტი იწყება იქ, სადაც მთავრდება ადამიანი. ერთის ბედი თავისი ადამიანური გზით სიარულია, მეორეს მისია – არარსებულის შექმნა“.

ორტეგა-ი-გასეტი „ხელოვნების დეჰუმანიზაცია“, 62 გვ. მთარგმნ. ბ. ბრეგვაძე.

ან მეორეგან

„პიროვნული, როგორც ყველაზე ადამიანური, ყველაზე უფრო გადაჭრით უარიყოფა ახალი ხელოვნების მიერ. ამას განსაკუთრებით ნათლად გვიმოწმებს მუსიკა და პოეზია“.

ორტეგა ი გასეტი „ხელოვნების დეჰუმანიზაცია“. 51 გვ. მთარგმნ. ბ. ბრეგვაძე

თუმცა სამწუხაროა რომ თანამედროვე ხელოვნებამ ეს მოთხოვნები ვერ გაამართლა.

82. პიესის კომენტარი:

„ნუთუ ჩვენი ადამიანური დანიშნულების ძიება

იმ წერტილის ძიებას მოაგავს,

რომელიც არ არსებობს?!

და ჩვენ შეშლილობას კი ეს წარმოუსახავს,

როგორც რაღაც „სიმყარე“.

შეშ-ლი-ლო-ბის დალ-ლი-ლო-ბა!!!

შეშ-ლი-ლობის დალ-ლი-ლო-ბა!!!

ღმერთი – წერტილი!!! მზის სხივი – წერტილი!!!

ჟ. სირაძე „ხელოვნების გზა“ გვ. 87.

ემანუელში მხოლოდ და მხოლოდ გაიეღვებს საზარი და თავზარ-დამცეში სკეპსისი ადამიანის დიად მისიაზე, მის დანიშნულებაზე მიწიერ სამყაროში. ამის იქით კი დგას ავადმყოფი ეპოქის თანამედროვე, დიდ მოაზროვნეთა სულისმიერი გზის მონახაზები.

როცა ა. კამიუ წერს:

„ის, უცხოც, ზოგჯერ სარკიდან რომ შემოგვეგებება, ნაცნობი და მაინც გულიწმომწყველი ჩვენი ღვიძლი ძმა, რომელსაც ვპოულობთ საკუთარ ფოტოებზე, ესეც აბსურდია“.

ა. კამიუ „სიზიფეს მითი“. გვ. 21. მთარგმნ. ნ. იორდანიშვილი.

ან, მეორეგან:

– „კაცი ტელეფონზე ლაპარაკობს შუშის ტიხარს მიღმა. მისი ხმა არ ისმის. მაგრამ მის მიმიკას ვადევნებთ თვალს: თავს ეკითხები, რატომ ცხვრობს ეს კაცი. ეს შემფოთება ადამიანის არაადამიანურობის წინაშე, რომ გვეუფლება, ეს მოულოდნელი დამხობა ხატისა, რასაც გუნებაში წარმოვიდგენდით ეს „გულზიდვა“, როგორც ამას ჩვენი დროის ერთი ავტორი უწოდებს, ესეც აბსურდია“.

ა. კამიუ „სიზიფეს მითი“, 21 გვ. ფრანგულიდან თარგმნა ნ. იორდანიშვილმა.

ამ სამყაროში ადამიანი საკუთარი თავის, „შინაგანი ადამიანის“, იმ უღრმესი მე-ს ჭვრეტას, რომელსაც ხან სარკეში არეკვლისას აღმოაჩენს, ხან ფოტოსურათზე, ხან კი ახლობელთან, თუ უცნობთან საუბრისას, რომლის ხილვას თუ სხვა „ეპოქაში“ უდიდესი თრთოლვითა და სიხარულით ეგებებოდა „დღეს“ ჩვენ თანამედროვენი ამ სიხარულისა და ამ აღმტაცი თრთოლვის შესაძლებლობას ხან აბსურდს ვუწოდებთ, ხან კი გულზიდვას.

ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ამოყირავებული სამყაროს მოდელში მოვექცით და ამ სამყაროში ყველაზე დიდი ღირებულება – ათვლის წერტილი – აბსურდია. გაუცხოებულ ქმედებათა ჯამი.

ამ მოდელში შენს თავს, რომ მიაუხლოვდე, შენი თავი რომ შეიცნო – ეს ყველაზე დიდი დანაშაული და შეცდომაა, ანუ აბსურდი, რადგან აქ, როგორც მ. ჰაიდეგერი დაწერს:

– „სიყვარულს უკვე აღარაფერი ძალუძს:

მთლიანი ტექსტი კი – ასეთია:

„Смерть укрыта загадкой. остается темной тайна боли. Ничего не умеет любовь“

М. Хайдеггер. „Петь – для чего“ 186 стр.

რატომ იწერება ჩემს ტექსტში ადამიანურ დანიშნულებაზე და მე კი რატომ ვწერ და ხაზს გავუსვამ ადამიანის მიერ თავისი თავის შეცნობის რაობაზე?

რადგან, თავისი თავის შეცნობა აუცილებელი ხიდი და საფეხურია, რათა აღვასრულოთ ჩვენი ადამიანური დანიშნულები. უმაღლესი მისია მიწიერ სამყაროში, რასაც ტრანსცენტალური „მე“-ს მოძიება ეწოდება, ეს შინაგან სახლში დაბრუნებაა, ანუ ღმერთის პოვნა, ზოგი კი იტყოდა – ღმერთში დავანება. მაგრამ, ეს შეიძლება აღსრულდეს, თუ ადამიანი თავისი თავის შეცნობას, თავისი რაობის მოძიებას შესძლებს.

თავის შეცნობა შეიძლება გამოიხატოს – სამშობლოსთვის უანგაროდ სიცოცხლის გაღებაში, თუ წმინდა სიყვარულში, ან კეთილი საქმეების აღსრულებაში, ან, მშობლის მოვალეობის აღსრულებისას, რაც არც ისე მარტივი საქმეა, როგორც ეს საზოგადოდ წარმოუდგენიათ. რადგან ნამდვილ მშობელს გაცნობიერებული აქვს ის დიდი მისია, რასაც მას მიწიერი ცხოვრება ავალდებულებს, და რაც თავისთავად იმასაც გულისხმობს, რომ ის თავის სულიერ გზას გადის და რომლის აღსრულებისას ღმერთი ადამიანს აჯილდოებს განუზომელი ნეტარებითა და სიხარულის აურწყავი მადლით.

თავისი თავის ცნობის სიანხლოვის განცდიდან თუ არ იბადება ჩვენი „საქმეები“ – ეს იქნება: წერა, სამშობლოსათვის თავგანწირვა, მეგობრობა, სიყვარული... – თავის შეცნობის გარეშე – შენი ადამიანური დანიშნულების გაცნობიერების, – ძიების გარეშე აღსრულებული ყველა საქმე მკვდარია და უსარგებლო ღმერთისთვის.

პლატონი ასე წერდა:

„... ფილოსოფოსთა გამოკლებით, ყველა სხვა კაცის სიმამაცე შიშისგან იღებს დასაბამს, თუმცა სისულელე კია, სიმამაცის სათავედ შიში და სიმხდალე მიაჩნდეს კაცს“. პლატონი „ფედონი“ 24 გვ.

როცა პლატონი სიკვდილის შიშით მირეკილ ადამიანთა საქმიანობას უსარგებლოდ მიიჩნევს, ეს იმასაც ნიშნავს რომ უწონადო და ღირებულება მოკლებულია ადამიანის ნებისმიერი საქმიანობა, რომელშიც არ აღსრულდება თავის შეცნობა – თუ სიკვდილის

შიში არ დაიძლევა ანუ აღსრულებული ეს საქმე თავად უნდა იქცეს საკუთარი რაობის მოძიების გზად.

ემანუელში მამის მკვლელობამ ბზარი გააჩინა და ამ ბზარიდან მან იგუშანა, რომ სამყაროში შეიძლება არსებობდეს ბოროტება, – მაგრამ მისი უბიწო სული ვერა ვერ იღებს ამ ბოროტებას და ამ რყევისას დიადი ტანჯვის კვალი შემოიხაზება. ამ საზარელი სკეპსისის დროს, ის ეპოქის ტკივილს „ხელთ აიღებს“ და მისი სიტყვები უკვე ეპოქის ხმაა.

ღმერთი – წერტილი! და მზის სხივი – წერტილი!

ღმერთი – წერტილი! – ამის იქით იგულისხმება თანამედროვე გამოჩენილ ადამიანთა ნააზრევი. მათ შორის უპირველესია ორნი:

– **ფროიდი და ლორენსი.**

ღმერთი – წერტილად იქცა მას შემდეგ, რაც ზიგმუნდ ფროიდმა სექსუალურ ენერგიასა და ღვთაებრივ ენერგიას შორის ტოლობის ნიშანი დასვა. როცა ღვთაებრიობამდე მისასვლელი გზა – სიტყვით ლიბიდოთი მონათლა, რითაც ანატომიურ ენაზე თარგმნა იგავი-უწვდომელი ღვთაებრივი გზება და ცეცხლი.

ოილოპოსის კომპლექსი, ღმერთის წერტილად წარმოჩენი თეორიაა, რადგან ის ერთადერთ ამბავს, ოიდიპოსის ამბავს გადააქმევს კაცობრიობის უსასრულოდ მრავალფეროვან ამბებს, რათა ადამიანის ღვთაებრივი მისია ცხოველის ბრმა ინსტინქტამდე დაიყვანოს. ეს მარტივი სქემა „გადიდებული სახით“ დაეფინა ღვთაებრივის იგავი-უწვდომელ გზას.

ამით, იმის თქმა მინდა თუ რამდენად დაშორდა ადამიანი თავის ამაღლებულ მისიას და მაგალითად, როცა პასკალის აზრებს ვკითხულობთ, აქ შემოიხაზება ადამიანის ისეთი სიდიადე – რომელიც დღევანდელი ადამიანისთვის გაუგებარია, და ცხადია მიუღებელიც.

აი, ეს აზრები:

– 57 „არათანაზომადობა კაცისა – დაე, ადამიანი მიიქცეს ბუნების მთელი სავსებისა და სიდიადის ჭკვრეტად; დაე, აარიდოს თვალი მის გარემომცველ უბადრუკ საგნებს: დაე, უმზიროს თვალის-მომჭრელ ნათელს, უშრეტი ჩირაღდანით რომ ანათებს სამყაროს.

დაე, შეიგნოს, რომ დედამიწა მხოლოდ და მხოლოდ წერტილია იმ უზარმაზარ წრესთან შედარებით, რომელსაც შემოსწერს შუქმოიფეე მზე; დაე, შეძრწუნდეს იმ აზრის გამო, რომ თვით ეს უზარმაზარი წრეც, თავის მხრივ მხოლოდ უჩინო წერტილია ცის თაღზე მსობო-ლი სხვა ვარსკვლავების ორბიტებთან შედარებით.

...მთელი ხილული სამყარო სხვა არა არის რა, თუ არა ქრთილის მარცვალი ბუნების ვეება წიაღში. ვერავითარი იდეა ვერ მოიცავს მას... სინამდვილესთან შედარებით ხელთ გვრჩება მხოლოდ ატო-მები. სამყარო უსაზღვრო და უსასრულო სფეროა, რომლის ცენ-ტრი ყველგანაა, პერიფერია კი არსად. უფლის ყოვლისშემძლეობის ყველაზე აშკარად საგრძნობი და თვალსაჩინო გამოვლენაც სწორედ ისაა, რომ ჩვენი წარმოსახვა დაბნეული ჩერდება, ამ თავზარდამცემი სიდიადის წინაშე და უკვალოდ იკარგება ღვთაებრივ აზრში.

და მაშინაც კი როცა ჩვენ ასე თვითნებურად შევკვეცავთ პასკალის აზრს და ის თავის ძალმოსილებას არათუ დაკარგავს, – და უფრო მეტიც ჩვენ მუდამ ისეთი განცდა გვეუფლება, რომ რექვიემის სასოწარმკვეთი და ამაღლებული მუსიკა ჩაგვესმის. აი ეს სიტყვები:

– „ამაზე ფიქრი თავზარდამცემია., ვინც წარმოიდგენს, რომ ნივთიერი გარსი, რომელშიაც ის მოაქცია ბუნებამ, ორ უფსკრულს შორის ქანაობს, – უსასრულობის უფსკრულსა და არარაობის უფსკ-რულს შორის – უთუოდ ძრწოლვით აღივსება ამ სასწაულის წინაშე და მე მგონი მისი ცნობისწადილი განცვიფრებად შეიცვლება, ხოლო ბუნების ქედმაღალი მკვლევარი მღუმარე მჭვრეტელად იქცევა.

და მართლაც რა არის ადამიანი სამყაროში?“ (ხაზგასმა ჩემია – ჟ. სისაძე).

ბ. პასკალი „აზრები“ მთარგმ. ბაჩანა ბრეგვაძე. 199 გვ.

და თუმცა პასკალთან ხშირად მეორდება სიტყვა **წერტილი**, მაგალითად, რომ **დედამიწა და მზეც მხოლოდ წერტილია**, მაგრამ პასკალის ყოველი აღქმა, ყოველი ფრაზა მხოლოდ აგვამაღლებს და მათი საშუალებით ჩვენ უფრო და უფრო ვუახლოვდებით ციურ საგნებს და ჩვენც დიდი თრთოლვით ვგრძნობთ, რომ ჩვენი სულიც ღვთაებრივის მოსიყვარულე საგნად გარდაისახება.

მაშინ როცა თანამედროვე ტექსტებში, ადამიანის, ღმერთის,

მზის სხივის – შთაგონების – სრული დამცრობა და საზრისის მოკლება ხდება.

მას შემდეგ, რაც ფრიდრიჰ ნიცშემ შემოიტანა ინტონაციასე გამახვილებული სათქმელი, ჩვენ უკვე დავიწყეთ ფრაზის არა მარტო საზრისის, არამედ სწორედ ტონის, ხმის ინტონაციის მოსმენაც და მუსიკალური ნაბიჯებით ურთულესი გზის დაძლევა და ნააზრევის აღდგენა.

და პოლ ვალერი, თანამედროვე ეპოქის შვილი, პასკალის **სტილის მოსმენის საშუალებით**, – პასკალის გადაფასებასაც ახერხებს:

– „მარადიული ღუმელი“ და ა.შ. – პასკალისთვის შეუფერე-ბელი ჟონგლიორობა“

პ. ვალერი, „აზრები“, 371 გვ.

და ჩვენ, არ უნდა გაგვაკვირვოს, თომას მანის მცდელობამ – მოისმინოს, და ინტონაციიდან ააგოს გოეთეს „სულის შენობა“.

თომას მანი გოეთეს ასეთ ციტირებას შემოგვთავაზებს:

„... Он откровенно и прямо заявлял, что ему никогда не приходилось слышать о таком преступлении, на которое он не чувствовал бы себя способным...“

და შემდეგ. – თომას მანი „მოსმენის გზით“ ასეთ კომენტარს შემოგვთავაზებს:

– „Это – слова человека, воспитанного в духе пиетистски – углубленного изучения своей совести; Однако в них преобладает элемент эллинской душевной чистоты. Верно, что эти хладнокровные слова – вызов бюргерской добродетели, но **вних больше хладнокровия и гордыни, чем христианского самоуничтожения, в них больше дерзости, чем глубины – в религиозном смысле**“.

Т. Манн „Достоевский – по мере“ собр. соч. I. IX стр. 331.

(ამ მცირე გადახვევის შემდეგ მივუბრუნდეთ სათქმელს):

ა. კამიუ წერს:

– „აბსურდი, რომელიც აქამდე დასკვნად იყო მიჩნეული, ამ ესსე-იში ათვლის წერტილად გვევლინება“.

ა. კამიუ „სიზიფეს მითი“ 3 გვ. მთარგმნელი ნ. იორდანიშვილი.

ა. კამიუ სწორედ ამ წერტილად ქცევის გზას შემოხაზავს, რასაც კიდევ ერთხელ გვიდასტურებს კამიუს წინასიტყვაობა:

– „აქ ნახავთ მხოლოდ სულის ავადობის აღწერას, რომელსაც ჯერ არც მეტაფიზიკა შერევია და არც რწმენით არის დალდასმული. ასეთი გახლავთ ამ წიგნის საზღვრები და ერთგვარი წინასწარ აკვიატებული აზრებიც“.

ა. კამიუ, „სიზიფეს მითი“, 4 გვ. მთარგმნელი ნ. იორდანიშვილი.

და როცა წერტილი, აქ აღიწერება, როგორც სულის ავადობა, რომელსაც მეტაფიზიკა ვერ შეეხება და არც რწმენით იქნება დალდასმული. ამით ისევ მინიშნებაა, რომ კამიუ ყოველთვის ყოფიერების ჩარჩოში დარჩება. მისთვის სიმამაცე არა სიკვდილის შიშის დაძლევა, და ადამიანური საზღვრებიდან გასვლა, არამედ მის საზღვრებში გაძლება და ამ პოზიციებიდან მას – ეპოქის სიბრმავე შთაგონებს რომ **სულის გზის – ღმერთის – წერტილად ქცევა უნდა შეიძლოს.**

აი, რას წერს იგი:

– „სხეულის დანასკენი გონების დანასკენს დიხსაც უდრის და ხორცი უკან იხვევს განადგურების შიშით. ცხოვრებას მანამდე ვერჩევით, ვიდრე ფიქრს ვისწავლიდეთ“.

ა. კამიუ, „სიზიფეს მითი“.

„ადამიანური დანიშნულების ძიება“ – საკუთარი თავის ხილვა იგავიმიუწვდომელ ღვთიურ სარკეში და თავისი თავის ცნობა. **„შეშლილობის დაღლილობა“** – ეს შეშლილობა, არის იგავიმიუწვდომელი „მე“-ს განქრომის საშიშროების წინაშე „დგომა“. **„შეშლილობის დაღლილობა“** – ეს, უზარმაზარი გარბენა კოსმოსში, სადაც ადამიანი მოიხილავს **ყველაფერს და არაფერს ერთდროულად**, და ასე იწვდომებს, რომ მას აქვს ბოძებული ის უმაღლესი მადლი, რასაც **ღვთაებრივის საჩუქარი ჰქვია – თავისუფალი არჩევანი.**

ემანუელის **შეშლილობის დაღლილობა**, ის ტრაგიკული სიბრმავეა, რაც თანამდევია XX საუკუნის წამყვანი მოაზროვნეებისა, ფილოსოფოსებისა თუ ხელოვანთათვის, რადგან თუ მარადჟამს ისინი თავიანთი წარუვალი, უკვდავი „მე“-დან განჭვრეტდნენ თავიანთ დანიშნულებას და სამყაროს საზრისს. დღეს თვით გენიალურ

მოაზროვნეებსაც კი წაერთვათ ხედვის ნიჭი. რადგან ისინი ამოყრავებულ სამყაროში მოღვაწეობენ და უფსკრულზე ჩამოკიდებული საგნები გამოხატავენ და განკარგავენ მათ სამყაროს და ცხადია განსაზღვრავენ კიდევ მათ სათქმელს. ამიტომ, არც არის გასაკვირი, რომ ოქტავიო პასი ორტეგა-ი-გასეტის შესახებ ასე წერს:

– „იმ უზარმაზარ, და მრავალფეროვან მემკვიდრეობაში, რომელიც მან ჩვენ დაგვიტოვა, **სამ ნაკლს ვხედავ... პირველი ის, რომ იგი ინსტროსპექტული არაა ამას კი ყოველთვის თვითირონიისკენ მიყვავართ – იგი ვერ ხედავდა თავს და ამიტომ ვერც საკუთარ ანარეკლს ამჩნევდა სარკეში. მეორე, რაც გამოეპარა ორტეგა ი. გასეტს სიკვდილია, რღვევა, რომელიც ნებისმიერ შენებას თან სდევს“.** ოქტავიო პასი „ხოხე ორტეგა ი გასეტი“ როგორ და რისთვის“.

ყველაზე თავზარდამცემი, ალბათ ის არის, რომ თანამედროვე გენიოსების შეფასებას შეესაბამება იმ მოსაზრებას, რაც თავის დროზე ოქტავიო პასიმ გამოთქვა ორტეგა-ი-გასეტზე:

– „მას შეუძლია მიაშტერდეს მზეს, მაგრამ სიკვდილს იგი ვერ ხედავს“.

ამოყრავებულები სამყაროს მოდელი, რომ წარმოვიდგინოთ, შეგვიძლია მარტინ ჰაიდეგერის სიტყვები გავიხსენოთ:

– „Ночное время мира – скудное время, ибо становится все скуднее. Оно уже столь скудно, что больше не в состоянии заметить зияние бога как зияние“.

M. Хаидегер „Петь-для чего“ 181 стр.

ემანუელის საზარი სკეპსისი, რომ ვიწვდომით, – ჰაიდეგერის მსოფლიო ღამე უნდა გავიაზროთ და იმასაც ჩავწვდეთ, რომ ეს ბერწი დროა. აქ, საინტერესოა ხაზგასმა, რომ ამ ღამეში დრო მარადცვლადობის მსახური შეიქმნა და ის, ველარ იქცევა ჟამად. რადგან, როგორც ჰაიდეგერი მიგვანიშნებს **ის – უფრო და უფრო ბერწდება** და ის, იმდენად ბერწია, რომ ღმერთის იმედგაცრუებაში ველარ ამჩნევს იმედგაცრუებას.

ანუ, – **საგანი, ვერასოდეს გახდება შეცნობადი** – რადგან დაკარგულია იგივეობის ღვთაებრივი გზა, – რითაც მიმდინარეობს ცნობადობა. იგივეობა, იმიტომ არის შეუძლებელი ბერწ დროში, რომ საგნები შემთხვევითობის პირმშონი არიან.

ამიტომაცაა, აქ შესაძლებელია შეუძლებელი – მზის სიცხადის წინაშე ადამიანი სიკვდილის იდუმალ სარკეში ველარ იცნობს თავის თავს.

რადგან თანამედროვე ადამიანმა დაივიწყა, და სიყალბედ მიიჩნია „მათეს სახარებაში“ მოყვანილი სიტყვები:

7.13 „შედით ვიწრო კარიბჭით, ვინაიდან ფართოა კარიბჭე და განიერია გზა, რომელსაც დალუპვისკენ მიჰყავს და მრავალნი დადიან მასზე.

7.14. ვინაიდან ვიწროა კარიბჭე და ვიწროა გზა, რასაც სიცოცხლისკენ მიჰყავს და მცირედნი ჰპოვებენ მას“. მათეს სახარება.

ვიწრო კარიბჭეში მოიაზრება სულის ცხონებისკენ სავალი, რთული და მძიმე გზა. რის იქითაც იგულისხმება საკუთარი თავის ჭეშმარიტი შეცნობა.

82^ა პიესის კომენტარი:

„– რა ღირებულება აქვს ნაწერს,
ნებისმიერ ავტორს რომ შეიძლება მიეწეროს?
შეიძლება მომეწეროს მე – აპოლონს!
შეიძლება – დიონისეს! (ხელს იშვერს მისკენ)
და შეიძლება – ბიძაშენს – სატირს!“

ჟ. სირაძე „ხელოვანის გზა“.

თუმცა ამ აზრს სატირი წარმოთქვამს, მაგრამ ეს აზრი თანამედროვე ხელოვნების წარმოსახვით სამყაროში წარმოითქმება ისეთ დიდ ხელოვანთა მიერ, როგორც პ. ვალერია, რომლის შემოქმედების დიდი ნაწილი, ამ საკითხს მიეძღვნა.

ამის შესახებ თავის რვეულში ვალერი წერს:

„...То что составляет произведение, не есть тот, кто ставит на нем свое имя. То, что составляет произведение, не имеет имени“.

შესანიშნავი რუსი კომენტატორის კაზაკოვის მხოლოდ ერთ პარალელს მოვიყვან, უკვე ციტირებული ა. ვალერიის ფრაზის თაობაზე:

„М. Хайдеггер в сущности лишь заостряет эту позицию, когда говорит: „Художник для произведения есть нечто безразличное; можно даже сказать, что, уничтожая себя в процессе творчества, он способствует возвышению произведения искусства“. Комментарии: В. Козовой.

83. არტიგა-ი-ქიმერიუსი – იგულისხმება ორტეგა-ი-გასეტი (1883–1955) – დიდი ესპანელი სოციოლოგი, ფილოსოფოსი, ესეისტი. თანამედროვე მოდერნისტულ თეორიაზე შექნილი აქვს წიგნი „ხელოვნების დეჰუმანიზაცია“. წიგნი, რომელმაც გამოხატა ეპოქის სათქმელი, თუმცა ვერ ვიტყვი რომ მან სასიკეთო როლი ითამაშა. პოლ ვალერს რომ დავესესხო: „მან ჩვენი სულის ზრდა ვერ შეძლო“. მისი წიგნები ელვარე მეტაფორული აზროვნების ნიმუშია. მას ოქტავიო პასმა უძღვნა გენიალური ესსეი. –

„ორტეგა-ი-გასეტს. როგორ და რისთვის?“ ვაღიარებ ორტეგა ი. გასეტის ღრმა და ორიგინალურ აზროვნებას. თუმცა იძულებული ვაგზდი ტექსტში ის პარადიული სახელით მომეხსენიებინა – არტიგა ი-ქიმერიუსი.

84. პიესის კომენტარი:

„ჩემმა ტანჯვამ დაბადა ცრემლთ – მდინარე და მე ამ ჩემი ცრემლით შექმნილ მდინარეში უსასრულოდ ვიმზირები და ვიძირები.
აქ, თავს იყრის და მოძრაობს მსოფლიოს საგნები და ასე ერთიანდება და სულიერდება სამყაროს ყოველი აზრი, ქმედება და გრძნობა“
ჟ. სირაძე, „ხელოვანის გზა“, გვ. 97.

როცა იწერება ცრემლით შექმნილი მდინარე, – ეს ნიშნავს, რომ ტექსტი წაიშალა და ნებისმიერი დიდი შემოქმედის მისტიური შრე განვჭვრიტეთ.

თუ მისტიური შრის „აზრობრივ თარგმანს“ მოვინდომებთ, შეიძლება გოეთეს გამონათქვამი გამოგვადგეს:

– „ვინც ერთ საგანს ჩასწვდება, – ის ყველა საგნის გაგების უნარს იძენს“.

ეს უნარი ღვთის საჩუქარია, ყველა იმ ადამიანს რომ ებოძა, ვინც თავისი სულიერი გზის ერთგულება შესძლო და მაშასადამე მას ღვთაებრივი გზება – ანგელოზები მიუძღვებიან ამ გზაზე. როცა პასკალი წერს:

– „მდინარეები ფეხადგმული გზებია, რომლებიც მიდიან და მიეყვართ იქით, საითაც გზა გვიძევს“ ბ. პასკალი „აზრები“. მთარგმ. ბ. ბრეგვაძე, 192 გვ.

ამ ფრაზით ჩვენ ვგვრეტთ, თუ როგორ ღვეს პასკალის გენიაში ღვთაებრიობის მარადიული სუნთქვა და ამიტომაც ანგელოზები ღვთაებრივის ეს მაცნეები თავიანთი ფიზიკური სხეულებით – მდინარეებით – პირდაპირ ჩნდებიან ნაწერში. ამის დასტურად მე მომყავს რ. შტაინერის განმარტება სულიერი იერარქიების შესახებ:

ა) მესამე იერარქიაა დედამიწის, კაცობრიობის და ცივილიზაციის შემოქმედი ღვთაებრივი ძალები:

1) ანგელოზები (“მაცნენი”) – ცხოვრების სულები, იგივე მწუხრის სულები. მათი ემანაციაა ყოველგვარი კეთილი აზრი, კეთილი ნება, სათნოება, ფშვინიერი სიტბო ადამიანში. მათი ფიზიკური სხეულებია მდინარეები. ყოველდღიურად და მრავალგზის შემოდინან ადამიანთა ცხოვრებაში“. რ. შტაინერი

ანგელოზთა ფიზიკური სხეულები მდინარეებია, ამაზე მიგვანიშნებს ახალი აღთქმის ტექსტი, როცა მასში იწერება:

მათე 12.43 „ხოლო რაჟამს სული იგი არაწმინდა განვიდის კაცისაგან, მიმოვალნ ურწყულთა ადგილთა და ეძიებნ განსუენებასა და არა ჰპოვი“.

თეოფილაქტე ბულგარელის საკმაოდ ვრცელი კომენტარებიდან მოვიყვან მხოლოდ იმ მცირე ფრაგმენტს, რომელიც აღნიშნულ ინტერპრეტაციას შეავსებს:

– „... შენ კი ისიც გახსოვდეს, რომ ნათლისღების გზით განდევნილი უწმინდური სული გაუნათლავს სულებთან ერთად უწყლო

უდაბნოთა ზედა დაეხეტება, მაგრამ იქ მოსვენებას ვერ პოულობს, რადგანაც ღემონებისათვის მოსვენება მხოლოდ ნათელღებულთა ბოროტი საქმეებით დაცვია...“

თეოფილაქტე ბულგარელი „მათეს სახარების განმარტება“. 106 გვ.

85. ფრაგმენტი გენიალური ქართველი პოეტის გ. ტაბიძის ლექსიდან „უდაბნო“ გვ. 101.

86. ფრაგმენტი გ. ტაბიძის უსათაურო ლექსიდან გვ. 101.

87. პიესის კომენტარი:

„აქამდე მსოფლიო ემორჩილებოდა თქვენს მიერ ამორჩეული, არა, აკვიატებული იდეის, ერთადერთი იდეის ტირანიას! ერთადერთი გრძნობის ტირანიას! ერთადერთი აღქმის ტირანიას- ეს კაცობრიობის ტრაგედიაა! ხელოვანი ზღვას იესო ქრისტეს დარად გადასერავენ, თქვენი შემოქმედება ერთადერთი ნაბიჯია... ქრისტესადმი გადადგმული!“

„ხელოვანის გზა“ ჟ. სირამე

ეს არის ჩინში შემყვანი, თანამედროვე ხელოვნების თუ ფილოსოფიის თეორიათა ილუსტრირება.

ვიჩესლავ ივანოვი ასეთ უსახურ ფრაზას წერს:

„საკმარისი არ არის ქრისტე, საკმარისი არ არის ფროიდი, საკმარისი არ არის მარქსი, ეგზისტენციალიზმი და ბუდა“.

ერთის შეხედვით, აქ ის ითქმის, რომ ჩვენ უნდა განვთავისუფლდეთ ყველაფრისაგან – და ასე კოსმოსის წმინდა ხმა მოვისმინოთ. თითქოსდა ამას ეხმიანება თანამედროვე „კულტურის“ აქსიომა ერთი სამყაროს მეორე სამყაროს ზღვარზე შეხვედრისა, იქ, სადაც ჩვენ არსად ვიმყოფებით და როგორც, რ.ბარტი იტყოდა: „ჰაერში უნდა ავაგოთ ტექსტი“, ან „ჰაერში მფრინავი ტექსტი“.

ფრ. ნიცმე თავის მომავალი ფილოსოფიის პრელუდიაში „სი-

კეთისა და ბოროტების მიღმა“ ამ აზრის თავისებურ ვარირებას გვთავაზობს:

– 65. Любовь к одному есть варварство: ибо она осуществляется в ущерб всем остальным. Также и любовь к Богу“

Фр. Ницше, „По ту сторону добра и зла“. 291 стр.

კოსმოსის წმინდა ხმის იქით დაფარული აზრი თუ გვინდა მოვიძიოთ, ეს ლაკონიურად, ნათლად მაგრამ „მკვახედ“ შეიძლება აღორნომ⁶⁴ განგვიმარტოს:

– „სისტემა გონად ქცეული მუცელია“.

იგივეს წერს, ა. კამიუ, სიზიფეს მითში“, ოღონდ უფრო პოეტურად:

„სხეულის დანასკვნი გონების დანასკვს დიახაც უდრის და ხორცი უკან იხევს განადგურების შიშით, ცხოვრებამ მანამ ვერგევით, ვიდრე ფიქრს ვისწავლიდეთ“. ა. კამიუ „სიზიფეს მითი“, გვ. 11 გვ. მთარგმნ. ნ. იორდანიშვილი.

თანამედროვეობა, – იმ საფრთხობელას გაურბის, რომელიც მან თავისთავს თავად აუგო.

სამყაროს აგება ერთი „idee fixe“-თი – ოიდიპოსის კომპლექსით, ზგ. ფროიდმა მოგვცა თანამედროვე სამყაროს, – ამოყირავებული მოდელის მაფუძნებელმა. რომელმაც ეს ოიდიპოსის კომპლექსი ხელოვნურად გადააცვა ყველა ამბავს, ყველა ისტორიას, გარდახდენილსა, თუ შესაძლოს.

სწორედ ოიდიპოსის კომპლექსმა ჩაუყარა საფუძველი იმ პროცესს, რომ გამასხრებელიყო ღვთიური მზის სხივით გასხივონებული გზის ერთადერთობა და სწორედ, ამის შემდგომ მოხდა კლასიკაში მოქმედი სულიერი, მეორე მზის სხივით შუქმფენი გზის უარყოფა. ასე იჩინა თავი კლასიკის დამხობის შესაძლებლობის გზამაც.

88. გვ. 105. დანტე ალიგიერი (1265-1321) – უდიდესი იტალიელი პოეტი. ავტორი ავტობიოგრაფიული წიგნისა „ახალი ცხოვრება“ და ყველა დროის შედეგისა „ღვთაებრივი კომედია“.

89. გვ. 105. ბეატრიჩე – დიდი იტალიელი პოეტის დანტე ალიგიერის ზეციური სატრფო. „ნაადრევად გარდაცვლილი ბეატრიჩეს სახით (რომლის სრული სახელია ბეატრიჩე პორტინარი) ავტორმა მადონას იდეალური ხატი შექმნა, რომელიც სულიერი სიმაღლისა და ზნეობრივი სრულქმნილების პოეტურ სიმბოლოდ იქცა“. ჯემალ აჯიაშვილი.

90. გვ. 106. ესპანურ ფრანგის იქით იგულისხმება პაბლო პიკასო – (1881-1973). გენიალური ფრანგი მხატვარი, მის შემოქმედებას პირობითად ყოფენ სამ პერიოდად: „ცისფერი პერიოდი“, „ვარდისფერი პერიოდი“ და ბოლოს „კუბიზმის პერიოდი“.

91. გვ. 107. ფრ. შილერი – (1759-1805). – დიდი გერმანელი პოეტი, დრამატურგი, მოაზროვნე, ფილოსოფოსი, ხელოვნების თეორეტიკოსი, ისტორიკოსი. გერმ. განმანათლებლობის გამოჩენილი წარმომადგენელი. გერმ. კლასიკური ლიტერატურის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

92. გვ. 107. მ. პავიჩი – დაიბადა 1929 წელს. გამოჩენილი სერბი პოეტი, მწერალი, მთარგმნელი და ისტორიკოსი. ის ასე წერდა თავის თავზე: „საფრანგეთის და ესპანეთის კრიტიკოსებმა XXI საუკუნის პირველი მწერალი მიწოდეს, თუმცა XX საუკუნეში ვცხოვრობდი, ანუ იმ დროში, როცა არა ბრალი და დანაშაული, არამედ უდანაშაულობა უნდა დაგემტკიცებინა. ტექსტში დრამაში „ხელოვანის გზა“ მილორად პავიჩი პაროდიული სახელით მოიხსენიება – პავიჩიუსი.

93. გვ. 107. სენტ-ეგვიპერი (1900-1944) – დიდი ფრანგი მწერალი, ავტორი შედეგისა „პატარა უფლისწული“. ავიატორი, სამოქალაქო და სამხედრო მფრინავი, ესეისტი და პოეტი.

94. გვ. 108. გვ. 108. ფრიდრიჰ ნიცშე – (1844–1900) – დიდი გერმანელი ფილოსოფოსი.

95. გვ. 108. ონორე დე ბალზაკი – (1789–1850) – დიდი ფრანგი მწერალი, რომანისტი. ბალზაკი ამბობდა: „საკმარისი არ არის იყო უბრალო ადამიანი, – ამბობდა იგი, უნდა იყო მთელი სისტემა“.

ამბობენ, რომ მან უკვე უამრავი რომანის ავტორმა დანტე ალიგიერის „ლუთაებრივი“ კომედიის „საპირისპიროდ“ როცა მოიფიქრა და შემოხაზა თავისი რომანების გამაერთიანებელი სათაური „ადამიანური კომედია“, მაშინ იგრძნო თავისი გენიის ძალმოსილება და მიზანდასახულობა.

96. გვ. 109. სენ-ჟონ პერსი – დიდი ფრანგი პოეტი.

ყველაზე მნიშვნელოვანი და გახმაურებული ნაწარმოები „ანაბ-სისი“. ნობელის პრემია მიიღო 1960 წ.

97. გვ. 110. ლევ ტოლსტოი – (1828-1910) დიდი რუსი მწერალი.

98. გვ. 114-115. პიესის კომენტარი:

„ეს მე ვარ ემანუელს, ოღონდ, არც მამაჩემი მოუკლავს ვინმეს,

არც დედეჩემმა უღალატა მამაჩემს, არც ფსიქია ყოფილა ჩემი შთაგონება,

და არც ბიძაჩემის მოკვლაზე მიფიქრია

მოკლედ, – ეს მე ვარ ემანუელს, – არაფერმა გამომზარდა და ასე მივალწიე ამ მონოლოგამდე

რა საჭიროა მატერიალურ სამყაროთა რიგები,

რალაც pretexte-ი, რალაც – causa, თუ ისედაც სულში დევს – ის,

ვით უუმცირესისა და უუდიდესს საგანთა პარალელური ხაზები“²

„ხელოვანის გზა“ ჟაკლინ სირაძე. გვ.115.

1 იქნეს ეს ყველაზე რთული პასაჟია. აქ, ადამიანის ის იგავი-

უწვდომელი იდუმალება განითქმება, რომელიც მიგვანიშნებს, შავი ლამის წყვდიადში მანათობელ იმ ვარსკვლავზე, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ იმ დაუსაბამო უსასრულობითა და კოსმოსური, თავზარდამცემი სიცივის მეშვეობით აღვიქვათ, რითაც ადამიანის ფაქიზი სულის სამოსელი შემოიწერება.

თანამედროვე სამყაროს ავადობად იქცა ადამიანის სულის პრაგმატულად, მეცნიერული თვალსაზრისით აღწერა.

ადამიანის სულს „მოგზაურობისას“ მხოლოდ ნაწილობრივ თუ შესწევს გაამჟღავნოს თავისი თავი. – რადგან, ის, რაც თვითმყოფადი, უცვლელადი, უკვდავია, – მარადგამოუთქმელია და მარად ის მოციმციმე, კაშკაშა ვარსკვლავია, რომელიც გვაცბუნებს და გვაკრთობს, თავისი „სიდიადით“.

ემანუელს, – განმარტობით წარმოდგენა, – ყველა ამბის გარეშეც იმას ემსახურება – რათა მის მარადდაფარულ და ენიგმურ სულზე მოხდეს მინიშნება. აქ შეიძლება, მეტერლინკის ცნობილი სიტყვები გაგვახსენდეს: „В глубине мы живем душа с душою и мы боги, которые сами не познают себя“.

М. Метерлинк „Эмерсон“ стр. 53.

აწ „В самом деле – всего удивительнее в человеке его скрытая значительность и мудрость“

М. Метерлинк „Эмерсон“ 53 стр.

2 ხოლო მეორე ნაწილის შემთხვევაში მე დავესესხები ჩვენ დიდ მოღვაწეს, ბრწყინვალე კომენტარების ავტორს, ბაჩანა ბრეგვაძეს აი, ეს ფრაგმენტი, რომელიც, ბლევ პასკალის 57 აზრის ინტერპრეტაციაა. მკითხველიც დამეთანხმება, იგი ზუსტად ესადაგება პიესის ამ პასაჟს. მაშ, ასე, ბაჩანა ბრეგვაძის ბრწყინვალე და ზუსტ კომენტარს მოვუხმინოთ:

– „ღმერთი, როგორც „ყველაფრისა“ და „არაფრის“ მაკროკოსმოსისა და მიკროკოსმოსის ერთიანობა; ღმერთი, როგორც დაპირისპირებულთა თანადამთხვევა (coincidentia oppositorum) _ ამ

ასპექტში პასკალი თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს ნიკოლა კუზანელს⁶⁵ (1401-1464), ვისი აზრითაც, „რაკი ღმერთი ყველაფერია, ამიტომ ის, იმავდროულად, არაფერი არ არის“ (De docta ignorantia I, 16); „ღმერთი ყველგანაა და არსად არის“ (idid, 11, 12) ერთი სიტყვით ღმერთი „აბსოლუტური მაქსიმუმიცაა“ და „აბსოლუტური მინიმუმიც“ (სხვათა შორის, სიტყვა „აბსოლუტი“ ფილოსოფიის ისტორიაში პირველად სწორედ ნიკოლა კუზანელმა იხმარა)“.

ბ. პასკალი „აზრები“ კომენტარები: ბაჩანა ბრეგვაძე გვ. 325.

თუმცა ბაჩანა ბრეგვაძის კომენტარში ღმერთზეა საუბარი, მაგრამ ემანუელო, როგორც ღმერთის ხატება იგივე დახასიათებას ექვემდებარება.

99. გვ. 115. – ათენა – ბერძნულ მითებში გადმოცემულია ათენას დაბადება ზევსის თავიდან. ეს მიგვანიშნებს, რომ ის არის სიბრძნის ქალღმერთი.

მეცნიერების მფარველი. მან შეუქმნა ადამიანებს კანონები და დაუწესა არეოპაგი.

სიქალწულისა და სათნოების განსახიერება.

პერსეესი ათენას დახმარებით იმარჯვებს გორგონა – მეღუზაზე და მის თავს საჩუქრად აძლევს ქალღმერთს. ათენამ გორგონას თავით ფარი შეამკო.

ღრამაში „ხელოვანის გზა“ – ჟ.ს. მეღუზა – გორგონას განასახიერებს დიდი გერმანელი ფილოსოფოსი ფ.რ. ნიცშე.

100. პიესის კომენტარი:

დედა ევრიდიკე ემანუელოს მიმართავს:

– „შენ დაიბადე ასე უცხო

ავადმყოფობასავით საშიში და მიუღებელი, თვით მე, დედაშენს, არ ძალმიძს შენი მიღება

და აბა სხვას, – სატირს,

ეს როგორ მოვთხოვო“.

ჟ. სირაძე „ხელოვნების გზა“ გვ. 129.

– დარწმუნებული ვარ მკითხველი მეტისმეტად შეცბუნებული წაიკითხავს ამ სტროფებს და ამაში ხომ უჩვეულო არაფერია. დედა-შვილობა არის კაცობრიობის დიადი მადლი და დიადი საიდუმლო. ღვთაებრივი სიყვარულით უკავშირდება დედა-შვილს, – და მასში განცხადდება ის დაფარული ჭეშმარიტებანი, რომელშიც კაცობრიობის ისტორია მუდამ დუღაბდება და ვითარდება. და მაშინაც კი როცა ხდება დედა-შვილს შორის დაპირისპირება, მათში რაღაც დაუცილებელი ნაკადი ისევ და ისევ იძვრის.

მაგრამ, იყო ხელოვანი, (ემანუელო პიესაში „ხელოვანის გზა“ ხომ პოეტია). ეს განსაკუთრებული მადლია და წყევლაცაა. ამას ყველაზე უკეთ კომენტარს უკეთებს შარლ ბოდლერი⁶⁶, თავის „ბოროტების ყვავილებში“:

„როცა მაღალ და უზენაეს ძალების ნებით პოეტი სტუმრობს ამ სამყაროს წიაღ შეძრწუნებული დედამისი იკლებს გინებით და მუშტს უღერებს ღმერთს ზეცაში, მის თანაზიარს, ნეტავ გველები გამჩენოდა, მენანა მწარედ ვიდრე მეკვება შვილი, ჩემი შემარცხვენელი წყეული იყოს წარმავალი სიამის ღამე რომ ჩამისახა ის, ვისგანაც წამებას ველი“.

შარლ ბოდლერი „ბოროტების ყვავილები“, მთარგმნ: სიბილა მგელაძემ.

101. პიესის კომენტარი:

„ჩემში, შიგნიდან ვხედავ, რომ ყველაფერი ანათებს და ეს სინათლე მასწავლის სიტყვებს, და გონებას მიწვავს სიტყვა – ცეცხლი, ღმერთის სიყვარულთან, რომ დამაბრუნებს.“

ამ ცეცხლის შემწეობით უსაზღვროდ იზრდება ჩემი სიყვარული

და ასე ჩემს ბრმა თვალებს ხედვა უბრუნდება“

ჟ. სირაძე „ხელოვანის გზა“ 143 გვ.

„ყველა სიმბოლისტი – პლატონი, პლოტინი⁶⁷ და სხვ. ცოტად თუ ბევრად დაკავშირებული იყო სინათლესთან – წერს პროფ. ა. ლოსევი⁶⁸, პლატონის ესთეტიკაში მთავარ როლს თამაშობს სინათლის თეორია, არა მხოლოდ მშვენიერი, არამედ საერთოდ ყოველივე არსებული, პლატონისათვის არის სინათლე, ან გამო-ნაშუქი.

ღვთაებრივი საწყისის გამოვლენა – თეოფანია ნათელს უკავშირდება, ეგზისტენციალურად აღიქმება მათ მიერ, ვისთანაც აღწევს ნათელი სხივი. ამგვარი სხივია იესოს გამოცხადება, რომელიც უმაღლესი სიბრძნისა და სათნოების გამოვლინებაა...“

ჯ. შოშიაშვილი „ბიზანტიური ეპისტოლოგრაფია და ფსევდო დიონისე არაოპაგელის წერილები“ გვ. 63.

წიგნზე მინაწერი:

მთელი წიგნი იმ იმედით დაიწერა, რაც ასე ნათლად აქვს გამოთქმული ჩვენ უწმინდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს პატრიარქს ილია II-ს⁶⁹:

„ეს საუკუნე ღვთისგან ხალხს სინანულისთვის მიეცა. ფუტუროლოგნი ამტკიცებენ, რომ თუ კაცობრიობამ კიდევ იარსება XXI საუკუნეში, იგი მეტად რელიგიური ასწლეული იქნება, რადგან ხალხი დაიღალა, უღვთოდ დაცარიელდა ტაძარი სიყვარულისა“.

ღღეს კი ჩვენ ვართ მოწმე არამარტო თანამედროვე ისტორიის ტრაგიზმისა, არამედ მოახლოებული აპოკალიფსური დროისა. სულ უფრო მკვეთრად ჩაგვესმის სიტყვები:

– „მე ვარ ანი და ჰოე, იტყვის უფალი ღმერთი, რომელი არს და რომელი იყო და რომელი მომავალ არს, ყოვლისა მპყრობელი“ (გამოც. 1; 8). 1992-1993 წ.

პოპენტარმზუი მოხსენიებული ავტორები:

1. კონსანტინე გამსახურდია (1890-1975). დიდი ქართველი კლასიკოსი, პოეტი, ესეისტი, პროზაიკოსი და რომანისტი. დიდი საზოგადო მოღვაწე.

2. პლატონი – (ძვ.წ. 427-347 წ.) კლასიკური ხანის ბერძენი ფილოსოფოსი. სოკრატეს მოსწავლე, არისტოტელეს მასწავლებელი, ფილოსოფიური დიალოგების ავტორი, ათენის აკადემიის დამფუძნებელი.

3. თალესი – (ძვ.წ. 624-ძვ.წ. 546) პირველი ბერძენი ფილოსოფი და მათემატიკოსი.

4. ჰერაკლიტე – (540-480) გენიალური ბერძენი ფილოსოფოსი, მისტიკოსი. მისი შრომიდან მეტნაკლებად უეჭველი 126 ნაწყვეტი – ფრაგმენტია შემორჩენილი.

ძალიან საინტერესოა მის შესახებ გამოთქმული ბერტრან რასელის სიტყვები: „Он был мистиком, но особого рода. Он рассматривал огонь как основную субстанцию. Все подобно пламени в костре рождается благодаря чьей – либо смерти“.

Б. Рассель “История западной философии” стр.60

5. ანაქსიმანდრე (610-546 წ.წ. ძვ. წელთაღ.)

ძველი ბერძენი ფილოსოფოსი. მის მიერ „აპეირონი“ – განუსაზღვრელი, მრავალფეროვანი მოვლენათა საწყისი, სახელდება როგორც საგანთა დასაბამი. მას ეკუთვნის ცნობილი გამოთქმა: „არაფრისგან არაფერი არ წარმოიშობა“. მისი ორიგინალური ფილოსოფიური სამყარო მ. ჰაიდელგერის შთავგონების წყაროდ იქცა. ასე შეიქმნა საინტერესო გამოკვლევა სახელწოდებით: „ანაქსიმანდრეს გამონათქვამი“.

6. ანაქსიმენი – (დაახ. 580-528 ძვ.წ.) ძველი ბერძენი ფილოსოფოსი. მის მიერ ჰაერი სახელდება პირველ საწყისად, არხედ შეიძლება ანაქსიმენი, როგორც ძველი საბერძნეთის ფილოსოფოსთა უმრავლესობა მისტიკოსად მივიჩნიოთ. რადგან ჰაერი მასთან მოიაზრება, როგორც საგანთა დასაბამი, შინაგანი არსი. ეს ღმერთის

სუნთქვაა და მყოფობა, ყოველი საგნის ფარული არსი და მამობ-რავებელი.

მისი აზრით: „ჰაერი არის მსოფლიო სული, რომლის გარეშეც მსოფლიო დაიშლებოდა, ქაოსად გადაიქცეოდა, მსოფლიო სულის გამო მთლიანია., მწყობრად არის აგებული, კოსმოსია. (კოსმოსი ანაქსიმენის ტერმინია, პირველად მან იხმარა ეს სიტყვა).

ს. წერეთელი. ანტიკური ფილოსოფია გვ. 81.

7. პითაგორა სამოსელი (580-500 წ.წ. ძვ.წ.). ძველი ბერძენი ფილოსოფოსი

„რა არის საჭირო, რომ პითაგორას მოძღვრებას ჩავწვდეთ? დაკვირვება და მსჯელობა მიზნის მისაღწევად ცოტაა. აქ აუცილებელია ინტუიცია. პითაგორა იყო ადებტი და უმაღლესი ხელდასმული. მას ჰქონდა უშუალო აღქმის საოცარი სულიერი უნარი, მას ხელთ ეპყრა ოკულტურ მეცნიერებათა და სულიერ სამყაროთა გასაღები“. ე. შურე „დიადი ხელდასმულნი“. გვ. 334.

8. პოლ ვალერი – გენიალური ფრანგი პოეტი, ესეისტი და ფილოსოფოსი. სერჯო სოლმი ასე წერდა ვალერის შემოქმედებაზე: „სადაც სიცოცხლისა და შემეცნების დაბადება ქვეყნად, მაღალი მეტაფიზიკური ირონიით დანახულია, როგორც ლაქა როგორც დეფექტი არყოფნის სხივოსანი სრულქმნილებისა“.

9. მარსელ პრუსტი. (1871-1922). ფრანგი მწერალი ავტორი მონუმენტალური რომანისა „დაკარგული დროის ძიებაში“.

10. ბლეს პასკალი – (1623–1662) – უდიდესი მეცნიერი, გეომეტრი, ფიზიკოსი, თანამედროვე კომპიუტერის ფუძემდებელი, გენიალური მოაზროვნე და მწერალი, ავტორი შედეგისა „აზრები“.

11. ალბერ კამიუ – (1913-1960). ფრანგი მწერალი და ფილოსოფოსი, ეგზისტენციალიზმის ერთ-ერთი წამყვანი ფუძემდებელი. ნობელის პრემიის ლაურიატი ლიტერატურის დარგში. 1957 წ.

12. ჯეიმს ჯოისი 1882-1941. XX საუკუნის ყველაზე გავლენიანი ირლანდიელი მწერალი და პოეტი. მისი ყველაზე ცნობილი ნაწარმოებია რომანი „ულისე“, რომელსაც უწოდებენ „ცნობიერების ნაკადის“ ლიტერატურის შედეგს.

„ცნობიერების ნაკადის მწერლისათვის ძირითადია არა ადა-
მიანის სულიერი მდგომარეობის, მისი ფსიქიკური სამყაროს, მისი
აზრების და განცდების წერა. არა გმირის ფსიქოლოგიური დახა-
სიათება, არამედ თვით ცნობიერების აქტივობის ჩვენება, თვით
აზრის გამოკვეთის პროცესის გადმოცემა, თანაც ისეთი მხატ-
ვრული საშუალებებით, რომ წინა პლანზე წამოიწევა ცნობიერების
მეტყველებამდელი დონე, რომელიც არც სამეტყველო და არც
დამწერლობით კომუნიკაციურ საფუძველს არ გულისხმობს. ამი-
ტომაა სწორედ, რომ ასეთი პროზის ენა ხშირად დაწყვეტილი,
ერთი შეხედვით ერთმანეთთან დაუკავშირებელი და ბუნდოვანი
გამოთქმებისა და სიტყვებისგან შედგება“.

6. ყიასაშვილი (წინასიტყვაობა წიგნისა ჯეიმს ჯოისის
„ულისე“).

13. მარტინ ჰაიდეგერი (1889 – 1976). დიდი გერმანელი ფი-
ლოსოფოსი, XX საუკუნის ეგზისტენციალიზმის ერთ-ერთი ფუძემ-
დებელი.

14. ტ. ელიოტი – (1888–1965). ინგლისელი პოეტი, ესსეის-
ტი და დიდი მოაზროვნე. თავისი გასაოცარი ნიჭისა და ფართო
ერუდიციის წყალობით, ის ერთდროულად იქცა XX საუკუნის
მოდერნისტული სკოლის მამამთავრად და კლასიკოსად. ნობელის
პრემიის ლაურეატი 1948 წ.

15. მარკ ავრელიუს ანტონინუსი (121–180). რომის იმპერა-
ტორი 161 წლიდან. მისი უმნიშვნელოვანესი ნააზრევი 12 წიგნად
აიკინდა. ეს ერთგვარი აღსარება, თვით ჩაღრმავებაა საკუთარი
თავის წიად. ბერძნულად წიგნს ასეც ეწოდება: „საკუთარი
თავისადმი“. როგორც ერთი მკვლევარი ზუსტად შენიშნავდა, რომ
ეს წიგნი: – „წარმართული სამყაროს სახარებაა“. ქართულმა
ლიტერატურამ დიდი მთარგმნელისა და მოაზროვნის შემწეობით,
შეიძინა ბერძნულად შექმნილი ძეგლის იდენტური შედეგრი – ქა-
რთულ ენაზე მას ეწოდება „ფიქრები“.

ცნობილია რომ დიდი რუსი მწერალი, ანტონ პავლოვიჩ ჩეხოვი
ამ წიგნს ყველგან თან დაატარებდა, რაზედაც ერთი კრიტიკოსი
სამართლიანად წერდა: – „ის ამ წიგნის ღირსი იყო“.

16. თომას მანი (1875–1955) – ინტელექტუალური პროზის
დიდოსტატი, დიდი საზოგადო მოღვაწე, რომანისტი, ნოველისტი,
ესეისტი, ნობელის პრემია მიიღო 1929 წ.

17. დ.პ. ლორენსი – (1885–1930.) ბრიტანელი მწერალი,
პოეტი, რომანისტი, ესეისტი. ავტორი ფსიქოლოგიური ჟანრის
წიგნისა „არაცნობიერის ფანტაზია“. თამარ კოტრიკაძის საინ-
ტერესო ესსეიდან მე მოვიყვან ერთ ამონარიდს: „ლორენსმა
თავისებურად გაიაზრა XII საუკუნის ქრისტიანი მოაზროვნის
იოაქიმ ფლორელის დოქტრინა ისტორიის სამ სულიერ ეპოქად
დაყოფის შესახებ. „მამამ აღასრულა თავისი ჟამი, ძემ აღასრუ-
ლა თავისი ჟამი, ახლა სულიწმინდის ჟამი სუფევს“ – გა-
ნაცხადებს ლორენსი. ეს კი გულისხმობს კაცობიობრის ისტო-
რიის დაყოფას იოაქიმისეულ ეპოქებად: ძველი აღთქმის ხანა
მამა ღმერთის ხანა იყო, ახალი აღთქმისა ძის ხანა, ხოლო
მესამე, ახალი ხანა ანუ თანამედროვეობა „სულიწმინდის“ ჟამია.
ანუ თანამედროვე ადამიანი საკუთარ ქმედებებზე პასუხს, პირველ
რიგში საკუთარი თავის წინაშე აგებს. ლორენსისეული „სული-
წმინდა“ ის ორიენტირია, რომელიც გვანიჭებს შინაგან მთლიანო-
ბას“. თ. კოტრიკაძე

მორწმუნე ადამიანისთვის კაცობიობრის დროთა დინების ასე-
თი ხელოვნური დაყოფა ყოველად მიუღებელია. მამა, ძე და სული-
წმინდა ერთი, დაუცილებელი მთლიანობაა. თუმცა თავად მკითხ-
ველისთვის მიმინდვია გასნაჯოს ლორენსიის ნააზრევი.

18. იოჰან ვოლჰან გოეთე (1749–1832) – უდიდესი გერმანე-
ლი პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი, მრავალმხრივ განსწავ-
ლული ადამიანი, პოლიტიკური მოღვაწე, ფილოსოფოსი, ფილოლო-
გი, ბუნებისმეტყველი, მხატვარი და სხვა.

19. ბიუფონი – ფრანგი ბუნებისმეტყველი. აქვს ნაშრომები
ბუნებისმეტყველებაში. მას მიაკუთვნებენ დედამიწის განვითარების
ფანტასტ. ჰიპოთეზას. ამ ბუნებისმეტყველის ერთი ფრაზა კი „სტი-
ლი – ეს თვით ადამიანია“. საყოველთაოდ ცნობილი გახდა და
უფრო მეტიც, ის დამკვიდრდა, როგორც კლასიკური ლიტერატუ-
რის აქსიომა.

20. რ. შტაინერი – (1861–1925) – გენიალური ავსტრიელი ფილოსოფოსი და პედაგოგი. თეოსოფოსი.

21. ტერენტი გრანელი (1897-1934) უდიდესი ქართველი პოეტი, მისტიკოსი.

22. მაისტერ ეკჰარტი (1260–1327) – ენციკლოპედიებში დაწერენ, რომ ის იქნებ ყველაზე ამოუცნობი ფიგურა და მოაზროვნეა მსოფლიო ისტორიაში. მისმა ნაშრომმა „ქადაგებანი და მსჯელობანი“ უდიდესი ზეგავლენა მოახდინა ევროპულ კულტურაზე. თომას მანი მას დიდ შეფასებას აძლევდა. ამიტომაც ის, ვიდრე რომელიმე ნაწარმოების შექმნას დაიწყებდა, ის ისევ და ისევ მიუბრუნდებოდა მაისტერ ეკჰარტის ნაწერებს.

23. მიშელ დე მონტენი – 1533-1592. დიდი ფრანგი ფილოსოფოსი, მორალისტი, პოლიტიკოსი, მწერალი. თანამედროვე ესსეის ჟანრის ფუძემდებელი.

24. მარკუს ტულიუს ციცერონი (ძვ.წ. 106–ძვ.წ.43). რომაელი პოლიტიკოსი, ადვოკატი და პოლიტიკური მოაზროვნე. ძველი რომის ყველაზე სახელგანთქმული ორატორი და კონსული. ძვ.წ. 63 წ. ფილოსოფიურ პოლიტიკურ შეხედულებათა თუ საორატორო ხელოვნების თეორიაზე შექმნილი აქვს ტრაქტატები.

25. ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი – (1770-1827) გენიალური გერმანელი კომპოზიტორი, პიანისტი და დირიჟორი.

26. ლაროშფუკო (1613–1680) – ფრანგი მწერალი, მორალისტი, ფრანგული კლასიკური პროზის დიდოსტატი.

27. ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი – (XI საუკუნის I ნახევარი. – 1087 წ.).

თავი გამოიჩინა საღვთო წერილის განარტებით და ისტორიული ხელოვნების ცოდნით წარმოთქმული ჰომილიებით.

28. ლევ ტოლსტოი – (1828-1910) დიდი რუსი მწერალი.

29. მზეჭაბუკი ამირეჯიბი – დიდი ქართველი მწერალი, კლასიკოსი, რომანისტი. წარდგენილი იყო ნობელის პრემიაზე.

30. ნ. ბერდიაევი – (1874–1948) დიდი რუსი მისტიკოსი, ფილოსოფოსი.

31. კლადიმერ სოლოვიოვი –(1953- 1900) რუსი ფილოსო-

ფოსი, თეოლოგი, პოეტი, პუბლიცისტი და კრიტიკოსი.

32. მორის მეტერლინიკი (1862–1949) ბელგიელი მწერალი, მისტიკოსი, დრამატურგი, პროზაიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი 1911 წელს.

33. ზიგმუნდ ფროიდი – (1856–1939) ავსტრიელი ნევროპათოლოგი, ფსიქიატრი, ფსიქოლოგი, ფსიქოანალიზის ფუძემდებელი.

თუ რამდენად დიდი ზეგავლენა მოახდინა ფსიქოანალიზმა ლიტერატურაზე, ამაზე მეტყველებს ნ. ყიასაშვილის სიტყვები: „... ფროიდის თეორია ადამიანის არაცნობიერი სამყაროს შესახებ ოციან წლებში დიდად გასცდა ფსიქოლოგიის და ფსიქოპათოლოგიის ფარგლებს და იმდროინდელი მწერლებისთვის და არა მხოლოდ მწერლებისთვის ზშირად უდავო ჭეშმარიტებად იყო აღიარებული ამ მოძღვრების ძირითადი დებულებანი“.

ნ. ყიასაშვილი (წინასიტყვაობა წიგნისა ჯ. ჯოისი „ულისე“).

34. უ. ფოლკნერი (1897–1962) – დიდი ამერიკელი მწერალი, რომანისტი. თუ ონორე დე ბალზაკმა „ადამიანური კომედიის“ ქვეშ გააერთიანა თავისი სამყარო–სისტემა, უ. ფოლკნერმა შექმნა თავისი წარმოსახვითი სამყაროს რუკა იოკნაპატოფის ოლქი“ და იქ დაასახლა თავისი პერსონაჟები. მისმა არაორდინალურმა აზროვნებამ და სტილმა უდიდესი ზეგავლენა მოახდინა XX საუკუნის ხელოვნებაზე. ნობელის პრემიის ლაურეატი 1949 წ.

35. ჟორჟ ბრაკი (1882-1963) ფრანგი ფერმწერი და გრაფიკოსი. კუბიზმის ფუძემდებელი.

36. ოქტავიო პასი (1914–1998) – მექსიკელი პოეტი, ესსეისტი, ფილოსოფოსი, თანამედროვეობის ერთ-ერთი წამყვანი მოაზროვნე. ნობელის პრემია მიიღო 1990 წელს.

37. ს. კირკევორი (1813–1855). არაორდინალურად მოაზროვნე დანიელი ფილოსოფოსი, თეოლოგი და მწერალი. ითვლება ეგზისტენციალური მიმდინარეობის წინამორბედად. ცხოვრება აბსოლუტურ მარტოობაში გაატარა, მის სასაფლაოს აქვს მისი ცხოვრების შესაბამისი ეპიტაფია: „ის მარტოსული“.

38. ფრიდრიჰ ნიცშე – (1844–1900) – დიდი გერმანელი ფილოსოფოსი.

39. იოსებ ათონელი – ათონელი ისიქასტი (1959–1998), მისი სამშობლო პაროსი. 23 წლიდან დაიწყო წმინდა მამების წიგნების შესწავლა და შეიყვარა ღუმილი, ღვთისმსახურება და ლოცვები. ჭეშმარიტი მთაწმინდელი მკაცრი ისიქასტი, განმარტოებული მავდრებელი, სულიერი შინაგანაწესის ერთგული. ბევრი ათონელი ბერი მისი აღზრდილია.

„ღვთიური სიბრძნის ენციკლოპედია“ გვ. 578.
შემდგ. გ. კალანდაძე

40. წმინდა ანტონი დიდი, (+356. ს.ს. 17 იანვარი) ასკეტურად ცხოვრების ფუძემდებელი. დაიბადა 251 წელს ეგვიპტის სოფელ კომანში. 20 წლისას მშობლები გარდაეცვალა, მთელი ქონება ღარიბ-ღატაკებს დაურიგა. 35 წლიდან ეწეოდა ასტეკურ ცხოვრებას. ღირს მამას საკვირველმოქმედების ძალა ჰქონდა, იგი სწეულთაც ჰკურნავდა და ბოროტ სულთა განასხამდა შეპყრობილთაგან, იგი იცავდა ალექსანდრიაში ჭეშმარიტ სარწმუნოებას მანიქველური და არიანული მწვალებლობისგან. წმ. ანტონიმ 85 წელი დაჰყო უდაბნოში, ღვთივსულიერ ღვაწლთა შორის და აღესრულა 105 წლისა.

ჩვენამდე მოაღწია მისმა 20 სამოღძვრებო სიტყვამ და 7 ეპისტოლემ. „ღვთიური სიბრძნის ენციკლოპედია“ გვ. 591 შემდგ. გ. კალანდაძე.

41. სვამი ვივეკანანდა (1863–1902) დიდი ინდოელი მოაზროვნე. მის ნაწერებში პოეზია, ფილოსოფია და რელიგია ერთ რაკლად შეიკვრა. ის იყო იოგი, ის აღესრულა გასხივოსნების დროს, როგორც იოგები წერენ ამის შესახებ: „ის თავისი ნებისა და ძალისმევის შემწეობით, „გადაფრინდა“ მიღმურ სამყაროში“.

42. ბერტრან რასელი (1872–1970) – ინგლისელი ფილოსოფოსი, ლოგიკოსი, მათემატიკოსი, საზოგადო მოღვაწე. ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურის დარგში. 1950 წელს.

43. ფრანც კაფკა (1883–1924) ავსტრიელი მწერალი, რომელმაც უდიდესი ზეგავლენა მოახდინა ევროპულ კულტურაზე. მისი „წერილები მამისადმი“ ათი მცნების ახლებული ინტერპრეტა-

ციაა. ცნობილია რომ გენიალური იტალიელი რეჟისორი ფედერიკო ფელინი ფილმზე მუშაობის პირველ ეტაპად მიიჩნევდა ამ წერილების ხელახალ გადაკითხვას და გააზრებას.

44. ი. ბროდსკი (1940-1996). – დიდი ამერიკელი პოეტი, ესეისტი, კრიტიკოსი. მისმა არაორდინალურმა აზროვნებამ ასახა თანამედროვე ეპოქის აჩქარებული პულსაცია, ამიტომაცაა რომ ის ასეთ დიდ ზეგავლენას ახდენს თანამედროვე კულტურაზე. 1987 წელს მიიღო ნობელის პრემია.

45. რ. გორდეზიანი – გვ. ფილოლოგი, პროფესორი, საქართველოს და საქსონიის (გფრ.) მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპ. არის 150-მდე სამეცნ. ნაშრომის, მათ შორის 20 წიგნისა და მონოგრაფიის ავტორი.

46. რ. შტაინერი – იხ. კომ. (19)

47. ნოვალისი – (1772-1801წ.)) ადრეული გერმანული რომანტიზმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელი, მისტიკოსი.

48. წმინდა დიონისე არეოპაგელი – დიონისე არეოპაგი ათენის უზენაეს სამსჯავროს წევრად აირჩიეს. როცა არეოპაგის წინაშე წარმდგარმა პავლე მოციქულმა წარმართებს „უცნაური ღმერთის“ განკაცება ახარა და ქრისტიანული სწავლება უქადაგა, წმინდანმა ირწმუნა ჭეშმარიტი ღმერთი და მოციქულთა სწორი ერთგული მოწაფე გახდა. პავლე მოციქულის აღსრულების შემდეგ დიონისე დასავლეთის ქვეყნებში გაემგზავრა საქადაგებლად და მრავალი ადამიანი მოაქცია ქრისტეს სჯულზე. ცნობილია, რომ თავის მოკვეთამდე, დიონისემ საღვთო ლიტურგია აღასრულა უფლის ანგელოზებთან ერთად, დილით კი მოაწამებებს თავები მოჰკვეთეს. დიონისემ თავისი მოკვეთილი თავი აიღო, ტაძრამდე მივიდა და იქ დაეცა.

დიონისე არეოპაგელის სწავლებამ ჩვენამდე მოაღწია ოთხი წიგნით „საღვთოთა სახელთათვის“, „ზეცათა მღვდელმთავრობისათვის“, „საეკლესიოსა და მღვდელმთავრობისათვის“, „საიდუმლო ღვთისმეტყველებისათვის და ათი ეპისტოლით. თითქმის ოთხი საუკუნის მანძილზე, VI ს-ის I ნახევრამდე წმინდა მამის სწავ-

ლება მხოლოდ საიდუმლო გადმოცემებით იქნა შემონახული. დიონისე არეოპაგელის თხზულებები XI ს.ს. მეორე ნახევარში ქართულ ენაზე მთლიანად თარგმნა ეფრემ მცირემ“.

„ღვთიური სიბრძნის ენციკლოპედიის“ მიხედვით. გვ. 558. შემდგ. გ. კალანდაძე.

49. ორტეგა – ი-გასეტი (1883–1955) – დიდი ესპანელი სოციოლოგი, ფილოსოფოსი, ესეისტი. თანამედროვე მოდერნიზტულ თეორიაზე შექნილი აქვს წიგნი „ხელოვნების დეჰუმანიზაცია“. წიგნი, რომელმაც გამოხატა ეპოქის სათქმელი, თუმცა ვერ ვიტყვი რომ მან სასიკეთო როლი ითამაშა. პოლ ვალერს რომ დავესესხო: „მან ჩვენი სულის ზრდა ვერ შეძლო“. მისი წიგნები ელვარე მეტაფორული აზროვნების ნიმუშია. მას ოქტავიო პასმა უძღვნა გენიალური ესსეი. –

„ორტეგა-ი-გასეტს. როგორ და რისთვის? ვაღიარებ ორტეგა ი. გასეტის ღრმა და ორიგინალურ აზროვნებას. თუმცა იძულებული გავხდი ტექსტში ის პაროდული სახელით მომეხსენიებინა – არტიგა ი-ქიმერიუსი.

50. რ. ვაგნერი – (1813–1883) დიდი გერმანელი კომპოზიტორი, დირიჟორი, მუს. მწერალი და თეატრალური მოღვაწე.

51. ანდრო ბუაჩიძე – გამოჩენილი ქართველი პოეტი, ლიტერატორი და მთარგმნელი.

52. ანდრეი ტარკოვსკი (1932–1986) – გენიალური რუსი რეჟისორი, სცენარისტი, მსახიობი, მწერალი.

53. ჟან დე ლა ბრიუიერი – ფრანგი მწერალი, მორალისტი და მოაზროვნე.

54. ჰოლდერლინი – (1770-1843წ.). გენიალური გერმანელი დრამატურგი, პოეტი, ფილოსოფოსი, მისტიკოსი. „ჰაიდელბერგი აღნიშნავდა, რომ შტეფან გეორგესა და რაინერ მარია რილკეს ლექსებში (რილკეს „ღუინური ელეგიები“). სწორედ ჰოლდერლინის ლირიკისაგან მიიღეს გადამწყვეტი იმპულსი“. ნ. კაკაბაძე.

55. რობერტ მუზილი – (1880 – 1942). უდიდესი ავსტრიელი მწერალი რომანისტი, ნოველისტი და ესსეისტი.

56. როლან ბარტი (1915–1980) – ფრანგი ლიტერატურის

კრიტიკოსი, ლიტერატურის და სოციალურ მეცნიერებათა თეორეტიკოსი, ფილოსოფოსი და სემიოტიკოსი. ბარტის ნაშრომებმა, რომელიც მრავალ სფეროს მოიცავს, გავლენა მოახდინა სხვადასხვა თეორიულ სკოლაზე, მათ შორის სტრუქტურალიზმზე, სემიოლოგიაზე, ეგზისტენციალიზმზე, მარქსიზმსა და პოსტსტრუქტურალიზმზე.

57. ონორე დე ბალზაკი – (1789-1850) – დიდი ფრანგი მწერალი, რომანისტი. ბალზაკი ამბობდა: „საკმარისი არ არის იყო უბრალო ადამიანი, – ამბობდა იგი, უნდა იყო მთელი სისტემა“.

ამბობენ, რომ მან უკვე უამრავი რომანის ავტორმა დანტე ალიგიერის „ღვთაებრივი“ კომედიის „საპირისპიროდ“ როცა მოიფიქრა და შემოხაზა თავისი რომანების გამაერთიანებელი სათაური „ადამიანური კომედია“, მაშინ იგრძნო თავისი გენიის ძალმოსილება და მიზანდასახულობა.

58. ვიაჩესლავ ივანოვი (1866–1949). რუსი პოეტი, დრამატურგი, ფილოლოგი. 1905 წლის შემდეგ რუსი სიმბოლისტების მეორე თაობის თეორეტიკოსი გახდა. თარგმნა პეტრარკა, დანტე და სხვა.

59. დიონისე არეოპაგელი – გვ. იხ. კომ. (46)

60. ზურაბ კიკნაძე (1933 თბილისი) – ცნობილი ქართველი ლიტერატურათმცოდნე, მთარგმნელი და მითოლოგიის ცნობილი სპეციალისტი.

61. წმინდა მაკარე დიდი, ეგვიპტელი 30 წლისა უკვე სრულყოფილი ბერი იყო. მას „ჭაბუკ მოხუცსაც“ უწოდებდნენ. წმინდა მაკარი დიდმა მრავალი ტანჯვა და დევნა განიცადა მწვალებელთაგან. მან 97 წელი იცხოვრა ამქვეყნად, რომელთაგან 60 წელი უდაბნოში დაჰყო, იგი აღესრულა 391 წელს. ჩვენამდე მოაღწია მისმა 57 ჰომილიამ და შვიდმა სამოდძერებო სიტყვამ.

„ღვთიური სიბრძნის ენციკლოპედია“ გვ. 581.

62. ა. შოპენჰაუერი – (1788-1860) დიდი გერმანელი ფილოსოფოსი. ძირ. ნაშრომი: „სამყარო, როგორც ნება და წარმოდგენა“ ცნობილია გოეთეს სიტყვები მისი მისამართით გამოთქმული: „თუ

გსურს დატკბე შენი მნიშვნელობით, ნუ წაართმევ ყოველგვარ მნიშვნელობას სამყაროს“.

63. ჟან პოლ სარტრი (1905–1980) დიდი ფრანგი მწერალი და მიმდინარეობა ეგზისტენციალიზმის წამყვანი ფილოსოფოსი. 1964 წელს უარი თქვა ნობელის პრემიაზე ლიტერატურაში.

64. თ. აღორნო – (1903-1969) წ. გერმანელი ფილოსოფოსი და მუს. თეორეტიკოსი.

65. ნიკოლოზ კუზანელი – (1401–1464) იტალიელი ფილოსოფოსი. მათემატიკოსი, ასტრონომი და ფიზიკოსი. ფართო განათლების მეცნიერი და ღრმად მორწმუნე თეოლოგი ქმნის ფილოსოფიურ ნაშრომებს: „სწავლული არცოდნის შესახებ“, „გულუბრყვილო“ და „სიბრძნის მიღწევის შესახებ“.

66. შარლ ბოდლერი (1821–1867) – გენიალური ფრანგი პოეტი, ესეისტი, პროზაიკოსი. მისი ლექსების კრებულით ხელოვნების „ამოყირავებული სამყაროს“ მოდელი შეიქმნა. „კაენი და აბელი“ პირდაპირ და თვალნათლივ გვიჩვენებს, ამ „ამოყირავებული სამყაროს“ მოდელს.

67. პლოტინი (დაახ. 204–269). ბერძენი ფილოსოფოსი, ნეო-პლატონიზმის ფუძემდებელი. მას ეკუთვნის ყველაზე გასაოცარი მისტიურ-ფილოსოფიური თხზულება „ენეადები“.

68. ა. ლოსევი (1898–1988) – დიდი რუსი ფილოსოფოსი. ფლორენსკის მსგავსად უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა სახელს, ის წერდა: „სახელი თავის თავში მოიცავს ონტოლოგიურ ჟღერადობას. სახელის გარეშე ხომ სამყარო ბნელი, ყრუ და მუნჯია. მხოლოდ სახელს ძალუმს მისი განსულიერება“. „სახელთა ფილოსოფია“ - 1927 წ. მისი ყურადღების ცენტრშია მუდმივად მითებში არსებული სიმბოლოები: „მითის დიალექტიკა“ (1930) მისი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოებია: „ანტიკური ესთეტიკის ისტორია“. განსაკვივრებელია მისი წიგნი: „მუსიკა როგორც ლოგიკის საგანი“. ის გამოდიოდა ფილოსოფიის, მათემატიკისა და მუსიკის ერთიანობიდან.

69. ილია II. (ირაკლი ლუდუშაური–შიოლაშვილი) (1933 წ. 4 იანვარი) – უწმინდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს

კათოლიკოს პატრიარქი, მცხეთა – თბილისის მთავარეპისკოპოსი. 1957 წელს ბერად აღიკვეცა და წმინდა ილია წინასწარმეტყველის პატივსაცემად ილია ეწოდა. 1977 წელს წმინდა სინოდის მიერ არჩეული იქნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქად. დისერტაციაში „ათონის ივერთა მონასტრის ისტორია“ 1960. ღვთისმეტყველების დოქტორის წოდება მიანიჭა ნიუ-იორკის სასულიერო სემინარიამ 1979 წ. არის კრეტის სასულიერო აკადემიის საპატიო და გაეროსთან არსებული ინფორმატიზაციის საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი; კვიპროსის სასულიერო აკადემიის საპატიო დოქტორი (1977 წლიდან) ამერიკის მართლმადიდებლური ეკლესიის წმ. ტიხონის საღვთისმეტყველო სემინარიამ ღვთისმეტყველების დოქტორის საპატიო წოდება მიანიჭა (1998წ.). დაჯილდოებულია თითქმის ყველა მართლმადიდებლური ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი. არის ნიუ-იორკის წმ. ვლადიმირის სასულიერო სემინარიის (1986 წ.), ამერიკის მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი ჯილდოს წმ. ინოკენტის ორდენის მფლობელი. (1998 წ.)“.

„ღვთიური სიბრძნის ენციკლოპედია“ გვ. 589. შემდგ. გ. კალანდაძე.

სარჩევნო

საუბარი საუბრამდე.....	3
ესსე – „ჰამლეტის ნიღაბს ამოფარებული ხელოვანი“.....	4-23
დრამა „ხელოვანის გზა“.....	24-146
ესსე-ის კომენტარები	147-199
პიესის კომენტარები.....	200-287
კომენტარებში მოხსენიებული ავტორები.....	288-300

ავტორის შენიშვნა:

კომენტარებში ციტირებული პოლ ვალერის აზრი (გვ.151) არაზუსტია:

„ყოველი სისტემის დასასრული რომ ყალბია, ეს არავითარ ეჭვს არ იწვევს. საწინააღმდეგო დასკვნა შეუძლებელი იქნებოდა და არაბუნებრივი.

რაც შეეხება მათ **დასაწყისს**, – ამაზე შეიძლება კიდევ იდავოს კაცმა“. პ. ვალერი „აზრები“ გვ. 95.

ამის გამო ჩემს კომენტარებში არასწორი ინტერპრეტაცია მიეცა ვალერის შემოქმედებას. კერძოდ, მე ვწერ:

ამ ფრაზით პოლ ვალერი იმ გარდაუვალ კანონზომიერებაზე მიგვანიშნებს, რომ მოციმციმე მონეტა ყველა სამყაროში ჭეშმარიტებას გვაზიარებს, თუმცა ამით მან მთელი თავისი შემოქმედების საწინააღმდეგო არგუმენტი შემოგვთავაზა.

მე შეცდომაში შემიყვანა ჩვენი ბრწყინვალე მთარგმნელის და მოაზროვნის თარგმანმა. (პ. ვალერის „რჩეული პროზა“ ფრანგ. თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ, გამომც. „ნაკალული“, 1983)

„ყოველი სისტემის დასასრული რომ ყალბია, ეს არავითარ ეჭვს არ იწვევს. საწინააღმდეგო დასკვნა შეუძლებელი იქნებოდა და არაბუნებრივი.

რაც შეეხება მათ დასასრულს, – ამაზე შეიძლება კიდევ იდავოს კაცმა“. პ. ვალერი „აზრები“ გვ. 95.

ზუსტი იქნებოდა ასე შემესწორებინა ეს ფრაზა:

– **„ყოველი სისტემის დასაწყისი რომ ყალბია,** ეს არავითარ ეჭვს არ იწვევს. საწინააღმდეგო დასკვნა შეუძლებელი იქნებოდა და არაბუნებრივი.

რაც შეეხება მათ დასასრულს, – ამაზე შეიძლება კიდევ იდავოს კაცმა“. პ. ვალერი „აზრები“ გვ. 95.

აი რას წერს ვალერი თავის გახმაურებულ შედეგში.

„Вечер с господином Тэстом“:

„То, что они называют высшим существом, есть лишь существо, которое ошиблось“

იქვე ის აკონკრეტებს ამ აზრს:

„Каждый ум, считающийся могущественным, **начинает с**

ошибки, которая делает его известным“ стр. 91.

შ. სირაქე

სელოვანის გზა

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2008

ტექ. რედაქტორი ინგა ნავროზაშვილი

გამომცემლობა „მერიდიანი“,
აღ. ყაზბეგის გამზ. №45
E – mail: info@meridianpub.com ტ. 39-15-22